ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით | ფასი 1,50 ლარი | 13 დეკემბერი 2013 | №25 (207)

ბედნიერების საიდუმლო
ვახტანგ ჭელიძის მონატრება
იოსებ ჭუმბურიძის ჩანაწერები
ინტერვიუ თათია პაჭკორიასთან
ფერწერის არისტოკრატი ზურაბ ნიჟარაძე
მწერალთა სახლის დაარსების ფრაგმენტები
მურმან ჯგუბურია გურამ პეტრიაშვილზე
კინო და კინომაყურებლის ისტორია
ევრიპიდეს შეუსმენელი ღაღადი
ლალი ბრეგვაძის მოთხრობა
გია კობახიძის ლირიკა
ბასტოსის სადგურები

შინაარსი

ფიქრები	2	**იოსებ ჭუმბურიძე ჩანაწერები „გადასასვლელებით“**
ექსპრეს-ინტერვიუ	4	**თათია პაჭკორია „შენი ბედი შენს ხელშია“** (მოამზადა მაკა ჯაფარიძემ)
წარსული მომავლისათვის	5	**ნანა კუცია მოტივთაგან უპირველესი** (როსტომ ჩხეიძის ესეის „ილიას ქნარი“ ერთი ასპექტისათვის)
პროზა	8	**ლალი ბრეგვაძე-კახიანი იყო კაცი... და იყო ჩრდილი მისი**
მემორიალი	15	**ანზორ ერქომაიშვილი მისი დიდი მადლითაც** (მანანა ანდრიაძის მოსაგონებლად)
პოეზია	16	**გია კობახიძე *** გამოანათა ზამთრის მზემ ფრთხილად**
უცხოელის თვალით	20	**მარიენცა კორაჩი მედეა ანუ ევრიპიდეს შეუსმენელი ღაღადი**
ახალი რომანი	23	**მაია ჯალიაშვილი ბედნიერების საიდუმლო** (დორის დორიეს რომანი „ხელი გაუწოდე სასწაულს“)
წუთები და წლები	25	**მანანა გაბაშვილი კინო და კინომაყურებლის ისტორია**
რეპორტაჟი	34	**ეკა ბუჯიაშვილი „შეთქმულება“, რომელიც გასცეს** (ნუციკო დეკანოზიშვილის ახალი პოეტური კრებულის განხილვა)
მარადი ხელოვნება	37	**ლელა ჯიყაშვილი ფერწერის არისტოკრატი** (ზურაბ ნიჟარაძე)
კრიტიკა	44	**მურმან ჯგუბურია ყვავილთა მწყემსი, ანუ წიგნის აშიებზე მინაწერი** (გურამ პეტრიაშვილის „100 ლექსი“)
დაუვიწყარი სახელები	46	**როსტომ ჩხეიძე ვახტანგ ჭელიძის მონატრება** (ბიოგრაფიული რომანიდან „საგა ვახტანგური (ვახტანგ ჭელიძის ცხოვრების ქრონიკა)“
კრიტიკა	50	**მარინე ტურავა ჯერაც ართქმულის განცდა** (ნაირა გელაშვილის რომანი „მე ის ვარ“)
ჩვენი ყოფა, წუთისოფელი	53	**ნინო დეკანოიძე კიხოტის სკოლის დასახმარებლად**
გამოხმაურება	54	**ეთერ ბერიაშვილი „ალუდა ქეთელაურის“ ერთი სტროფისა და კიდევ იმის შესახებ, ვინ რას ამბობს პოემაში**
ფიქრი და განსჯა	55	**გივი ალხაზიშვილი მწერალთა სახლის დაარსების რამდენიმე ფრაგმენტი**
ლიტერატურული ცხოვრება	60	**„არილი“ განახლდა!**
პოეზიის მერიდიანები	61	**პოეტური თანავარსკვლავედი** (სენ-ჟონ პერსი, ანდრე ბრეტონი, ანრი მიშო, ლეოპოლდ სედარ სანგჰორი, ალფრედ დე ვინი)
ახალი თარგმანები	63	**აუგუსტო როა ბასტოსი სადგურები**
ახალი წიგნები	69	**მალხაზ ივანიძე სიტყვაში გაცოცხლებული ისტორია** („ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი“)
მოზაიკა	71	**და ერთხელაც... მოიკითხა**

ჩვენი მწერლობა

ორკვირეული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62
რეკლამა: (995 93) 65 93 68
გავრცელება: (995 92) 25 94 94
ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge

www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 27 დეკემბერს

დაარსებულია
ომეგა ჯგუფის მიერ
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი
ზაზა ოქუაშვილი

დაბეჭდილია სტამბაში
ომეგა თეგი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,
თბილისი საქართველო
ტელ: 00 995 32 53 12 77
ფაქსი: 00 995 32 53 08 33
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დეკანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კიკნაძე

გარეკანზე: ნაირა გელაშვილი
ვალენსია, ესპანეთი

იოსებ ჭუმბურიძე

ჩანაწერები „გადასასვლელებით“

ორი ჩაქუჩი

გუდამაყრის ხეობა.

ჩოხი.

გოდერძი ჩოხელის დღე.

სცენა — სკოლის ეზოში.

სკოლა — დანგრეული, სახურავახდილი, კარ-ფანჯრებგამოცლილი;

ეზო და შემოგარენი — მოუვლელი...

მაინც რამდენი ეყოფოდა აქაურობის მოვლას?

ალბათ, უფრო ნაკლები, ვიდრე კუტუნიოს ერთ კონცერტზე იხარჯებოდა.

...სცენაზე ეთერ თათარაიძე ადის.

შარშანწინ, — ამბობს იგი, — ამ სკოლას სახურავიც ჰქონდა, კარ-ფანჯრებიც და აივანიც, იქ სახლ-მუზეუმის გახსნა მოვითხოვეთ. ამის ნაცვლად სულ მთლად გაუპარტახებიათ. საერთოდ, ჩვენი მთიანეთი უპატრონოდ არის მიტოვებული. საზღვრისპირა მხარეები გაუკაცრიელებულია, არადა, ჩვენი გადარჩენის საიდუმლო სწორედ მთაშია.

ცოტა ხნის შემდეგ სიტყვას პარლამენტარი ერეკლე ტრიპოლსკი მოითხოვს და იტყვის:

„მართალია, ეთერ თათარაიძის კრიტიკა დღევანდელ ხელისუფლებას ნაკლებად ეხებოდა, მაგრამ მას რომ ვუსმენდი, მაინც ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს თავში ჩაქუჩს მირტყამდა“.

* * *

„ჩვენი მწერლობის“ სალონი.

ოთარ ჩხეიძის წიგნის („იტალიური დღიურები ბაირონისა“) წარდგინება.

სიტყვას ნანა კუცია ამბობს:

ლაპარაკობს წყნარად, მაგრამ თრთოლვით, ტკივილით:

„სამწუხაროდ, საქართველოში არასოდეს ჩამოსულა სტუმარი, რომელიც იმასვე გვეტყოდა, რაც იტალიელებს ბაირონმა უთხრა. გვეტყოდა, რომ ქართველის ყველაზე დიდი მტერი ქართველია; რომ მონობასთან შეგუება სამარცხვინოა...“

აქ უკვე პარლამენტის წევრობა აუცილებელი არ იყო იმის მისახვედრად, რომ თავში ჩაქუჩს გვირტყამდნენ.

ამ დროს მაკა ჯოხაძისკენ გავიხედე. ქალბატონ მაკას იმ დღეს სიტყვა არ უთქვამს, მაგრამ მისი გასხივოსნებული სახე და ცრემლშეპარული თვალები ყველაფერს ამბობდნენ.

* * *

თუნდაც ამ ორი გამოსვლის შემდეგ, ძნელია, დაეთანხმო ნიკოლო მაკიაველის აზრს, ამას წინათ ბატონმა გიორგი კახაბრიშვილმა რომ დაიმოწმა:

„ქვეყანაში, სადაც ქალები მამაკაცებზე მეტად მძლავრობენ, იმ ქვეყნის საქმე ვერ არის კარგადო“.

თამარ მეფისა და ქეთევან დედოფლის სამშობლოში ეს სენტენცია არ გამოდგება.

ტელეეკრანთან

პირველი არხი. „მოამბე“. 08.11.2013; 20 სთ. 34 წთ.

„დაკარგული მოზარდების სამძებრო სამუშაოები რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობს“ (ჟურნალისტი — ნ. მოლოდინაშვილი).

* * *

მედიაკავშირი „ობიექტივი“. დღეში რამდენჯერმე, გადაცემებს შორის, რამდენიმეწუთიანი ტიხარი, სახელწოდებით: „ქართული კლასიკა უკვდავია“.

ამ რუბრიკით მოისმენთ და ნახავთ ლიტერატურისა და ხელოვნების ნიმუშებს ან მათს ფრაგმენტებს. ეკრანზე გამოჩნდება მათ შემოქმედთა სახეები. და ვინ არიან ეს კლასიკოსები? მედიაკავშირ „ობიექტივის“ აზრით, მათი სპექტრი უკიდეგანოა. ყველა კლასიკოსია — გალაკტიონიც (სხვათა შორის, გალაქტიონს წერენ — ეს პირველკლასელსაც არ ეპატიება), გრიგოლ რობაქიძეც, ალექსანდრე ბასილაიაც, ნუნუ დუღაშვილიც, ნატო მეტონიძეც, ცისფერი ტრიოც, ზურაბ მჟავიაც...

* * *

„მაესტრო“. გადაცემა „სუბიექტური აზრი“. 07.11. 2013. გამძღოლები: დიანა ტრაპაიძე, თეონა გოგელია. სტუმარი: ექსპერტი ბექა ნაცვლიშვილი. თემა: ქართველ პოლიტიკოსთა ინტელექტუალური დონე. დიანა ტრაპაიძე ეკითხება ექსპერტს: „შენი აზრით, ყველაზე წიგნიერი პირველი პირი ვინ იყო ამ ქვეყანაში? სულ სამი გვყავდა“...

პასუხი: „უფრო ვიტყოდი — ზვიად გამსახურდია“.

უფროო?!.

გამახსენდა: წინგს, გეეროში...

გამახსენდა რამდენიმე წლის წინათ თბილისში გავრცელებული ეს ამბავი: ერთ-ერთი წამყვანი (ყველაზე „მაღალრეიტინგული“ ტელეარხის ჟურნალისტი) ინტერვიუზე მისულა თამაზ ჭილაძესთან. საუბრისას ბატონ თამაზს მისთვის უთქვამს, ოთარიც ასე ფიქრობსო, და გვერდით ოთახში მყოფი მამაკაცისკენ მიუთითებია. ჟურნალისტი მიუბრუნდა თურმე მართლა ცოცხალ კლასიკოსს და ჰკითხა: „თქვენც წერთ?“

დაუჯერებელია?

ვითომ?

ლექსები და პოეტები

რა ამბავი მოჰყვა ივანე ამირხანაშვილის წერილს, ქართული პოეზიის თანამედროვე მდგომარეობას რომ შეეხებოდა?! არანაკლებ მწარე სიმართლე თქვა ამას წინათ „ჩვენი მწერლობის“ სალონში ნინო ქუთათელაძემ: „ქალი პოეტების ერთი ნაწილი მედეა კახიძეს ბაძავს; მეორე — ლია სტურუას, მე კი ერთი მედეა კახიძე და ერთი ლია სტურუაც მყოფნის“.

კიდევ კარგი, იმათ ჭკუა ყოფნით და ანას არ ბაძავენ. ეს მათთვის მართლაც მომაკვდინებელი იქნებოდა.

* * *

ამდენი ლექსი იწერება და იშვიათად რომელიმე დაგამახსოვრდეს. წინათ კი... გაშლიდი „ლიტერატურულ საქართველოს“, ნახავდი მურმან ლებანიძის ახალ ლექსებს, მისი შემოქმედებისთვის თითქოს რიგით ლექსებს და ძალდაუტანებლად დაგამახსოვრდებოდა. მაგალითად, დღემდე მახსოვს გაზეთში ერთხელ წაკითხული ეს სტრიქონები:

შანდალს მაგონებს,
სიონში როა იმგვარს,
ნელიად მბჟუტავს
სანთლის ყვითელი ღვენთით,
მოხუცებული პატარა კომში მიყვარს,
შუა ქალაქში, ჩვენი თალარის გვერდით.

როცა ისინი მახსენდება, ასეთი ფიქრიც ამედევნება ხოლმე: რა საოცარია, პოეტს შეიძლება უყვარდეს მოხუცებული პატარა კომში, მაგრამ არ უყვარდეს არც ისე მოხუცებული მეორე პოეტი, რომელიც „მას ელოდება“. არ უყვარდეს და მაინც ეს დაწეროს:

ამიღებთ, წამიღებთ, დამფლავთ,
არაფრის თან არ ვარ წამღები,
თქვენ რჩებით, შეგერგოთ თაფლად,
თაფლად თქვენ — წუთისოფლის ბაღები...

* * *

ნაციონალები მართლა
მაგრად შეხვდნენ გამოწვევებს! —
წველეს, წველეს საქართველო
და ბოლომდე გამოწველეს...

— ამას წერს პოეტი, რომელსაც ნაციონალთა „ნაწველიდან“ ბრწყინვალების ორდენი და შესაბამისი (სოლიდური) თანხა ერგო.

* * *

ადრე აქ წიგნის მაღაზია („ჩირაღდანი“) იყო.

ახლა კაფეა.

ვსხედვართ სამნი: ჯანსუღ ჩარკვიანი, ლევან ბრეგაძე და მე.

ვსაუბრობთ ყველაფერზე და პოეზიაზე.

ერთი საკმაოდ ცნობილი პოეტი ვახსენეთ.

ლევანმა — კარგი პოეტიაო.

არ დავეთანხმე.

ძალიან მკაცრი ხარო, ასე არ შეიძლებაო...

რატომ ვარ მკაცრი, — ვეუბნები, — დამისახელეთ მისი თუნდაც ერთი სტროფი.

— კი, ბატონო, ახლავე...

ცდილობს, წვალობს, თითქოს საცაა უნდა თქვას, მაგრამ ვერ იხსენებს. არათუ სტროფს, სტრიქონსაც კი.

ლევან ბრეგაძეც რომ ვერ გაიხსენებს?!

შეიძლება, კარგი პოეტი იყოს და მისი ერთი სტროფიც ზეპირად არავინ იცოდეს? — ვეკითხები სრულიად არა ნიშნის მოგებით.

— აუცილებლად გამახსენდება, — კვლავაც პოეტის „გადარჩენას“ ცდილობს ბატონი ლევანი.

ბატონი ჯანსუღი არაფერს ამბობს.

სახეზე კი სიამოვნების ღიმილი დასთამაშებს.

რატომაც არა, თავი ქუდში აქვს. ვინ არ იცის ზეპირად მისი სტრიქონები, სტროფები, ლექსები: „მწყურვალისათვის მიმატანინე წყალი“, „ცერზე შევდგები როგორც ავაზა, ერთს გადავხედავ დღეებს გაფრენილს, მერე მოვკვდები ისე ლამაზად, ვით დაიბადა ეს ყველაფერი...“ „მთავარი მაინც მამული არის, განსაცვიფრებლად არის მთავარი“...

* * *

მკაცრი აკაკი გაწერელია იყო: „მხოლოდ ისეთი პოეტია საჭირო, ურომლისოდაც სიცოცხლე გაძნელდებოდა“.

შეიძლება, ქართველმა კაცმა იცოცხლოს შოთას, გურამიშვილის, ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის, ტიციან ტაბიძის, ლადო ასათიანის, გიორგი ლეონიძის, ანას, მუხრან მაჭავარიანის გარეშე?!

ერთხელ ერთმა ფრიად განათლებულმა, მაგრამ სრულიად „არაპოეტური პროფესიის“ კაცმა, პოეზიაზე მოკამათეებს გამოგვიცხადა: „თქვენი იყოს აკაკიც, გალაკტიონიც, ლეონიძეც... დამიტოვეთ მურმან ლებანიძე. მე მისი ლექსებიც მეყოფა“.

ესეც მახსოვს. სტუდენტები პოეზიაზე ვკამათობდით. ერთ-ერთმა საუკეთესო პოეტები ჩამოთვალა.

ოთარ ჭილაძე? — იკითხა ნანა ჭანტურიამ.

ვინც პოეზიით ყველაფერი თქვა, რომანის დაწერა არ დასჭირვებია. — თქვა მანანა კობაიძემ, ვისაც ხმამაღალი განცხადებები არ სჩვეოდა, ჩუმი ფიქრით იყო გამორჩეული.

მართლაც ხომ ძნელი წარმოსადგენია გალაკტიონის ანდა ანას რომანი?

* * *

და მაინც, პოეზიაში (საერთოდ, ხელოვნებაში) მკაცრად განსაზღვრული კანონები არ არსებობს.

შეიძლება კარგმა პოეტმა კარგი რომანი დაწეროს.

მაგრამ ფრიდონ ხალვაშს აშკარად არ გახარებია თამაზ ჩხენკელის ნათქვამი — „ომრი“ შენს ნაწერებში ყველაფერს სჯობსო...

როსტომ ჩხეიძეც ასე ფიქრობს.

ჩხენკელი და ჩხეიძე ჰაიჰარად არაფერს იტყვიან.

მაგრამ პოეტი როგორ შეელევა პოეტის უპირატესობას.

მითუმეტეს საქართველოში.

იქ, სადაც „გაგიჟება სჯობს, თუ გათავდა ლექსის მადანი“, სადაც პოეტი უფრო მეტია, ვიდრე პოეტი...

იქ, სადაც ერთი ლექსით უკვდავებაც უეჭველი ფაქტია.

ბევრი კარგი ლექსი აქვს ფრიდონ ხალვაშს, მაგრამ მისი უკვდავების გარანტი მაინც ორი ლექსია, „მემლექეთი“ და „მე არ ვიქნები შენი სტუმარი“.

ორივე პატრიოტული ლირიკის შედევრია. ბოლომდე გულწრფელი რომ ვიყო, ესეც უნდა ვთქვა:

პირველი მათგანის შედევრობას ერთი სტროფი ოდნავ აკნინებს, უფრო ზუსტად ამ სტროფის ბოლო სტრიქონი:

მითხარ, როგორაა მემლექეთი,
მე სულ იმის ფიქრით დავდიოდი,
ახლად დავიბადე, თბილისიდან
ხმა რომ დავიჭირე რადიოთი.

ლირიკას რადიო არ უხდება. დანარჩენ ექვს სტროფს კი წუნს ვერ დასდებ. გასაოცარი ლექსია, სამშობლოს გრძნობას მხოლოდ მის გარეთ დარჩენილ ქართველობას კი არა, ჩვენც რომ მძაფრად განგვაცდევინებს.

* * *

ჩოხი.

გოდერძი ჩოხელის დღე.

ორატორები ერთმანეთს ცვლიან.

ზაზა აბზიანიძე მეტყვის: ჩემი ნება რომ იყოს, სამშობლოზე ლექსის წერას რამდენიმე წლით მაინც ავკრძალავდი.

ვიცი, რასაც გულისხმობს, მაგრამ მაინც შევცბუნდები.

რამდენიმე წუთის შემდეგ მიკროფონთან ტარიელ ხარხელაური მივა და სწორედ პატრიოტულ ლექსს წაიკითხავს.

ბატონი ზაზა აღფრთოვანებული დაუკრავს ტაშს, „ბრავოსაც“ კი წამოიძახებს.

შეცბუნებაც გამივლის...

* * *

„სამშობლო არ დაივიწყოთ, სამშობლო უმთავრესია!“ — გალაკტიონი გვაფრთხილებს.

დალი ვარამაშვილი *გუდამაყარი*

თათია პაჭკორია

„შენი ბედი შენს ხელშია“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— უიმედობა, უპერსპექტივობის განცდა...

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— საქართველოში.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— სულიერი სიმშვიდე.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— გი დე მოპასანის პერსონაჟები.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— ერეკლე მეორე.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— მიქელანჯელო.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— გია ყანჩელი.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— ინტელექტი.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— ემოციების მართვა.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— თანადგომა.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— ყველაფერი რაც სიამოვნებას მანიჭებს.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— არცერთი.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— ერთგულება.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— ყურადღება.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— აფექტურობა.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— ბედნიერება ცხოვრების მანძილზე გაბნეული წუთებისაგან შედგება.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— ახლობელი ადამიანების დაკარგვა.

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— ნაკლებად ემოციური.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ზამთრის მკვეთრი ფერები.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ვარდი.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— არწივი.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— მიხეილ ჯავახიშვილი, ლევ ტოლსტოი, ანტონ ჩეხოვი.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— უილიამ შექსპირი, ოთარ ჭილაძე, გიორგი ლეონიძე.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— მიჭირს გამორჩევა, რადგან ჩემი საყვარელი მწერლების პერსონაჟი ქალები სამაგალითონი არ არიან... ზოგჯერ ისინი ხატავენ, თუ როგორი არ უნდა იყოს ქალი.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— თანამედროვეთა რეალური ისტორიების ცოდნის გამო მიჭირს ვინმეს გამორჩევა...

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— თამარ მეფე.

— საყვარელი სახელები?

— ყველა სახელი, რომელიც დადებითი ენერგიის მატარებელ ადამიანს ჰქვია.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— ინერტულობას.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— ყველა ის ადამიანი, ვინც რადიკალიზმს და შეურიგებლობას ქადაგებს.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტ-ნაკლები აღტაცებისა?

— ეროვნული ღირსების შელახვისათვის.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— დეცენტრალიზაცია.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— მრავალ ენაზე საუბარი.

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— შეყვარებული და კვლავ საჭირო გარშემომყოფთათვის.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— ტკივილისა და სიხარულის ზღვარზე.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— გაუაზრებელი შეცდომა, უგუნურება.

— თქვენი დევიზი?

— შენი ბედი შენს ხელშია.

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— შენ შეძელი მეტ-ნაკლებად სწორად გეცხოვრა.

ნანა კუცია

მოტივთაგან უპირველესი

(როსტომ ჩხეიძის ესეის „ილიას ქნარი“ ერთი ასპექტისათვის)

„ღვთიური მადლით ავსებულიყო ილიას პოეტური სამყარო.“

„ილიას სამრეკლოს“ წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ილია ჩვენთვის წარსული არაა, ის მომავალია. ქართველი კაცი ისეთი იქნება, როგორიც იქნება მისი დამოკიდებულება ილიასადმი“.

წმინდა ილია მართლის სადიდებელ-საავედრებელში ლოცვის ლაკონიურობითა და ყოვლისმომცველობითაა კონსტატირებული: „ღვაწლითა და სისხლითა უდაბნოი იგი სოფლისა მოიმუშაკე და გონებითა ღვთივბრწყინვალითა დაცემულნი კუალად აღგვადგინენ, ჭეშმარიტებაი სთესე და გვირგვინი უკუდავებისაი მოიპოვე, სიმართლისათვის დაითმინე და ზესთა სოფელი დიდებისაი დაიმკვიდრე, ძეო ქართველთა ერისაო, ერისათვის წამებულო, წმიდაო ილია მართალო, ყოვლადდიდებულო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა ძმათა შენთათვის, შეწყალებად სულთა ჩვენთათვის“ ***(ლოცვანი).***

ილიასადმი ქართველი კაცის დამოკიდებულებაა კონსტატირებული საავედრებელში.

დამოკიდებულების ერთი უაღრესად საინტერესო მაგალითია არეკლილი ***როსტომ ჩხეიძის ესეიშიც „ილიას ქნარი“ (ჟურნალი „მწვანეყვავილა“, №4, 2012).***

სათაურად გატანილი სინტაგმა უმალ გრიგოლ რობაქიძის „აკაკის ქნარის“ ასოციაციას იწვევს მკითხველში და, ალბათ, მწერალი-ესეისტის განზრახვაც ეს იყო — კიდევ ერთხელ მიეხედებინა ქართველნი XIX (და ყოველი) საუკუნის აზრთა თვითმპყრობელთაკენ, რადგან „იდეალს არა აქვს წარსული, მას ყოველ დროში ახალი აწმყო გააჩნია. ეს იდეალი ყოველთვის დღევანდელია და იგი დღევანდელობას აზიარებს მარადიულ მომავალთან“ ***(რევაზ სირაძე, ქართული აგიოგრაფია).***

„სიტყვათშეთანხმება „აკაკის ქნარი“ სავსებით ბუნებრივი ეჩვენებოდათ, — აღნიშნავს როსტომ ჩხეიძე, — მაგრამ ილია ჭავჭავაძე ქნარით ხელში? არადა, თვითონ უცხო სულაც არ მოეჩვენებოდა ეს საკრავი, თავიდან თავისი პოეტური სწრაფვის სიმბოლოდ მას იგულისხმებდა და საპროგრამო ლექსის ფინალს მისი ხსენებით გაასხივოსნებდა, საფლავში წრფელსა და მართალს და თუნდ ჩუმ ჩაძახილს რომ უნდა გაენედლებინა მისი გული, შენი ქნარი შორს ჩვენგან ჩრდილში ამაოდ ჩვენთვის არ ხმაურობდაო“.

რობაქიძისეულ დეფინიციას დაიმოწმებს ესეისტი, „აკაკი და ილია ტყუპები არიან, რომლებიც დასცილდნენ ერთიმეორეს, მაგრამ „ტოლები“ დარჩნენ მაინც. არჩევანი ხან ერთს ერგება, ხან მეორეს. „ტოლებში“ ეს ჩვეული ამბავია... სხვანაირნი, მაგრამ ერთფასეულნი — აი, ტოლების საზომი... ამგვარი „ტყუპები“ რუსებსაც ჰყავდათ და ვერა და ვერ გადაეწყვიტათ, ლევ ტოლსტოი ემჯობინებინათ თუ ფიოდორ დოსტოევსკიო.“

„სიმძიმე, რაც ილიას ანალიტიკურ, ფიქრში ჩაძირულ სულსა და სამოსელს განასხვავებს აკაკის ლექსის მუსიკალური, ამღერებული სულისა და სამოსისაგან“ პიროვნულ სტიგმად გაუაზრებია მწერალ-ესეისტს და სწორედ ამ ტვიფარით ანათესავებს ჭავჭავაძისა და ბარათაშვილის პოეზიას.

ილიას მრწამსით, „მერანი“ წინასიტყვაობაა „სულო ბოროტოსი“ არა მარტო იმით, რომ წინ არის დაწერილი, არამედ შინაარსით.“ აღნიშნული მოსაზრების პერიფრაზირებას ახდენს როსტომ ჩხეიძე ილიას პოეზიის ბრწყინვალე ექსპოზიციის — „ყვარლის მთების“ არსის განმარტებისას: „ყვარლის მთებს“ წინასიტყვაობაა ილიას ლირიკისა არა მარტო იმიტომ, რომ წინ არის დაწერილი, არამედ — სწორედაც შინაარსით...

„ყვარლის მთები“ დეკორაციაცაა, ფონიც, სულისკვეთებაც და თავგანწირული ლტოლვაც და სრბოლაც საკაცობრიო ტკივილებში განსაზავებლად, იმ ძარღვის შესანარჩუნებლად, იმ *ეროვნული დვრიტისა,* ურომლისოდაც კაცობრიობის ხვედრსა და მომავალზე ჭმუნვა თუ ფიქრი რაღაც გაუგებარ აბსტრაქციად გადიქცევა...“

ილიას ქნარის არსის ანალიზისას ესეისტი გამუდმებით ამოაჩენს ბარათაშვილის პორტრეტს და სახელთა პარალელიზმის მიზეზსაც განმარტავს (რამდენიმე ციტატა): „თავისი სულის ქროლვა „ყვარლის მთებისთვის“ მიენდო და „მერანი“ ბარათაშვილის სულის ქროლვად და ბედის საზღვრის გარღვევად ეწამა, ცნობიერებაში ძალდაუტანებლად წამოუტივტივდებოდა ლორდ ბაირონის სახებაც, საამისოდ კაენი რომ აეჩინა, და იოჰან ვოლფგანგ გოეთესიც, ვის ფაუსტსაც მეფისტოფელი ემჯობინებინა... [ილია] „მერანის“ შრეებს ესთეტიკოსისა და ანალიტიკოსის სწრაფვით ჩაჰყოლოდა, მისი გადმოსახედიდან მიმოავლებდა მზერას ერთობ მოუსვენარ ცხოვრებას ადამიანისა, რომლის ეჭვით გალესილი ჭკუაც დღემუდამ რწმენის ტაძარს აშენებდა და ისევ თავისივე ხელით ანადგურებდა, არადა, მყუდროების სადგური სწყუროდა...“

ილია ჭავჭავაძეს ყვარლის მთების წინაშე უნდა დაედო დამპყრობლის კაბალისაგან ქვეყნის გამოხსნის ფიცი, რა გასაკვირია, რომ ყვარლის მთებისადმი მიძღვნილი დითირამბი „მერანისებური“ სულით ავსებულიყო! ...და ეს მაშინ, როდესაც ილიას არამცთუ ეს ლექსი და ეს პოეზია არა სცნობოდა, ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელი არც კი სმენოდა“.

ერთ უაღრესად მნიშვნელოვან და საინტერესო დეტალსაც მიაპყრობს ყურადღებას როსტომ ჩხეიძე, წლების შემდგომ „მეფე ლირს რომ ჩაუჯდებოდა [ილია] ივანე მაჩაბელთან ერთად, შექსპირული პოეტური საზომის ქართულ შესატყვისად ის თოთხმეტმარცვლიანი ყალიბი შეერჩია, ასერიგად რომ შეთვისებოდა და გაეშინაურებინა და ბარათაშვილის წაკითხვამდე უკვე გამოეყენებინა „ყვარლის მთებშიო“.

„მერანისა“ და „ყვარლის მთების“ პარალელურად ხსენებისას მამის — ოთარ ჩხეიძის — აზრსაც დაიდასტურებს ესეისტი: „მერანივით ლექსია, მერანისებურივე სულითო“, ყოველთვის აღტაცებით მოიხსენიებდა ოთარ ჩხეიძე „ყვარლის მთებს“.

„მერანისებული სულის“ არსის განმარტებისას როსტომ ჩხეიძის სხვა ნაწარმოები — „ლეგენდა ისკანდერისა“ მოგვაგონდება, ტექსტის მეტყველი პასაჟი: „სანდრო ახმეტელი აღტაცებულიყო გიორგი შატბერაშვილის გამოჩენით, მოინდომებდა, სულაც თეატრისათვის დაებეჭდინა ეს ახალგაზ-

რდა კაცი, სთხოვდა, „მერანისებური ტრაგედიის“ დადგმა მინდა და, იქნებ, შენ მოგეკიდა ხელიო“.

„მერანისებური ტრაგედიის“ არსს საოცარი სიღრმით განმარტავს მოსე გოგიბერიძე: „მერანის“ პესიმისტური დასაწყისი მთავრდება სიცოცხლის ჰომყოფელი რწმენით... ***დაწერილი საქართველოს სახელმწიფოებრივი მეობის შერყევის ეპოქაში,*** ეს ლექსი არის ფილოსოფიური ტრაქტატი. ერთი შეხედვით ინდიფერენტული სამშობლოს სიყვარულისა და მამა-პაპათა საფლავების მყუდროების მიმართ, პოეტი დაინტერესებულია ინდივიდის ბედითა და არსებობის აზრით. ლექსის არსი არის პანთეისტური კოსმოპოლიტური ქორალი, რომლის ჰარმონიით დამძიმებულსა და დაბანგულს, *ადამიანს ეღვიძება თავისი ნაციონალური მეობისა და თვითცნობიერების სიმაღლეზე...* ძველის საქართველოს უკანასკნელი ნაშიერი ნაღველში ამოწებული კალმით წერდა „მერანის“ სტრიქონებს... ბარათაშვილის პოეზია ინსპირირებულია საქართველოს ეროვნული ტრაგედიით XVIIIს. დასასრულს. ბარათაშვილი იდეოლოგი და მესიტყვეა იმ ქართველთა, რომელთაც ***სახელმწიფოს დაკარგვასთან ერთად ქართველი ერის პატივი არ დაუკარგავთ,*** ქართველი ერის აწმყო და მომავალი პირად ნეტარებაზე, რუსტ მეფის მიერ ნაბოძებ ორდენებზე არ გაუცვლიათ“ **(რუსთველი, პეტრიწი, პრელუდიები, 1961).**

ილიაც ამავე ქართველთა „იდეოლოგი და მესიტყვეა.“

სწორედ ამ რაკურსს წარმოაჩენს ხაზგასმით ესეიში როსტომ ჩხეიძე და ლექსის ანალიზი პოეტისა და მოღვაწის უზუსტეს აბრისად გადაიქცევა.

„საქართველოს გაუგივდებოდა ეს გრეხილი *[ყვარლის მთები — ნ.კ.],* მიენიჭებოდა უჩვეულო ანდამატის ძალა, უცხოეთში არაფრისდიდებით რომ არ შეიძლება ჩაეტოვებინა თავისი შვილი — მხოლოდ წამიერად, მხოლოდ დროებით გაეშვა ხელი და მალევე ისევ მიეკრა გულზე“, — ლექსის ანალიზი მხოლოდ საბაბია ქართული სახელმწიფოებრიობის ბედზე მონაღვლის პორტრეტის წარმოსაჩენად. „სახელმწიფოს დაკარგვასთან ერთად ქართველი ერის პატივი არ დაეკარგა“ მამულიშვილთაგან უპირველესს და სწორედ სახელმწიფოს აღდგენისათვის გაწეულ ღვაწლს მიაპყრობს განსაკუთრებულ ყურადღებას ესეისტი, ნებისად მკერდს მიდებული ქნარი განა ტკბილ ხმებისათვის მოემართა ილიას — ცით გამოგზავნილს და ერის გამოზრდილს!

ესეიში მთავარი კონსტატირდება („ყვარლის მთების“ ანალიზი შემოქმედების უღრმეს შრეთა ანალიზად ტრანსფორმირდება): „მისი ერი ეს გახლდათ, ამ მიწა-წყალზე გამოეგზავნა უფალს, ამ ხალხის გადამრჩენად. ჯერ წარმოსახვაში უნდა აეგო აწ **წართმეული სახელმწიფოს ხატი,** როგორც მომავლის იდეალი, შემდეგ ეს ხატი და იდეალი საყოველთაოდ ექცია, ბრბოსათვის ერის შეგნება დაებრუნებინა და სულიერი სიმხნევით აღევსო, რათა **წარმოსახული, ჯერ მარტოოდენ ფანტაზიებში მონანავე ქვეყანა ოცნებიდან რეალობად გარდაქმნილიყო,** ამ გზაზე კი მწერლის (უპირველესად, პოეტის) დანიშნულება და საღვთო ვალი სულ სხვაგვარად გააზრებულიყო და სულაც ერის მეთაურის ფუნქციები მინიჭებოდა“.

ერის უგვირგვინო მეფის შემოქმედებაში სახელმწიფოებრივი მოწყობის კონტურებსაც ჩაუღრმავდება როსტომ ჩხეიძე, მარადიულ „წყევლაკრულვიან საკითხავს“, როგორც ყოველთვის, ერთადერთ სწორპასუხდაძებნილს ერის მთავარი ჭირისუფლისაგან: „ილიას იდეალი მონარქია რომ არის, „მეფე დიმიტრი თავდადებული“ ამის ხელშესახები დასტურია, წარსული — მომავლის წინასწარმეტყველებად, **ოღონდ შეფარულად, რაკიღა იმ განსაცდელის წინაშე დავმდგარიყავით, ქვეყნის ყოფნა-არყოფნა რომ ჰქვია** *(ხაზი ჩვენია — ნ. კ.)...*

...სამზადისისას პოლიტიკურ დასებად დაყოფა და უკვე სახელმწიფო მოწყობისათვის ზრუნვა და გარდაუვალი საჯარო შეხლა-შემოხლანი მხოლოდ დააზიანებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას... როდესაც ნანატრი თავისუფლება რეალობად წარმოდგებოდა, იმჟამად [დავა-კამათი] აღარ იქნებოდა სახიფათო ქვეყნისათვის. სხვაა დამოუკიდებლობის პირობებში პოლიტიკური დისკუსიები და სხვა — უსახელმწიფოდ დარჩენილი ერისათვის. ამიტომაც აღარ უღირდა ილიას წინასწარვე გამჟღავნება თავისი პოლიტიკური დოქტრინისა — სახელმწიფო მოწყობის გეგმას დამოუკიდებელ ქვეყანას განუცხადებდა და არა — წარმოსახვითი სახელმწიფოს მოქალაქეებს ... ჩაჰყევით მის პუბლიცისტურ თუ პოლემიკურ ნაწერებს, პირდაპირ თუ სადმე ამოიკითხავთ მონარქიული წყობისადმი გამჟღავნებულ თანამდგომას. ლუარსაბ წამებულისადმი მიძღვნილ ესეიში შეფარულად თუ ამოიცნობა ილიას ეს სულიერი მისწრაფება, თითქოს ისიც მხატვრული თხზულება ყოფილიყოს და კიდევ უფრო საგრძნობია „მეფე დიმიტრი თავდადებულის“ სიუჟეტურ ქარგაში, „ქართლის ცხოვრების“ მატიანეს რომ მიჰყვება კვალდაკვალ, მაგრამ ამჯობინებს მეფის სახის გარომანტიკულებას, რათა ჰეროიკული აქტის მოშველიებით გმირის იდეალიც დასახოს და **სახელმწიფო მოწყობის პროექტიც** შემოაცუროს სტრიქონთა შორის... დიდი მიხვედრა არ სჭირდება, რომ **ილია პარლამენტური ანუ კონსტიტუციური მონარქიის იდეის დამამკვიდრებელი შეიქნებოდა და სავსებით გაიზიარებდა 1832 წლის შეთქმულთა პოლიტიკურ დოქტრინასა თუ იდეალს“.**

ილიას მონუმენტურ მემკვიდრეობაში „ქნარის“ მთავარ მოტივს გამოკვეთს ესეისტი, დღესაც ასე აქტუალურსა და მნიშვნელოვანს.

„1832 წლის შეთქმულებას თავისი მესიტყვე გამოსჩენოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახით, გამჭვირვალე მინიშნებებით გააცხადებდა ტრაგიზმსაც და ჰეროიზმსაც“, კონსტატირებულია ესეიში. შეთქმულების დვრიტა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა იყო, „ბეზღობაში ფერმიხდილთა“ „ძალისხმევით“ გაცუდებული.

როსტომ ჩხეიძე შეთქმულთა სულიერი ჩამომავლის დახასიათებისას აღნიშნავს: „ილია წინასწარმეტყველური სიმკაცრითა და დაურიდებლობით შეეხებოდა ეროვნულ თავმოყვარეობას, რომელსაც მასზე დიდი დამცველი არც გამოუჩნდებოდა, როდესაც რუსი შოვინისტები და ქართველი ნიჰილისტები დაუზარებლად ერჩოდნენ... თვით 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთაც არ მოერიდებოდა და არც სარკაზმს დაიშურებდა პატრიოტთა იმ გუნდის მიმართ, რომელთა სულიერი ჩამომავლობაც ასერიგად ეამაყებოდა.“

სახელმწიფოებრიობის აღდგენას გადაგებული მამულიშვილის აბრისი წარმოუდგენელია ერთი უმნიშვნელოვანესი პარალელის გარეშე. როსტომ ჩხეიძე განსაკუთრებული ყურადღებით სწორედ ამ ნიუანსს ამკვეთრებს: „თითქოს გრიგოლ ხანძთელის სული გადმოსახლებულიყო ილიას არსებაში... გრიგოლ ხანძთელს მტერი და მოშურნე სულ უფრო მოუმრავლდებოდა და მოსაკლავადაც არ დაინდობდნენ. აკი კიდეც ჩაუსაფრდებოდნენ, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწევდნენ — ღვთის კალთა დაიფარავდა ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტერთა მაშენებელსა და სულიერი ყოფის ამაღორძინებელს, თუმც მთელი ცხოვრება გული და შუბლი ისრისათვის ექნებოდა შეშვერილი... ილიასაც ხომ ასევე შეეშვირა გულიც და შუბლიც ტყვიისთვის და, ლექსად რომ აღავლენდა ლოცვას, პოეტურ წარმოსახვებში კი არ გაეხვეოდა, თვალნათლივ იხილავდა თავის აღსასრულს და უფალს, პირველ რიგში, მკვლელთა შენდობას შეევედრებოდა, არ იციან, რას იქმანო. ღმერთსმოკლებულ სინამდვილეში უფლის

კალთა ვეღარ დაიფარავდა და ადამიანს, ვისაც ეროვნული და ქრისტიანული მრწამსი და მცნებანი ერთმანეთზე შეენასკვა და შეენივთა, საკუთარ გოლგოთას გაუმზადებდა წიწამურის ველზე“.

ესეიში ამოჩნდება „ისტორიის ჟინიანი განჩინების“ უცნაური კანონზომიერებაც: „რა გასაკვირია, ილია წინ რომ უსწრებდეს თავის დროს, გიორგი მერჩულეს მხატვრულ-დოკუმენტური ქმნილების „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ აღმოჩენამდე რომ გასჩენოდა მძაფრი ლტოლვა იმგვარი იდეალებისაკენ, რომელსაც ეს დიდი საეკლესიო მოღვაწე განასახიერებდა“.

ეს იდეალი „ფრიადი ქართლის“ ზმანებაა: „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“ (ფორმულა-არქეტიპი ილიასეული საკრალური ტრიადისა: „მამული, ენა, სარწმუნოება“).

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშივე“ ჩამოინაკვთა „ბაგრატოვანთა ღვთაებრივი წარმოშობის იდეა, რომელიც პირველად გრიგოლ ხანძთელმა გამოთქვა აშოტ კურაპალატის წინაშე: „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფეო, მეფობაი და სათნოებანიცა მისნი დაგიმკვიდრნენ ქრისტემან ღმერთმან, რომლისთვისაცა ამას მოგახსენებ — არა მოაკლდეს მთავრობაი შვილთა შენთა და ნათესავთა მათთა ქვეყანათა ამათ უკუნისამდე ჟამთა“ ***(რევაზ სირაძე, ქართული აგიოგრაფია).***

მერჩულე „უდაბნოთა ქალაქმყოფლად“ უხმობს ხანძთელს და იგივე დეფინიცია ჩნდება წმინდა ილია მართლის სადიდებელ-საველრებელში („უდაბნოი იგი სოფლისაი მოიმუშაკე“).

„სახელმწიფო პროგრამის შემუშავება კი მოესწრო და პოეტურ სამოსელშიც რომ ჰხვევდა უმთავრეს თუ სხვა მნიშვნელოვან მუხლებს, „აჩრდილით“ იქადაგებდა საქართველოსა და მთელი კავკასიის განუყრელობასა და ერთობლივ გამოხსნას რუსული კაბალისაგან, თორემ უერთმანეთოდ, ერთმანეთის თანადგომის გარეშე ეს სანუკვარი მიზანი აღუსრულებელი დარჩებოდა ანდა — ეფემერასავით გადაელვებულიო“, აღნიშნულია ესეიში.

„კავკასიის განუყრელობის“ იდეა ილიას ქართველ მეფეთა პოლიტიკის არსში წვდომით გაცხადებოდა, ანალთა შრეების უღრმესი ანალიზით.

სახელმწიფო გმირებს უნდა აღედგინათ, ამადაც მიეპყრო ყურადღება ილიას „გმირის დამბადი დიდი საგნისადმი“, გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებასაც ამად ჩაღრმავებოდა: „გრიგოლ ორბელიანის „ღრმად პატრიოტული პოეზიაც“ შეიქნებოდა ილიას შთამაგონებელი ... გმირის ძიების მოტივსაც მისგან ისესხებდა და „აჩრდილშიც“ გაახმიანებდა,... „ბაზალეთის ტბის“ სიმბოლიკას ერთიანად მასზე დაამყნობდა“, როსტომ ჩხეიძის მინიშნებით.

პავლე ინგოროყვას დაკვირვებით კი, „აჩრდილი“ და „სადღეგრძელო“ „პოეტურ სახეთა შეხვედრითაც“ საყურადღებოა. „ამ შეხვედრათაგან ამჯერად გამოვარჩიოთ გრიგოლ ორბელიანის პოემის პირველი გმირი და მეფე ქართველთა — ფარნავაზი, როგორც მზრუნველი მამა ივერიისა, ... ვინც, „ვითა აჩრდილი, დაჰმზერს ივერსა ჩაფიქრებითა“... გავიზიაროთ მიგნება, რომ სწორედ ფარნავაზის ორბელიანური გააზრებაა ერთგვარი პირველსახე ილიას „აჩრდილისა.“ ეს ფანტასტიკური სახე-სიმბოლო ჩვენს შეგნებაში თვით ილიას გაუიგივდებოდა, იგი წარმოდგებოდა მთის მწვერვალზე მდგარ მოხუცებულად, **სახელმწიფოებრივი იდეალი რომ უნდა ექადაგა და შეენარჩუნებინა, ვიდრე ოცნება რეალობად გარდაისახებოდა და დაკარგული სახელმწიფოს ამოგებას შევძლებდით ილიას ეროვნულ მოძღვრებაზე დაყრდნობით.“**

სახელმწიფოებრიობის იდეის გარშემო დაწყვილებულიყო ილია ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის პორტრეტები ოთარ ჩხეიძის „ვასილ ბარნოვშიც.“ სინანულითაა კონსტატირებული: „ორივეს ძალა შესწევდა, ემართა რომელიც გნებავთ დიდი სახელმწიფო, მაგრამ უფლება აჰყროდათ და გრამატიკის წესების დადგენას ალევდნენ უდიდეს ძალას, უდიდეს ნიჭს“.

რეალური გმირის გამოჩენამდე ლეგენდას უნდა შეხიზნებოდა ერი.

ილია „ხალხის მეხსიერების ყრუ ტალანში ჩაძირულ ლეგენდას ახალ სიცოცხლეს მიანიჭებდა და **მომავალი სახელმწიფოს ემბლემად** დასახავდა, აკვანში ჩაწოლილ ყრმად, ვისაც დღე-და-ღამ ჰნატრულობს ჩუმის ნატვრითა ქართველი... ერს თვისთა ცრემლთა ნადენით ტბა კარვად ზედ გადეხურა. კარავი ბიბლიური ასოციაციით განიმსჭვალებოდა და მოსე წინასწარმეტყველის სახებას ძალდაუტანებლად ამოზიდავდა მორწმუნე საზოგადოებაში. მთავარი გახლდათ, ამ საზოგადოებას გმირის დაბადება თუ ტბაში ჩაძირული აკვნიდან ამოყვანა მიამიტურ ოცნებად, მომხიბლავ პოეტურ ფიქრად კი არ განეცადა, არამედ მესიანისტურ რწმენად შეესისხლხორცებინა და გულდასმით ჩაჰკვირვებოდა ***გარდუვალად აღსადგენი ეროვნული სახელმწიფოს საფუძვლებს...*** ბრბოს ხალხად გარდაქმნა უპირველესი მიზანი უნდა ყოფილიყო. აჩრდილის ცნობიერებას უნდა გაემთლიანებინა სხვადასხვაგვარი სააზროვნო ნაკადი... *ილიას უნდა გაესწრო რუსული ყოვლისმთლიანობის იდეისათვის (ვლადიმირ სოლოვიოვი და მისი თანამოაზრენი რასაც ამკვიდრებდნენ), ოღონდ არა რელიგიათა ყოვლისმთლიანობით, არამედ დაშლილი ცნობიერების გამთლიანებითა და მისი სულიერი ამაღლებით“ (რევაზ სირაძე).*

ეროვნული სახელმწიფოს კონტექსტიდან, ეროვნული დოქტრინიდან აბსოლუტურად ამოვარდნილიყო ლიბერალურ-რევოლუციური იდეები.

თუკი ილია გრიგოლ ხანძთელისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის იდეის ერთგულ მემკვიდრედ წარმოჩნდება, თავად ილიას სულიერ შთამომავლად ესეიში გალაკტიონი ცხადდება — „სიცოცხლის ბოლომდე ილიასეულ სამშობლოს სევდასა და ელეგიურ განწყობილებებს შეეფარებოდა, ვერ გამოხსნოდა და არც ენება გამოხსნა, რათა თავის პოეტურ ხილვათა მაცოცხლებელი ძარღვი არ დაეკარგა, პოეტთა შვიდეულში გურამიშვილსაც შეელეოდა, ნიკოლოზ ბარათაშვილსაც, ილიას — ვერაფრისდიდებით“ (ოღონდ ეს უკვე სხვა წერილის თემაა — წერილისა პირობითი სათაურით „გალაკტიონის ქნარი“).

დავით მეფსალმუნის წმინდა ქნარი ძალმოსილებით მისსავ ტახტს აღემატებოდაო, წერდა ლორდ ბაირონი.

ქართველთა უგვირგვინო მეფის წმინდა ქნარზე აჟღერებულ მოტივთაგან უარსებითესად გაუქმებული ქართული სამეფო ტახტის — ანუ ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის იდეას გამოკვეთს ესეიში როსტომ ჩხეიძე — „წყევლაკრულივიან საკითხავს“ XIX საუკუნის პირველივე წლიდან მოაქჟამამდის...

სამშაბათს, 17 დეკემბერს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“
დარბაზში გაიმართება
შეხვედრა

მურმან ჯგუბურიასთან

დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41

ლალი ბრეგვაძე-კახიანი

იყო კაცი... და იყო ჩრდილი მისი

მოდრეკილისა და მორჩილის გული
არ დაამცირო, ღმერთო!
ფსალმუნი დავითისი (50, 19)

გარეუბნის მეტროსადგურთან ბოშებს დილიდანვე მოესწროთ ფილაქანაყრილი მოედნის დაკავება. ესენი ადრინდელი ნახევრად მაწანწალები როდიღა გახლდნენ, დაპლისული ჭრელაჭრულა გრძელი ქვედაბოლოების რხევით მოსიარულენი, დაურიდებლად რომ გექაჩებოდნენ ტანსაცმელზე და, მკითხაობით, შენი მომავლის იდუმალებათა გაცხადებას გთავაზობდნენ. არა, ჩემო ბატონო, მათ მშვენივრად აეღოთ ალღო ახალი დროებისათვის, ვაჭრობის სარფა ეგემათ და უკვე ცხოვრების სხვა კატეგორიაში გადასულთ, მედიდურად ეჭირათ თავი. მოძალადე დამპყრობლებივით შესეოდნენ მოედანს, უწესრიგობა და გნიასი დაეყენებინათ, მეტიც, თავიანთი პრიალა თვალების მზერითა თუ გამომწვევი ჟესტებით უსიტყვოდ გაგრძნობინებდნენ, ხომ ხედავთ, რამდენი საქონელი მოვყარეთ, მაშასადამე, ჩვენც რაღაცას წარმოვადგენთ, ანგარიშგასაწევები ვართო. ხმაურობდნენ დაურიდებლად, გაჰყვიროდნენ იაფფასიანი ყოველი ნივთის სახელს..

ანიტა ათასი წვრილმანით დახუნძლულ სახელდახელო დახლებშუა მიიკვლევდა გზას. აქეთ-იქით თითო გრძელტარიანი კალათა ეჭირა შიგჩადგმული ქოთნებით, რომლებშიც მშვენიერი ჩინური ვარდები ყვაოდა. ქალი ცდილობდა, ხელები წინ, რაც შეიძლება ერთმანეთთან ახლო-ახლო მიეტანა, იდაყვებს გან-გან სწევდა, რომ კალათებს ვინმე არ წასჯახებოდა. როგორმე მშვიდობიანად უნდა გაეღწია მოედნის იქითა ნაპირამდე, ფრთხილად უნდა გადაევლო გამყიდველ-მყიდველთა მორევი, რისთვისაც ძალას არ იშურებდა. უკვე ასტკივებოდა მხრები, გულიც ამოვარდნაზე ჰქონდა, მაგრამ არას დაგიდევდათ. არსებობისთვის ბრძოლაში ამაზე განა ვინ ფიქრობს.

იქითა მხარეს, ქსეროქსების, ფულის გადამცვლელთა, მზის სათვალეებისა თუ მეორადი მობილური ტელეფონების შემკეთებელთა ჯიხურების მწკრივში, პატარა სამკერვალო აღმოჩინა. ორიოდ დღის წინ უშნოდ წაგრძელებულ, ნახევრად ბნელ სათავსოში, ტყავის სუნად რომ ყარდა, ბლანჟეიან მკერავ ყმაწვილკაცს გამოელაპარაკა. ყვავილებზე ჩამოუგდო სიტყვა და ერთობ კმაყოფილი დარჩა, როდესაც მან გულწრფელად ამცნო, ქოთნის ყვავილებს პატივს ვცემო. მერე ისე მოხდა, ქალმა იგი ჩინური ვარდის ყიდვაზე შეიპირა, ოღონდ ეს მანამ იყო, ვიდრე ფასზე მოილაპარაკებდნენ. ბოლოს შეატყო, კაცს თითქოს ეძვირა, თუმც მკერავმა იხტიბარი არ გაიტეხა:

— კარგი, კარგი, მოიტანე, — უდიერად მიუგდო სიტყვა, თან ნახევრად გაჭაღარავებული ქალი, ქმრის გამონაცვალ, წელზე ბრტყელი ქამრით მომდგარ განიერ ჯინსში ჩამძვრალი, დაკვირვებით შეათვალიერა.

„გამაგრდი, ანიტა, ამან არ დაგჯაბნოს!..” — უთხრა მაშინ საკუთარ თავს. ვერ იტანდა ბლანჟეიან მამაკაცებს, უფრო მეტიც, არასრულფასოვნად თვლიდა. კაცი რომ გარეგნული ეფექტებით კეკლუცობას იწყებს, წასულია მისი საქმეო, ფიქრობდა თავისთვის.

ადრე მყიდველებს საგანგებოდ შეარჩევდა ხოლმე, განა ყველასთვის იმეტებდა ნაფერებ-ნალოლიავებ ყვავილებს. ახლა კი სხვა დრო იდგა. გაუჭირდა ხალხს. სილამაზე ფუფუნებად ითვლებოდა, შემცირდა მყიდველი. ესეც არ იყოს, დაღალა ქოთნების სიმძიმემ, მკლავში ძალა ძველებურად აღარ მოსდევდა, უკვნესოდა ძვლები. მაინც ცდილობდა, ყოჩაღად სჭეროდა თავი, არ დანებებოდა იმ გაცრუებულ მოლოდინთა უსასოობას, ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე, დღე-ღამეთა გაბმულ ჯაჭვზე მიბმულს, რაღაცნაირად, მოთმინებასაც რომ აჩვევდა.

ყველა სიკეთეს ქმრის ახირებაც ემატებოდა. გილბერის სიჯიუტით შეძრულ-შეძრწუნებული, აშკარად ხედავდა, იგი საბედისწერო პრობლემას შესჭიდებოდა, საბოლოოდ ჩაკეტილიყო განუხორციელებელი იდეის ფანტასმაგორიაში, მაგრამ ვერაფერი გაეწყო. ბევრჯერ სთხოვა, მოეშვი, კაცო, მაგ ოხერ პერპეტუუმ-მობილეს. მთელ დუნიაზე თუ ვერავინ ნახა მისგან ხეირი, შენ რა გამორჩეული გამოდექი, რომ მაინცდამაინც გამარჯვებას უნდა ელოდო?!

პირდაპირ არ ეუბნებოდა, მაგრამ კარგა ხანია გადაეწურა იმედი, დარწმუნდა, გილბერის თავგადაკლული ცდა — მუდმივი ძრავისგან უნივერსალური ენერგია მიეღო, დროის ფუჭად ფლანგვა აღმოჩნდა, სურვილები კი არა მარტო საკუთარი ოჯახის, არამედ ირგვლივ მყოფი ყოველი ხელშეშლილის ეკონომიკური კეთილდღეობის შექმნაზე — ლამაზი და ამაო ფანტაზიის ნაყოფი. განსაკუთრებით იმაზე წყდებოდა გული, გილბერმა ამდენი ხანი უქმად რომ მოაცდინა სახელოსნოს ფართი. მშვენიერი ოთახია, გავაქირავებდით, ბოლოს და ბოლოს, რაღაც შემოსავალს გაგვიჩენდა, მაშინ ლუკმაპურისთვის ყოველდღიური წვალება აღარ მომიწევდაო.

ვიდრე სამკერვალოში შევიდოდა, ეჭვმა ჩაგესლა, ვაითუ ბლანჟეიანმა ყვავილის ყიდვა გადაიფიქროსო. ხოლო მერე, სპეციფიკური სუნით სავსე ოთახში პაპიე-მაშესგან დამზადებულ, ტყავით ამოტენილ ყუთთან მდგარი, წვრილ-წვრილ ფულს რომ ითვლიდა, გული გაუსენა იმის განცდამ, თითქოს ამ ტიპს მისგან საზღაურის ფასად კი არ შეესყიდა ყვავილი, არამედ თავხედურად წაეგლიჯა, როგორც ქალის უწმინდესი არსის ნაწილი. თუმც მალევე მოთოკა თავი, მოახერხა, როგორღაც ზემოდან შეეხედა ნავაჭრით ვერმიღებული სიამოვნებისთვის. ბლანჟეიანს კატეგორიულად უთხრა:

— ნათელ ალაგას დადგით, — ისეთი სიკერპე შეერია ხმაში, თავადვე გაუკვირდა, — წყალი უყვარს, მაგრამ ზომიერად, ძირები არ უნდა ჩაულპეს.

კალათიდან სწრაფად ამოიღო ქოთანი, რაღაც პლასტმასის ტუმბოზე შემოდგა, თან წამიერად დააშტერდა, თითქოს როგორღაც მოუბოდიშა, ტყავის სუნში რომ ტოვებდა. გადათვლილი ფული შარვლის ჯიბეში ჩაიკუჭა და ვიდრე გარეთ გავიდოდა, კარშივე მოიფიქრა, შინ მისვლისას ქმრისთვის რაც უნდა ეთქვა:

— აჰა, აიღე ფული, წადი, თმა გაიკრიჭე, საბოლოოდ ტყის კაცს რომ არ დაემსგავსო!

აი, ასე! ამას წყალი არ გაუვიდოდა. რიკოშეტით ნასროლი სიტყვებით, იმის საპროტესტოდ, თუ როგორ ჭყლეტდა ცხოვრება, ცოტათი მაინც მოიფხანდა გულს, თორემ არსებითად რას შეცვლიდა, რითი გააქარვებდა იმ შეურაცხმყოფელ განცდას, რომ ამ ასაკში, მთელი სიცოცხლის მანძილზე ნაშრომსა და ნაჯაფარს, თავის გადარჩენისთვის კვლავ ყოველდღიური ბრძოლა უწევდა.

ცარიელი კალათი მეტროსადგურის შესასვლელთან, პატარა ფარდულში ნაცნობ მესაათეს მიაბარა, უთხრა, აქეთობისას წავიღებო, და ესკალატორს ჩაჰყვა დაბლა.

მისრიალებდა ქვემოთ და ქვემოთ, შესცქეროდა გარკვეული ინტერვალებით ჭერიდან საგანგებოდ მოდარაჯე ვიდეოთვალის გაყოლებაზე ანთებულ მონიტორებს. ერთმანეთს ენაცვლებოდა წარმტაც აზილიათა კადრები, ზღვასავით გადადიოდა ათასგვარ ყვავილთა პლანტაციებიც, ბუნებრივად აჯილდოებდა დაუყვედრებელი, აღტაცებით სავსე სიხარულით. ვინ დალოცვილს მოეფიქრებინა, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლე მგზავრთათვის მსგავსი საჩუქრის შეთავაზება, ვის ეზრუნა მათი დაღლილი ნერვების საამებლად, რათა დროებით მაინც დაევიწყებინათ ამაოების ორომტრიალით ქანცგამწყვეტი სიმძიმე.

მატარებლის მოგრიხინებამდე, ბაქნის გამმიჯნავ მარმარილოს სვეტების მწკრივში ერთ-ერთს მიეყრდნო და ამჯერად ფოიეს მონიტორს მიაცია მზერა, თითქოს ყვავილთა კორიანტელის დაღლილ გულში ჩასახლება და თან წაღება სურდა.

ვაგონში შესულს ვიღაცამ ადგილი დაუთმო. ისიც მოწყვეტით დაეშვა სკამზე. კალათა, რომლიდანაც მისი ჩინური ვარდი მთელ ვაგონს უღიმოდა, მუხლებზე დაიდგა, ცოტა ხნით დახუჭა თვალები, ჯერაც ვერ მოწყვეტოდა მონიტორთა სილამაზის მაგიას და სურდა, გაეხანგრძლივებინა ყვავილთა მთრთოლავ ფიორებზე შემომსხდარი ანკარა ცვრის სიცინცხალის განცდა. მათ ჭვირვალებაში ისეთ შეუვალ, ისეთ სათავისოდ კოდირებული ენით შექმნილ კავშირს ხედავდა, ნანახი კადრები ნამდვილზე ნამდვილ შეხვედრად უნდა ჩაეთვალა, უფრო ნამდვილად, ვიდრე ეს უჰაერო, მოჯაყჯაყე ვაგონის სმენისწამტაცი გუგუნზრიალი, ყველაფრის წაშლას და გაუკუღმართებას რომ ცდილობდა, უმოწყალოდ ემუქრებოდა ქალის ნეტარ განცდას, რისი დათმობაც მას არაფრის გულისთვის არ სურდა, ამიტომაც ჩაჭიდებოდა მთელი არსებით. ინანა კიდეც, უფრო ხშირად რად არ დავდივარ აქეთ, ასეთ სიამოვნებას რისთვის ვიკლებო.

დახუჭულ თვალებში უცებ ბლანჟეიანის სახე ჩაუდგა, მისი ქედმაღლური, მაყვედრებელი გამოხედვა. გაიმეტა და გადაიხადა ამ რაღაც ყვავილისთვის, სურნელიც რომ არ ჰქონდა, ოდენ სილამაზით შეემკო ბუნებას. მაინც სულგრძელობა გამოიჩინა, ისე იყიდა, ზედმეტები არ ულაყბია. უთუოდ საკუთარ უპირატესობად მიიჩნევდა ყვავილის ყიდვაზე თანხმობას, რასაც ქალს ტუჩის კუთხეში შეკავებული, ბოლომდე ჩამოუყალიბებელი გრიმასით აგრძნობინებდა, რაღაცნაირი უსიტყვო ქედმაღლობის გამომხატველი უბადრუკი დემონსტრირებით. ეს შეურაცხყოფდა ანიტას, ამავდროს, თავდაცვის ინსტინქტის აუცილებელი მოშველიების საჭიროებას კარნახობდა. მაგრამ ბლანჟეიანთან უსიამოვნო კონტაქტი ჩავლილი იყო. ახლა მის ხსოვნასაც მოიცილებს, ამისთვის საკმარისია, თვალი გაახილოს. ასეც მოიქცა.

მაშინვე მის მზერაში თმაზღარბული ჭაბუკი მოექცა, რომელიც მარჯვენა მხრიდან ადგა თავზე. საგანგებოდ აკვირდებოდა ანიტას, რაღაცას ანიშნებდა თითქოს. ქალმა თავი მიაბრუნა, მისი სრული იგნორირება სცადა, სხვებზე გადაიტანა ყურადღება. დანარჩენი მგზავრებიც მას შესცქეროდნენ, შეთქმულებივით იღიმოდნენ, რაღაც საიდუმლო კავშირი გაებათ ერთმანეთში. მერე დაინახა, მოპირდაპირე სკამის ბოლოს, ზედ გასასვლელ კართან მჯდარი ახალგაზრდა სიფრიფანა ქალი ხელით აქეთ-იქით როგორ სწევდა ფეხზე მდგომთ, სამზერ არეს ითავისუფლებდა, თან გაფაციცებით უსვამდა ფანქარს მაგარყდიან ჟურნალზე დადებულ თაბახის ფურცელს. შეხედავდა ანიტას დაკვირვებით, ძალდატანებითი სერიოზულობით და საქმეს აგრძელებდა.

მიხვდა, მას ხატავდა, ისეთი ჟინით, ისეთი ახირებულობით, უკან ვერაფერი დაახევინებდა.

ჯერ გაოცდა, ამდენ ხალხში რაღა მაინცდამაინც ის ამოერჩია ჯიუტ მჯღაბნელს. „ნეტა მე რა დასახატი მნახა, — გაიფიქრა, — ამასაც ჰქონია, რაღა, გემოვნება!" თუმც ეს თავისი ყვავილის დამსახურებად მიიჩნია. კიდევ მეტად გააღიზიანა კონტრასტმა, მასსა და ყვავილის სიქორფეს შორის რომ არსებობდა და, ანიტას აზრით, სწორედ ამის ასახვა გადაეწყვიტა იმ უცერემონიო ადამიანს.

უცებ წამოიჭრა ადგილიდან. მატარებელი სადგურში შედიოდა, ამიტომ გაჩქარდა კარისკენ, რომ სწრაფად გადასულიყო. ვიღაცამ კარშივე დააწია იმ მოცლილის „შედევრი", აიღეთ, აიღეთო, სთხოვდა. მაგრამ არც უფიქრია გამორთმევა, თითქოს მას არ მიმართავდნენ, არც მობრუნებულა, არანაირი ინტერესი, არანაირი რეაქცია... ისიც ვერ გაიაზრა კარგად, რომელ სადგურში იყო. არც ჰქონდა მნიშვნელობა, ყველა შემთხვევაში, იძულებითმა არჩევანმა მოუწია. თითქოს მოსდევდნენ, უფრო მეტიც, სდევნიდნენ, ის კი გარბოდა, სურდა, თავიდან მოეშორებინა უცნობთა აბუჩად ამგდები მზერა, რაც მთავარია, მათი ღიმილი, ყოველი მხრიდან მოდარაჯე, როგორღაც დამამცირებელი, ხელმყოფი ანიტას წმიდათაწმიდა მეობისა, რისი დაცვა ნებისმიერი ჭკუათამყოფლის ვალია. უღვთოდ ძარცვავდა ის უცერემონიო ღიმილი, ყოველგვარ პატივს ხდიდა. მერედა, ვის ჰქონდა უფლება მის შინაგან სამყაროში შეჭრის!.. იმან, უცნობთა ყურადღების ცენტრში რომ აღმოჩნდა, მცირე ხნით, მაგრამ მაინც, ვიღაცების გამრთობ-გამლაღებელ ობიექტად აქცია. ამას სხვა რა სახელი დაერქმეოდა, თუ არა პიროვნული ღირსების შელახვა. რაღა მაინცდამაინც ის... ამდენ მგზავრში მაინცდამაინც ის... მაგრამ მიხვდა, საამისო განსჯისთვის ახლა არ იყო საუკეთესო დრო და ადგილი. სწრაფად გაიარა კარი. ბაქანზე გასულმა ერთი გაფიქრება იფიქრა, ბარემ ზემოთ ხომ არ ავსულიყავიო, მაგრამ მაინც ქალაქის ცენტრისკენ ამჯობინა გზის გაგრძელება. ამიტომ, სანამ მატარებელი სადგურში იცდიდა, სხვა ვაგონში გადასვლა მოასწრო. იქვე დადგა, კართან, არც სკამის დათმობა უნდოდა ვინმესგან, არც ხალხში გარევა. თავი ჩაღუნა და აღარც აუწევია, ისე გაიარა რამდენიმე გაჩერება. ბოლოს წითელი მარმარილოთი მოპირკეთებულ სადგურში გადაწყვიტა გასვლა.

უყვარდა ეს რაიონი, ახალგაზრდობაში ხშირად უხდებოდა ამ ქუჩებით სიარული. სხვა დრო იდგა მაშინ. ეგებ ასაკის ბრალიც იყო, რომ ეს ძველისძველი ჭადრები მაშინ ზეიმზე მოსულებივით იდგნენ, უზომო სიხარულით ავსებდნენ, რასაც ამჯერად ნამდვილად ვერ იტყოდა. ახლა ისინი შეთქმულებს უფრო ჰგავდნენ, ანდა გაუთვალისწინებელ მოვლენათა გულგრილ მაყურებლებს, თითქოს თავისთვის იმახსოვრებდნენ ყველაფერს, რაც ამ ქალაქში ხდებოდა — შეკვეთილ მკვლელობებს, პოლიტიკურ ქიშპებს, მოქალაქეთა თავსდატეხილ მარცხებსა თუ პატარ-პატარა წარმატებებს.

ფილარმონიის წინ ამაყად მდგარ მკლავებგაშლილ მუზას რომ გაუსწორდა, პარკში გასვლა და მცირე ხნით იქ შეჩერება გადაწყვიტა. რამდენი ხანია, აქეთ ფეხი არ დაუდგამს, ნახავდა, როგორ გამოიყურებოდა იქაურობა, რა შეეცვალა კეთილმოწყობის სამსახურს, რომლის მუშაობითაც დიდად მოჰქონდა თავი მუნიციპალიტეტს.

მაგრამ დაეზარა გვირაბში ჩასვლა, თანაც მაღალმა კაცმა მიიპყრო მისი ყურადღება. იცნო, იგი იმ ბიჭების ჯგუფიდან იყო, თავის დროზე ამ უბნის მშვენებად რომ ითვლებოდნენ. თმა გასცვენოდა, მაგრამ იერი და მოძრაობის მანერა იგივე შეენარჩუნებინა. შოკოლადისფერი კეისი ეჭირა, საათის ქანქარასავით ოდნავ აქანებდა წინ და უკან, მიდიოდა გრძელი, აუჩქარებელი ნაბიჯებით.

ანიტამ დაღლილი ხელიდან მეორეში გადაიტანა კალათა და გადაწყვიტა, კაცის კვალს ასდევნებოდა. ქურდულად მისდევდა მერე, თითქოს რაღაცას აშავებდა, აკრძალულ საქციელს საკუთარ თავს უმალავდა თითქოს. ამიტომ ერთი გასწრება კიდეც გაუსწრო, ოდნავ დაწინაურდა და ისე აყურადებდა უკან მოტოვებულ მის ნაბიჯებს. არაფერზე ფიქრობდა, მექანიკური, უაზრო თამაში წამოეწყო და სულელურ გართობად ექცია. უცებ მოუნდა, მოშვებოდა არაფრისმაქნის თამაშს. კიდეც შეანელა სვლა, რომ მალევე მაღალი კაცის ჩრდილმა ფეხქვეშ გაუარა, წინ გაცურდა. მაშინ ანიტამ საკუთარი ჩრდილი მოიძია. ისიც იქვე იყო, მარჯვნივ, ოდნავ უკნისკენ — პატარა, მშიერი ძაღლივით ადევნებული, მისი ფიზიკური სხეულის უშნო გამოძახილი, მაგრამ უტყუარი დას-

ტური იმისა, რომ ცოცხალია. დიახ, ცოცხალია და აქვს ინტერესები, რომლისთვისაც იბრძვის, როგორც შეუძლია.

კაცი კარგად დაწინაურდა, ვარდისფრად შეფეთქილ ვეება შენობის გვერდითა შესასვლელს მიადგა და შიგ შევიდა. წინათ შენობაში დიდი ბიბლიოთეკა იყო განთავსებული. იცნობდა ამ ადგილს. აქედან, სულ ახლოში, დამრეცი ქვიანი ბილიკი ჩაექანებოდა ლაგუნა ვერესკენ. ზედ საცურაო აუზის ეზოსთან მიგიყვანდა ის ბილიკი, რომელიც, სავარაუდოდ, ისევ უნდა ყოფილიყო, როგორც მოკლეზე მოსაჭრელი ფეხით მოსიარულეთათვის. ამას სხვა დროს დაადგენს, ახლა კი, რადგან ისევ მოეძალა თამაშის ჟინი, მაღალ კაცს შეჰყვება კარში, რომლის ირგვლივ ფერად-ფერადი ფირნიშები გაეკრათ ათასგვარი წარწერით. არც დაინტერესებულა, რა ეწერა ამ ჭრელ-ჭრელ დაფებზე, ისე შევიდა ნახევრად ბნელ ვესტიბიულში, სადაც მტვრისა და სიძველის სუნი იდგა.

მაგიდასთან მჯდომ დაცვის სამსახურის მუშაკს მიაკითხა, დაელოდა, ვიდრე იგი ტელეფონზე საუბარს მორჩებოდა, მოიცლიდა მისთვის და შეეკითხებოდა, რით გემსახუროთო.

ქალმა მობოდიშებით დაიწყო:

— მაპატიეთ... უნდა შეგაწუხოთ...

— გისმენთ, — უთხრა კაცმა, თან ანიტას ყვავილიან კალათას მიაქცია ყურადღება, — ბრძანეთ, ბრძანეთ.

არც იცოდა, რა ეკითხა, ან როგორ. ცოტა შეყოვნდა, მაინც მოიკრიბა აზრი:

— აქ მაღალი კაცი შემოვიდა ახლა... — ოჰ, კიდევ რა დაემატებინა, რითი მიეხვედრებინა...

მაგრამ არ დასჭირვებია არაფრის დამატება, დაცვის თანამშრომელი თავად დაეხმარა, მაშინვე მიხვდა, ვის გულისხმობდა ქალი, პასუხი არ დაუხანებია.

— ჩვენი დირექტორია, — თქვა თავმომწონედ, — თქვენ რა გაინტერესებთ?

— მასთან შეხვედრა მინდა, — დაუფიქრებლად მიუგო ანიტამ. ო, როგორ განაცვიფრა საკუთარმა გადაწყვეტილებამ, ასე ხელაღებით, ყოველგვარი აწონ-დაწონის გარეშე რომ მიეღო, — შეიძლება?

კაცმა, თანხმობის ნიშნად, თავი დააქნია.

— მესამე სართული, — თქვა საქმიანად, — კიბიდან მარცხენა დერეფანი.

ანიტამ ისევ მობოდიშებით სთხოვა, თუ ნებას დამრთავთ, ყვავილს დაგიტოვებთო, რაზეც თანხმობა მიიღო, უფრო მეტიც, დაცვის თანამშრომელი სიხარულით შეხვდა მის წინადადებას.

— ამის ცქერას რა ჯობს, დატოვეთ, უვნებლად დაგხვდებათ, — ნასიამოვნები ჩანდა.

ჯერჯერობით საქმეს კარგი პირი უჩანდა. იოლად გაეხსნა გზა, თუმც წარმოდგენა არ ჰქონდა, რისი მოლოდინი უნდა ჰქონოდა დირექტორისგან, რას ეტყოდა მას, რისთვის გეახელითო. სასაცილოა, მაგრამ ყვავილს ხომ არ შეიძენდითო? ჰო. ყვავილს. მას ყვავილი ჰქონდა გასაყიდი, აი, რაზე უნდა ეზრუნა. თუმც აღარ ჩაღრმავებია მომავალ შეხვედრაზე ფიქრს, მაინც არაფერს იძლეოდა, გარდა იმისა, უკან აბრუნებდა, გარდასულ წლების მიღმეთში — ვიწრო, აკაციის ხეებით სავსე ქუჩაზე, ძველ უბანში. იქ, შორეულ ნათესავთან სტუმრობისას, ზედ ბელეტაჟზე წამოსკუპული ფანჯრიდან ხედავდა ხოლმე იმ ბიჭს. ღიაფერის თმა ჰქონდა, თავზე ტალღებად დაყრილი, თანატოლებში სიმაღლით გამოარჩევდი. ქუჩაზე ჯგუფურად ჩაივლიდნენ ხოლმე, ხმაურის კორიანტელს აყენებდნენ. მუდამ რაღაცაზე მსჯელობდნენ.

ის მაღალი ბიჭი ახლა სამოცდაათს ბევრად გადაცილებული კაცი გახლდათ, ისეთი, როგორიც ამ ცოტა ხნის წინ ნახა. ასაკს კიდევ უფრო მეტი ხიბლი შეეძინა მისთვის, შეხედავდი და მაშინვე მიხვდებოდი, რიგითი ადამიანი არ იყო. უხაროდა ასეთი რომ იხილა, რადგან სრულფასოვნება, ასერიგად რომ ასხივებდა კაცი, რამდენადმე მის წარსულსაც ეხმიანებოდა, ახალგაზრდობის ჯანსაღ მოგონებას, ოღონდ ეგაა, ახლა საკუთარი თავისადმი თუმც ფარული, მაინც გულისმომკვლელი სიბრალული ახლდა ამ ყოველივეს. რევერანსი წარსულისადმი, ჯერ საიმედოს არაფერს იძლეოდა და, რაც მთავარია, ვერ ამართლებდა მაშინდელ ფერად წარმოდგენებს, უცნობი მომავლის ბურუსი რომ ეხვია. ოცნებები დიდხანს აჯილდოებდა არჩევანის ლამაზი თავისუფლებით, მიუხედავად იმისა, არ გარდასახულა ოქროს თევზად, მარჯნის ბაღებში არ უცურავს, სამაგიეროდ, ახლაც ფრენს სიზმარში. ისე მსუბუქად ეშვება სიმაღლიდან, ყოველგვარი შიშის გარეშე, ჩიტივით, საკუთარ შესაძლებლობებში დაჯერებულს, გამოღვიძებისას გულწრფელად უკვირს, ცხადში ნუთუ მართლა მოკლებული ვარ ფრენის უნარსო.

დიდი კაბინეტის გრძელი მაგიდის თავში იჯდა იგი, როდესაც ანიტამ კარი შეაღო. მან თავი ასწია, სათვალე მოიხსნა და სტუმარს თაფლისფერი მშვიდი თვალებიდან გამომკრთალი, ოდნავ გაოცებული მზერა შეაგება.

დაიბნა ანიტა, შორი ეჩვენა მის მაგიდამდე გასავლელი მანძილი, შეკრთა კიდეც, კართანვე გაჩერდა. მერე კაცი წამოდგა მასპინძლის კეთილი ნების გამოსახატავად. და ისიც წათამამდა, აჩქარებით გაემართა წინ, თითქოს ერთობ საქმიან ვიზიტზე მოეხმოთ, მნიშვნელოვანი ყოფილიყოს მისი აქ მოსვლა, უფრო მეტიც, ელოდნენ მოუთმენლად, აქამდეც უნდა მოსულიყო.

მიახლოებისას შედგა. კაცმა ოდნავ დაუკრა თავი, დაბრძანდითო, უსიტყვოდ მიუთითა სკამზე, თავადაც დაეშვა მაღალ საზურგიან სავარძელზე, ხელისგულები ქაღალდებით სავსე მაგიდაზე დაალაგა, სმენად იქცა.

ახლა კი დრო დადგა, ემარჯვა, გაემართლებინა მოულოდნელი ვიზიტი, არ დაფანტულიყო ფეტვის მარცვალივით. კაცი უცქერდა დიდი ხნის ნაცნობი თვალებით, შიგ ოდნავი დაღლა აჩნდა. საბოლოოდ მიხვდა, თავი უნდა მოეყარა სათქმელისთვის, როგორღაც შეეკოწიწებინა. პირველი ფიქრი, რამაც თავში გაურბინა, ის იყო, ამ მშვენიერ კაბინეტს მართლაც დაამშვენებდა მისი ყვავილი. მაგრამ იმასაც მიხვდა, პირდაპირ ყვავილით ვერ დაიწყებდა. პირველი ფრაზა ისეთი უნდა ეთქვა, საინტერესო მუხტი შეეძინა შემდეგი საუბრისთვის. ყვავილი თანდათან უნდა გამხდარიყო საუბრის მთავარი თემა. მერე რა, რომ ჩინურ ვარდს სურნელი არ აქვს, სამაგიეროდ, ულამაზესია, განწყობას ამაღლებს, სულს ამშვიდებს და წმენდს, ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

კაცი მოთმინებამოკრებილი იჯდა, ინტერესით იცდიდა. არ წარმოუთქვამს მსგავსი სიტუაციისთვის ჩვეულებრივ მიღებული ტრაფარეტული — გისმენთ!..

არა, ჯერ არ უთქვამს. ჰოდა, სანამ იტყოდა, აღარ დააყოვნა, ქალმა თავად დაიწყო:

— დიდი ხანია გიცნობთ, — ხელოვნურ სითამამეს მოუხმო,— თითქმის ბავშვობიდან.

მერედა, როგორ აოცებდა საკუთარი ხმა, სრულებით არ ემორჩილებოდა, არ ეთანხმებოდა წინასწარ დაგეგმილი სათქმელის შინაარსს. სიტყვები მისდა დაუკითხავად ამოძრავდნენ, ამეტყველდნენ, ქალი მხოლოდ უსმენდა მათ. თქვა და გაისუსა, ვითომდა დიდი საიდუმლო გაემხილა.

— მართლა? — გაიღიმა კაცმა.

ახლა მათ შორის სრულიადაც აღარ იგრძნობოდა ასაკობრივი განსხვავება, თუმც ქალი ბევრად უმცროსი იყო. გათამამდა, ბუნებრივად მიჰყვა დაწყებულ დიალოგს.

— კი, მართლა... ვნახე, აქ შემობრძანდით, ჰოდა, ვიფიქრე... — გაუწყდა სათქმელი, სიტყვები აღარ ეყო, იყუჩა წამით, მალევე ისევ ალაპარაკდა, რადგან მასპინძელი როგორღაც ეხმარებოდა კეთილი სიმშვიდით, აშკარად მოსწონდა სტუმრის გულახდილობა, შველოდა, მისთვის შებოჭილობა მოეხსნა. მოახერხა კიდეც.

ენად გაიკრიფა ქალი, დაიწყო და დაიწყო. თავად უკვირდა, რეებს ვამბობო, თუმც უკან ვეღარ დაიხევდა.

— თქვენი მეგობრებიც მახსოვს, თითქმის ყველანი. ოჰ, რა ბიჭები იყავით! ერთიმეორეზე უკეთესები. გოგოებს თვალს უყენებდით.

კაცი იცინის, უფრო და უფრო მოსწონს ამ კაფანდარა ქალის უშუალობა. ისიც აღარ აჩერებს ენას:

— ერთი მაინც გამორჩეული, უფრო სწორად, განსხვავებული გერიათ. მუდამ შავი პერანგი ეცვა, ღილებჩახსნილი, და ის მძიმე ბათინკები... ზამთარ-ზაფხულ... თქვენი ყოჩი იყო.

კაცმა მძიმედ ამოიგმინა, ნელა დაიქნია თავი, უსიტყვოდ დაეთანხმა. კედელს ახედა ქალის მარჯვნივ, საჩვენებელი თითიც იქით აიშვირა.

— აგერ!.. — მეტი არაფერი, ეს ერთადერთი სიტყვა წარმოთქვა წყნარად.

თავი მიაბრუნა ანიტამ და როცა კედელზე ვეება ჩარჩოში ჩასმული ფოტოსურათი დაინახა, კინაღამ თვალები გადმოსცვივდა.

შავპერანგიან ხუჭუჭა ჭაბუკს ფრესკის მზერა ჰქონდა, მარადისობასავით მშვიდი. თვალებში ედგა არნახულად იდუმალი, დაუოკებელი, მფეთქავი ჟინი — ყოფნა-არყოფნის შემრიგებელი და მარად განახლებადი სიცოცხლის უდრეკი ძალა. ფოტო თითქოს სუნთქავდა, ნათელს აფრქვევდა და ცეცხლოვანი ცხოვრებით ცხოვრობდა ფართო კედლებს შუა.

მხატვარი ირაკლი ჩიქოვანი

— ისაა!.. — ჩურჩულით აღმოთქვა ანიტამ. სკამიდან წამოიჭრა პატივისცემის ნიშნად, — ისაა... ზუსტად ისეთი, როგორიც ოდესღაც მინახავს. — მისმა ხმამ გაოცება და აღტაცება ერთდროულად შეიძინა.

ცნობილი მწერალი... — დაუმატა კაცმა.

ერთმა წამმა, ფრესკასავით ვეება ფოტომ რომ აჩუქა მათ, ორი ერთმანეთისთვის უცხო ადამიანი მყისიერად აქცია ახლობლებად. და ორივემ იგრძნო, ყველაფრის დაურიდებლად თქმა შეეძლოთ, რასაც გული უკარნახებდათ. ქალი კრძალვით ჩაეჭიდა საჩუქარივით მოპოვებულ უფლებას, შიშნეულად იკითხა:

— დაიღუპა? — ძალაგამოცლილივით, ისევ დაეშვა სკამზე.

— კი, სხვების სიცოცხლე იხსნა, ტალღებს გამოსტაცა, თავად დაიღუპა.

გაფითრდა ქალი, ლამის სუნთქვა შეეკრა. ერთბაშად მოსკდა კარგა ხნის წინათ მინავლული გლოვის ზარი, გაუსაძლისი წუხილისა და ვერაგი უბედობის მარადიული წკვარამიდან ამოზიდული. არაფრის თქმას აღარ ჰქონდა აზრი, სიტყვებს მნიშვნელობა დაჰკარგოდა. მაინც უნდა ეპოვნა რაღაც გამოსავალი, ხავსს ჩასჭიდებოდა. ამიტომაც თქვა:

— რა ბიჭი იყო!.. ასე რომ არა, ახლა ხომ თქვენსავით კაცი იქნებოდა.

— ეხ, იმას რას შეევედრებოდი, ჩემსაზე ორჯერ განიერი მხრები ჰქონდა... — ოდნავ არასერიოზულად გაისმა ნათქვამი, იქნებ უადგილოდაც კი, თავადვე არ მოეწონა, მაგრამ გვიან იყო. მისი პასუხი ქალის მიამიტურმა ნააზრევმა მიისადაგა, მისსავე სიბრტყეზე მოიქცია. მწარედ გაიღიმა, მოძალებული მღელვარება შეიკავა.

ქალი თითქმის აღარაფერზე ფიქრობდა, ისე დაეთრგუნა მძაფრ აღქმას, ერთმანეთში რომ განეზავებინა შემთხვევითი სტუმრისა და მარადი ჭირისუფლის საერთო წუხილს. კიდეც რომ ეფიქრა, ანკი რას მიხვდებოდა, რამ მოიყვანა აქ. ნუთუ მართლა ყვავილი იყო მიზეზი იმისა, რამაც სასწაულებრივად გადმოაგდო უცხო გარემოში, სადაც მაღალი კაცის სამყარომ კარი კი არ მიუხურა, ძველი ნაცნობივით მიიღო, რათა ქალს მოსწონებოდა ეს სამყარო. აქ ანიტა დაცულად გრძნობს თავს. ჩადუმდა, იხანგრძლივებს ტკბილ-მწარე შეგრძნებებს.

კაცი კი დაატარებს მზერას, ხან მას შეხედავს, ხან ლეგენდად ქცეულ მეგობრის ფოტოს, ამდენი წელია კედლიდან რომ უმზერს, და რომელსაც ახლა ეკისრა უხილავი ფილტრის ფუნქცია — სტუმარი ქალის შეგრძნებები იოლად გაეწმინდა, გაესუფთავებინა დღევანდელი ყველა უსიამოვნების კვალისგან, ყველაფრისთვის გამართლება მოეძებნა, წვრილმანები ისე უმნიშვნელო გაეხადა, გახსენებადაც არ ღირდა.

ორივეს უთქმელი სინანული ახატია სახეზე, ისეთი, უკან დაუბრუნებლის განცდას მუდამ თან რომ ახლავს. ეს იმიტომ, რომ წლების მდინარეებით მოპოვებული ჯანსაღი ხედვა ავსა და კარგს, ბოლოს და ბოლოს, ზოგჯერ თანაბარ კატეგორიაში აყენებს. აქ ყველაფერს თავისი სახელი აქვს, თავისი შნო და ხიბლი. ერთი, მეორის გარეშე ვეღარც წარმოგიდგენია.

ანიტა გრძნობს მასპინძლის დუმილის ფილოსოფიას, მოჩვენებითი კი არა, ჭეშმარიტი თავმდაბლობის მაგიურ ძალას და მეტად და მეტად სწადია, თითქმის ხელით შეეხოს მასში ჩაყურსულ ენიგმურ სიუჟეტებს, რისთვისაც ზედმეტ გამბედაობასაც კი მიმართავს, ადამიანურ სისუსტეთა საიდუმლოსთვის ფარდის ახდის მსგავს მცდელობას. და ისეთ რამეს ამბობს, ისეთს, თანაც ძალიან დამაჯერებლად, ძილშიც არ დაესიზმრებოდა.

— რას ბრძანებთ, თქვენზე ჭკუას კარგავდნენ გოგოები, — სიტყვები ლამის დაფიცების ტოლფასია. კაცს როგორღაც უტიფრად უსწორებს თვალს, — თქვენ კი უკარება უფლისწულივით გეჭირათ თავი.

— არაა... მთლად ასეც არ ყოფილა!.. — ისე უარყოფს, ისეთი სასხვათაშორისო მტკიცებით, აშკარაა, არაფრისმაქნისად მიიჩნევს გაჭიანურებულ დიალოგს. მერე შემცივნულივით წრიალებს სკამზე, ვერაფრით ამოუხსნია ქალის ვიზიტის ნამდვილი არსი.

აკვირდება მის ნაოჭასხმულ სახეს, დაღლილს, დაღდასმულს, მისი ნაჯაფი ხელის თითებზე ფალანგებშუა გაჩენილ პატარა კორძებს, მოუვლელ, უდიერად აშლილ თმას და მიუხედავად ამ მოკლე დროის მანძილზე მიღებული ზერელე შთაბეჭდილებისა, სტუმრის არცთუ სახარბიელო დალხინებულობაზე რომ მეტყველებს, მასში მაინც დაუოკებელ ხალისსა და მიზანსწრაფვას ხედავს, რაღაც ისეთს, ბოლომდე გულგრილს რომ არ ტოვებს და ამდენად, თუმც საფუძველმოკლებულ, მაგრამ მაინც, მისდამი პატივისცემას აიძულებს. აბრუნებს სიჭაბუკის ფათერაკებით სავსე, ლამაზად ჩავლილ დროში, ეს ქალი ახლა საგულდაგულოდ რომ ცდილობს გაახსენოს, თან თავადაც წარსულის შორეულ ახლობლად წარმოჩნდეს, აგრძნობინოს, იმ ძვირფასი წარსულის თაყვანისმცემლად მიგულეთო.

რით დასრულდებოდა მათი შეხვედრა, კაცს წარმოდგენაც არ ჰქონდა. ნეტა მართლა რისთვის მოსულიყო იგი?.. სტუმარი არ ჩქარობდა ნამდვილი მიზეზის გამხელას, შორიდან უვლიდა თითქოს. ერთხანს ისევ ჩუმად ისხდნენ, შეჰყურებდნენ ერთმანეთს, არც ერთი არ გრძნობდა უხერხულობას უსაგნო დუმილის გამო.

მერე ქალი აჩქარდა, ჩემი წასვლის დროაო, თქვა, წამოდგა, გეგონება, რაღაც მნიშვნელოვანი გაახსენდა, უეცარი გადაწყვეტილება მიიღოო.

ბოლომდე გაურკვეველი რჩებოდა, რისთვის მოსულიყო. თუმც კაცს აზრად არ მოსვლია, ეკითხა. ერთხელ კიდევ დაკვირვებით შეაცქერდა, ისე, თითქოს ქალი მოულოდნელად გაღებული სარკმელი ყოფილიყოს, საიდანაც საკუთარ წარსულში შეიხედა.

სწრაფად ადგა კაციც, სკამის საზურგეზე მიფენილი ნაცრისფერი პიჯაკი ჩამოხსნა და ჩაიცვა.

— გაგაცილებთ, — ჩაილაპარაკა ხმადაბლა.

ზღურბლი რომ გაიარეს, ანიტა მხოლოდ იმაზეღა ფიქრობდა, ამ ადგილას ახლა მარტოს რომ გამოევლო, რა ფრთხილად, კრძალვით მოიხურავდა ვეება ოთახის კარს. მაგრამ მსგავსი არაფერი დასჭირვებია, უკან კაცის ნაბიჯები მოჰყვებოდა. ასე გაგრძელდა, ვიდრე მიხვეულ-მოხვეული კორიდორი ბოლომდე ჩაათავეს. დაბლა ჩასასვლელი კიბის თავთან კაცი შედგა, სტუმარს ხელი ჩამოართვა დასამშვიდობებლად, თანაც მზად იყო, იქამდე მდგარიყო და დალოდებოდა, სანამ იგი კიბეს ჩაივლიდა.

მანამ კი ღიმილით მოისმინა, ქალმა მორცხვად როგორ თქვა:

— მე ანიტა მქვია, — თითქოს კაცისთვის ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონოდა.

პირველ სართულზე სულის მოსათქმელად შეჩერდა. უცნაურ კმაყოფილებას დაექანცა, ძნელად ასახსნელს, სხვისი ღირსების ხილვით განცდილს, ამაღელვებელს და იშვიათს, რამდენადმე მასაც რომ ამდიდრებდა, იმედს უჩენდა, ადამიანობის სიდიადის შეცნობისკენ უბიძგებდა, რადგან ერთმანეთისთვის აკი მეტის არაფრის გაკეთება ძალგვიძს, გარდა იმისა, ზოგჯერ თუ მოვახერხებთ, გავცეთ მცირედი იმ მადლისა, რაც გაგვაჩნია.

მრავალჯერადად იმეორებდა წარმოსახვა, თუ როგორ დასწვდა მაღალი კაცი სკამის საზურგეზე მიფენილ პიჯაკს, ჩამოხსნა და ჩაიცვა, რათა გაეცილებინა სტუმარი, ვისი სახელიც კი არ იცოდა. ეს დიდხანს დაახსომდებოდა ანიტას.

შენობიდან გამოსულმა ოდნავი თავბრუსხვევა იგრძნო, ზედმეტმა ჟანგბადმა რომ იცის, ისეთი. ამაში იყო რაღაც სიამის მომგვრელი. კალათა ძირს დაუშვა წრიულ ფილაქანზე, დაფიქრდა, საით ჯობდა წასვლა, რომ ყვავილი გაეყიდა. ან იქნებ, ჯერ მაინც პარკში შეევლო. ენერგიის რაღაცნაირ მოზღვავებას გრძნობდა, და კიდევ ისეთ თავდაჯერებას, ყველა რომ ინატრებდა. თითქოს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, მაგრამ იგი, საკუთარი თავისთვის სრულიად მოულოდნელად, გამხდარიყო საინტერესო და პატივსაცემი. შარვლის ტოტებზე დაიხედა, გაიფიქრა, ამას აღარ ჩავიცვამ, ცოტა ჩემს გარეგნობაზე უნდა ვიზრუნოო. კი, უსათუოდ შეივლის პარკში, იქ შადრევანი უნდა ჩუხჩუხებდეს, მის სულიერ მდგომარეობას შადრევნის ცქერა მიესადაგებოდა. წასვლა დააპირა თუ არა, ლამის ცხვირწინ, მანქანა გაჩერდა, წყლისფერი ვეებერთელა ლენდროვერი. შავსათვალიანმა მძღოლმა ფანჯრიდან გადმოყო თავი, ყვავილიან კალათს დააცქერდა, ქალისთვის არც შეუხედავს, ისე იკითხა:

— ყიდი? — ხმა შინაურულად, ძველი ნაცნობის ნათქვამივით გაისმა.

მანაც თავი დაუქნია, მომლოდინე მზერა აღაპყრო.

— მოდი, — კვლავ შინაურულად თქვა მძღოლმა, ხელით ისე ანიშნა, ანიტას მანქანის წინა მხრიდან უნდა მოევლო. ამასობაში კაცი გვერდზე გადაიხარა, კარი გაუღო.

უყოყმანოდ შეძვრა მანქანის სალონში, კალათა მუხლებზე დაიდო და გაისუსა.

— მოხურეთ კარი! — ბრძანებასა და რჩევის ზღვარზე ნათქვამს ძალა ჰქონდა.

როცა ანიტა კარს ხურავდა, ირგვლივ საოცარი რამ იხილა: მანქანისკენ აქეთ-იქიდან, იფიქრებდი, ქარბორბალამ წამოუქროლაო, მოექანებოდა ხალხი, აჩქარებით, თვალებგაფართოებული, თითქოს ყველა, რაც შეიძლება ახლოს მიღწევას ცდილობდა. ინტერესით შესცქეროდნენ მანქანაში მსხდომთ.

კაცმა მანქანა დაქოქა და სანამ იტყოდა, ჯობს აქედან წავიდეთო, კიდეც დაიძრნენ, გაიქროლეს ადამიანთა გარინდულ ჯგუფებს შორის, გაეცალნენ იქაურობას.

— ნუ გეშინიათ, — თქვა კაცმა შემცბარი ანიტას დასამშვიდებლად, — თქვენს გატაცებას არ ვაპირებ. ყვავილს ვიყიდი. ოღონდ ერთი განსაკუთრებული თხოვნა მაქვს. მინდა, ჩემს მეუღლეს თავად მიართვათ ეგ მშვენიერება. უარს ხომ არ მეტყვით?

ანიტას ხმა არ ამოუღია, რაც თანხმობად ჩაითვალა. ისეთი წონასწორობა შესძენოდა, ისეთი შინაგანი სიმტკიცე, უკვირდა კიდეც, მაგრამ იმდენადაც არა, ამისთვის დიდი მნიშვნელობა მიეცა. ჯერაც არ განთავისუფლებულიყო მაღალი კაციდან გამოყოლილი შთაბეჭდილებისგან, გული სითბოთი ჰქონდა სავსე, შიგ ეჭვისა და ყოყმანის მისხალი ადგილიც არ დარჩენოდა. იგრძნო, მასთან შეხვედრის შემდეგ იმდენად შეცვლილიყო, ლამის დაიჯერა, მოკლე ხანში სულ სხვა პიროვნებად ვიქეციო. შეცვლოდა აზრებიც. მოეჩვენა, თითქოს ამ უცხო ადამიანსაც ეგრძნო ეს, გადასდებოდა მისი დადებითი მუხტი, ამიტომ, რაც ახლა მის თავს ხდებოდა, ბუნებრივად მიიჩნია. არც ეჭვი სტანჯავდა, არც რაიმეს შიში. მზად იყო, ყველასა და ყველაფერთან დაედო ზავი. არ უნდა გაუსწროს მოვლენებს, დიდი ამბავი, თუ კაცს სურვილს შეუსრულებს და ყვავილს პირადად მიართმევს მის მეუღლეს. კიდევ ერთ ადამიანს გაიცნობს და ეგაა. დღევანდელი დღე ხომ ადამიანებით აჯილდოებდა.

მოიცილა ფიქრი, აზრი მანქანის სიჩქარეს მიადევნა, მთელი არსებით მიჰყვა. მიქროდნენ ფართო ქუჩებში, წამოეწოდნენ და უსწრებდნენ სხვებს. ორივე ხელი მუხლებზე დადებული კალათისთვის მოეხვია ქალს, მზერა ისე მიემართა, თითქოს წინ შემხვედრ სივრცეში განზავებას ცდილობდა, რათა იქ შეეცნო, რა სიახლეს სთავაზობდა ამ გზის დასასრული.

მოედანზე წრეს შემოუქროლეს და ახალგაჭრილ ავტოსტრადას დაადგნენ — ქალაქში მოძრაობის განსატვირთად შექმნილს, საიდანაც მთელ სიგრძეზე მოჩანდა ზოოპარკის ტერიტორია, — დაბერებული, ღდინგაცლილი ფლორა, ვოლიერებში ჩამწყვდეული მხეცები, რომლებზეც თურმე მომაკვდინებლად მოქმედებდა საგზაო მოძრაობის გუგუნი. ჰო, ამ ქალაქში ცხოველებიც ვეღარ არსებობდნენ დაცულად. აქ ყველაფერი ბეწვზე ეკიდა, ყოველივე, მომენტიდან მომენტამდე, ვიღაცის ცვალებად ნებასა და ხუშტურს მორჩილებდა, ობივატელური ფსიქიკით შექმნილ ფშვნად და მსხვრევად წესრიგს.

ანიტამ თანდათან კომფორტულად იგრძნო თავი, მოსწონდა ამწუთიერი მდგომარეობა, განსაკუთრებით ის, რომ უცნობი არ საუბრობდა, არ აწუხებდა ზედმეტებით, თითქოს ვერც კი გრძნობდა გვერდით რომ ეჯდა ლამაზი ყვავილით. ანკი რა ჰქონდათ სალაპარაკო. ქალს უწყინარი ფუნქცია დაეკისრა — ამ სიტყვაძვირის მეუღლისთვის ყვავილი უნდა მიერთმია და საზღაური მიეღო. სულ ეს იყო, მეტი არაფერი. მანამ კი თავისუფლად შეეძლო ემოგზაურა საკუთარ ფიქრებში. მოგზაურობა მოგზაურობაში... ამ ყველაფრისთვის ასეთი კვალიფიკაციის მიცემა შეიძლებოდა. ჰოდა, კვლავ გაიხსენა მაღალი კაცი, აღიდგინა მასთან გატარებული მცირედი დროის დეტალები. ინტელიგენტობის განსახიერებად მიიჩნია, ასი პროცენტით ამართლებს კარგი ბიჭის მეგობრის როლსო. ბოლომდე დაიჯერა, მისხალი ხელოვნურობა არ ერია მის ქცევაში. ადგა, სკამის საზურგეზე მიფენილი პიჯაკი ჩამოხსნა, ჩაიცვა და გაიცილა მთლად დაბლა ჩასასვლელი კიბისთავამდე. ჟესტის აპოგეა... საამო მოსაგონრად დარჩებოდა, ცხოვრების მშვენიერ და იშვიათ ეპიზოდად. ასეთები ყოველ ფეხის ნაბიჯზე ნამდვილად არ შეგხვდება, მაგრამ მცირედთა ერთობლიობაც ამკობს და ალამაზებს რუტინით გაბეზრებულ ყოფას.

მანქანა უკვე ქალაქის ორი რაიონის დამაკავშირებელ, ლარივით გაჭიმულ გზატკეცილზე მიფრინავდა. მაღალი სიჩქარეების გავლენით, ანიტა ისეთმა შინაგანმა თავისუფლებამ დაიპყრო, ცოტაღა აკლდა დაეჯერებინა, თითქოს თავად იჯდა საჭესთან, თავად ირჩევდა გზებსაც. ეს არც კარგი იყო, არც ცუდი, არაფერს ნიშნავდა, გარდა იმისა, მდუმარე მგზავრობაში მხოლოდ უმნიშვნელო თავშესაფრად გახდომოდა. არ სურდა ეფიქრა, ხომ არ შევცდი, ასე თვინიერად რომ ჩავუჯექი უცნობს, გაურკვეველი მიმართულებით მივყვები, მონუსხულივით ვარ და ვერაფრის შეკითხვა ვერ მომიხერხებიაო. კი გაიფიქრა ეს, მაგრამ ხმის ამოღება არც უცდია. მისი მდგომარეობისთვის იქნებ არაბუნებრივიც შეიძლებოდა გეწოდებინა, მაგრამ მაინც მტკიცედ ახერხებდა შინაგან მდგრადობაში ჩაკეტვას, რაც პირდაპირი შედეგი იყო მაღალ კაცთან შეხვედრის, მეტადრე დამშვიდობების ეპიზოდის, რამაც სხვა კატეგორიაში გადაიყვანა მისი ადამიანური ეგო. იმდენად ამაღლებული ურჩობა შეეძინა, რომ ახლაც, ამ გაურკვეველი მოლოდინის რეჟიმში ჩაყურსულს თავკერძა, ფარული აღმაფრენის საბაბი გასჩენოდა. ამიტომაც, მდუმარე უცნობის გვერდით ჯდომას გადაჭარბებული მნიშვნელობა მისცემოდა, გამორჩეულ შემთხვევად მიეჩნია იგი, იშვიათ წილხვედრად. ვიღაცას ეს იქნებ ავანტიურად ჩაეთვალა, გაუთვალისწინებელი, სარისკო თავგადასავლის მოყვარულობად, რაც ნამდვილად ვერ თავსდებოდა ანიტას ბუნებასთან. თუმც ყველაფერი არაფერი იყო იმასთან შედარებით, წინ რომ ელოდა და რაზეც ჯერ წარმოდგენა არ ჰქონდა.

უცებ მოუნდა, თვალებში შეეხედა კაცისთვის, სულ ერთი წამით მოევლო მზერა. ესეც უბრალო თავშესაქცევად მოსურვებოდა, რადგან მუქი სათვალის მოხსნით არაფერი შეიცვლებოდა, ვერანაირ გარკვეულობას ვერ შეიძენდა გზა მანამ, სანამ არ დასრულდებოდა.

ისევ მდუმარედ მიდიოდნენ კარგა ხანს, ვიდრე მანქანა ძველი, უკვე დახურული სასაფლაოს სქელცხაურიან ჭიშკართან შედგებოდა. კაცი სწრაფად გადავიდა. ანიტამაც მას მიბაძა, თქმა არ დასჭირვებია, მიხვდა, ფეხდაფეხ უნდა მიჰყოლოდა თავისი კალათით, მერე ასე ფრთხილად რომ მიჰქონდა საფლავებშუა ვიწრო ბილიკებზე. ბევრი არ უვლიათ, გასცდნენ გადაჭრილი წყვილი ხისგან დარჩენილ კუნძებს, ერთზე შუახნის ფაშფაშა დამლაგებელი ქალი რომ იჯდა და წითელ ვაშლს თლიდა. მათ დანახვაზე თლა შეწყვიტა, ფეხზე წამოიჭრა და თოფნაკრავივით გაშეშდა.

მადლობა უფალს, აქ ვიღაც ჭაჭანებდა. ეამა ანიტას მისი ხილვა. მცირედი მანძილით რომ გასცდნენ, თავი მოაბრუნა, დაკვირვებით გაიხედა გადაჭრილი კუნძებისკენ და ისევ ძველებურად გაშეშებული, მათკენ მზერამომარჯვებული დამლაგებლის მისამართით, დაბნეული ლიმილი გაგზავნა.

ამასობაში კაცი ერთ საფლავთან შეჩერდა. კარგად მოვლილი, თეთრი მარმარილოთი ნაპირკეთები საფლავი იყო. ქვიდან ახალგაზრდა, მშვენიერი ქალის მცინარმა სახემ უცებ ნათელი მოჰფინა ყველაფერს.

— აი, ჩემი მეუღლე, — თქვა კაცმა, — მარადისობიდან გვიმზერს. შეარჩიეთ ადგილი და მიართვით!.. — ყვავილზე ანიშნა.

ანიტას უკვე აღარაფერი აოცებდა, ან ცდილობდა, ამაში საკუთარი თავი დაერწმუნებინა. კალათიდან ფრთხილად ამოიღო ქოთანი, გვერდიდან მოუარა საფლავს, გადაიხარა, ყვავილი ნელა გადაატარა დაბალ ჯებირზე, ახალგაზრდა ქალბატონის სურათთან ჩადგა. მერე ის იყო გაიფიქრა, როგორც იქნა, ყველაფერი გაირკვაო, რომ კაცმა სათვალის მუქი შუშიდან მომნუსხავი მზერა ამოაბჯინა. ქალს კი არ დაუნახავს, იგრძნო ეს მზერა. ისევ დაიწყო და ისევ ბოლომდე თქვა:

— ერთი სათხოვარიც მაქვს. ყვავილს თქვენნაირად ვერავინ მოუვლის. იქნებ მოხვიდეთ ხოლმე და მიხედოთ, სანამ ამინდები ამის საშუალებას იძლევა.

და ეს სულაც არ იყო თხოვნა, ულტიმატუმს ჰგავდა, უარის შანსს არ ტოვებდა. არც პასუხს დალოდებია კაცი. მან ჯიბიდან ტყავის დიდი საფულე ამოიღო, ცერა და საჩვენებელი თითით კარგა ბლომად დააძრო დიდი კუპიურები, დაუთვლელად გაუწოდა ქალს, თან დასძინა:

— ჩათვალეთ, რომ ლატარეაში მოიგეთ, გამომართვით, წინასწარ გიხდით მთელი სამუშაოსთვის, გენდობით და მადლობას გწირავთ.

ანიტა ოდნავ დაიბნა. არ იცოდა, ეთქვა თუ არა რაიმე. არა, არაფერი უთქვამს. კაცმა როცა ისევ გაუმეორა, აიღეთ, აიღეთო, მანაც ჩამოართვა ფული, ორად მოკეცა, იმავე ჯიბეში ჩაიტენა, სადაც ბლანჟეიანის გადახდილი თანხა ედო.

უკანა გზაზე მოხსნოდათ დაძაბულობა. ამას ორივე გრძნობდა, არაფრის დამატება არ იყო საჭირო მეტი სიცხადისა და გარკვეულობისთვის. ჩაუარეს წყვილ კუნძს, სადაც ისევ გაბეცებული თვალებით იყურებოდა დამლაგებელი ქალი, ხელში ვაშლი აღარ ეჭირა. კუნძები ანიტას სანიშნებლად გამოადგებოდა, შემდეგ მოსვლაზე ადვილად მოაგნებდა საფლავს. იმახსოვრებდა ბილიკებს, ყველაფერს ირგვლივ, რაც სწორ ორიენტაციაში დაეხმარებოდა. სიტყვაც არ უთქვამთ ერთმანეთისთვის, გარდა იმისა, მანქანასთან მისვლისას კაცი რომ შეეკითხა:

— სად მიგიყვანოთ?

ანიტამ უახლოეს მეტროსადგურამდე ისურვა მისვლა. მთელ გზაზე იმის შეგრძნებამ, რომ თითქოს უკვე ახლობლის გვერდით იჯდა, რომლის მიმართ მადლიერება მართებს, გულს უჩქროლებდა, ყელში ებჯინებოდა შემაწუხებელი ბაგუნი. მოეჩვენა, უსწრაფესად გალეულიყო გზა.

მანქანა მეტროსადგურის მიმდებარე ქუჩაზე შეჩერდა, აქ უნდა ჩასულიყო ანიტა. კარის გაღება ვერც მოასწრო, ირგვლივ მყოფი ადამიანები მყისიერად, გეგონებოდა წინასწარ მოლაპარაკებულნი არიანო, ნაკადებად შეერთდნენ, აჩქარებით დაიძრნენ მათკენ

— მშვიდობით!.. — წყნარად თქვა კაცმა.

— მშვიდობით!.. — წაიდუდუნა ანიტამაც და ძირს ჩავიდა.

მერე სხვებთან ერთად იდგა თავისი ცარიელი კალათით, მათსავით გასცქეროდა მანქანას, სწრაფად რომ ქრებოდა თვალსაწიერიდან, სივრცეშივე სხეპდა, აქეთ-იქით ფანტავდა უამრავ გადევნებულ მზერას., რის მხილველ ანიტას ვერ გაერკვია, იგი უცნაურად აკვიატებული იმედის მაუწყებლად მიეღო, თვითმიზნურ საყოველთაო ინტერესად, თუ სულაც იდუმალ, ზაფრაშეყრილი მოლოდინის ნიშნად. რაღაც განსაკუთრებული კი ხდებოდა, გასაოგნებელი, ჩვეულებრივი აღქმების სტანდარტს მიღმა გაჩენილი რეალობის მსგავსი. თუმც, შეიძლება გეფიქრა, ამ ხალხის თვალში შავსათვალიანი უცხო პლანეტიდან ჩამოსული ყოფილიყო, ან, სულაც მილიარდერი პრემიერმინისტრი. ამიტომ ყველას მტანჯველ ამოცანად ქცეოდა გაეგო, არჩევნებისას მათდამი დაპირებას საყოველთაო კეთილდღეობის შექმნის შესახებ, რა პირი უჩანდა.

მაგრამ სინამდვილეში ვინ იყო იგი? რა აკავშირებდა ცხოვრების უღელში შებმულთა გულისთქმასთან? რად შეშდებოდნენ მის წინაშე, რად იკრავდნენ სუნთქვას? ვინ, ვინ აუხსნიდა ამის შესახებ ანიტას? ვინ გაუქარწყლებდა შემაშფოთებელ კითხვებს, ცოტაც და ლამის შიშად რომ გადაქცეულიყო.

ერთ რამეს ზუსტად მიხვდა — ამ ხალხიდან სრული სიცხადე ვერ გამოდნებოდა. ყოველი მათგანი საკუთარი ცოდვა-მადლით სუნთქავდა, საკუთარი ბედის უხილავ ბაკანში იყო ჩაკეტილი, საიდანაც ვერანაირი ძალა ვერ გამოათრევდა. მათ იცოდნენ რაღაც ისეთი, იოლად რომ არავის გაანდობდნენ. ტვინის ჭყლეტას აზრი არ ჰქონდა. ამას მიხვდა თუ არა ანიტა, მიბრუნდა, მეტროსადგურს მიაშურა. გადაწყვიტა, გილბერისთვის ერთი ბოთლი ლუდი უნდა ვიყიდოო. იცოდა, რომელი ჩამოსხმა მოსწონდა. გზაში ისიც იფიქრა, ნეტა ისევ შემხვდეს ის ჩიტირეკია მხატვარი, აღარ

გავაწბილებ. უფლებას მივცემ, დამხატოსო. უყოყმანოდ დაუჯდებოდა პოზირებაზე, თანაც სიამოვნებით, მცირეოდენ ფულსაც შესთავაზებდა, როგორც, ალბათ, სხვები აკეთებდნენ. აღარ გააღიზიანებდა მგზავრთა სახეებზე გაჩენილი ღიმილი, პირიქით, ხალისით აჰყვებოდა მათ თამაშს, რითაც ისიამოვნებდა კიდეც და ამრიგად შეუერთდებოდა გარემოცვას. ბოლოს და ბოლოს, ისინი მტრები ხომ არ არიან, ცხოვრების ტვირთს იმსუბუქებენ იმ ღიმილით, პირად პრობლემებს დროებით აძლევენ დავიწყებას. ამაზე არ ღირდა გაბრაზება. ნერვებმა უმტყუნა, თეთრი ყვავივით აღმოჩნდა მათ შორის. არადა სრულიად მშვიდობიანად შეიძლებოდა მგზავრობა. ცოტა იუმორია საჭირო, თორემ სხვებსაც ურთულებს საქმეს და საკუთარ თავსაც. გილბერსაც უფრო ლმობიერად უნდა მოექცეს, დაე, აკეთოს აკვიატებული პერპეტუუმ-მობილე, თუ ამისგან შვებას გრძნობს. ლეონარდო და ვინჩის რომ არ გამოუვიდა, ეს სულაც არ ნიშნავს, სხვამ აღარავინ სცადოს. ვინ იცის, რა გეგმები აქვს უფალს!.. გილბერი ამბობს, მეცნიერებამ სულ ტყუილად დაყარა ფარ-ხმალი, რადგან დედამიწა ჯერ კიდევ ბრუნავს და მის მოძრაობაში გაჩენილი რხევები გამოსაყენებელიაო. ამეების ანიტას ბევრი არაფერი ესმოდა, მაგრამ ეცდება, უფრო გაგებით მოეკიდოს მეუღლის თუნდაც ფუჭი შრომის იდეას.

ღამე მოუსვენრად გაატარა, ნახევრად ძილ-ღვიძილში. ქმრისთვის არაფერი უთქვამს სასწაულებრივად ნაშოვნი ფულის შესახებ. არც დაუთვლია, ისე შეჩურთა იგი წიგნებს შუა, თითქოს მოპარული ჰქონოდა. გულის სიღრმეში აწუხებდა, რომ არ აუხსნა გარდაცვლილი ცოლის გულუხვ პატრონს, ამდენი არ მეკუთვნის, თუნდაც ყოველდღე ვიარო და ვრწყა ყვავილიო. მით უმეტეს, აცივებამდე, ესე იგი, მის დაღუპვამდე, დიდი დრო აღარ რჩება, ზედმეტ წახალისებას იჩენთ, უხერხულობაში მაგდებთო. ფაქტია, თავში არ მოსვლია მსგავსი რამ, მაშინ ისე იყო დაბნეული.

ვერ მოისვენა. გათენდა თუ არა, სასაფლაოსკენ გაეშურა, რომელიც ქალაქის მეორე ბოლოში იყო. რაღაც იდუმალი მართავდა, იმისი მსგავსი, გუშინ შავსათვალიანი უცნობის ძალას რომ დაამორჩილა. უსიტყვოდ, ყოველგვარი ეჭვის გარეშე მიენდო გამოცხადებასავით უჩვეულო შეხვედრას იმ კაცთან, ვინც სხვებს ანდამატივით იზიდავდა და ვისი სახელიც არ იცოდა. იმედი დაიტოვა, იქნებ სასაფლაოზე გაეგო რამე. დამლაგებელი ქალი ხომ მაინც იქნებოდა იქ, განა შეიძლება არაფერი სცოდნოდა მის შესახებ, ვინც ცოლის საფლავს ასეთ პატივს მიაგებს?

დამლაგებელი მართლაც იქ იყო, საფლავებს შორის დადიოდა, ათვალიერებდა ყოველ მათგანს. მაშინვე იცნო ანიტამ, გაუხარდა მისი დანახვა, უკან დაბრუნებისას გამოველაპარაკები, ჯერ ჩემს საქმეს მოვიმთავრებ, მერე უფრო გულდაჯერებით შემეძლება მასთან საუბარიო. მოზრდილი ბოთლი პოლიეთილენის პარკში ედო, ყვავილის მოსარწყავად, რამდენიმე ჯერზე ეყოფოდა.

აჰა, ის ბილიკი, ის გადაჭრილი ხეთა კუნძები, სანდო მანიშნებელი. მიზნამდე ბევრი აღარ რჩებოდა. მაგრამ, მისდა გასაოცრად, თეთრი მარმარილოთი ნაპირკეთებ საფლავს ვერ მიაგნო. ისევ დაბრუნდა უკან, ხელთავიდან გაიარა გზა, რომელიც კარგად ჰქონდა დამახსოვრებული. იმედს არ ჰკარგავდა, ჩემი ყვავილი მაინც დამიძახებს, დამეხმარება, თვალს ამიხელსო. დაათვალიერა ირგვლივ ყველაფერი, მაგრამ ამაოდ, თითქოს საფლავისთვის მიწას პირი ეყო. საზღვარი არ ჰქონდა გაოცებას. დამლაგებელი ქალის ძებნას შეუდგა. მალევე მიაგნო ერთ-ერთ საფლავთან ძელსკამზე ჩამომჯდარიყო, ზურგით ახალგაზრდა ფიჭვს მიყრდნობილი და თვლემდა. ანიტას ფეხის ხმაზე თვალი გაახილა, როგორღაც ქვეშიდან ამოხედა, ისე იცქირებოდა, თითქოს კვლავ ძილის გაგრძელებას ლამობსო. მაგრამ როდესაც ანიტა ხმამაღლა მიესალმა, თავი მოიფხიზლა, სკამზე ადგილი მოინაცვლა.

— გამარჯობა, — თქვა უხალისოდ.

არ იცოდა, რით დაეწყო ამ ნახევრად მძინარესთან საუბარი. მივიდა, გვერდით მიუჯდა. წყლით სავსე ბოთლიანი პარკი ძირს დადო. დროს იგებდა, რომ ბუნებრივად გამოსვლოდა სათქმელი, რომლისაც ჯერ თავად არა უწყოდა, მაგრამ მაინც უნდა მოეხერხებინა, უნდა დაეწყო, დაეძრა მკვდარი წერტილიდან. დანარჩენი გზადაგზა გამოჩნდებოდა, სიტყვა სიტყვას წაებმებოდა, რაღაც გამოვიდოდა ბოლო-ბოლო.

— გუშინ გნახე, — თქვა ანიტამ, — იქ, გადაჭრილ კუნძებთან, — ხელი უმისამართოდ გაიქნია უკნისკენ, ესაოდა ადგილს ვაზუსტებო, — წითელ ვაშლს თლიდი.

— ჰო, თქვა ქალმა, — მიყვარს ვაშლი, — გაიღიმა, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი გაანდო ამ ღიმილით.

ანიტასთვის არც ერთ მის სიტყვას არანაირი აზრი არ ახლდა, ვიდრე ისინი მისი მთავარი ინტერესის დამაკმაყოფილებელი პასუხის შინაარსს არ შეიძენდა.

— აქ ერთ საფლავს ვეძებდი, — დაიწყო გაუბედავად, აკრძალულ თემას შეეხო თითქოს.

— ეძებდი? — ჩაეკითხა საბოლოოდ მოფხიზლებული დამლაგებელი, — მერე?

— ვერ ვიპოვე, — გულდაწყვეტით თქვა ანიტამ. თუმც მალევე გათამამდა, ეცადა, მოსაუბრე მოკავშირედ ექცია და, ამრიგად, რაც შეიძლება მეტი გამოეძალა, სრულად დაეკმაყოფილებინა ინტერესი არა მხოლოდ საფლავის შესახებ. — თეთრი მარმარილოს საფლავია, ახალგაზრდა, მშვენიერი ქალბატონის. გუშინ ქოთნის ყვავილი დავდგი იქ. მის მეუღლესთან ერთად მოვედი. გახსოვთ, ალბათ, შავსათვალიანი მამაკაცი...

ქალი ინტერესით უსმენდა, თან შუბლზე განცვიფრების ნაოჭებს იჩენდა.

— თეთრი მარმარილოს საფლავი ახალგაზრდა ქალბატონის? გუშინ?.. შავსათვალიანი მამაკაცი?.. — გაიმეორა ანიტას ყველა ნათქვამი.

— დიახ, დიახ, — წაეშველა ანიტა.

მაგრამ დამლაგებელმა ქალმა ჯიუტად გაიქნია თავი. ასევე ჯიუტად დააცქერდა მოსაუბრეს და მტკიცედ თქვა:

— თეთრი მარმარილოს საფლავი ამ ტერიტორიაზე საერთოდ არაა. რაც შეეხება შავსათვალიან მამაკაცს, მართალი გითხრათ, არ მესმის, ვინ გყავთ მხედველობაში.

ანიტა შეწუხდა. ერთი გაფიქრება ისიც გაიფიქრა, ეგებ მეშლება, ეს კი არა, სხვა დამლაგებელი ვნახე გუშინ, მართლა რაღაც ამერიაო. ყურადღებით დააკვირდა მის გადაბმულ წარბებს. არაფერი ეშლებოდა, ნამდვილად ეს იყო. იგივე კაბა, იგივე ვარცხნილობა – ბიჭურად შეჭრილი თმა, ბოძებივით ფეხები... მაინც ვერ ეშვებოდა:

— აქ თქვენი დაც ხომ არ მუშაობს? — ღდინამდე ჩასდია.

— და არა მყავს, — დაუზუსტა ქალმა, — და, საერთოდაც, მთელ უბანზე მარტო მე ვარ. ზოგჯერ ქმარი მეხმარება, ვუმკლავდებით საქმეს. — ისეთი გამომეტყველებით შესცქეროდა, ჩანდა, ვერაფერი გაეგო მისი შეკითხვებიდან. მაინც შეეცადა გარკვევას, — ასე ძალიან რამ შეგაშფოთათ?

რა ქნას, ტყუილში დაადანაშაულოს ისედაც უკვე ინტერესად ქცეული უცნობი ადამიანი? უთხრას, შავსათვალიანის დანახვისას გუშინ კარგად გაშეშდი რეტდასხმულივით, ახლა კი უარყოფო? რა გამოვა ამით, გაანაწყენებს და მეტი არაფერი. კონფლიქტი მის საქმეს რაში წაადგება!

— ვალდებულება მაქვს აღებული... — საპასუხოდ კი არა, თითქოს თავისთვის, საკუთარი თავისთვის მნიშვნელოვანზე მნიშვნელოვანის შესახსენებლად ამოთქვა.

ადგა მერე, ისევ გაუყვა ბილიკს, გულდაგულ რომ ჰქონდა დამახსოვრებული. კვლავ მოიარა მთელი მონაკვეთი, მაგრამ ამაოდ, თეთრი მარმარილოთი ნაპირკეთებ საფლავს ვერსად მიაგნო, ანიტას ყვავილიანად სადღაც გამქრალიყო, თითქოს

არც ყოფილა, თითქოს დასიზმრებოდა ყოველივე, ასე რომ აფორიაქებდა, საშინელ გაუგებრობასა და სიმარტოვეში აგდებდა.

აღარ იცოდა რა ექნა. ჩაიმუხლა ვიღაცის ბალახგადავლილ საფლავთან, ზედ მიწაზე ჩაჯდა სატირლად გამზადებული ბავშვივით. არ უტირია, მაგრამ ბევრიც არაფერი აკლდა. ახლა ტირილსაც არ ჰქონდა აზრი. იმის ფიქრზეღა იმტვრევდა თავს, რა ეღონა, როცა მისხალი შანსი არ დარჩენოდა. იჯდა, დაჰყურებდა საფლავზე გადავლილ სარეველას. აშკარად ეტყობოდა, უპატრონო საფლავი იყო, ან, უკეთეს შემთხვევაში, ხელშეშლილი პატრონისამარა დარჩენილი. ამქვეყნიერი და იმქვეყნიური უიმედობა ერთმანეთს შერწყმოდა, ამ პაწია მიწის ნაჭერზე დაევანებინა ყოფის წარმავალობის მკაცრ ფილოსოფიას. ნეტავი ვინ იწვა მიწის ქვეშ, თან ვინ ჩაიყოლა თავისი მოძრაობაშეწყვეტილი ჩრდილი? წარწერაზე ძნელადგასარჩევი ასოებით ძლივსღა ჩანდა მიცვალებულის სახელი — გიორგი. გვარი ვერ ამოიკითხა, ისე იყო გადარეცხილ-ჩაბურუსებული. მხოლოდ ეს ერთი სიტყვა... ეს ერთადერთი, იმის მაუწყებლად, რომ ოდესღაც იყო კაცი, და კაცი იქცა მიწად.

ანიტამ მკლავი გაიწვდინა, ბლუჯად მოგლიჯა ბალახი. მიჰყვა და მიჰყვა გულდაგულ. ეურჩებოდა ძირგადგმული სარეველა, მაგრამ ისიც არ ეპუებოდა, არ აკლებდა ცდას, პირწმინდად ასუფთავებდა შიგადაშიგ თითქმის ადამიანის სიმაღლემდე აბიბინებულს. სანახევროდ ჰქონდა საქმე მოთავებული, დამლაგებელი ქალი რომ გამოჩნდა. გვერდით კაცი მოსდევდა, უთუოდ მისი ქმარი იყო. ჩაიარეს მასლაათით. ანიტას მეტად აღარ გაუხედავს იქით, არც ბალახის თხრა შეუწყვეტია. მხოლოდ მათი საუბრის ფრაგმენტი დაიჭირა ყურმა:

— ასე თქვა, ვალდებულება მაქვს აღებულიო, თუ რაღაც ასეთი...

— ვის წინაშე? — ინტერესით იკითხა კაცმა.

— არ ვიცი, ეგ აღარ მიკითხავს, რა ჩემი საქმეა, — მოუჭრა ქალმა, — ავჩქარდეთ, წვიმას აპირებს!

მასზე ლაპარაკობდნენ, თუმც ანიტასთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. მთავარია, მიდიოდნენ თავისი გზით, უფრო და უფრო შორდებოდნენ, არ აწუხებდნენ ზედმეტი ცნობისმოყვარე კითხვებით. მათგან დახმარებას არ ელოდა, იმაზეც მადლობელი იყო, თავს რომ არაფერს ახვევდნენ. გლეჯისას ველური ბალახის ხაოიანმა, უხეშმა ზედაპირმა ხელისგულები გადაუსერა. ჭუჭყში ალუფხული სისხლი გადღაბნოდა თითებზე, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა. ისე ხმარობდა ხელებს, გეგონებოდა, ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რომელი მეტ საქმეს გასწვდებოდა და, ამდენად, რომელი მეტ ზიანს მიიღებდა.

მოათავა ყველაფერი, ნაგავი ერთად მოაგროვა. მერე პოლიეთილენის პარკიდან წყლიანი ბოთლი ამოიღო, ჩინური ყვავილის მოსარწყავად რომ ჰქონდა წამოღებული. ხელები დაიბანა და იმაზე დაიწყო ფიქრი, როგორ შეიძლებოდა ნაგვის გაზიდვა, და კოკისპირულმა წვიმამაც დაუშვა. ციდან ჩამოდენილი ღვარცოფის ბადეში აიბლანდა სასაფლაო, თითქმის აღარაფერი ჩანდა. მიხვდა ანიტა, გადასატანი უნდა გადაეტანა, ბედს ვერ გაექცეოდა, ვერსად შეაფარებდა თავს. იქვე, კარგა ნავარგებ ბზის ბუჩქს მიეკედლა, ღვთიური სურნელი რომ ასდენოდა და ოზონით გაჯერებულ ჰაერს კიდევ მეტად აკეთილშობილებდა, სალბუნად და შვებად ქცეულიყო.

ანიტა ემადლიერებოდა გიჟურ წვიმას, რადგან უცებ აღმოაჩინა, სხვა სჭირდებოდა

მისი დიდი მადლითაც

(მანანა ანდრიაძის მოსაგონებლად)

მანანა ანდრიაძეს (დოლიძე) სტუდენტობის პერიოდიდან ვიცნობდი, ჩვენ ასპირანტურაში ერთად ვსწავლობდით პროფესორ შალვა ასლანიშვილის კლასში.

მახსოვს მაღალი, მომხიბლავი გარეგნობის, ღიმილიანი, ყოველნაირად მოწესრიგებული, ზრდილობითა და სათნოებით გამორჩეული გოგონა, კეთილშობილი და კეთილმოსურნე, თავდაჭერილი, გულთბილი, ბეჯითი, შრომისმოყვარე, პასუხისმგებლობით სავსე, განათლებული, ყურადღებიანი, ღვთაებრივი ნიჭით დაჯილდოებული და გასაოცარი ადამიანური თვისებებით შემკული ღირსეული პიროვნება. იგი სამაგალითო იყო ჩვენთვის, ყველასაგან გამოირჩეოდა ცოდნითა და ანალიტიკური აზროვნებით. მეგობრები ხშირად მივმართავდით დახმარებისთვის და ისიც დაუზარელად გვეხმარებოდა, გვაწვდიდა მის მიერ მოძიებულ უნიკალურ მასალებს. როცა ბატონ შალვასთან გაკვეთილზე ვმსჯელობდით ამა თუ იმ საკითხის გარშემო, მანანა ყველასგან გამოირჩეოდა თავისი ერუდიციით. შალვა ასლანიშვილი მას დიდ პატივს სცემდა.

მანანა ანდრიაძე, რუსუდან წურწუმია, ანზორ ერქომაიშვილი, დიტერ კრისტენსენი

ასეთი დამამახსოვრდა მანანა ანდრიაძე სტუდენტობისას.

კონსერვატორიაშიც სამაგალითო იყო, როგორც პედაგოგი, მეცნიერი, ორგანიზატორი. მანანას შესაძლებლობანი ყველაზე მეტად მისი პრორექტორობის პერიოდში გამოჩნდა, ვინ მოთვლის მისი თაოსნობით რამდენი კონცერტი, სამეცნიერო სესია, კონფერენცია, სიმპოზიუმი თუ კიდევ სხვა მრავალი ღონისძიება ჩატარდა. იგი ყველას ახსოვს როგორც უაღრესად თავმდაბალი, ყველას მიმართ კეთილგანწყობილი ღირსეული ადამიანი, რომელმაც მთელი ცხოვრება ახალგაზრდების აღზრდას და ქართული ფოლკლორის შესწავლა-განვითარება-აღორძინების საქმეს მიუძღვნა.

მე მასთან ხშირი ურთიერთობა მქონდა. როცა იუნესკოში წარვადგინეთ პროექტი სახელწოდებით „ჩაკრულო“, რომელიც ქართულ პოლიფონიურ სიმღერას ეხებოდა, მანანა ანდრიაძემ ამ პროექტის მომზადებაში დიდი დახმარება გაგვიწია და, თუ იუნესკომ ქართული სიმღერა მსოფლიო პოლიფონიის შედევრად აღიარა, ამაში ქალბატონი მანანას დიდი მადლია.

ბოლო ხანს ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი ამერიკულ პროექტზე მუშაობდა, ეს პროექტი ქართული კულტურის და კერძოდ ქართული ხალხური სიმღერის განვითარებას ეხება. პროექტზე მუშაობის დროს ბევრი პრობლემა შეგვექმნა, განსაკუთრებით ძველი ბერძნული და ქართული საგალობლების საკითხში. აქაც მანანა ანდრიაძემ დიდი სამსახური გაგვიწია.

მძიმე სენით დაავადებულიც თავს არ ზოგავდა და ბევრს მუშაობდა. ვინ იცის, კიდევ რამდენი დიდი საქმის გაკეთება შეეძლო. მისმა დაკარგვამ მეტად მტკივნეული კვალი დააჩნია ქართულ კულტურას. მე ამ დროს უცხოეთში გახლდით და თავზარი დამცა ცნობამ მანანა ანდრიაძის გარდაცვალების შესახებ. წავიდა ჩვენგან და დაგვიტოვა საოცარი გულისტკივილი.

ღმერთმა აცხონოს.

ანზორ ერქომაიშვილი

ვინ თქვა ფიქრი ტკივილის გარეშე, სად არის ლექსი სევდის გარეშე და პოეზია წარმავლობის, ეფემერულობის, ფინალობისა და დაისური განწყობილებების გარეშე, მაგრამ ზოგჯერ დგება მომენტი, როდესაც სევდა უფრო ხმამაღლა ლაპარაკობს, ვიდრე ხალისი და, სხვათა შორის, უფრო მეტსაც გამოთქვამს, მეტს გამოხატავს, არსებითს გეუბნება, მთავარს მიგანიშნებს და განგაცდევინებს.

გია კობახიძე მძაფრი განცდების პოეტია და ეს სიმძაფრე მინორის სახით ანუ, როგორც თვითონ წერს, „ჯავრიანი სტრიქონის“ ფორმით გადმოიცემა. მისი პოეტური ფიქრი, როგორც საგანი, როგორც ობიექტური მოვლენა, ეგზისტენციური მასალისგან არის შენაწევრებული, ამიტომაც არის ეპიკური და წინააღმდეგობრივი ხასიათის მთლიანობა, რომელიც დროდადრო ფილოსოფიურ მარცვლებად კრისტალდება ხოლმე:

„მარტოობა ერთია და ორზე სულაც არ იყოფა“;

„ყველა ფერი, რაც უნახავს თვალებს, საბოლოოდ თავს ერთ ფერში იყრის“;

„ის კი თვალს უხელს გაბუტულ ღრუბელს, თავში აქვს ფიქრი და იმ ფიქრს ფიქრობს“.

ერთიც უნდა ითქვას. შესაძლოა ამაოების განცდით განიმსჭვალო, მაგრამ პესიმისტი არ გახდე. გია კობახიძის ლირიკული გმირი ცდილობს გათავისუფლდეს ილუზიებისაგან და მიუახლოვდეს ყოფიერების შიშველ არსს, სადაც შეიძლება მიაგნო იმედს. ამიტომ ლოგიკურია კითხვა: „რატომ აყვავდა ისევე ნუში, თუ ყველაფერი წაიღო ქარმა“.

თუ წარმავლობა თავისას შვრება, სიცოცხლესაც აქვს თავისი წესი — განუხრელობის, შეუქცევადობის, განგრძობითობის ძალი. ასეთია არსებობის დიალექტიკა.

გია კობახიძე

* * *

კიდევ ერთი დღე წაიღო ქარმა,
კიდევ ერთხელ გააყოლე თვალი,
გაიჭრიალა მტკივანმა მხარმა,
ქვიშამ კვლავ ვერ დაიჭირა წყალი.

კიდევ ერთხელ მიილია მზე და
კიდევ ერთხელ აიწია მთვარემ,
სიჩუმეში მერამდენედ ხედავ —
ხავსისფერი ემატება კარებს.

ნისლის ზოლად გაწოლილა დაღლა,
სარკმლის იქით ფერებს არჩევ ძლივსღა,
წითელ-ყვითელს ჭარბობს რუხი ახლა,
ჭიქა არაყს წამალივით ისხამ.

ბევრი ლესვით ქვა გაუცვდა სალესს,
გვაჩქარებენ, დრო არ რჩება ფიქრის,
ყველა ფერი, რაც უნახავს თვალებს,
საბოლოოდ თავს ერთ ფერში იყრის.

* * *

გამოანათა ზამთრის მზემ ფრთხილად,
უფრო გათეთრდა თოვლი ფაფუკი,
რა ლამაზია ცისფერი დილა,
აღარც თოვა და აღარც ქარბუქი,
ასეთ სანახავს ვერ ნახავ ხშირად —
კლდეზე მეტეხი დგას — მზეჭაბუკი,
ყინვის კანონი დამდგარა ყირად,
გაღმა ნებივრობს მზეზე ხარფუხი,
გამოანათა ზამთრის
მზემ ფრთხილად,
უფრო გათეთრდა თოვლი ფაფუკი...

* * *

აქვს საოცარი სისადავე ამ მეფურ პალატს,
ერეკლეს სახელს მოწიწებით ვახსენებთ თელავს,
აღმოსავლური შესევია ფერები ხალათს
და კახთ ბატონის ხმალი ისევ მზესავით ელავს.

ამ ბებერ ტახტზე თლიდი ფიქრებს საქართველოზე,
დღეებს ბედნიერს აშფოთებდნენ დღეები რთული,
აქ დაიბადე, ამ ოთახში და ანგელოზებს
მოხუცმა აქვე მიაბარე ცოდვილი სული.

მარჯვენა მუდამ შემართული გეჭირა მუხად
და არა დაბლა დაშვებული, როგორც ტირიფი,
გაწვიმდა ომებს შეფერილი ღრუბელი მუქად,
მუდამ ბრძოლის და განსაცდელის იდექ პირისპირ.

ნიშანი დიდი მადლის მხოლოდ უფლისგან მოგდის,
როდესაც შენი ქვეყნისათვის სიკვდილი გიღირს,
ქართველი კაცის მაჯისცემას ცნობდი და გრძნობდი,
როდესაც ხელით ეხებოდი სამეფო გვირგვინს.

მიმქრალი ცეცხლი გაღვივდა და ისევ აინთო,
სავსე ფიალა უკვდავების, ბოლომდე შესვი,
მიწაზე მკვიდრად იდექი და სწორედ ამიტომ,
კახური ვაზის გედგა ტანში ძარღვი და ფესვი.

ხელმწიფე ასე ხმალმართალი იყო არავინ,
არც ერთი სპარსი, არაბი ან
თუნდაც ბერძენი,
ქვეყანა შენი რომ გადარჩა შეუბღალავი,
შენ როგორც მეფემ, როგორც კაცმა,
მარტომ შესძელი.

ქართველი კაცი თავის მიწას ვერ უღალატებს,
ერეკლეს სახელს მოწიწებით ვახსენებთ თელავს,
დგას საოცარი სისადავე მეფურ პალატის
და კახთ ბატონის ხმალი ისევ
მზესავით ელავს.

* * *

არ სძინებია წუთითაც წუხელ,
ამტვრევდა ნაჭუჭს — ჯავრიან სტრიქონს,
ებრძოდა ლექსის ბორკილს და უღელს,
დილისკენ რაღაც გამოდნა თითქოს.

გარედან მარტი ძაღლივით უღრენს,
ფანჯარას უღებს და გარეთ იხმობს,
ის კი თვალს უხელს გაბუტულ ღრუბელს,
თავში აქვს ფიქრი
და იმ ფიქრს ფიქრობს.

* * *

ქალი ცეცხლივით მაცდურია,
შეხედავ — გული გებზარება,
ხელზე დაიხვევს ას დუნიას,
მაგრამ, კიდევ კარგი, ეზარება.

კაცისთვის დანაა გალესილი,
ბრჭყალებს აჭრიან — მაინც იზრდის,
ასი ოცნება — დალეწილი,
ათასი კიდევ — გაისისთვის.

ცის ბუტბუტი და ზღვების ხმები
სულ თითო-თითოდ სახლში მიაქვს,
მაინც ვერაფერს ეღირსები —
ლაპარაკს, აბა, რა ფასი აქვს.

შეხედავ — თითქოს მსახურია
იმის, რაც ნდობით მოიპოვე,
ამ დროს ის კადრი ნახული აქვს
უკან რაც უკვე მოიტოვე.

ბნელიდან თითქოს დავიძარი,
ეს გზები ისევ მაოცებენ,
ეს გული ისე გამიბზარეს,
ვერაფრით
ვეღარ
დავაწებე.

* * *

ყოფილიყო, ედიადა
ერთი ლექსის ეულ სტროფად,
რად უნდოდა ერთიათად,
განა ერთი არ ეყოფა?..

მიატოვა, შეტრიალდა,
გაქრა გრძნობა, გაქრა ნდობა,
არ გამოდგა ეს ტრიადა —
გული, ბედი, ნებისყოფა.

მარტოობა ერთია და
ორზე სულაც არ იყოფა.

* * *

დაბნეულია თვალები ქალის,
დაბნეულია ბრინჯივით ქვიშა,
დაბნეულია გზაცა და კვალიც,
დაბნეულია მიხაკი პიჯაკს.

დაბნეულია ტრფობისგან წყვილი,
დაბნეულია ბადისგან თევზი,
დაბნეულია საყელოს ღილი,
დაბნეულია ბალიშზე ნემსი.

დაბნეულია ჭიქაში წყალი,
როდესაც თვალი გაჰყურებს მერმისს,
დაბნეულია თვალები ქალის
და მე იმ ქალის, როგორც კაცს —
მესმის.

* * *

მაცდურ საფიქრალს გაექცა ფიქრი
და ახლა მიქრის გალუმპულ ფრთებით,
აღარ ჩანს გარეთ, აღარ ჩანს შიგნით,
აღარ ჩანს არსად — ვიღაცის ნებით.

არადა, სწორედ ახლაა მისი
ჟამი და წამი, წუთი და წელი,
ახლაა შანსი — დღისით და მზისით,
მიიღოს იმან, ვინც სათქმელს ელის.

იფქვება ტვინში სათქმელი დიდხანს,
ფქვილია ცალკე — არ ირევს ქატოს,
საიდან ჩნდება ამდენი კითხვა,
ამდენი რისთვის, ამდენი რატომ.

სიმართლის ნახვას არავინ გაცდის,
სიმართლის კოშკის, კირით ნაგების,
წინასწარ ვერ გრძნობს განსაცდელს კაცი,
ვერც გულს ვერ აღებს სხვა გასაღები.

რა განასხვავებს სურვილს და წადილს,
აღმატებული რითი სჯობს რიგითს,
ან დალოცვილი მზე რატომ ჩადის
მაინცდამაინც ჰორიზონტს იქით.

ფიქრი როდესაც ვერაფერს სწვდება
და ერთი კითხვა დაგრჩება მხოლოდ,
რომ ჩაივლიან ეს წლები წყებად,
რას ემსგავსები ბოლოს და ბოლოს.

რატომ გაგონებს ცხოვრება ფაცერს,
ან დილის ნამი რატომ გაოცებს,
ეს ხელი რამდენ სატკივარს დაწერს,
ანდა ეს გული რამდენს გაუძლებს.

რატომღა ეძებ მიწაში ოქროს,
როდესაც ოქროდ ბრდღვიალებს ნიჭი,
რატომ ენდობი დაკეტილ ბოქლომს,
რომლის გაღებაც თვითონვე გიჭირს.

ზღვას აღარა აქვს ლურჯი ფერი და
ქარის ხმა აღარ გგონია ქარის,
როდესაც თქვი და არ მოგერიდა —
მარილის გემო აღარ აქვს მარილს.

რის დაბრუნება გინდოდა გუშინ,
როდესაც ფიქრის წაგიღო ღვარმა,
რატომ აყვავდა ისევე ნუში,
თუ ყველაფერი წაიღო ქარმა.

თუ ყველაფერი წახდა და გაქრა,
თუ აღარაფერს არა აქვს გემო,
მაშინ რა გიწვევს მაღლა და მაღლა,
ღრუბლების გვერდით და ღრუბლებს ზემოთ.

როცა ყვავილი ატმის, თუ ტყემლის
გათოვს და გივსებს გამოწვდილ ხელებს,
მაშინ ხვდები, თუ დაღვრილი ცრემლი
რატომ ატყვია ამ გამშრალ ხმელეთს.

რატომ ვადგავართ ამ გზას გათელილს
და რატომ გვტკივა საფლავი მამის,
რად გვეშინია ცოდვის გამხელის,
ან ულმობელი სამოცი წამის.

ნამდვილი შენზე და შენზე ნაზი,
უბრალოდ რასაც ედება ხავსი,
შენივე ფიქრით, შენივე აზრით,
შენივე წყვილი და შენი მსგავსი.

აიტაცებს და ჰაერში ტოვებს
მოწყვეტილ ფოთოლს — გაფრენილ იმედს,
და აშრიალებს აპრილი რტოებს,
როგორც აშლილი გიტარის სიმებს.

დაუსრულებელ ძველ სურათს მოჰგავს
ჩავლილი წლების კვალი ტილოზე,
მუქ ფონზე მოჩანს მოცისფროდ ზოგან,
რისიც გჯეროდა, რაზეც ილოცე.

აქ ჟანგისფერი პატარა გემიც
ჩანს სამუდამოდ მიბმული ნაპირს,
ეს ოცნებაა ბავშვობის ჩემის,
დაბერებულა, ათოვს და აწვიმს.

რამდენმა წყალმა იარა გულზე,
რამდენმა მეხმა იქუხა ცაში,
ბერდება კაციც, მაგრამ ჯერ უძლებს,
თვალები შერჩა რადგანაც ბავშვის.

უბრალო, თუმცა მართალი სხვაზე,
ფიქრობდა ასე, ასი წლის წინაც,
სისხლი უბრალოდ არ უდუღთ ვაზებს
და უმიზეზოდ არ მოდის წვიმაც.

რატომ გვაშფოთებს ამ მიწის ვალი,
ასეთი სიღრმე რატომ აქვს სევდას,
დადის ამქვეყნად ათასი ქალი,
მაგრამ ჭაღარა უხდება დედას.

როგორიც იყო, ისეთი დარჩა,
არ მიდის არსად, არ იცვლის ადგილს,
სიცოცხლე ფეთქავს და ფეთქავს მაჯა,
ათენებს დილას, თბილსა და ადვილს.

არ დარჩა შავი თმის ერთი ღერიც,
საფიქრალს ხვალ და ზეგ რა გამოლევს,
გაცრეცილი აქვს საღამოს ფერი
ავდარი ღრუბლის ჩიბუხს აბოლებს.

თოვლიან ხაზებს ავლებენ მთები,
ელიან სითბოს ხვალინდელ დღისას
და მიქრის ფიქრი გალუმპულ ფრთებით
და ცაში ეძებს ცხოვრების მიზანს.

ლალისფერ კაბით მიწაზე დადის,
ზღვა ხვდება ბოლოს ტალღების რიგით,
და დალოცვილი მზე ისევ ჩადის
მაინცდამაინც
ჰორიზონტს
იქით...

* * *

დამძიმებულა ატმის რტო
მართალი კაცის ბაღში,
გარინდებულა აგვისტო,
ზის საკარცხულში მახვშის.

მზე იქნევს სიცხეს — დათვის ტორს,
თვითონ დაჭრილი მხარში,
შავცხენიანი გარბის დრო,
კვალს ტოვებს — ფერფლს
და ნახშირს.

* * *

შენსას გამოვყვები კვალს,
გულს ახლა რაც მართლა სურს,
ფეხით გადავივლი მთას,
წვიმის ხმას დავუგდებ ყურს,
ჯანდაბას — არ დავლევ წყალს,
მშიერი — არ შევჭამ პურს,
რაც მწამდა — ხომ ისევ მწამს,
სხვისი არაფერი მშურს.
მას, რაც სიყვარულზე დგას,
იმის მარცვალსა და ხნულს,
სხვაზე გავიფიქრებ არც,
შენთვის დავიცლები სულ.
სუნთქვას გავაყოლებ ქარს,
ნისლებს მოვაცილებ სულს,
ხელებს შევაშველებ ზარს,
როცა მოწყენილი დუმს.
ცრემლს თვალებს ვაჩუქებ მშრალს,
ენახოს ბოროტი ნუმც.
შენსას გამოვყვები კვალს
შენსავით ნაზსა და ჩუმს.
წამით გაწამებულ წამს
მივსდევ და სიბერე მძულს,
ერთხელ დავუჯერებ ქალს,
ერთხელ დავუჯერებ გულს...

* * *

თვალები ცრემლით რომ დაინამა,
გული რომ ჩანდა ოქროს ნაპირად,
ახლა დაგმანულ კარის წინა ვართ,
ირგვლივ სიცივე სითბოს მაგივრად.

დრომ ყველაფერი დააბინავა —
გრძნობის გაქრობა, სულის გაყინვა,
ან შენ ვინა ხარ,
ან მე ვინა ვარ...
ამ ყველაფრისთვის ვღირვართ —
არ ვღირვართ...

* * *

ყოვლად ძლიერი არსთაგამრიგეც
საკუთარ თავთან ვერ
შეგარიგებს...
და ამიტომაც სადღაც შორს, ჩრდილში,
დგახარ საბრალო ერთი ტარიგი,
სამსხვერპლოდ ყოფნის გამქრალა შიში,
მიქრის შარაზე
დრო თოხარიკი.

* * *

ნამდვილ სურათს ფუნჯი ხატავს ნამდვილი,
თუ გაკოცა მუზამ — ქარის დაქალმა,
როცა მოდის — არ არსებობს მანძილი,
არც ასაკი — ასე ბრძანა შაგალმა.

კი არ გაძლევს, გართმევს ძალას იქით დრო,
ერთ ფერშია ის, თუ აფრქვევს ფერადებს,
მთავარია, როცა ნახავ — იფიქრო,
რომ პირველად ხედავ ამას ყველაფერს.
ცის საუფლოს ვინც არ უნდა მართავდეს,

ვერ ვიჯერებ — სული არ არსებობდეს,
ანდა ნიჭი ღვინოსავით დამთავრდეს,
მუზა გაქრეს, თუ დაითვლი ათამდე,
არა მგონია — შაგალი ცდებოდეს.

* * *

ჯერ არ გამოფხიზლებულა,
თვალი ისევ ძილში ცურავს,
მოჩანს კვეთრად, დადებულად,
ვხედავ თვალწინ უცხო სურათს.

საეჭვო თუ დასაშვები,
ვისაც რა უოცნებია,
უცნაური პასაჟები,
ჩნდებიან და ცოცხლდებიან.

ვერაფრით ვერ დავალაგე
სად იყვნენ და სად იარეს,
სხვაა — სიზმარს ვერ დაარქმევ,
თუმცა არც მთლად ცხადი არის.

პიკანტური მომენტებით
ვენერების სადარები,
თეატრალურ ლორნეტებით
დამები და მადამები.
სარჩულად ნუ დაედები
აქაური გაქანებით,
პარიზული ხავერდები,
ორლეანის მაქმანები.

იყიდება შესაძენი
ჩაწყობით თუ ისე, სიით,
ქუსლიანი ფეხსაცმელი
სულ ახალი კოლექციის.

მოუხდელი შლაპები და
მოხდენილი ვუალები,
როგორც ძველი ზღაპრებიდან,
კაცებს გულებს უალებენ.
პაემანის ადგილები,
ჩრდილები და ტერასები,
შესახვედრად ადვილები,
ფურშეტები, სეანსები.
აბსენტი და ბორდო თასით,
კონიაკს თუ ერიდებით,
მრგვალი თეფში მაგიდაზე,
სპირიტისტი დეიდები,
ბოლიანი არომატი,
სად სიგარა, სად — ნაფაზი,
შეგნებული დანამატი —
შამპანური ანანასით,
დამბაჩა და პისტოლეტი
ფოკუსი და არლეკინი,
ეკიუ და პისტოლები,
სალონებში დალექილი.

გრაფები და მარკიზები,
ელჩები და კონსულები,
ბავშვებივით კაპრიზები,
ფოჩიანი კოსტუმებით.
ნისიად თუ დაითვერი,
ვალში ულვაშს მოგპარსავენ,
ბატის ფრთა და კალმის წვერი,
ბალზაკი და მოპასანი.

დუელები ჟინიანი,
ჰუსარული გამეტებით,
ძველებური შინიონი,
ძველებური კარეტები.
შენიღბული ბუდე არის
ბაფთიანი გოგონების,
ჟოლოსფერი ბუდუარი,
შეღებილი ლოკონები.

ზოგი აღმა წასული და
ზოგიც გაღმა გარიყული,
მოგონება წარსულიდან —
ბრასლეტი და მანიკური,
აჭამე და მერე ასვი
გაშვებულებს მარეკებად,
რა შეკითხვაც გინდა — დასვი,
არც ერთ მათგანს არ ეხება.

გადმობრძანდი იგავიდან,
ნუ იქნები უმადური,
გინდ — ბოვარი იყავი და
გინდ — მადამ დე პომპადური.

* * *

დაწუნებული სასიძოები — ვერხვები დგანან,
ფეხს არ იცვლიან,
თეთრკაბიანი საპატარძლო არ მოსწონთ განა?..
რომ მოსწონთ,
იმის თქმა არ იციან.

ხმა ამოიღე, სიყვარულის გზები ეძიე,
თქვი სათქმელი და გამოსტაცე წუთი დროებას,
რადგანაც იდგნენ — ქარს ერთხელაც ვერ დაეწიენ,
და დარჩნენ ასე,
დაწუნებულ
სასიძოებად.

* * *

დგანან ბიჭები, ვხედავ — შეცვლილან,
სიბერის საზღვარს
ვეხებით ხელით,
ტკივილიც, თუმცა კარგი მეტწილად,
ათასი განცდა და სისხლი ცხელი.

ღირსებას ნამდვილს ვინც ატარებდა,
კაცური ხმით და მართალი გულით,
დაბერებულა თითქოს გარედან,
შიგნიდან მაინც სავსე და სრული.

კარგია, როცა შემოგრჩა რაღაც,
წარსულს რომელიც მიგაბამს ძაფით,
გულიან ნამღერს, სევდიან ნახატს,
დაფარულს ზღვით და ტალღების ქაფით.

ჩვენ ვგრძნობთ ერთმანეთს
თვალად და ტანად,
ან სულაც შუბლზე ხელის მიდებით,
ვხედავ — შეცვლილან, და მაინც დგანან,
რადგან ერთმანეთს ასე ვჭირდებით.

მარიენცა კორაჩი საქართველოზე შეყვარებული იტალიელი ქალბატონია, რომელიც მილანის ქართულ-იტალიურ საზოგადოებას „სამშობლო გულით სატარებელი" დაარსების დღიდან აქტიურად უდგას მხარში; სწავლობს ქართულ ენას და დაინტერესებულია თანამედროვე ქართული პოეზიით; არის დათო მაღრაძის პოემის „ჯაკომო პონტის" იტალიური გამოცემის რედაქტორი და ჟურნალ „ა ორიენტეს!" თანარედაქტორი; რამდენიმე წლის წინათ თბილისის იტალიის კულტურის ცენტრის ბიბლიოთეკას მისი ინიციატივით ქალაქ არონის ბიბლიოთეკამ საჩუქრად იტალიური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები გადასცა. იგი არის ამავე ბიბლიოთეკის საბჭოს წევრი და ავტორი არაერთი კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტისა, რომელთაგან უმცროსი ასაკის მკითხველებისთვის შექმნილმა პროექტმა სახელწოდებით „კითხვისთვის დაბადებულნი" ფართო გამოხმაურება ჰპოვა; აქვე ჩამოაყალიბა და ხელმძღვანელობს „მკითხველთა კლუბს"; წერს ლექსებსა და პროზაულ ნაწარმოებებს, რომელთაგან რამდენიმემ ეროვნულ კონკურსთა პრემიები დაიმსახურა. იტალიური ენისა და ლიტერატურის პედაგოგი პენსიაზე გასვლის შემდეგ არონის მესამე ასაკის უნივერსიტეტში განაგრძობს მოღვაწეობას, მიჰყავს ლიტერატურისა და მის მიერვე დაარსებულ „კინოფორუმში" კინომცოდნეობის კურსები.

მარიენცა კორაჩი აქტიურად იღვწის ქალთა უფლებების დასაცავად, ალბათ, ამანაც განაპირობა მედეასადმი მისი ცხოველი ინტერესი.

მარიენცა კორაჩი

მედეა ანუ ევრიპიდეს შეუსმენელი ღაღადი

სიტყვაკაზმულ მწერლობაში დაბადებისა და გარდაცვალების ორ პოლუსს შორის ძევს სვლა, გამგზავრება, დაბრუნება; ძევს ითაკა, კომპოსტელა (ქ. სანტიაგო დი კომპოსტელა, სადაც მრავალრიცხოვანი მომლოცველი დღესაც მიემართება ცოდვათა გამოსასყიდად; შუასაუკუნეებიდან მოყოლებული არსებობს ასეთი გამოთქმაც — „ სანტიაგო კომპოსტელას სვლა" — მთარგმნ.), დაკარგული სამოთხე, ჯოჯოხეთი, განსაწმენდელი, სამოთხე, ჰომეროსი, მილტონი, დანტე, რუსთაველი და სხვ.

ვიდრე ოლიმპოს მთაზე მამაკაცის ხატად შექმნილი უკვდავი ღმერთები დაივანებდნენ, კაცებრივ ნაკლს რომ უფრო ატარებდნენ, ვიდრე ღვთაებრივს, მიიჩნეოდა, რომ სამყაროს ქალი ღვთაებანი, — მიწის, ცის ჰარმონიის, დაბადებისა და გარდაცვალების ფლუიდური ციკლის განმასახიერებელნი განაგებდნენ. ისიც ცნობილია, მართლმსაჯულების ქალღმერთმა დიკემ, რომ ვერაფრით შეასმინა კაცთა მოდგმას სამართალი, სამკვიდრო დედამიწა მიატოვა და სრულ ქაოსში ჩაცვენილმა მამაკაცებმა ვეღარ აიცდინეს კონფლიქტები...

...და მოირგო მამაკაცმა ნიღაბი; მიენდო ღმერთების ნებას და საკუთარი ბედი განგებას გადააბარა, რათა პირადი პასუხისმგებლობისაგან, თვითკრიტიკის უნარისა და დამოუკიდებელი ნებისაგან, სულიერი სვლისაგან გათავისუფლებულიყო; მამრის ამგვარმა სისუსტემ სავალალო ზიანი მიაყენა ქალს, ვინაიდან ისიც ბედისწერის, ქმრის მორჩილად აქცია და საკუთარი თავი ყოველდღიური, სტაბილური კეთილდღეობით დაკმაყოფილებაში, წინააღმდეგობის გაწევის უუნარობაში დაირწმუნა.

ჰომეროსის გადმოცემით, ბერძენი ქალის მთავარ ღირსებად თვინიერება მიიჩნეოდა; მოგზაურობა მხოლოდ მამრის, ოდისევსის, ტელემაქეს, აგამემნონის, მეომართა საქმე იყო; ეშმაკობა ქალის თვისებად ითვლებოდა, ცოდნა და მოხერხებულობა — მამაკაცისა. საერთო მხოლოდ გმირობა შეიძლებოდა ჰქონოდათ.

ქრისტემდე V საუკუნეში, პერიკლეს — დემოკრატიის აპოგეის — ეპოქაში სახელგანთქმულ ბერძენ ტრაგიკოსთა დრამატურგიაში ვხვდებით მძაფრ ვნებათა და ღრმა ჰუმანურობის მატარებელ ისეთ ემბლემურ ფიგურებს, როგორებიცაა ანტიგონე, ელექტრა, კასანდრა, რომელნიც შეგნებულად აღუდგნენ წინ უსამართლო ძალაუფლებას და მივიწყებულ უზენაეს ფასეულობათა დაცვა იტვირთეს. ამჯერად ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მსურს მივაპყრო მედეას, რომელიც ევრიპიდეს ალტერ ეგოდ მიმაჩნია, რამეთუ ამ კოლხი ქალივით ისიც უცხოა სამშობლოში და ამაოდ ცდილობს დააფიქროს თანამემამულენი, თუ რამ მიიყვანა ქალი, დედა ამ ფატალურ გადაწყვეტილებამდე. ევროპულ ლიტერატურაში ხომ საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მედეამ ეჭვიანობის გამო და შურისძიების მიზნით დახოცა შვილები; სამწუხაროდ, საზოგადოების კოლექტიურ წარმოსახვაში მყარად გაიდგა ფესვი მისმა ამგვარმა უარყოფითმა სახემ. თუმცა ალვარო (იგულისხმება კორადო ალვარო და მისი პიესა „მედეას გრძელი ღამე" — მთარგმნ.) თავგამოდებით იცავს მედეას და ზღვარგადასული დედობრივი სიყვარულის ამ უკიდურეს საქციელს ხსნის ექსტრემალური აუცილებლობით, გადაარჩინოს შვილები არალეგიტიმურობისა და სამუდამო დევნილობისაგან; და ვიდრე მათ სხვები გამოასალმებენ სიცოცხლეს, თავად აღასრულებს ამ საზარელ აქტს. მედეას ასევე „ესარჩლება" პიერპაოლო პაზოლინიც იმ თვალსაზრისით, რომ „ცივილიზაციის" მიერ ამ ჯერ კიდევ შეურყვნელი შვილის ინსტინქტურ ხასიათში thymos — ვნება-სიბრაზე დომინირებს, და ამით ავტორი ერთმანეთს უპირისპირებს მედეას ძველ, ირაციონალურ და დედაბუნებასავით ჰიპერმგრძნობიარე სამყაროს იასონის ცივ, რაციონალურ, პრაგმატულ „ცივილიზაციას".

სენეკადან ოვიდიუსამდე, კლინგერიდან გრილპაცერამდე თუ ფონ ტრიერამდე ამ თემით დაინტერესებული უამრავი მოაზროვნის უსასრულოდ მრავალფეროვანი ინტერპრეტაცია არსებობს ევრიპიდეს ტრაგედიის ირგვლივ; თვით ფსიქოანალიზიც, ტრადიციულ ანტიკურ წყაროებზე დაყრდნობით, დამაჯერებელ თეორიებს ქმნის, მაგრამ მედეას ღრმა და ამოუცნობი სული ისევ კვლევის საგნად რჩება, რამეთუ ამ არაორდინარული ქალისადმი ინტერესი და არაერთგვაროვანი დამოკიდებულება დღესაც არ წყდება. მათ შორის ძალზე ორიგინალურ ინტერპრეტაციას გერმანელი მწერალი კრისტა ვოლფი გვთავაზობს. მისი აზრით, მედეა შვილების მკვლელი ბარბაროსი დედა კი არ არის, ძალაუფლების მსხვერპლი, ბრძენი, მამაცი, თავგანწირული და ტრაგიკული ბედის ქალია.

ისევე როგორც ორფეოსულ, ელევსინურ და ბაკხურ მისტერიათა ინიციაციის — საიდუმლო რიტუალის — შემსრულებელნი საკუთარი გონების ლაბირინთებში „მოგზაურობენ", კრისტა ვოლფის რომანის „მედეა. ხმები" პროტაგონისტიც, ავტორის ნებით, კორინთოს სასახლის მიწისქვეშა სარდაფებში ჩადის და ძალაუფლების წართმევის შიშით მამის ნებით მოკლული ახალშობილი ვაჟის ჩონჩხს წააწყდება. ამ საიდუმლოს ცოდნა მედეას დანაშაულად შემოუბრუნდება და მისი დევნის, დასჯის მიზეზიც გახდება. მითის ამგვარი ინტერპრეტაციით გერმანელი ავტორი საკუთარი ცხოვრების არცთუ სახარბიელო მოვლენებზე მიგვანიშნებს: თავის დროზე კრისტა ვოლფი, მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკულად იყო განწყობილი კომუნისტური რეჟიმის მიმართ, შერისხეს, რაკი საჯაროდ არ დაგმო იგი, მეტიც, ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ სახელმწიფო უშიშროების ორგანოსთან თანამშრომლობაშიც კი დაადანაშა-

ულეს. მწერლის ერთგვარი პასუხი ამაზე სწორედ ზემოთდასახელებული რომანია, რომელშიც კოლხ მედეას საკუთარი თავის მსგავსად განტევების ვაცად წარმოგვიჩენს.

ადრეც ვთქვი და ახლაც დაბეჯითებით გავიმეორებ, რომ მედეა ევრიპიდეს ალტერ ეგოდ მიმაჩნია, ვინაიდან ბერძენი ტრაგიკოსი სწორედ მედეას პირით უპირისპირდება თავისი თანამედროვე საზოგადოების უსამართლობას და ეს ტრაგედიის დასაწყისშივე მჟღავნდება, როცა acting area-დან ისმის მედეას სულისწამღები ყვირილი, სიყვარულისა და ვნებისაგან გათანგული სიტყვები და პროტესტი, სასტიკი პროტესტი იმის გამო, რომ ბოროტად ისარგებლეს მისით, მოატყუეს, უღალატეს, დაამცირეს, შეურაცხყვეს...

"...ხომ ამდენი სიკეთე გიყავ, კაცთა შორის ყოვლად უღირსო, შენ კი რა მომაგე სანაცვლოდ? მიღალატე, სხვაზე გამცვალე. უშვილძირო რომ ყოფილიყავი, ვინ იცის, იქნებ გამეგო და მეპატიებინა კიდეც ახალი სარეცლის ნდომა-სურვილი. მითხარი, სად გაქრა შენი ფიცი?... რას მიბრძანებ, საით წავიდე? ვინ შემიფარებს?.. ო, რა ქმარი მყავს, რამდენი ქალი შემომნატრის მთელს ელადაში! თუ უმწეოს და უთვისტომოს შვილებითურთ განმდევნიან ამ ქალაქიდან, სახელი მაშინ დაიკვეხნოს ახალმა სიძემ, როცა მისი მხსნელიცა და უბედური შვილებიც კარდაკარ დაიწყებენ წანწალს..." (I სტასიმონი, II ეპისოდიონი).

ამ ვრცელი ციტატით ყურადღება მინდა გავამახვილო იმ ქვეტექსტზე, რომელშიც არამხოლოდ უზენაეს პრინციპებს შეგვახსენებს ავტორი, არამედ მიგვანიშნებს იმხანად მოქმედ იმ კანონზეც, რომლის თანახმადაც ბერძენი მამაკაცისთვის ცოლზე მეტად შვილები ითვლებოდნენ ოჯახის ლეგიტიმურ წევრებად; მეტიც, კიმონეს ახალი რეაქციონური კანონი მას უცხოელ ცოლთან გაყრისა და შერეული ქორწინების შვილების უკანონოდ ცნობის უფლებასაც ანიჭებდა, ანუ ევრიპიდე გვამცნობს, რომ კრეუზასთან ქორწინებით იასონი კანონიერი შთამომავლობის ყოლას ესწრაფის; მედეასთან დადებულ ფიცს ანგარებისა და პრივილეგიის მოპოვების მიზნით ტეხს და, რაც მთავარია, უსამართლო, რასისტულ აქტს სჩადის უცხო ტომელის მიმართ, რომელიც, როგორც კი უქმრო მდგომარეობაში აღმოჩნდება, უმალვე დაკარგავს ქვეყანაში იურიდიული არსებობის უფლებას, ანუ უუფლებო, არავინ, არარა გახდება.

აქ აშკარად ცნაურდება ავტორის საყვედური ათენელთა მიმართ, სტუმარ-მასპინძლობის ტრადიცია რომ დავიწყებიათ, და ამას ბარბაროსი ქალის ენით ამბობს, რაც, ცხადია, კიდევ უფრო მეტად გააღიზიანებს თანამემამულეებს. ცნობილია, რომ იმხანად ათენი დემოკრატიის დაღმავლობის გზაზე იდგა; სოფისტები და კორუმპირებული, რეაქციონერი ხელისუფალნი სახელმწიფოს ცუდად მართავდნენ და კომფორტულ სტაბილურობას შეგუებულ მოქალაქეებს ახალი სვლის აუცილებელი მოთხოვნილების ჩახშობით გამოუსწორებელ ზიანს აყენებდნენ.

ამგვარ ვითარებაში მედეა უდავო მსხვერპლად იქცევა, უწინარესად კი მეფის ძალაუფლებისა, ქალაქიდან რომ აძევებს; კრეუზასი, რომელიც მას ამჯობინეს, რადგან კანონიერ შვილებს გააჩენს; იასონისა, რომელიც კანონიერი მემკვიდრის ყოლის სურვილით, ფაქტობრივად უკრძალავს არსებობას; ბოლოს თვით საკუთარი შვილებისაც, მასთან განშორებას და მამასთან დარჩენას რომ ირჩევენ. და ეს ექსტრაორდინარული და გამჭრიახი ქალი, დამცირებული და გარიყული, განდევნილი და უსამშობლოოდ დარჩენილი ღმერთების ნებას კი არ დაჰყვება (მათი ნების არც ევრიპიდეს სჯერა), საკუთარ თავში პოულობს მხნეობას, თავად განაწესოს სამართალი.

„...მე თვითონ უნდა დავხოცო ჩემი შვილები, ვერავინ დაიხსნის საბრალოთ... ვერავინ მიწოდებს სუსტს და უმწეოს, რადგანაც სხვაგვარია ბუნება ჩემი. მტრისთვის — სასტიკი, მოყვასისთვის კი — კეთილმოწყალე. ესაა წესი ამაყი სულის" (II სტასიმონი, III ეპისოდინი).

ამ „მართლაც შემზარავად დიდებული" ნაბიჯის გადადგმა — იასონის დასასჯელად შვილების დახოცვა, ისევე როგორც ტირანისა და მეფის ასულის მოკვდინება — მედეასთვის ხსნა არ არის, სამუდამო სატანჯველია. თუმცა, ჩემი შეხედულებით, ავტორი თავად იასონს წარმოგვიდგენს შენიღბულ ჯალათად, მსხვერპლად რომ მიაჩნია თავი; ფარისეველ კეთილშობილად, მხოლოდ პირადი ინტერესი რომ ამოძრავებს; ღმერთების მოშიშად რომ მოაქვს თავი, სინამდვილეში თავს არიდებს პასუხისმგებლობას; ოქროთი (საწმისით) იმოსება (რასაც მედეას გარეშე ვერ მიაღწევდა!), მაგრამ არარაობას წარმოადგენს; თავი ქედმაღლურად უჭირავს, მაგრამ უგვანია და ფიცის გამტეხი; მეტიც, პირადი ამბიციის დაკმაყოფილების სურვილით დაბრმავებული hybris-ის უგნური აქტის ჩადენით თავს სამუდამოდ იჭრის (ისევე როგორც ქედმაღალი ათენი ძალით თავსმოხვეულ დამანგრეველ ომში). ანკი რაღა უნდა ითქვას კეთილგონიერებასა და გულისხმიერებას მოკლებულ ქმარზე, რომელიც შეცდომაში შეჰყავს მედეას, როცა ვითომც „გონს მოეგება" და პატიებას სთხოვს იმისთვის, რომ განეკუთვნება იმ შმაგ, ბრიყვ და ჭკუამოკლე მოდგმას, როგორიცაა ქალი: „ ვაი, რომ, ბრიყვი, გვიანღა მოვედი გონს... ეჰ, რას იზამ! ჩვენ, ქალები, ისა ვართ, რაცა ვართ. მეტს ნურაფერს მათქმევინებ ჩვენზე. არ შეგფერის სუსტ ქალთან ჯიბრი" (IV ეპისოდიონი). და აქ ვაწყდებით ოპტიკურ ილუზიონიზმს, კალეიდოსკოპის მირაჟულ სარკეებს, რითიც იმხანად ტყუვდებოდა მაყურებელი. თუმცა დღესაც მამაკაც მაყურებელთა ერთი ნაწილი ხალისიანად უკრავს ტაშს იასონის რეპლიკებს, ქალის დამაკნინებელს, თვით მედეას მიერ ირონიით ნათქვამ ფრაზებსაც, როგორიცაა ზემოთმოტანილი ციტატა (ამის მოწმე არაერთხელ თავად გავმხდარვარ სპექტაკლების დროს). მხოლოდ მახვილ გონებას თუ ძალუძს შეიცნოს ავტორის მწარე ირონია ქალის მიერ გამოთქმულ ამ სიტყვებში, მამაკაცთან შედარებით ნაკლოვან არსებად რომ რაცხდნენ და თვითონაც ასე მიიჩნევდა. ეს კიდევ უფრო მეტ საფუძველს გვაძლევს, რომ უყოყმანოდ გავიზიაროთ შეხედულება: მხოლოდ ევრიპიდეს გენიას შეეძლო „გარდასახულიყო" ქალად და მედეას პირით დაპირისპირებოდა საზოგადოებას, თავგანწირულად ემტკიცებინა ის, რაც მისი თანამედროვე ათენისთვის სრულიად მიუღებელი იყო — ქალის, თანაც ბარბაროსის სიბრძნე და აღმატებულება.

„გადაწყდა, დებო... ახლავე ავასრულებ ჩემს საშინელ განზრახვას და აქედან გადავიხვეწები. მაშ მტრის ხელში ხომ არ დავტოვებ ჩემს საცოდავ შვილებს? სულერთია, მაინც ვერსად წაუვლენ სიკვდილს. არა სჯობია, მშობელმა დედამ თავისი ხელით მოუსწრაფოს სიცოცხლე? გამაგრდი, გულო! აღასრულე გარდაუვალი, საზარი საქმე! მახვილი იპყარ, ბედკრულო, მერე კი დაადექ ტანჯვის გზას! რაღა დროს ყოყმანია? ნუ გაიხსენებ დედაშვილობის სიყვარულს, დაივიწყე, რომ დედა ხარ მათი, რომ შენ შობე, დღეს დაივიწყე, ხვალიდან კი ცრემლმა წარღვნას შენი სიცოცხლე. ო, უბედურო, გიყვარს და ხოცავ? ვინ არის ქვეყნად ჩემზე ბედკრული?" (V ეპისოდიონი).

ამ სტრიქონებში, მტკიცე გადაწყვეტილების მიუხედავად, მაინც გამოსჭვივის ყოყმანი, რაც ნიშანია არა სისუსტის, არამედ უაღრესი მგრძნობელობისა! ასე რომ, ტრაგედია მთლიანად მედეას სულში ხდება: მისი ზღვარგადასული ვნება ამოძრავებს მისივე თავგადასავლის მსვლელობას პირველიდან უკანასკნელ სცენამდე. პროლოგიდან ექსოდოსამდე ყოველივე იმუხტება სიყვარულის, წყრომის, რისხვის, ტკივილის განცდით. და ნაღალატევი, შერისხული, დამცირებული, იმ ძუ ლომივით გაავებული, ახალგაჩენილ ლეკვებს რომ წარსტაცებენ, თავად უსამართლობის მსხვერპლი მედეა ახლა სხვათა სიცოცხლის მსაჯულად უნდა გადაიქცეს, რითიც, კარგად უწყის, ყველაზე დიდ ტკივილს საკუთარ თავს მიაყენებს. თუმცა ევრიპიდესთვის, თავის მეორე „მეს" რომ განასახიერებს მედეაში, შურისგების გამო ჩაფიქრებული და დასასჯელად განწირული „დანაშაული", ვფიქრობ, განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს: რაკი ფიცის გამტეხი იასონის მიერ მიყენებული შეურაცხყოფა უზომოდ დიდია, პასუხიც ადეკვატური უნდა იყოს, და ღმერთებს კი არ უნდა მიანდოს ეს საქმე, არამედ საკუთარ არსებაში დედობრივი სიყვარულის ჩაკვლით გაუგონა-

რი საქციელი ჩაიდინოს. და საკუთარ შვილებში საკუთარი ხორცის ჩაკვლა კი შეგნებული თვითმკვლელობის, გმირობის ტოლფასია, ამავდროულად სამართლიანი შურისძიებაა მოღალატე იასონის მიმართ. ასე რომ, ეს ფილიციდი -შვილთამკვლელობა საჭირო და გარდაუვალია, რამეთუ წარმოადგენს იმ ტრაგედიის კულმინაციურ ლოგიკურ დასასრულს, რომელსაც პროტაგონისტი ვერაფრით გაექცევა. მამაკაცში არსებული ქალური საწყისით მედეასთან გაიგივებული ევრიპიდე თავისი გმირის სულის უღრმეს შრეებს სწვდება, იქ ეძებს მის გამამართლებელ არგუმენტებს და გვარწმუნებს, რომ მხოლოდ ეს უსასტიკესი ჟესტი შეიძლებოდა ყოფილიყო აუწერელი შეურაცხყოფის საპირწონე, და არამხოლოდ: დანაშაული ერთგვარად ბუნების კანონზომიერებაზეც მიგვანიშნებს, რომ სწორედ ქალი — დედა-დედამიწაა სიცოცხლის საწყისიც და სიკვდილის შემოქმედიც. ამიტომაც ამ ექსტრემალურ საქციელამდე მიმავალ ეკლიან გზაზე მედეასთან ერთად სვლა, ვფიქრობ, ყველა დროისა და თაობის ადამიანისათვის სავალდებულოა, რათა ხელაღებით კი არ დაგმოს ან გაამართლოს ეს „მარად მშფოთვარე სულის" კოლხი ასული, არამედ ზოგადად ქალის — სიკვდილისა და სიცოცხლის სიმბოლოების — დიდი დედის — დედამიწის, იზიდეს, დემეტრას, პერსეფონეს დაუსაბამო და ამოუწურავი სულიერი სამყაროს არსში წვდომას შეეცადოს.

ქალის უფლებების დასაცავად ამ ახლებური სვლის პირველდამწყებად სწორედ ევრიპიდე მესახება, რამეთუ სუსტ, გარიყულ, დამცირებულ უცხოტომელს ამოუდგა გვერდით, რის გამოც თანამემამულეებმა არ შეისმინეს მისი ღაღადი, ის სასოწარკვეთილი ძახილი, რომელიც ტრაგედიაში მედეას ხმით გაისმის. და ეს პირველი სულისშემძვრელი გზავნილი თავისი ლოგიკური განვითარებითა და ძრწოლვის მომგვრელი ფინალით პირველმა ბერძენმა ფემინისტმა სამარადჟამო საფიქრალად დაუტოვა კაცობრიობას. ტრაგედიის უკანასკნელ სტრიქონებში აშკარად ავტორის ხმა გვესმის, როცა მედეა დამცინავად შერისხავს იასონს: „ვინ, რომელი ღმერთი შეისმენს მაგ შენს სიტყვებს, მუხანათო, ფიცის გამტეხო?" (ექსოდოსი).

...და ვიდრე გახევებული და დამუნჯებული მაყურებელი, დარწმუნებული, რომ ბედისწერას ღმერთები განარიგებენ, სულის ფორიაქით ელის ოლიმპოს ბინადართა რისხვას, ავტორის ნებით, მედეა ენით აუწერელი ქმედებით აქარწყლებს მის მოლოდინს და თავად, „საკუთარი" სურვილით გამოაქვს საკუთარი თავის განაჩენი, რამეთუ საკუთარი ბედის განმგებელი და პასუხისმგებელი არც ღმერთებია და არც არავინ, თვინიერ ადამიანისა. ასეთია ევრიპიდეს „ბარბაროსი" მედეა, უცხო-საუცხოო, კონსერვატორობისა და ფარისევლობისაგან სრულიად დაცლილი, გულწრფელი, თავგანწირული და ვერშეცნობილი.

ღრმად მწამს, ათენელებისადმი ევრიპიდეს ეს ღაღადი ყურად უნდა იღოს თანამედროვე კაცობრიობამ, მეტადრე მათ, ვისაც დავიწყებული აქვს ღირსება და უზენაესი ფასეულობანი, რათა თვალი და გული აეხილოთ, ბედისწერის შიშით არ დაჰყვნენ სხვათა ნებას, სიმართლის ენით იხელმძღვანელონ და არა ფარისევლობისა, საღ აზრს მოუხმონ, რათა შეიძლონ მსოფლიო გლობალური მოვლენების სიღრმისეული წვდომა, შეიძლონ თვითგანახლება, ახლებური სვლა, ახალი სავალი გზების დასახვა...

* * *

დღეს, საყოველთაო გლობალიზაციისა და განსხვავებულ კულტურათა აღრევის ხანაში, ისევ შეეყარა ერთმანეთს ორი სამყარო — აღმოსავლეთი და დასავლეთი, რომელთა იდენტობაც ჰარმონიული უნდა შეიქნას ერთმანეთთან და რომელთა მომავალიც დამოკიდებულია ადამიანების, ჩვენსავე კეთილ ნებასა და გონიერებაზე, და არა ბედისწერის სურვილზე. სწორედ ამიტომ ისევ აქტუალურად მიმაჩნია ევრიპიდე და „მისი" მედეა, რისხვით რომ მოგვძახიან და ამხელენ ძალაუფლების ფარისევლობას, ადანაშაულებენ უსამართლობას და მოგვიწოდებენ განსხვავებულის, სხვისი ღირსების, დაჩაგრულის პატივისცემისაკენ, ახალი სულიერი სვლისაკენ. და ის, რაც ახალია, იმას არ ნიშნავს, რომ არასოდეს არსებულა, ამის თვალსაჩინო მაგალითი სპირალია, ევოლუციაზე, გამგზავრებასა და უკან დაბრუნებაზე, დაბადებასა და გარდაცვალებაზე რომ მიგვანიშნებს.

მედეას შესახებ ჩემეული მოსაზრებანი კიდევ უფრო გამიმყარა ცნობილი ქართველი მწერლის ოთარ ჭილაძის მცირე, მაგრამ ღრმაააზროვანმა ესეიმ (მედეა. გერმანული გაზეთისთვის.1994 წ.), რომელშიც ავტორი არნახული ოსტატობით აქარწყლებს საყოველთაოდ დამკვიდრებულ აზრს ჯადოქარი მედეას სისასტიკის შესახებ და სინათლეზე გამოაქვს მისი ღრმადადამიანური ღირსებანი: „...ის გამორჩეული სახეა და ამაყად დგას საკუთარი სიმარტოვის მოედანზე — ზურგს უკან კი არ მალავს, გულზე აქვს დაკრეფილი შვილების სისხლში ამოსვრილი ხელები ... გვეამაყება მისი თანამემამულეობა, გვეამაყება, მაინცდამაინც მას რომ აღმოაჩნდა ძალაცა და უნარიც ვერაგი დამპყრობლისა და მოღალატის ბაცილის აღმოსაჩენად. მეტიც, მან ეს ბაცილა შვილების სისხლით შეღება, უფრო ადვილი დასანახი რომ ყოფილიყო სხვებისთვისაც..."

დაბოლოს, ანტიკური კოლხეთის მემკვიდრე დღევანდელი საქართველოდან ჩვენში უკვე აღიარებული ქართველი პოეტის დათო მაღრაძის პოემა „ჯაკომო პონტიც" თავგანწირული ღაღადია თანამედროვე კაცობრიობისადმი, კიდევ ერთხელ რომ დაგვაფიქრებს ახალი სავალის ძიებაზე, სიკვდილისა და სიცოცხლის ეთიკაზე, სიმამაცესა და სიმართლეზე, სხვისი ღირსების დაფასებაზე, გონების ავტონომიაზე, „ძველის" ახლებურ შენებაზე.

და ძველი კარის ახალ შეღებას
ელის სამყარო ღრმა და ხნიერი,
როგორც ლაზარე ხელის შეხებას, –
ახალ სიცოცხლეს
ძველი იერით.

რუსთაველის ტრადიციიდან ამოზრდილი წინასწარმეტყველური ხედვით დათო მაღრაძე მოგვიწოდებს, რომ „ღამე" უნდა ვცნოთ, ძირისძირობამდე შევიცნოთ, რამეთუ სხვაგვარად შეუძლებელია განახლება, და „ქვესკნელში მოგზაურობა ხომ მხოლოდ პოეტებს ხელეწიფებათ, რომელნიც აგნებენ გაქცეულ ღმერთთა ნაკვალევს, მისდევენ მას და თავიანთ მოკვდავ თანამოძმეთაც უკვალავენ შემობრუნების გზას" (მ. ჰაიდეგერი. პოემა „ჯაკომო პონტის" წინასიტყვაობიდან).

„ჯაკომო პონტიში" პოეტი განგაშის ზარს სცემს, გულისწყრომას არ მალავს თანამედროვე „პროგრესული" კაცობრიობის, მათ მიმართ, ვინც ადამიანი არა საშუალებად, არამედ მიზნად აქცია; აქ პოეზია მძლავრად შლის ფრთებს და გვიჩვენებს ჭეშმარიტებისკენ სავალ გზას, თუნდაც ტანჯვით გასავლელს, სვლას, რომელიც მამის სახლში გვაბრუნებს...

მე მამის სახლში აღვავლენ ლოცვას,
მაინც რა არის ეს მამის სახლი...
მარადიული სიძველე როცა
მარადიული განცდაა ახლის.

ამ მოკრძალებულ ესეის ევრიპიდესა და მედეას შესახებ ვუძღვნი ქართველ პოეტ დათო მაღრაძეს და მის მეუღლე ლალი ანდრონიკაშვილს, რომელნიც კაცობრიობის მხსნელი ახალი და სულიერი „მოგზაურობის" მოწმეებად და პროტაგონისტებად მიმაჩნია.

მადლობას ვუხდი მთარგმნელსა და იტალია-საქართველოს კულტურათა დაუღალავ შუამდგომელს ნუნუ გელაძეს.

იტალიურიდან თარგმნა
ნუნუ გელაძემ

ბიბლიოგრაფია:

*** ევრიპიდე „მედეა" — ბერძნულ-იტალიური ტექსტი — რაფაელე კანტარელას თარგმანითა და მარინა კავალის შესავლით; გამომცემლობა „მონდადორი", 1985 წ.**

*** ევრიპიდე „მედეა" ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანი, გამომც. ლოგოსი.**

*** მარია გრაცია ჩანი — ვარიაციები მედეაზე — ევრიპიდე, გრილპაცერი, ალვარო გამომც. მარსილიო, 1999 წ.**

*** მედეას მითის შემსწავლელი აქტები: ულიონე, მარტინა, ბორმანი, ჩეკინი, მაცოლი, დელ კორნო, ფორნარო, ბონა; 1995 წ.**

*** კრისტა ვოლფი — „მედეა. ხმები" — ანიტა რაიას თარგმანი, 1996 წ.**

*** ოთარ ჭილაძე — მედეა (გერმანული გაზეთისთვის) — 1994 წ.**

*** დათო მაღრაძე — პოემა „ჯაკომო პონტი"– გამომცემლობა ჯულიანო ლადოლფი, 2012 წ.**

მაია ჯალიაშვილი

ბედნიერების საიდუმლო

(დორის დორიეს რომანი „ხელი გაუწოდე სასწაულს")

რომელი გრძნობა უფრო დამთრგუნველი და სასონარმკვეთია: სიცარიელისა თუ მარტოობისა? ორივეს თანაბარი ინტენსივობით შეუძლია დაგტანჯოს და დაგანგრიოს. თან ეს ნგრევა მითუფრო გრანდიოზული და სანახაობრივია, თუ სადმე ტყეში განმარტოებით კი არ ცხოვრობ, არამედ ხმაურიან, მრავალთავიან და ბუმბერაზ სხეულიანი შენობებითა და ათასნაირი ჯიშისა და ფერის ადამიანით პირთამდე სავსე ქალაქის უდაბნოში.

ამ და სხვა ეგზისტენციური კითხვების პასუხთა ძიებაა თანამედროვე გერმანელი მწერალი ქალისა და რეჟისორის ბეესთსელერი „სასწაულს ხელი გაუწოდე", რომელიც ქართულ ენაზე შესანიშნავად თარგმნა მაია მირიანაშვილმა, ახალგაზრდა, მაგრამ გამოცდილმა და ამ საქმეში დაოსტატებულმა მთარგმნელმა.

რომანის მთავარი გმირები ქალები არიან. მათი თვალთახედვით არის აღქმული და გაანალიზებული თანამედროვე სამყაროში მიმდინარე მოვლენები. რომანში სხვადასხვა პერსონაჟი ჰყვება თავისი ცხოვრების ამბავს, ხანდახან მთხრობელიც გამოჩნდება და იქმნება საინტერესო მოზაიკა, რომელშიც გმირების ცხოვრების ცალკეული ამბავი სხვადასხვა ფერის ნატეხივით ერწყმის და მიესადაგება ერთმანეთს, რათა მთლიანობაში დაიხატოს ფერადოვანი და დრამატული სურათი ყოფისა, რომელიც სავსეა ვნებათა ჭიდილით, ჭირითა და სიხარულით, ერთგულებითა და ღალატით, „ხმაურითა და მძვინვარებით", როგორც შექსპირი იტყოდა მაკბეტის პირით:

სიცოცხლე მხოლოდ
ჩრდილი ყოფილა მოარული; ტაკიმასხარა,
რომელსაც ვიდრე დრო აქვს, ადის მაღალ სცენაზედ
და იჭიმება, იგრიხება მთლად გაქრობამდე.
სულელის ენით მოთხრობილი ამბავი არის,
თუმც უმნიშვნელო, მაგრამ სავსე აურზაურით.

(ივანე მაჩაბლის თარგმანი)

შემდეგ ფოლკნერმა სწორედ ამ მონოლოგიდან აიღო რომანისთვის სათაური „ხმაური და მძვინვარება" და ერთ-ერთ მთხრობელად იდიოტი ბენჯამინ კომპსონი აქცია.

„ყველაზე დიდი საოცრება ისაა, რომ ვიცით, უნდა დავიხოცოთ, მაგრამ ყოველდღე მაინც ისე ვიქცევით, გეგონება, ეს ჩვენ არ გვეხებოდეს", —ამბობს რომანის ერთი პერსონაჟი და ამგვარად გამოხატავს ადამიანის დროში არსებობის ტკივილს.

ამ რომანის გმირებიც ყოველდღიურ სიხარულსა თუ ტკივილს, სიყვარულსა თუ სიძულვილს გამოდევნებული ადამიანები არიან, ყოფით წვრილმანებში გახლართულნი და თავგზააბნეულნი, რომელთა გონებაში იშვიათად გაიკიაფებს ნაპერწკალი: სულიერსა და ამაღლებულზე, ზეციურსა და უკვდავზე რომ მიანიშნებს და სასწაულის რწმენას უნერგავს, თუმცა ეს ნაპერწკალი მალევე მიინავლება ისე, რომ კოცონად არ იქცევა და ადამიანიც ისევ იკარგება წვრილმანი საწუხარით ჩამობნელებულ ცხოვრების უღრანში.

რა გავლენას ახდენს მშობელი შვილზე? არის თუ არა გარკვეულ სოციალურ გარემოსა თუ საზოგადოებაში დაბადება ერთგვარი ბედისწერა, რომელიც ადამიანს თავისუფალ არჩევანს უზღუდავს? როგორ უნდა დააღწიო თავი დროისა და ადამიანთა მიერ შექმნილ დამთრგუნველ წესებსა და კანონებს? ამ კითხვების კონტექსტშია რომანის გმირთა ცხოვრება წარმოჩენილი.

თანამედროვე ევროპული ცივილიზაცია, ერთი შეხედვით, ყოველგვარ პირობას უქმნის ადამიანს თავისუფალი ცხოვრებისა და განვითარებისთვის. ადამიანი კი მაინც ვერ გადალახავს დამთრგუნველ მარტოობას, მაინც არ არის ბედნიერი. არის თავისუფალი არჩევანი: პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა, გახსნილია საზღვრები, მაგრამ ადამიანი მაინც ვერ აღწევს თავს საკუთარი თავის ტყვეობას, მას, როგორც ადრე, ისევე აღელვებს რეალობასა და ილუზიურს შორის არსებული გადაულახავი უფსკრული, მოჩვენებითი ზნეობა, ორმაგი მორალი და ყოველივე ის, რაც ასე ნაცნობი და გაცვეთილია, თუმცა მარადის განახლებული და კვლავაც ძველებურად დამტანჯველი.

რომანში, ერთი მხრივ, იხატება თავისუფალი ქალი, ინგრიდი, ჰიპური წარსულით, და მისი ქალიშვილი, უცნაური სახელით — ეიფელ (დედამ სწორედ საზოგადოების მიმართ პროტესტის ნიშნად დაარქვა ქალიშვილს ეს სახელი). მათი ურთიერთობა წარმოაჩენს თაობათა შორის განსხვავებულობასა და დაპირისპირებას, რომელიც ვერ დაიძლევა, რადგან თანამედროვეობა თითქოს ყველანაირად უბიძგებს ადამიანებს არა დაახლოების, არამედ დაშორებისკენ.

მწერლის აზრით, ადამიანის ცხოვრებას განსაზღვრავს მისი ბავშვობა, მშობლებთან ურთიერთობა. ეიფელი, რომელიც გამუდმებით კარგავს შეყვარებულებს და სულ მარტოსულად გრძნობს თავს, წარსულზე ბევრს ფიქრობს, იხსენებს დედასთან ერთად გატარებულ დღეებს: „ჩვენ ძველ, უკვე აშმორებულ საძილე ტომრებში ფიჭვების ხეებქვეშ, გაშლილ კარავში გვეძინა, პლაჟიდან ცოტა მოშორებით. ფიჭვები ფეხებში ნემსებივით გვერჭობოდა, გარშემო დამპალი ბანანის სუნი იდგა. დედა მარტო გრძნობდა თავს, მეც ასევე, მაგრამ ყველაზე საშინელება ის იყო, რომ ეს ორივემ ვიცოდით". „იქნებ დედაჩემიც ოცნებობდა ლამაზ სახლზე, წესიერ სანოლებზე, გრილ, თეთრ, კარგად დაუთოებულ ზეწრებზე, სააბაზანოზე ტუალეტითა და შხაპით, ონკანიდან მომდინარე მტკნარ წყალზე". „საიდანღაც გაიგო, რომ ზაფხულობით ესპანეთში სამკაულების გაყიდვით ბევრი ფულის შოვნა შეიძლებოდა. მე დედას ვეხმარებოდი მარგალიტის მძივების გაკეთებაში, ზოგჯერ რესტორნიდან ვიპარავდი ჩანგლებს, რომელთაც ის ცხელ ქვიშაში დებდა, ვიდრე არ დადნებოდა, მერე სპეციალური იარაღით სამაჯურად გრეხდა".

შემდეგ, როდესაც დედა-შვილმა გაჭირვება გადალახა, წარსულის ტკივილი მაინც დარჩა, როგორც ერთგვარი გადაულახავი კომპლექსი.

ამ რომანშიც აქტუალურია გაუცხოების პრობლემა, როგორც დაუძლეველი ბარიერი ბედნიერების ძიების გზაზე.



რომანში არის ჰომოსექსუალური თუ ლესბოსური სიყვარულიც და ეს ყველაფერი იმისთვისაა დახატული, რომ წარმოჩნდეს დროის მაჯისცემა, სხვადასხვა შეხედულებათა, რელიგიურ აღმსარებელთა სწრაფვა ცხოვრებაში საკუთარი ადგილის მოპოვებისა და თავისი წილი ბედნიერების მოსაპოვებლად.

რომანი სავსეა დრამატული ისტორიებით, რომლებიც მკითხველს დააფიქრებენ საკუთარ არჩევანსა და ცხოვრებაზე. ლაღი, ექსპრესიული თხრობა მწერალს საშუალებას აძლევს, გაიყოლიოს მკითხველი და შეუნელებელი ინტერესით ჩააკითხოს მთელი ტექსტი. კინომონტაჟის ტექნიკა, კადრების მონაცვლეობა ქმნის თხრობის საოცარ დინამიკას.

რომანში ერთმანეთს უპირისპირდება ბავშვის აღქმული ფერადოვანი, ცოცხალი, სიყვარულით აღსავსე ბედნიერი სამყარო, რომელიც დაძლევს ნებისმიერ რეალურ დაბრკოლებას და ყოველივეს ზღაპრულად აქცევს და დიდების ნაცრისფერი, გამოუვალი, უგზოუკვლო ცხოვრება. პატარა ეიფელი, მშობელი რომ უკრძალავდა დედის დაძახებას სახელით მომმართეო, ასე ოცნებობდა: „მიყვარს ყვავილების ბაღში ბალახში წოლა, ყაყაჩოს ქვემოდან ცქერა, რამდენიმე მსუქანი ბაზი რომ დაბზუის თავზე, ხარბად ეტანებიან მის წითელ ფოთლებს და მთელ ყვავილს აცახცახებენ. უცნაური მწერია ეს ბაზი, ისე გამოიყურება, გეგონება, საკარნავალო კოსტიუმი აცვია. ხშირად წარმომიდგენია, როგორ იხდის ის საღამოობით საკარნავალო კოსტიუმს, კიდებს ლურსმანზე, ნაცრისფერი გაშიშვლებული, გამხდარი ტანით ერთ პაწაწინა მაგიდასთან ჯდება და კოვზით თაფლს შეექცევა გაძღომამდე“. მერე, ზრდასთან ერთად, ეს ყოველივე სადღაც ქრება და ყოველი ჯურღმულის გამნათებელი წარმოსახვის ცეცხლიც მიინავლება. ადამიანი რჩება უხეში რეალობის პირისპირ და თავგზააბნეული ათასნაირი ტკივილის კედელს განწირული აწყდება.

რომანში ადამიანთა სწრაფვა უშუალო, წრფელი ცხოვრებისა და ურთიერთობისაკენ მყღავნდება ნუდისტური პლაჟების სიყვარულშიც. ეიფელი დედასთან ერთად დასეირნობს შიშველ ადამიანთა გარემოცვაში. მათ არ რცხვენიათ სიშიშვლისა, თითქოს ამგვარად გამოხატავენ პირველყოფილი უცოდველობისა და უმანკოებისკენ სწრაფვას, ადამ და ევას სამოთხისეული ცხოვრების არაცნობიერ თუ ცნობიერ მონატრებას, როდესაც უხილავსა და ღვთაებრივს პირისპირ ჭვრეტდნენ და ჰქონდათ კავშირი ზეციურთან. ახლა კი ღმერთდაკარგულნი, თითქოს ჩინდაკარგულნიც, ამაოდ დაბორიალობენ სიცოცხლის საზრისის ძიებაში.

თუმცა ეს ნუდისტური პლაჟებიც ერთგვარი ფარისევლობაა, რადგან აქაური სიშიშვლეც ერთგვარი ნიღაბია, მათ ჭეშმარიტ მესა და სახეს რომ მალავს. ფიზიკური გაშიშვლება ვერ ათავისუფლებს მათ სულს ათასგვარი სამოსისგან. წესისა და კანონის სახით რომ შეუმოსავს მათი სული და საგანგებოდ შეუნიღბავს, ამიტომაც არის, რომ ნაცნობები, მეგობრები, ნათესავები რეალურად, არსებითად, არ იცნობენ ერთმანეთს. ეს მხოლოდ სხეულებრივი ნაცნობობაა.

ხანდახან, და საბედნიეროდ, ხშირადაც, ადამიანთა ურთიერთობაში ჩნდება სიყვარულის, თანაგრძნობის, დახმარების წყურვილი და მაშინ იბადება საოცარი სითბო, რომელიც გაუცხოების ყინულს ადნობს, თუმცა ეს მხოლოდ ეპიზოდურია და ძირითადად მაინც ცალ-ცალკე გამოკეტილ კოშკში შეყუჟულან ადამიანები. უფარდო ფანჯრები და სხვადასხვა ენაზე თავისუფალი საუბარი, ინტერნეტი, სოციალური ქსელები — თანამედროვე ადამიანს არ უქმნის იმის განცდას, რომ ადამიანთა შორის მეფობს ნამდვილი სიყვარული.

ერთნაირად განიცდიან ბედნიერების ამაო დევნას რომანის ქმრიანი თუ უქმრო ქალები. მშვენიერი ჰაიკე, რომელსაც, ერთი შეხედვით, არანაირი მიზეზი არ უნდა ჰქონოდა ტანჯვისა, მოულოდნელად თავს იკლავს. მაგრამ ეს „მოულოდნელობა“ ჩვეულებრივი ღალატით იყო განპირობებული. ეს სურათი გაუფერმკრთალებლად დარჩა ბავშვის ცნობიერებაში, ბავშვისა, რომელიც პირველად შეხვდა სიკვდილს: „დავინახე ჩვენი საცურაო აუზიც და ისიც, რომ ის შიგ დაცურავდა. წითელყაყაჩოებიანი თეთრი ბიკინი ეცვა, ზურგზე იწვა, მაჯებზე თხელი, წითელი გადასახვევი მოუჩანდა, რომლებიც წყალში თანდათან იხსნებოდა, „რა ლამაზია“ — გავიფიქრე. ის წუთი, როცა ადამიანი რაღაცას გააცნობიერებს, აღარასოდეს დაავიწყდება. სხეული თითქოს ტვინზე ადრე აცნობიერებს“.

რომანში არ არის იმის ანალიზი, იყო თუ არა ეს ტრავმა მიზეზი იმისა, რომ ტიმი როცა გაიზარდა, ტრანსვესტიტ თინად იქცა, მაგრამ ერთი რამ ცხადია, არაფერი უკვალოდ არ იკარგება და ყველა შემთხვევა თავისებურად, მეტ-ნაკლებად, განსაზღვრავს ადამიანის მომავალს.

რომანში ერთმანეთს ენაცვლება ცივი ჰანოვერი და ცხელი ტორემოლინო (ესპანეთი). პერსონაჟები თავიანთი სამშობლოს სიცივეს გაურბიან და სითბოს სხვა ქვეყანაში დაეძებენ, თუმცა, მწერლის აზრით, რომელიც მოთხრობილი ამბების მიღმა მოჩანს, ადამიანებმა სითბო თავიანთ გულში უნდა აღმოაჩინონ და მაშინ ეს სულიერი სითბო მატერიალურ სამყაროსაც სინათლისა და სითბოს ტალღებად მოეფინება.

ანჟელიტა, სუზი, ინგრიდი... ისინი სხვადასხვა ასაკის, გარეგნობის, ეროვნების, გემოვნებისა და მისწრაფებათა ადამიანები არიან, მაგრამ ყველას ერთი რამ აერთიანებს, დიდ სიყვარულთან, როგორც სასწაულთან, შეხვედრის მოლოდინი. ერთ ეპიზოდში ანჟელიტა შემთხვევით უცხო სახლში ჩაიკეტება, მაგრამ ეს ტყვეობა კი არ თრგუნავს, არამედ თითქოს ყოველდღიური რუტინისაგან ათავისუფლებს: „ანჟელიტა გისოსებიდან გასცქეროდა ჩაბნელებულ ღამეს. გარშემო სინათლე არსად ჩანდა. ჭრიჭინები ჭრიჭინებდნენ. კიდევ კარგი, აქ მაინც იყო შედარებით სიგრილე, ვიდრე დაბლა, ცენტრში. ანჟელიტა მაგრად მიეკრა გისოსებს, გარედან შემოჭრილი სუფთა ჰაერი რომ ჩაესუნთქა. უცბად სასიამოვნო სიმშვიდე იგრძნო, როცა გააცნობიერა, რომ, როგორც იქნა, ერთი საღამო ოჯახისგან თავისუფალი იყო.დიახ, არც კლიენტთან ლაპარაკი მოუწევდა, არც ოჯახის წევრებთან ლაყბობა, არც სახლის საქმეები, არც უფროს გოგოსთან ჩხუბი, არც — მთვრალ ქმართან, არც ურთიერთობა მომაბეზრებელ დედამთილთან — ყოველივე ამისგან ამ საღამოს დაისვენებდა“.

უცხო ქალთან, სუზისთან, გამოკეტილი ანჟელიტა სასიცოცხლო ძალთა მოზღვავებას იგრძნობს და გულის გადაშლა მოუნდება: „ჩემს ბიჭს ვთხოვე, გერმანიაში ჩიტების ჭიკჭიკი მობილურზე ჩაეწერა, ზოგჯერ მანქანით გავდივარ სადღაც ზღვიდან მოშორებით, ტყეში, შევყურებ ფიჭვებს, რომლებიც, მართალია, არ ჰგავს გერმანულ ფიჭვებს, მაგრამ მაინც ხომ ხეებია და ასე ვუგდებ ყურს ამ ჩაწერილ შაშვების გალობას“. ასე წარმოჩნდება მკითხველის წინაშე, ერთი შეხედვით, ცხოვრებისგან გაუხეშებული, პრაგმატული, ანგარიშიანი, მაგრამ სინამდვილეში ნაზი და რომანტიკული ადამიანების სული. მხოლოდ პატარა ბიძგი, პატარა უცნაური შემთხვევაა საჭირო, რომ მათ ნიღაბი მოიხსნან და ნამდვილი სახე გამოაჩინონ.

რომანის ერთ ეპიზოდში ჩართულია ეიფელის ძაღლის, ფროიდი რომ დაარქვა (მარტოობისგან მკურნავსო — „ასე მხოლოდ ფროიდს შეეძლო ადამიანის მოსმენა“), დღიური, რომელშიც წარმოჩენილია, როგორ განიცდის იგი პატრონის უსაშველო გაუცხოებას სამყაროსა თუ საკუთარი თავისაგან.

რომანი სავსეა შეხვედრებითა და განშორებებით, თანმდევი ცრემლიანი სიხარულითა თუ ტკივილით, ვნებების ჭი-

დილით, ამიტომაც მკითხველს ეუფლება განცდა, რომ მოკლე დროში (რომანის კითხვის განმავლობაში) მთელი სისავსით შეიგრძნო ცხოვრების ტკბილ-მწარე გემო.

„— შენ ჩემი ხსნა იყავი.

— შენი ხსნა?! მაგრამ მე ვერ გიხსენი“, — გულისამაჩუყებელია წარსულ სიყვარულთან შეხვედრისას გამართული ამგვარი დიალოგი, მკითხველს რომ არწმუნებს ნამდვილი სიყვარულის წარუვალობას.

ერთ ეპიზოდში, წმინდა იოანეს ღამეს, სუზიმ აღმოაჩინა ბედნიერების საიდუმლო: „შეაბიჯე ცეცხლში, რომელსაც მზე ასხივებს, ყველა უარყოფითი გამოცდილება და ფიქრი დაიწვება, ახალი ძალა წარმოიქმნება, თავიდან დაიწყება ყველაფერი. გადახტი ცეცხლზე და იქნები ბედნიერი. იხარე შენი სიცოცხლის ძალით და გააცნობიერე, რომ მარადიული არაფერია“.

„როცა პატარა ვიყავი, — თქვა ინგრიდმა, წმინდა იოანეს ღამეს მთებზე ცეცხლს ანთებდნენ, იქ პირველი ციცინათელები მოფრინავდნენ და აბრწყინებდნენ იქაურობას.

— მეც ვისურვებდი სიბნელეში ნათებას სიყვარულის მოსაპოვებლად, — ამოიოხრა თინამ“.

ბოლო ეპიზოდში ძველი, გაყრილი შეყვარებული ინგრიდს ეფიცება: „შენ დამესიზმრე, მხოლოდ შენ“.

მწერალი ამ რომანით მკითხველს არწმუნებს, რომ სასწაული აქვეა, ოღონდ მის დასანახად გონებისა და სულის თვალის ახელაა საჭირო, ამიტომაც უნერგავს რწმენასა და გამბედაობას, რომ ხელი გაუწოდოს სასწაულს, იგივე სიყვარულს, რომელსაც სამყაროს შეცვლა და მარადიულ დღესასწაულად ქცევა შეუძლია.

რომანის წაკითხვის შემდეგ მკითხველს მსუბუქ მოგონებად დარჩება რომანიდან დამახსოვრებული სიმღერა: „არ დაიღალო, სასწაულს ყოველთვის ჩუმად, როგორც ჩიტს, ხელი გაუწოდე“.

მანანა გაბაშვილი

კინო და კინომაყურებლის ისტორია

მას შემდეგ რაც სინემატოგრაფის მამამთავრებმა, ძმებმა ლუმიერებმა მატარებლის ცნობილი კადრი („მატარებლის შემოსვლა”) გაუშვეს, რომელზეც სადგურში შემავალი მატარებელი ეკრანზე შემოვარდა, ხოლო თავზარდაცემული მაყურებელი დარბაზიდან გაიქცა, დიდი, თან არცთუ ისე დიდი დრო გავიდა. კინემატოგრაფმა როგორც დოკუმენტურმა, ისე მხატვრულმა ტექნიკური თუ მხატვრული თვალსაზრისით უდიდესი ნახტომი გააკეთა, იგივე უნდა ითქვას კინომაყურებელზეც.

ხელოვნების ახალმა სფერომ, რომელიც სინთეზურია, შეითავსა ლიტერატურა, მხატვრობა, მუსიკა და საზოგადოდ ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფერო — მეცნიერება, ტექნიკა (რომლის განვითარების შედეგიც თავად არის), ასევე პოლიტიკა და სხვ. კინემატოგრაფი გახდა ამ დარგების ყველაზე დიდი პოპულარიზატორი და პროპაგანდისტი. გარკვეულ შემთხვევებში, მან სხვადასხვა დატვირთვასთან ერთად სასწავლო-შემეცნებითი ფუნქციაც შეიძინა. რაც მთავარია, ყველა ამ დარგმა კინოს მრავალი და მრავალფეროვანი მაყურებელი შესძინა.

კინემატოგრაფმა, რომელსაც ახალი სასწაული — მეშვიდე მუზა უწოდეს და დასავლურ სამყაროში დაიბადა, ახლო და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებიც მოიცვა, რამაც კიდევ უფრო გაზარდა კინომაყურებლის სპექტრი.

დროთა მანძილზე სხვადასხვა ქვეყნის კონოსკოლა ჩამოყალიბდა, განსხვავებული ენითა და სტილით, ასევე განსხვავებული კულტურისა და ინტერესების კინომაყურებელი. დღეს აღმოსავლური კინო, რომელიც საერთაშორისო კინოფესტივალების აღმოჩენაა, წარმატებით თანაარსებობს დასავლურ კინოსთან, ისევე როგორც დასავლეთის კინომაყურებელი აღმოსავლეთის კინომაყურებლის გვერდით.

მსოფლიოს კინემატოგრაფში თავისი ადგილი ქართულმა კინომაც დაიმკვიდრა, თავისთავადი და ორიგინალური სტილით, მხოლოდ მისთვის ნიშანდობლივი კინოენითა და გავლილი გზით.

მსოფლიო კინემატოგრაფის ისტორიას, სხვადასხვა ქვეყნის კინომცოდნეები და კინოს ისტორიკოსები სწავლობენ, ზოგიც ამ დარგის კლასიკოსადაა აღიარებული. მაგრამ კინოს ისტორიას აქვს მეორე მხარეც, რომელიც ფაქტობრივად შეუსწავლელია და არ გამხდარა საგანგებო კვლევის საგანი როგორც ჩვენთან, ისე საზღვარგარეთ. მხედველობაში გვაქვს კინომაყურებლის ისტორია, რომელიც კინოსთან ერთად დაიბადა და დღემდე მასთან ერთად თანაარსებობს.

მაყურებლის ისტორია საინტერესოა და მნიშვნელოვანი იმ მხრივაც, რომ კინოს პარალელურად ვითარდება და იცვლება. მისი ფაქტორი თავიდანვე მნიშვნელოვანი იყო და მას სხვადასხვა კუთხით თუ თვალსაზრისით ანგარიში ეწეოდა, რასაც ქვემოთ შევეხებით.

კინოს დაბადების დღედ 1895 წლის 28 დეკემბერია აღიარებული. ამ დღეს ფრანგმა ფაბრიკანტებმა, ძმებმა ლუი და ოგიუსტ ლუმიერებმა პარიზში, კაპუცინების ბულვარზე, „გრან კაფეს” საბილიარდო ინდურ სალონში პირველი ფასიანი, საჯარო კინოჩვენება მოაწყვეს. მათ მიერ მოწვეული 100 სტუმრიდან სეანსს 33 კაცი დაესწრო. მეორე დღესვე ამ სასწაულისა და „გაცოცხლებული ფოტოგრაფიების” სანახავად „გრან კაფეს” მიმდებარე ქუჩები ცნობისმოყვარე ხალხით გაივსო. დაიწყო, როგორც კინოს ისტორიკოსები წერენ, კინოს ტრიუმფალური სვლა. თუმცა თავიდან ძნელი წარმოსადგენი იყო კინო მსოფლიოს მპყრობელი, ყველაზე პოპულარული, ყოვლისმომცველი დარგი თუ გახდებოდა, ხოლო სხვადასხვა ქვეყნის (საფრანგეთი, ინგლისი...) კინოს სახელმძღვანელოების ყდაზე ლუმიერების ცნობილი მატარებელი გამოისახებოდა, ასე რომ დააფრთხო პირველი კინომაყურებლები.

ლუმიერებმა კინოაუდიტორია კიდევ უფრო გაზარდეს და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით ფაქტობრივად მთელი მსოფლიო მოიცვეს. ამით კინოს გამომგონებლებმა ახალ აღმოჩენას საერთაშორისო დატვირთვა მიანიჭეს. უკვე 1896 წელს სხვადასხვა ქვეყნის (ინგლისი, იტალია, გერმანია, შვედეთი, დანია, შვეიცარია, პოლონეთი, რუსეთი, აშშ, მექსიკა, იაპონია...) კინომაყურებელი მსოფლიო მასშტაბით მიიზიდეს და ამით კინო ინტერნაციონალური გახადეს.

იმ ქვეყნებს შორის, ვინც 1896 წელს ლუმიერების რამდენიმე, წამიანი ფილმები („გაწუწული მებაღე,” „ბავშვის საუზმე,” „კედელი” და სხვ.) იხილა, საქართველო და ქართველი მაყურებელიც აღმოჩნდა, რომელიც მსოფლიოში პირველ კინომაყურებელთა რიგში დგას.

ფოტოგრაფმა ალექსანდრე დიღმელოვმა (დიღმელი), რომელიც ქართული კინოს ერთ-ერთი მამამთავარია და რომლის კინობიოგრაფიაც ვასილ ამაშუკელისგან განსხვავებით გაცილებით ხანგრძლივი აღმოჩნდა, კინომაყურებელთა აუდიტორია კიდევ გააფართოვა. მან ძმები ლუმიერების აპარატი (თავიდან სინემატოგრაფი რომ ერქვა) შეიძინა და მათი ფილმები საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოსახლეობას აჩვენა, რითაც საქართველოში კინომაყურებლის აუდიტორია მნიშვნელოვნად გაზარდა.

ლუმიერების ფილმები ატრაქციონად არის შეფასებული. მას მასობრივი სანახაობის ხასიათი ჰქონდა და ყველგან სიახ-

ლით გატაცებულ, ცნობისმოყვარე მაყურებელს იზიდავდა. მათთვის ეს იყო საოცარი და უჩვეულო. ასე რომ, კინოს გარიჟრაჟზე, თამამად შეიძლება ითქვას, კინომაყურებელი ყველგან ერთნაირი იყო — უპრეტენზიო, გაოცებული და აღტაცებული.

აღსანიშნავია, რომ პირველ კინომაყურებელთა შორის აღმოჩნდნენ საზოგადოების ყველა — მაღალი თუ დაბალი წრის წარმომადგენლები, რის გამოც კინო თავისი ხელმისაწვდომობის მხრივაც საერთო-სახალხო სანახაობად იქცა. მათ შორის იყვნენ ევროპის მონარქები, პოლიტიკოსები და სხვ.

თავდაპირველად ფილმებს მიუზიკ-ჰოლებში, თეატრებში, მუზეუმებში, კარვებშიც კი უშვებდნენ, რასაც ე.წ. „ტაპიორების" მუსიკალური გაფორმება და დიალოგების გამხმოვანებლები ახლდა. მაგრამ უკვე გარკვეულ ეტაპზე გაჩნდა კინოთეატრები, როგორც ელიტარული (ძვირი ბილეთებით), ისე მასისთვის ხელმისაწვდომი, იაფი. პირველ კინომაყურებელთა შორის იყვნენ მოზარდები და ბავშვებიც, რომელთა დასწრებამ, მაგალითად, შვედეთში, იმდენად საგანგაშო ხასიათი მიიღო, რომ სპეციალური დადგენილებით დარეგულირდა კინოსეანსებზე მათი დაშვება.

ყველგან და მათ შორის საქართველოშიც კინომაყურებელთა რიცხვის ზრდის პარალელურად იზრდებოდა კინოთეატრების რიცხვიც. 1904 წლიდან თბილისში გაიხსნა — „აპოლო," „სკიფი," „ერანი," „კოლიზეი" და სხვ. 1905 წელს კი მუშტაიდის ბაღში საზაფხულო კინოთეატრი, რომლის ინიციატორიც ქართული კინოს მოამაგე ივანიცკაია იყო. 1904 წლიდან კინოთეატრები ფუნქციონირებას იწყებენ ქუთაისში.

საინტერესოა, რომ პირველ კინომაყურებელთა რეაქციები არ ყოფილა ერთგვაროვანი. ასე მაგალითად, თუ რუსეთის იმპერატორსა და მის ოჯახს (ევროპის სხვა მონარქების მსგავსად) სინემატოგრაფი მოეწონა, ქვეშევრდომებმა 1897 წელს ნიჟნი-ნოვგოროდში ის ეშმაკისეულად მიიჩნიეს. შიშისგან ჯერ პირჯვარი იწერეს, შემდეგ კი ეკრანი და სათავსი, სადაც კინოჩვენება მიმდინარეობდა, დაარბიეს და მერე დაწვეს. კინოჩვენების ორგანიზატორმა მესგიშმა კი ცოცხალმა ძლივს გაასწრო. ამ მხრივ საქართველოში სრული სიმშვიდე იყო.

მიუხედავად ექსცესებისა, კინემაყურებლთა რიცხვი სულ უფრო იზრდებოდა და მან რეკორდულ მაჩვენებელს პარიზის მსოფლიო გამოფენაზე მიაღწია. კინოჩვენებას (400 კვ.მ. ეკრანზე) 25 000 მაყურებელი დაესწრო, რაც 15 დღის განმავლობაში გაგრძელდა.

კინოს დაბადებასთან ერთად დაიწყო კინომაყურებლისთვის ბრძოლაც, რისთვისაც კინემატოგრაფის მესვეურნი ყველა ხერხს მიმართავდნენ. კინოაპარატს ქუჩაში დგამდნენ და სახელურს ატრიალებდნენ. ზოგ შემთხვევაში მათ ირგვლივ შემოკრებილ ხალხს იღებდნენ, ზოგჯერ კი მათ ამის ილუზიას უქმნიდნენ და თავისი თავის სანახავად კინოთეატრებში წასვლისკენ მოუწოდებდნენ და სხვ. საერთოდაც ლუმიერების ფილმებში ისედაც ჩვეულებრივი გამვლელები მონაწილეობდნენ, ასევე მათი ნათესავები და ახლობლები. მაგალითად, მატარებლის ცნობილ სცენაში სადგურის ბაქანზე, ბავშვებთან ერთად, ძმები ლუმიერების დედა დგას.

მაგრამ მალე კინომაყურებელს მობეზრდა ლუმიერების ერთიდაიგივე ფილმები. მათ უკვე აღარც ეკრანზე გამოჩენილი მატარებლის ეშინოდათ და არც ეკრანიდან დარბაზის მიმართულებით გამოსროლილი ტყვიის. ამას დაემატა კინოსთან დაკავშირებული პირველი დიდი ტრაგედია, როდესაც ცეცხლის გაჩენის შედეგად, 1897 წელს, პარიზში, 121 კინომაყურებელი დაიღუპა.

მიუხედავად იმისა, რომ ძმები ლუმიერების აღმოჩენამ მსოფლიო აღიარება მოიპოვა, ძმებს სინემატოგრაფი ხელოვნებად არ მიაჩნდათ. მათ ის დროებითი მოვლენა ეგონათ, რომელიც ხალხს გასართობად შესთავაზეს და ფულის მოგებას ჩქარობდნენ.

ფრანგი ჟორჟ მელიესი, ფოკუსების თეატრის „რობენ-უდენის" თეატრის პატრონი, ის პიროვნება აღმოჩნდება, ვისი სახელიც კინემატოგრაფის ახალ დაბადებასთან ასოცირდება. ჩვენი აზრით, მის სახელს უნდა დავუკავშიროთ ახალი ტიპის კინომაყურებლის დაბადებაც.

აღსანიშნავია, რომ მელიესი იმათ შორის იყო, ვინც ძმებმა ლუმიერებმა 1895 წლის 28 დეკემბერს პირველ კინოჩვენებაზე მიიწვიეს. მან ეს გამაოგნებელი შთაბეჭდილება, როდესაც ფორანში შებმული ცხენი და გამვლელები დარბაზისაკენ წამოვიდნენ, თავის მოგონებებში აღწერა. ასე რომ, მელიესი ერთდროულად მსოფლიოში პირველი კინომაყურებელიცაა და კინორეჟისორიც, ვინც კინოს ტექნიკური შესაძლებლობები გააუმჯობესა, ხოლო კინომაყურებელს ჟანრობრივი მრავალფეროვნება შესთავაზა — თავგადასავლები, კომედიები, მოგზაურობა (მათ შორის, მთვარეზე), ისტორიული და სკაბრეზული თემები, ქრონიკები, ფილმები ურჩხულებზე, რაც კინომაყურებელში მძაფრ განცდებსა და ემოციებს იწვევდა. მანვე კინოს მეშვეობით 1899 წელს დრეიფუსის გახმაურებული საქმე გააშუქა, რითაც კინომაყურებლის სახით, საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენას შეეცადა.

ცნობილია, რომ მელიესი კინოსთან დაკავშირებულ ყველა ოპერაციას მარტო ასრულებდა, მაგრამ მალე ამ სფეროშიც დაიწყო დიფერენცირება. უკვე მის დროს გამოჩნდნენ კინომრეწველები და კინოგამქირავებლები, რომლებიც კინომაყურებელსა და მოგებაზე იყვნენ ორიენტირებულნი.

ჟორჟ მელიესის პოპულარობა კინემაყურებლებში დღითიდღე იზრდებოდა, მათ შორის ახალგაზრდებსა და ბავშვებში, ვისაც მან მრავალი გამაოგნებელი სიახლე შესთავაზა. მას ეძახდნენ „ეკრანის ჯადოქარს," „სპეცეფექტების მამას", „ფერიების აპოლოგეტს," „უდიდეს პოეტს," „კინოს ურჩხულს," ჩარლი ჩაპლინი „შუქის ალქიმიკოსს." ასე რომ, მის ხელში კინო აღარ წარმოადგენდა „ფოტოგრაფიის საწყალ ბიძაშვილს", როგორც მას მანამდე უწოდებდნენ.

კინომაყურებლის აღტაცებას არ ჰქონდა საზღვარი. მაგრამ დრო გადიოდა, ტექნიკა წინ მიდიოდა და ერთ დღესაც კინომაყურებელმა მიიჩნია, რომ მელიესი მოძველდა, ხოლო მისი ტექნიკური საშუალებები დროს ჩამორჩა. მითუმეტეს, კინომაყურებელს აღარ ეშინოდა მისი ურჩხულებისა და მსგავსი ტრიუკების და ბევრ რამეზე, რაზეც მას ადრე შიშისგან სუნთქვა ეკვროდა, ეცინებოდა.

კინომაყურებელმა მას ზურგი შეაქცია.

წლების შემდეგ იგი, ყველასგან მიტოვებული, ცოლის საავჭრო ჯიხურში მჯდარი შემთხვევით აღმოაჩინეს. მართალია დიდადაც შეწუხდნენ და მის დაფასებას შეეცადნენ, მაგრამ კვლავ დაივიწყეს.

მელიესი 1938 წელს სრულ მარტოობაში გარდაიცვალა, მაგრამ მისი სახელი სამუდამოდ შემორჩა კინოს ისტორიას, რადგანაც მან პირველმა კინემატოგრაფის ისტორიაში კინომაყურებელს მხატვრული კინო შესთავაზა, დასაბამი დაუდო მხატვრული ლიტერატურის გადაღებას, დააარსა პირველი კინოსტუდია და სხვ. მაგრამ რაც ასევე მნიშვნელოვანია, მან კინომაყურებლის ისტორიასაც უდიდესი კვალი დაჩნია, გამომდინარე იქიდან, რომ მელიესმა კინო ატრაქციონული სანახაობიდან ხელოვნების დარგად აქცია. ამდენად იგი ახალ ეტაპის საფუძველის ჩამყრელად უნდა მივიჩნიოთ, არა მხოლოდ კინემატოგრაფის, არამედ კინომაყურებლის ისტორიაშიც.

რას ვგულისხმობთ.

ამ პერიოდიდან სხვადასხვა ქვეყნის ისტორია, ტრადიცია და ხელოვნება კინოზე სხვადასხვაგვარად აისახა, რაც მთავარია, მას განსხვავებული ელფერი შესძინა. ასე შეიქმნა ფრანგული, იტალიური, გერმანული, შვედური, დანიური, ამერიკული და სხვადასხვა ქვეყნის კინემატოგრაფი და შესაბამისად გაჩნდა განსხვავებული კულტურისა და ტრადიციების მატარებელი კინომაყურებელიც.

ჩვენი აზრით, სხვადასხვა ქვეყნის კინომაყურებლის ნამდვილი ისტორია ამ პერიოდიდან უნდა დავიწყოთ, როდესაც კი-

ნომაყურებლის დიფერენცირება იწყება, კინომაყურებელთა სპექტრი კი მრავალფეროვანი ხდება — ასაკის, განათლებისა და განსხვავებული ინტერესების მიხედვით. შესაბამისად ჩნდება საბავშვო, ახალგაზრდული, გასართობი, სათავგადასავლო, ინტელექტუალური, საავტორო, კომერციული კინო და სხვ. ეს არის კინოსა და კინომაყურებლის მჭიდრო ურთიერთკავშირისა და ურთიერთგავლენის შედეგიც.

კინოს ისტორიკოსთა აღიარებით, არცერთი ქვეყნის კულტურას ისეთი გავლენა არ მოუხდენია კინოზე, როგორც იაპონური კულტურის თავისთავადობამ იაპონურ კინოზე. იაპონურ ფილმებში, ტრადიციული იაპონური თეატრის (კაბუკის) გავლენით, დიდხანს ქალების როლს მამაკაცები ასრულებდნენ. საერთოდაც იაპონელი კინომაყურებელი, კინემატოგრაფის გაჩენისთანავე, მსოფლიოს სხვა კინომაყურებლებისგან განსხვავებით, ყველაზე იზოლირებული და კარჩაკეტილი აღმოჩნდა. მაშინაც კი, როდესაც ევროპა თავს იცავდა ამერიკული კინოს შემოტევისგან და ამერიკული კინოკოლონიად გადაქცევის საშიშროებაზე ლაპარაკობდა, იაპონელ კინომაყურებელს დიდხანს მხოლოდ საკუთარი კინონაწარმი იზიდავდა.

ვასილ ამაშუკელი

როგორც უკვე ითქვა, კინომაყურებლის მიზიდვისა თუ გადაბირებისათვის ბრძოლა ფაქტობრივად კინოს ისტორიის დაწყებისთანავე დაიწყო. მალე იგი გასცდა სხვადასხვა ქვეყნის ფარგლებს და საერთაშორისო ხასიათი მიიღო. თავიდანვე ორი ფაქტორი მუშაობდა. ერთი — მაღალი ხელოვნება და მეორე — მოგებაზე ორიენტირებული ხელოვნება, რაც ზოგიერთ შემთხვევაში ერთიმეორეს არ გამორიცხავდა.

კინომწარმოებლებმა, ვისთვისაც მატერიალური მოგება უმნიშვნელოვანესი იყო, საამისოდ სხვადასხვა ქვეყნის კინომაყურებლის განწყობის შესწავლა დაიწყეს. ძალიან მალე გეზი საშუალო ფენაზე აიღეს, მის რიცხოვნობაზე. მათ აგრეთვე მხედველობაში მიიღეს, რომ ყველგან კინომაყურებლის ძირითად ნაწილს გასართობი ფილმები, კომედიები და ვესტერნები იზიდავდა. კიდევ ერთი საინტერესო გარემოებაა, რასაც კინოს მესვეურები ასევე მხედველობაში იღებდნენ. მაგალითად, რუს მაყურებელს იზიდავდა ფილმები ტრაგიკული ფინალით (რასაც რუსული ლიტერატურის გავლენითაც ვხსნით), ამერიკელს კი ჰეპი ენდი მოსწონდა.

კინომაყურებლის ფაქტორის მნიშვნელობა არათუ რიგით, არამედ გენიალურ რეჟისორებზეც აისახებოდა. კინოს ისტორიაში იშვიათია შემოქმედი, რომელსაც ამდენი ეპითეტი დაემსახურებინოს, როგორც ამერიკელ დევიდ გრიფიტს: „კინოს მამა," „კინოს გენიოსი," „კაცი, რომელმაც გამოიგონა ჰოლივუდი," „ჰოლივუდის მეფე," „კინოს პირველი დიდი ავტორი," „კინოს გრამატიკის შემქნელი," „კინოს შექსპირი," „ეკრანის ველასკესი" და სხვ. მიუხედავად კინომცოდნეთა ამგვარი შეფასებებისა, მისი ბედი კინომაყურებელმა გადაწყვიტა.

გრიფიტის მიერ გადაღებულ პირველ ფილმს კინომაყურებლის იმდენად დიდი მოწონება ხვდა წილად, რომ მას „ბაიოგრაფმა" ხანგრძლივი ხელშეკრულება გაუფორმა როგორც წამყვან კინორეჟისორს. ცნობილია, რომ გრიფიტის სახელს კინემატოგრაფში მრავალი ტექნიკური და ჟანრობრივი სიახლე დაუკავშირდა. მანვე კინო თეატრალური სტილისტიკისგან გაათავისუფლა. თავიდან იგი კინოს სერიოზულად არ უყურებდა და ვულგარულ საქმიანობადაც კი განიხილავდა, ცხოვრების ბოლოს კი კაცობრიობის ისტორიას ასე ყოფდა: ქვის ხანა, ბრინჯაოს ხანა, წიგნის ბეჭდვისა და კინოს ხანა.

კინომაყურებლის ისტორიასთან მიმართებით გრიფიტის შემდეგი შეხედულებაა მნიშვნელოვანი. მან თავიდანვე მთავარ პრინციპად კინომაყურებლის ინტერესი მიიჩნია. მისი სიტყვით, კინომაყურებელს არ უნდა მოეწყინა. მაგრამ დ. გრიფიტის ტრიუმფის შემდეგ, რასაც თან კინომაყურებლის აღტაცება ახლდა, კინოში მისი კარიერის დასასრულის მთავარი მიზეზი სწორედ კინომაყურებლის მოწყენა და მისი შემოქმედებისადმი ინტერესის დაკარგვა აღმოჩნდა. ჟორჟ მელიესივით იგი თავისი ცხოვრების მთავარ საქმიანობას — კინოს ჩამოაშორეს, ერთხანს ალკოჰოლს მიეძალა.

1948 წელს მარტოობაში გარდაიცვალა.

ამ დროს გრიფიტის ერთ-ერთი დიდი დამსახურება სწორედ მაყურებლის წინაშე მიუძღვის, როდესაც მასზე არსებული სტერეოტიპი დაანგრია.

მაშინ, როდესაც გრიფიტი შემოქმედებით ასპარეზზე გამოვიდა, მიიჩნეოდა, რომ ხანგრძლივი მოცულობის ფილმების ყურება კინომაყურებელს არ შეეძლო. კინოინდუსტრიის წარმომადგენლთა აზრით, ფილმის ხანგრძლივობის გაზრდა მათ მატერიალურ ზარალს მოუტანდა. გრიფიტმა კი თავისი გახმაურებული ფილმით „ერის დაბადება" მაყურებელზე არსებული ეს წარმოდგენა შეცვალა. გარდა იმისა, რომ ამ ფილმის პრემიერას 2500 კინომაყურებელი დაესწრო, ის 15 წლის მანძილზე სრული ანშლაგით გადიოდა. ეს ფილმი კინომაყურებლის უპრეცედენტო რაოდენობამ — 100 მილიონმა ნახა. „ერის დაბადება", რომლის გამოც კინორეჟისორი რასიზმში დაადანაშაულეს, იმ დროისათვის ყველაზე პოპულარული, ამავე დროს ხანგრძლივი იყო ამერიკული კინოს ისტორიაში, ის სამი საათის განმავლობაში გრძელდებოდა. რაც მთავარია, მის შეფასებაში კინომცოდნეები და კინომაყურებლები, რომელთა სპექტრიც ფართო იყო, ერთსულოვანნი აღმოჩნდნენ. მათ შორის აშშ-ს პრეზიდენტი ვუდრო ვილსონიცაა, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა.

მაშინ კინომაყურებლებს შორის იჯდა მწერალი ქალი, რომელმაც „ერის დაბადება" თორმეტჯერ ნახა, ეს იყო მარგარეტ მიტჩელი. სწორედ მისი ნახვის შემდეგ დაებადა იდეა რომანის შექმნისა, რომელიც საფუძვლად დაედება ლეგენდარულ ფილმს „ქარწაღებულნი" ვივიენ ლისა და კლარკ გეიბლის მონაწილეობით.

გრიფიტის შემდეგ ფილმს (1916) „შეუწყნარებლობა" ამერიკელ კინომაყურებელში დიდი ინტერესი არ გამოუწვევია. თუმცა მას კინორეჟისორი თავის საუკეთესო ფილმად მიიჩნევდა, რომლის შექმნისას, როგორც თვითონვე აღნიშნავდა, ფულსა და სალაროს ინტერესებზე არ უფიქრია და არც მატერიალური მოგება მიუღია. მაგრამ თუ რეჟისორის ახალი ფილმი ამერიკელმა კინომაყურებელმა გულგრილად მიიღო, სამაგიეროდ მას დიდი წარმატება ხვდა ინგლისში, რუსეთში, იაპონიაში... ესეც კინომაყურებლის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფურცელია, რადგანაც მსგავსი ბედი არაერთ ფილმს რგებია, როდესაც სხვადასხვა ქვეყნის კინომაყურებელი ამა თუ იმ ფილმს განსხვავებულად აღიქვამს და განსხვავებულადაც აფასებს. საბოლოოდ ეს ფილმიც შედევრად აღიარეს ამერიკის შეერთებულ შტატებშიც.

მსოფლიო კინოს ისტორიაში ერთადერთ შემოქმედად ჩარლი ჩაპლინია მიჩნეული, ვინც შეძლო ყველა ქვეყნისა და დროის, ეროვნებისა და ასაკის, განათლებისა და სოციალური წრის — მდიდარისა თუ ღარიბის გაერთიანება თავისი ფილმების ირგვლივ. მან იუმორით, სიკეთითა და გამჭრიახობით პატარა მაწანწალას უნიკალურ სახეს მიაგნო. პოეტურსა და მეოცნებეს, თან სასაცილოს, მაგრამ კეთილშობილს, ვისაც ცხოვრების ნამდვილი დანიშნულებისათვის მიუგნია.

XX საუკუნის ტექნიკური რევოლუცია, ადამიანის დეჰუმანიზაცია, ძალადობა და სიხარბე, ფულის გაფეტიშება, რაც უამრავ ტრაგედიას მოუტანს ამ საუკუნეს და რასაც ჩაპლინი გენიალური შემოქმედის მახვილი მზერით განჭვრეტს, მის ამ გმირს არ ეკარება. მიუხედავად გაჭირვებისა, იგი კაცთმოყვარეობასა და ღირსებას, ადამიანურ სახეს ინარჩუნებს.

ჩარლი ჩაპლინის ფილმებზე (რომლის რეჟისორი და სცენარისტი, მოგვიანებით კი მუსიკის ავტორიც თვითონვეა), მისი კრიტიკის სამიზნეებიც კი სიცილით იხოცებოდნენ. მათ შორის ფულის გამო გაგიჟებული რეალური პროტოტიპები ფილმისა „ოქროს ციებ-ცხელება." იმ დროს, როდესაც გაშმაგებული ოქროსმაძიებლები ლამის კაციჭამიებად ქცეულიყვნენ, პატარა მაწანწალა მთავარს — სიყვარულს ეძებდა.

ჩაპლინის კინომაყურებლებს შორის გენიალური ფიზიკოსი ალბერტ აინშტაინიც იყო, რომელიც ამ ფილმს ასეთი წერილით გამოეხმაურა: „ოქროს ციებ-ცხელება" მსოფლიოში ყველასთვის გასაგებია, ამიტომ თქვენ აუცილებლად გახდებით დიდი ადამიანი ამაზე ჩაპლინმა მეცნიერს მახვილგონივრულად უპასუხა: მე თქვენით კიდევ უფრო ვარ აღფრთოვანებული, თქვენი ფარდობითობის თეორია მსოფლიოში არავის ესმის, მაგრამ მაინც დიდი ადამიანი გახდითო.

ინგლისელ დრამატურგ ბერნარდ შოუს ჩაპლინი კინოს სამყაროდან გამოსულ ერთადერთ გენიოსად მიაჩნდა.

ყველა კინომცოდნის საერთო აზრი კი ასეთია: იშვიათია ვინმეს კინომაყურებლისთვის ასეთი სიამოვნება, სიხარული და შვება მოეტანოს, როგორც ჩარლი ჩაპლინმა გააკეთა, მაშინ, როდესაც ადამიანებს ეს ყველაზე მეტად სჭირდებოდათ.

ჩაპლინის შემოქმედებამ უდიდესი გავლენა მოახდინა XX საუკუნის ავანგარდულ ხელოვნებაზე. 1972 წელს მან საპატიო „ოსკარი" მიიღო იმ ფასდაუდებელი ღვაწლის გამო, რის შედეგადაც XX საუკუნეში კინემატოგრაფი ხელოვნების დარგად გადაიქცა. მხოლოდ ერთხელ დამარცხდა, როდესაც სანფრანცისკოში ინკოგნიტოდ მიიღო მონაწილეობა მის მიერ შექმნილი პატარა მაწანწალის მიმბაძველთა კონკურსში და ფინალშიც კი ვერ შეძლო გასვლა. ეს ამბავი მაგონებს საფრანგეთში საუკუნეების წინათ გამართულ კონკურსს. კონკურსის მონაწილეს (ფარდით დაფარულს) გოჭის ჭყვიტინისათვის უნდა მიებაძა. გაიმარჯვა მსახიობმა კოკლენმა, ნამდვილი და ერთადერთი, კონკურსში მონაწილე გოჭი კი დამარცხდა.

ცხადია, კინომაყურებლები იყვნენ ის ვანდალებიც, ვინც 1978 წელს ფულის გამოძალვის მიზნით, შვეიცარიაში ჩაპლინის საფლავი გახსნეს და მიცვალებული გაიტაცეს. ასეთი ველური კინომაყურებლისგან მის საფლავს ამჟამად სქელი და ღრმა ბეტონი იცავს.

გენიალური მხატვრის პაბლო პიკასოსათვის ბავშვების ნახატები, სისადავითა და გულწრფელობით გამორჩეული, შთაგონების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა. ჩარლი ჩაპლინიც თავის ფილმებს თავდაპირველად ბავშვებს უჩვენებდა, მათ რეაქციებს აკვირდებოდა, რის შემდეგაც ახალი ფილმის კორექტირებას მიმართავდა. ესეც კინომაყურებლის ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო მხარეა, ისევე როგორც ქალების თემა კინოში და კინომაყურებელი ქალები, რომლებიც მრავლად იყვნენ კინოდარბაზებში და განსაკუთრებულ ატმოსფეროსაც ქმნიდნენ. ამიტომ კინომრეწველებმა, ვისთვისაც მატერიალური მხარე მთავარი იყო, ქალების ფაქტორი მხედველობაში მიიღეს და ქალ კინომაყურებელზე გათვლილი ფილმების დაფინანსება დაიწყეს. ასეთ ფილმებში გარდა ქალებისა, ზოგჯერ ქალებად გადაცმული კაცებიც მონაწილეობდნენ. იტალიურმა კინომ ქალი კინომსახიობებისაგან ე. წ. „დივები" შექმნა, გერმანულმა გერმანელი ქალის იდეალი, ჰოლივუდმა ქალ კინოვარკვლავთა სისტემა და სხვ. მათ დიდი ანაზღაურება ჰქონდათ და დიდი მოგებაც მოჰქონდათ კინოინდუსტრიისათვის.

ისტორიას შემორჩა რუდოლფო ვალენტინოსადმი, იდუმალებით მოსილი ამ კინოგმირისადმი თაყვანისცემა, რომლის ეკრანზე გამოჩენასაც ქალთა ისტერიკები და გულისწასვლები ახლდა და მოსულიერების გრძელი პროცედურები. ამ ლეგენდად ქცეულ მსახიობს ქალებისაგან ყოველდღე ასობით წერილი მისდიოდა. რუდოლფო ვალენტინოს უდროოდ (31 წლისა) გარდაცვალების შემდეგ კი, 30 წლის მანძილზე, მის საფლავზე ამერიკელი ქალები ყოველდღე ყვავილებს დებდნენ. ამერიკული კინოს ვარსკვლავთა — მერი პიკფორდისა და დუგლას ფერბენქსის — დაქორწინება ამერიკელმა კინომაყურებელმა ლამის ეროვნულ დღესასწაულად აქცია. მათ კინომაყურებლებისგან 300 მილიონი წერილი და მისალოცი ბარათი მიიღეს.

საზოგადოდ კინომაყურებლები (განსაკუთრებით ამერიკელები) ყოველთვის აქტიურად ადევნებდნენ თვალს საყვარელ კინომსახიობთა პირად ცხოვრებას და მათი დამოკიდებულება და რეაქციებიც დროის შესაბამისი იყო. არ პატიობდნენ ოჯახის სიწმინდის შებღალვას, სხვისი ოჯახის დანგრევას, იმ ზედმეტ თავისუფლებას, რითაც დღეს ზოგიერთი კინოვარსკლვავი ბრავირებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. კინომაყურებლები ვერ ეგუებოდნენ და ზოგჯერ არც პატიობდნენ საყვარელ კინომსახიობებს სამოღვაწეოდ სხვა ქვეყნებში გადასვლას. მაგალითად, როდესაც რომი შნაიდერი ავსტრიიდან (კინომაყურებლებისათვის უსაყვარლესი სისის სახის შემქნელი) საფრანგეთში გადავიდა და ფრანგული კინოს ვარსკვლავი გახდა, თანაც ალენ დელონთან რომანი გააბა, გაბრაზებული ავსტრიელი კინომაყურებლები მას კახპას ეძახდნენ. სამაგიეროდ, ფრანგ კინომაყურებლებს უსაზღვროდ მოსწონდათ ამ ულამაზესი წყვილის რომანი და შემოქმედებითი კინოდუეტი.

კინომაყურებლები არათუ მსახიობებს, არამედ მათ მიერ განსახიერებულ გმირებსაც ბაძავდნენ. ვინ იცის, მსოფლიოში რამდენი კინომაყურებელი დაიმტვრა, როდესაც ფილმ „ტარზანის" ნახვის შემდეგ ტარზანივით ტოტიდან ტოტზე გადახტომას ცდილობდა. აღსანიშნავია, რომ ასაკში შესულ მარჩელო მასტროიანისაც კი (რომელსაც ფელინისთან უკვე ბრწყინვალე როლები ჰქონდა შესრულებული და სოფი ლორენთან ერთად უკანასკნელ საუკეთესო კინოდუეტად მიიჩნევა) იმდენად უნდოდა ტარზანის როლის შესრულება, რომ ხეზე ასვლა და ერთხანს იქ ცხოვრება ჰქონია გადაწყვეტილი. თუ მხედველობაში მივიღებთ სიზარმაცეს, რომელზეც მუდმივად ლაპარაკობდა, ეს მისი მხრიდან ნამდვილი გმირობა იყო. მაგრამ აქ კიდევ ერთი მომენტია გასათვალისწინებელი. მარჩელო მასტროიანი ამ შემთხვევაში კინომაყურებელია, რომელზეც ფილმმა „ტარზანი" ასევე დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა. სხვათა შორის, მარჩელო მასტროიანიმ კიდევ ერთი თემა ამომიტივტივა. ეს არის კინომსახიობისა და კინომაყურებლის ურთიერთობა, მათი შეხვედრები თუ კონტაქტები, რომელიც თავის მხრივ ასევე საინტერესოა.

მარჩელო მასტროიანის მასპინძლები თბილისში (საბჭოთა პერიოდია) ასევე მისი კინომაყურებლები იყვნენ, ქართული კინოსა და ქართული ინტელიგენციის მაშინდელი წარმომადგენლები (რევაზ თაბუკაშვილი, მედეა ჯაფარიძე...). უკვე ასაკში შესული იტალიელი კინოვარსკვლავი, განსხვავდებოდა მასზე შექმნილი წარმოდგენისგან, ყველაფრის მიმართ ინდიფერენტული სასმელს ეძალებოდა. მაგრამ ქართული ხალხური სიმღერების მოსმენისას დიდი მსახიობი უცბად გარდაიქმნა და თვალები ცრემლით აევსო.

კურიოზს უფრო ჰგავდა (ასევე საბჭოთა პერიოდში), ის, რაც ჩემ ერთ ნაცნობს შეემთხვა. ერთ თბილისურ ოჯახში სტუმრად მისული, სადაც წყვილები მელოდიური, ნელი მუსიკის ქვეშ ტაატით ცეკვავდნენ, ერთ-ერთი მოცეკვავე მან მსოფლიო კინოვარსკვლავ ვიტორიო გასმანს მიამსგავსა, რომელიც მისდა გასაოცრად ვიტორიო გასმანი აღმოჩნდა.

მახსოვს თბილისის კინოს სახლში ცნობილ ამერიკელ კინოვარსკვლავ რობერტ რედფორდთან შეხვედრაც, რომელიც გადაჭედილი იყო მისი თაყვანისმცემელი კინომაყურებლებითა და კინოს სამყაროს წარმომადგენლებით. ეს უნიჭიერესი და ეკრანზე ულამაზესი მამაკაცი, ცხოვრებაში ყოვლად ჩვეულებრივი, შეუმჩნეველიც კი იყო.

საზოგადოდ, თბილისში მსოფლიო სახელის მქონე სხვადასხვა კინოვარსკვლავთა ვიზიტები დროისა და პოლიტიკური ვითარების მიხედვითაცაა განსხვავებული და ამიტომ საინტერესოც. რობერტ დენიროს ქართული საბჭოთა კინოს წარმომადგენლები მასპინძლობდნენ, რომლებიც კინომაყურებლისგან მის დისტანცირებას ცდილობდნენ იმ ჰიპერბოლიზებული მასპინძლობით (გასტრონომიული თვალსაზრისითაც), რაც უხერხულ მომენტებს ქმნიდა.

დამოუკიდებელ საქართველოში კი შარშან, ცნობილი ამერიკელი კინოვარსკვლავი შერონ სტოუნი ჩამოვიდა, რომლის ძირითადი, თანაც საკმაოდ ექსცენტრიული მასპინძლები (კინოვარსკვლავის რეაქციებიდანაც გამომდინარე) იყვნენ — საქართველოს პრეზიდენტი (მიხეილ სააკაშვილი) და ნაციონალური ხელისუფლების წარმომადგენლები, რომელთა შორის დღეს ზოგი ძებნილია და ზოგიც დაპატიმრებული.

შერონ სტოუნი, რომლის ინტელექტუალური კოეფიციენტი 154-ს აღემატება და გენიალური ალბერტ აინშტაინისას უტოლდება, ნობელის პრემიის ლაურეატთა მიერ მინიჭებული ნობელის პრემიის ლაურეატია მშვიდობის დარგში, ასევე მსოფლიო მასშტაბით ცნობილი ქველმოქმედი. იგი აქტიურად გმობს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას ავღანეთსა და ერაყში. მას მთელი მსოფლიოს მასშტაბით ჰყავს თავდადებული და მასზე ფანატიკურად შეყვარებული კინომაყურებლები, რომლებიც შერონ სტოუნში არა მხოლოდ სექს სიმბოლოს ხედავენ (ამ სტერეოტიპის დანგრევას თავად მსახიობი ყოველთვის ცდილობდა), არამედ ინტელექტუალური როლების შემსრულებელ უნიჭიერესსა და უდიდესი ხიბლის კინომსახიობს.

შერონ სტოუნი თბილისში ფილმის, „აგვისტოს ხუთი დღის" (2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომზეა) პრემიერას რეჟისორ რენი ჰარლინსა და ამერიკული კინოს ასევე დიდ კინოვარსკვლავ, საქართველოს პრეზიდენტის როლის შემსრულებელ ენდი გარსიასთან ერთად დაესწრო. მაგრამ ამ 20 მილიონიანი ბიუჯეტის ფილმმა მხატვრული თვალსაზრისით იმედები ვერ გაამართლა და ქართველ კინომაყურებელშიც სათანადო გამოძახილი ვერ ჰპოვა.

პრემიერაზე ახალმა ქართველებმა, ანუ გამდიდრებულმა, ახალი ტიპის კინომაყურებლებმა შერონ სტოუნის გვერდით დაჯდომის უფლება უბრალოდ იყიდეს — 20 000 ლარად კობა ნაყოფიამ. რაც შეეხება ბილეთების ფასებს, ის მრავალი რიგითი ქართველი კინომაყურებლის რამდენიმე წლის შემოსავალს აღემატებოდა. თვითონ ენდი გარსია კი კინომაყურებლებისადმი მიმართვებში საკმაოდ უფერულად გამოიყურებოდა და გასტრონომიულ თემებსაც ვერ ასცდა. მან განაცხადა, რომ საქართველოში საჭმელი მოეწონა, მაგრამ ადამიანებს მაინც გამოჰყოფდა.

ვფიქრობ, შერონ სტოუნი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-თან ვიზიტით, მასთან საუბრით, ქართული საგალობლების (მათ შორის ილია II-ის ავტორობით) მოსმენით გამოწვეული ემოციებითა და ცრემლებით საქართველოს ჭეშმარიტ სულს ჩაწვდა, ისევე როგორც ჭეშმარიტი ქართველი კინომაყურებლის ნამდვილ სამყაროს.

განსაკუთრებული ფურცელი, თანამედროვე საქართველოს კინომაყურებლის ისტორიაში, ფრანგმა კინოვარსკვლავმა ფანი არდანმა ჩაწერა. იგი ამა წლის 24 ოქტომბერს, თბილისში (კინორეჟისორის რანგში) თავისი ფილმის „აკვიატებული მელოდიები" მსოფლიო კინოპრემიერის გასამართავად ჩამოვიდა. ასე რომ, მისი გადაწყვეტილებითა და სურვილით — ამ ფილმის პირველი კინომაყურებლები ქართველები აღმოჩნდნენ.

ფანი არდანის (რომელიც თეატრის მსახიობიცაა), ერთდღიანი ვიზიტი წმინდა პროფესიული იყო. სატელევიზიო გამოსვლა, პრესკონფერენცია, კულტურის მინისტრთან შეხვედრა, მარჯანიშვილის თეატრში მასტერ კლასის ჩატარების სურვილი, რაც დიდძალ თაყვანისმცემელთა მისვლის გამო, კითხვა-პასუხის ფორმატით შეიცვალა. პროფესიონალებსა და კინომაყურებლებთან ამ შეხვედრის მთავარი ხიბლი (მასზე დასწრება თავისუფალი იყო) მისი ხელმისაწვდომობა გახლდათ. იგი ღირსეულ, საინტერესო და გონიერ პიროვნებად წარმოჩნდა (განათლებით პოლიტოლოგი, კარგად ფლობს ინგლისურს და მას ჰოლივუდის ფილმებშიც იღებენ), მან ქართველი სპეციალისტებისა და კინომაყურებელთა დიდი სიმპატია დაიმსახურა.

ფანი არდანმა აღნიშნა, რომ საქართველოსა და შავ ზღვას ჯერ კიდევ მედეას როლის შესრულების დროს გაეცნო და მისთვის ამ უცხო სამყაროს ხიბლიც მაშინ შეიგრძნო. ამ ქვეყნის ბუნება და სულიერება, რომანტიკულობა მიზეზი გახდა საქართველოთი, მისი კულტურით დაინტერესებისა, რის გამოც მან მოწვევა სიამოვნებით მიიღო. სახელოვანი ქართველი კინორეჟისორებიც (მ. კალატოზოვი, ო. იოსელიანი, თ. აბულაძე) მოიხსენია. თუმცა კითხვაზე: რამდენად იცნობს იგი უახლეს ქართულ კინოს — უარყოფითი პასუხი გასცა.

მნიშვნელოვანი იყო კინოვარსკვლავის დამოკიდებულება პროფესიული საქმიანობისადმი. მან აღნიშნა, რომ საქმეს სიყვარულით უდგება, რომელიც არც ფულში და არც კარიერაში არ გაუცვლია.

რუსეთში გადაღებულ ფილმში „რასპუტინი" (2013) არდანი ნიკოლოზ II-ის მეუღლის, დედოფალ ალექსანდრა ფეოდოროვნას როლს ასრულებს. ამ ფილმის რეჟისორი ქართველი ირაკლი კვირიკაძეა, რომელმაც რასპუტინის რილში, ასევე ფრანგული კინოს ვარსკვლავი ჟერარ დეპარდიე გადაიღო.

ქართველ კინომაყურებელთა კარგად ცნობილი დეპარდიე ფანი არდანის პარტნიორია ტრიუფოს გახმაურებულ ფილმში „მეზობლები." არდანის ჩამოსვლამდე ორი დღით ადრე, დეპარდიე ფარულად (კინომაყურებლებისთვისაც კონსპირაციულად) შემოვიდა თბილისში, რითაც დაარღვია საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ. შარშან იგი აფხაზეთში იმყოფებოდა, სადაც ანქვაბს ტურისტების მოზიდვაში დახმარება აღუთქვა. ფრანგმა მსახიობმა თბილისის ერთ-ერთ რესტორანში იქეიფა და რესტორნის კონტინგენტთან, რომელიც ცხადია მისი კინომაყურებელიცაა და რომლითაც დეპარდიე შემოიფარგლა, სურათები გადაიღო. ამის შემდეგ ასევე სასწრაფოდ დატოვა თბილისი. მისი ვიზიტი ნაციონალური პარტიის წარმომადგენლებმა კოალიცია „ქართულ ოცნებასთან" პოლიტიკური პაექრობის მიზნით გამოიყენეს.

კინომსახიობისა და კინომაყურებლის ურთიერთობის მხრივ შემდეგი მომენტიცაა საინტერესო. მსახიობს თავისი თამაშით კინომაყურებლები იმდენად შეჰყავს როლში, რომ ზოგჯერ მაყურებლები მსახიობს მის მიერ შესრულებული როლიდან ვერ ასხვავებენ. ცნობილია და აღწერილიც შემთხვევები, უარყოფითი როლის შემსრულებელი კინომსახიობი შინიდან გამოსვლას რომ ვერ ბედავდა გამძვინვარებული კინომაყურებლის შიშით, რომელიც მას ქუჩაში მისდევდა, ლანძღავდა და საცემრადაც კი მიიწევდა. ის კი არა თეატრის ისტორიიდან ცნობილია ასეთი ფაქტიც, როდესაც სპექტაკლის დროს ექსტაზში შესულ მაყურებელს მსახიობი მოუკლავს.

მსახიობმა ნოდარ მგალობლიშვილმა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" სალონში შეხვედრისას, როლში შესული ასეთი მაყურებლების შესახებ აღნიშნა, რომ „ჯაყოს ხიზნებში" თეი-

მურაზ ხევისთავის როლის შესრულების შემდეგ მას მოსვენებას არ აძლევდნენ, ქუჩაში თათხავდნენ და დიდხანს „ბრინკას" ძახილით მისდევდნენ. ასეთი მაგალითები სხვა მსახიობთა ცხოვრებიდანაც მრავალია.

კინოს ძალა და ზეგავლენა კინომაყურებელზე, მისი მნიშვნელობა თავიდანვე სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებმა გააცნობიერეს — პოლიტიკოსებმა, მეცნიერებმა, ლიტერატორებმა, კომპოზიტორებმა, ტურიზმისა და რეკლამის სფეროს მუშაკებმა...

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ლოიდ ჯორჯის სიტყვები, რომელიც მან დევიდ გრიფიტის ფილმის „ერის დაბადება" ნახვის შემდეგ წარმოთქვა: გრიფიტს ხელთ უპყრია ადამიანთა გონებაზე ზეგავლენის ნიჭიო.

ზოგიერთ ქვეყანაში უკვე ღია პროპაგანდასა და კინომაყურებელზე ნამდვილი ზემოქმედება ხდებოდა, როდესაც კინომაყურებელს მოუწოდებდნენ, რომ ფილმები პოლიტიკაზე, გაფიცვებსა და დემონსტრაციებზე ენახა. მეტიც, მათ ლექციებსაც უკითხავდნენ კინემატოგრაფის თაობაზე. როგორც ჩანს მას შემდეგ, რაც ნიჟნი-ნოვგოროდში პირველმა კინომაყურებლებმა, შთაბეჭდილებით გაგიჟებულებმა, ყველაფერი ნაცარტუტად აქციეს, 1897 წელსვე, რუსეთის ტექნიკურმა საზოგადოებამ იმპერიის დიდ ქალაქებში, ამგვარი კინომაყურებლის მოსათვინიერებლადაც, კინოზე საგანმანათლებლო ლექციასეანსები წამოიწყო. მოგვიანებით რუსმა კინომრეწველმა ა. ხანჟონკოვმა მის მიერ 1915 წელს დაარსებულ კინოჟურნალ „პეგასში" სპეციალური რუბრიკა გამოყო, სადაც კინომაყურებელს სხვადასხვა ფილმზე, თავისი აზრის გამოთქმის საშუალება მიეცა. საზოგადოდ, კინომაყურებლის აზრისა და რეკომენდაციის გათვალისწინებითაც კინომაყურებლები კინოში დადიოდნენ. საინტერესო აღმოჩნდა (ოღონდ თეატრთან დაკავშირებული) ოლეგ ტაბაკოვის, მსახიობისა და თეატრის რეჟისორის მიერ რუსეთში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვა. აღმოჩნდა, თეატრში მისულ მაყურებელთა 90% ნაცნობთა რეკომენდაციით დადის და ირჩევს სპექტაკლებს.

ლიტერატურის გავლენის შესახებ კინემატოგრაფზე ბევრია დაწერილი და მომავალშიც დაიწერება. თუმცა კინოს განვითარების გარკვეულ ეტაპზე პირიქითაც მოხდა. თანამედროვე ამერიკელი მწერალი ტრუმენ კაპოტე ერთ-ერთ ინტერვიუში, რიგითი კინომაყურებლის თვალთახედვიდან, ამბობს: „საერთოდ ბევრმა ახალგაზრდა მწერალმა ბევრი ისესხა კინოტექნიკის ვიზუალური, სტრუქტურული მხარისაგან, მათ შორის მეც." სხვათა შორის ეს ის მწერალია, რომლის რომანების, მოთხრობებისა და სცენარების მიხედვით დაახლოებით ოცი ფილმია გადაღებული.

საინტერესოა, რომ თანამედროვე მწერლობაში იმ ტიპის რომანებიც გაჩნდა (მათ შორის, საქართველოშიც), რომელსაც ლიტერატურის კრიტიკოსები კინორომანის კვალიფიცირებას აძლევენ. ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც კინომაყურებელს შორის ყოველთვის იყვნენ მწერლები, რომლებიც ამ სფეროს გავლენას განიცდიდნენ.

ქართველ ლიტერატურის კრიტიკოსთა თანახმადაც, XX საუკუნის 20-იან წლებში, ქართულ ავანგარდისტულ პროზაში და მოგვიანებითაც ეს გავლენა აშკარა იყო. მათი აზრით, ამ მწერალთა (დემნა შენგელაია, მიხეილ მრევლიშვილი, სტეფანე კასრაძე, პავლე ნოზაძე, ნიკოლოზ გაბაონი...) მხატვრული შემოქმედება, ბევრი თვალსაზრისით, კინოენის პრინციპებზე, კინოს გამომსახველობით საშუალებებსა და თვით კადრირების პრინციპებზეცაა აგებული. ამ მხრივ საინტერესოა კინორეჟისორ ი. პერესტიანის შეხედულებაც. მისი აზრით, ეგ. ნინოშვილი, ალ. ყაზბეგი, გ. წერეთელი და საზოგადოდ ქართველი მწერლები საოცრად კინემატოგრაფიულები არიან. ბევრია ნაწარმოები, აღნიშნავს იგი, რომელთა გაგონება შეიძლება, დანახვა კი შეუძლებელია, ამიტომ მათი ეკრანიზაცია რთულია. ქართველი მწერლები კი ისე წერენ, რომ ყველაფერს ხედავ. ამიტომ, აღნიშნავს ი. პერესტიანი, ქართულმა მწერლობამ ჩვენ მიგვიზიდა და პატიოსნადაც ვმუშაობდით.

პერესტიანი, რომელიც — თანამედროვეთა გადმოცემით — ქცევითა თუ მანერებით ნამდვილი არისტოკრატი ყოფილა, საჭიროდ მიიჩნევს ქართველ კინომაყურებელს ბოდიში მოუხადოს და აი რატომ.

პერესტიანი სხვა ხელოვანთა მსგავსად რუსეთის რევოლუციას გამოექცა და 20-იან წლებში დამოუკიდებელ საქართველოში აღმოჩნდა. მალე, ქართული კინოხელოვნების აღორძინების მიზნით, დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებამ მას, ისევე როგორც რუსეთიდან ჩამოსულ ამ დარგის წარმომადგენლებს, დახმარება სთხოვა, რაზეც სიამოვნებით დათანხმდნენ. ი. პერესტიანი თავის მოგონებებში („75 წელი ხელოვნებაში", 1962) აღნიშნავს, რომ იგი კინომრეწველობასთან დაკავშირებულ იმ აკადემიურ საბჭოში მოხვდა, რომლის სათავეშიც გრიგოლ რობაქიძე იდგა, ბონის ფილოსოფიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული. სწორედ მან შეადგინა კლასიკური ქართული მწერლობის ეკრანიზაციის გეგმა. საინტერესოა, რომ რუსეთიდან ჩამოსულ ხელოვანთ, ი. პერესტიანის სიტყვით, გრ. რობაქიძე, რომელიც შესანიშნავი მთხრობელი იყო, ქართულ მწერლობას აცნობდა, ცალკეული ნაწარმოებთა შინაარსს უყვებოდა და თავად უსვამდა და უცნობიერებდა მათ აუცილებელ აქცენტებს, რითაც, პერესტიანის თანახმად, დააინტერესა ისინი მათთვის უცნობი ლიტერატურით.

რაც შეეხება ბოდიშს, რომელსაც პერესტიანი ქართველ კინომაყურებელს უხდის, ეს გამოწვეული იყო მისი დიდი კულტურით, პასუხისმგებლობითა და პატივისცემით ქართველი ერისადმი. მას მიაჩნდა, პატიოსნად მუშაობდნენ და თუ ქართველ კინომაყურებელს რაიმე არ მოეწონებოდა, ეს არ იქნებოდა მათი უპატივცემულობის შედეგი, არამედ უფრო უცოდინარობის ბრალი, რადგანაც როდესაც საქართველოში ჩამოვიდა ორმოც წელს დიდი ხნის გადაცილებული გახლდათ. მაგრამ პერესტიანი მაშინ ალბათ ვერ წარმოიდგენდა, რომ იმდენად განუყოფელი ნაწილი გახდებოდა ქართული კინოსი (რომელშიც როგორც მსახიობს რამდენიმე როლიც აქვს შესრულებული), რომ დღემდე ბევრ ქართველ კინომაყურებელს ი. პერესტიანი ქართველი კინორეჟისორი ჰგონია. მათ რიცხვში დიდხანს მეც ვიყავი, ვიდრე ერთ დღეს არ აღმოვაჩინე, რომ წარმოშობით იტალიელი ყოფილა.

აკაკი ბაქრაძე თავის მონოგრაფიაში („კინო. თეატრი", 1989), სადაც განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს კინოსა და ლიტერატურის ურთიერთობაზე, წერს: „ვინც თუნდაც ზერელედ იცის ქართული კინოს ისტორია, დამეთანხმება, რომ ჩვენი კინოხელოვნება ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის შვილია." შესაბამისად ავტორი ქართულ კინოში ქართული სულის დამკვიდრებას ეროვნულ ქართულ ლიტერატურას უკავშირებს, მაგრამ იქვე დასძენს, რომ ეს არ ყოფილა იოლი საქმე. „კარგად ცნობილია, რომ ქართული კინოს აკვანთან არა მარტო სხვადასხვა ნიჭის, განათლების, გემოვნების ადამიანები იდგნენ, არამედ — სხვადასხვა ეროვნებისაც: ქართველი ალექსანდრე წუწუნავა, მამით იტალიელი და დედით რუსი ივანე პერესტიანი, სომეხი ამო ბეკ-ნაზაროვი და რუსი ვლადიმერ ბარსკი.

კინოსტუდიის თანამშრომლებიც სამ ფენად იყოფოდნენ.

პირველი: ქართველები, ქართულად მეტყველნი და ქართული კულტურით აღზრდილნი.

მეორე: არაქართველები, რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები და სხვანი (ამათ შორის იყვნენ სრულიად გარუსებული ქართველებიც).

მესამე: გაორებული ადამიანების ჭრელი ფენა. მათ სანახევროდ დაეკარგათ ეროვნული სახე და სული, ასევე სანახევროდ შეეძინათ უცხო. ვის არ შეხვდებოდით ამ ჯგუფში: ნახევრად გაქართველებულ რუსს და პირიქით — ნახევრად გარუსებულ ქართველებს. ნახევრად გაქართველებულ სომხებს

და პირიქით — ნახევრად გასომხებულ ქართველს. ნახევრად გაქართველებულ აზერბაიჯანელს და პირიქით — ნახევრად გააზერბაიჯანელებულ ქართველს... ისინი ქართულადაც ლაპარაკობდნენ, რუსულადაც, სომხურადაც, აზერბაიჯანულადაც, ოღონდ სწორად და მართებულად ვერც ერთ ენაზე.

ამ სამი ფენიდან ყველაზე მრავალრიცხოვანი (ამდენად, საქმის ბედის განმსაზღვრელიც) იყო მესამე. ეს დიდ საშიშროებას ქმნიდა: იგი ქართულ კინოხელოვნებას ემუქრებოდა იმით, რომ ჩვენი კინემატოგრაფი ყოფილიყო რაღაც გაუგებარი ქიმერული მოვლენა. მოგეხსენებათ, ბერძნულ მითოლოგიაში ქიმერას არწივის თავი აქვს, ლომის სხეული და გველის კუდი, ნამდვილად კი არც პირველია, არც მეორე და არც მესამე.

ამ ქიმერულობისაგან ქართული კინოს გადარჩენა მხოლოდ ქართულ მწერლობას შეეძლო. სწორად ამან გამოიწვია 20-იან წლებში გიორგი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, ეგნატე ნინოშვილის თუ სხვათა თხზულებების ხშირი ეკრანიზაცია."

ამიტომაც როგორც დამოუკიდებელ საქართველოში, ისე კომუნისტური რეჟიმის პირობებში იყვნენ ისეთი მოღვაწეები (მათ შორის არაქართველებიც — პერესტიანი და სხვ.), რომლებიც ქართული ეროვნული კინოს განვითარებას ემსახურებოდნენ და ფაქტობრივად კოტე მესხისა და პირველ ქართველ კინომოღვაწეთა საქმეს აგრძელებდნენ. მიზანი ქართველ კინომაყურებლებში ეროვნული სულისკვეთების აღვივება იყო, რომლის გარეშეც ურთულეს რეგიონში მდებარე საქართველოს, მის სხვადასხვა თაობას, ქართული საქმის კეთება და სამშობლოს გადარჩენა გაუჭირდებოდა.

რაც შეეხება მეცნიერებისა და კინემატოგრაფის დამოკიდებულებას, სამეცნიერო პრობლემებით კინომაყურებლის დაინტერესებას, ესეც ერთი დიდი თემაა და დიდი ისტორიის მატარებელიც. თავიდანვე, როგორც დასავლეთში, ისე რუსეთშიც სამეცნიერო წრეები პროპაგანდას უწევდნენ სამეცნიერო და საგანმანათლებლო, გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ფილმების შექმნას და ამ გზით კინომაყურებლის განათლებასა და მეცნიერებაში ჩართვას.

უკვე 1911 წელს იტალიაში, ქალაქ ტურინში სამეცნიერო ფილმების I საერთაშორისო ფესტივალი გაიმართა. I პრემია რობერტო ომენიას ფილმმა „პეპლების ცხოვრება" დაიმსახურა. ამ დროიდან მოყოლებული, ეს დარგი მეცნიერებისა და ტექნიკის პარალელურად ვითარდება და ყველა თაობაში თავისი კინომაყურებელი ჰყავს, მათ შორის საქართველოშიც. მისასალმებელია, მაგალითად, რომ სამეცნიერო ფილმის გადაღებას აპირებენ ალექსანდრე ქართველიშვილზე, რომელიც საქართველოს ოკუპაციის შედეგად ემიგრაციაში აღმოჩნდა და ბევრმა ქართველმა დიდხანს არ იცოდა, რომ იგი მსოფლიოში ისეა ცნობილი როგორც ამერიკული ავიაციის მამა.

გაცილებით რთული თეატრისა და კინოს ურთიერთობა აღმოჩნდა. ზოგან თეატრმა კინოს ბოიკოტიც კი გამოუცხადა. ზოგიერთ ქვეყანაში ერთხანს თეატრის მსახიობები დამამცირებლად მიიჩნევდნენ ფილმებში მონაწილეობას, რადგანაც მათთვის კინო არ იყო ხელოვნება. დასავლეთის თეატრალურმა მოღვაწეებმა საერთაშორისო მოძრაობაც კი წამოიწყეს კინემატოგრაფის წინააღმდეგ. მაგრამ დროთა მანძილზე, უკვე 1908 წელს, საფრანგეთში თეატრიდან კინოში გამოჩენილი მსახიობები მოვიდნენ (სარა ბერნარი, ელეონორა დუზე...), ასე იყო მოგვიანებით რუსეთში, ასე იყო საქართველოშიც, სადაც ეს პროცესი ბუნებრივად, ყოველგვარი ექსცესების გარეშე წარიმართა.

იყო აკრძალვებიც. მაგალითად, რუსეთის საიმპერატორო თეატრების ადმინისტრაციამ ბალეტის მსახიობებს ოფიციალურად აუკრძალა ფილმებში მონაწილეობა. თუმცა დროთა მანძილზე ამ განწყობამ არათუ გაიარა, არამედ კინომაყურებლის მოზიდვის მიზნით, თეატრის ცნობილ მსახიობებს (მათ შორის, ოპერისა და ბალეტის) კინემატოგრაფში იწვევდნენ, რადგანაც ეკრანზე მათი ხილვა ხიბლავდა და იზიდავდა კინომაყურებელს. ამიტომ თვით მომღერალი ენრიკო კარუზოც კი ათამაშეს ერთ-ერთ მუნჯ ფილმში. მაგრამ მეტოქეობისა თუ ერთგვარი დაპირისპირების მომენტები მაინც დარჩა და დღესაც თეატრის ზოგ რეჟისორს დიდად არ ხიბლავს თავისი მსახიობების კინომოღვაწეობა.

თუმცა კინო ერთადერთია, რომელმაც თეატრალურ სპექტაკლებს (რომლებიც უბრალოდ ქრებოდნენ) სამუდამო სიცოცხლე აჩუქა, ხოლო თეატრისა და კინოს მაყურებლები ერთმანეთს დაუახლოვა.

უკვე მელიესმა 1896 წელს თეატრალური სპექტაკლების გადაღება დაიწყო. ამავე წელს რუსეთში, ფ. კორშის კერძო თეატრის მსახიობმა ა. საშინ-ფეოდოროვმა თეატრალურ სპექტაკლთა ფრაგმენტების გადაღებას მოჰკიდა ხელი, რაშიც დამატებით გასამრჯელოს იღებდა.

ცნობილი რუსი კინომრეწველი, პროდიუსერი, რეჟისორი და სცენარისტი, რუსული კინოს ერთ-ერთი პიონერი ა. ხანჟონკოვი (მატვეევკაში დადგმული მისი ძეგლის ავტორი ზურაბ წერეთელია) მოგონებაში „რუსული კინემატოგრაფის პირველი წლები" წერს, როგორ გადაიღო კიევში კოტე მარჯანიშვილის მიერ დადგმული სპექტაკლი, ა. ვოზნესენსკის „ცრემლები." ეს იყო პანტომიმა და იმდენად კინემატოგრაფიული, რომ ა. ხანჟონკოვი გაოცებას ვერ მალავდა. იგი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა, თითქოს რეჟისორმა სპექტაკლი ფილმიდან გადმოიტანა და თეატრში დადგა, ის განსაცვიფრებელ შთაბეჭდილებას ახდენდა.

1916 წელს კოტე მარჯანიშვილი ასევე რუსული კინოს პიონერმა, ა. დრანკოვმა თავისი კინოფაბრიკის რედაქტორად მიიწვია, მაგრამ ფულისადმი დრანკოვის გადაჭარბებული ინტერესი და ავანტიურისტის ბუნება, მარჯანიშვილის მისგან წამოსვლის მიზეზი გახდა.

ცნობილია, საქართველოში მარჯანიშვილმა 1925 და 1927 წლებში ორი ფილმი „სამანიშვილის დედინაცვალი" და „ქარიშხლის წინ" გადაიღო და ამით არ შეუწყვეტია თავისი კინომოღვაწეობა. ასევე თეატრალური რეჟისორი ალექსანდრე წუწუნავა კი ქართული კინოს ისტორიაში შევიდა როგორც პირველი ქართული სრულმეტრაჟიანი მხატვრული ხმოვანი კინოს „ქრისტინე" ავტორი. ამ ფილმის დასრულება გ. გოგიტიძეს მოუხდა (ერთ-ერთი პირველი ქართველი კინომრეწველია), რომლის დამსახურება ისიცაა, რომ თავიდანვე ცდილობდა ქართული ფილმების მსოფლიო ბაზარზე გატანას.

ამდენად, დიდი ტრადიციების ქართულმა თეატრმა (სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით) უმტკივნეულოდ დაიწყო კინოსთან თანამშრომლობა, იგივე უნდა ითქვას კინომაყურებელზე, რომელიც ადრე ძირითადად თეატრის მაყურებელი იყო.

შალვა დადიანი, მწერალი და თეატრალური მოღვაწე, კინომსახიობი, მოგონებაში „კინო და მე" აღწერს იმ სირთულეებს, რასაც თეატრის მსახიობები (როლს დინამიკაში რომ ხედავდნენ), კინოში მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, აწყდებოდნენ. იგი აღნიშნავს, რომ კინორეჟისორმა შეიძლება ჯერ სულ ბოლო სცენა გადაიღოს, „ან უფრო ვულგარულად: ჯერ მოკვდეთ და სიკვდილის ამაღელვებელი ან შემზარავი სცენები გადაიღოს და შემდეგ კი სიცოცხლე დაგაწყებინოთ და ბედნიერების წუთები იგემოთ."

მართალია, მიიჩნევა, რომ მარჯანიშვილი — თეატრის რეჟისორი მაღლა დგას მარჯანიშვილ — კინორეჟისორზე, მაგრამ საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მან უდიდესი როლი შეასრულა ქართული კინოს განვითარების ისტორიაში. აღზარდა შესანიშნავი პლეადა კინომსახიობებისა და კინორეჟისორების — ნ. შენგელაია, მ. კალატოზიშვილი (კალატოზოვი) და სხვ. მის მოღვაწეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც ამით ხელი შეუწყო ქართველი კინომაყურებლის გემოვნების ჩამოყალიბებას. საზოგადოდ ამ შემოქმედთა დამსახურებაცაა, ქართველი მაყურებლისა და მსმენელის საყოველთაოდ ცნობილი გემოვნება და მაღალი დონე.

კინომაყურებლის ისტორიას თან სდევს კინოს ცენზურის ისტორიაც (ასევე ცალკე საკვლევი), რომელსაც სხვადასხვა

ქვეყანაში, სხვადასხვა დროსა და ვითარებაში განსხვავებული დამოკიდებულება და მიდგომა აქვს — პოლიტიკური, რელიგიური, ზნეობრივი... ცხადია, ცენზურის ერთ-ერთი მთავარი სამიზნე კინომაყურებელია. მაგრამ ზოგჯერ თვით კინომაყურებელი გამოდიოდა და დღესაც გამოდის უმკაცრესი ცენზორის როლში, რომლის რეაქციებიც არაერთგვაროვანია — ყვირილი, სტვენა, ბილეთების უკან მოთხოვნა და მუშტი-კრივიც კი. მაგალითად, იაპონიაში, XX საუკუნის 20-იან წლებში, როდესაც იქაურ კინომაყურებელს ეკრანზე (ერთ-ერთ დასავლურ ფილმში) ქალისა და მამაკაცის ხანგრძლივი კოცნა უჩვენეს, ამას დიდი სკანდალი მოჰყვა. გამძვინვარებულ იაპონელთა შეჩერება მხოლოდ ე. წ. „ბენიშმა" შეძლო (იაპონიაში მუნჯი კინოს გამხმოვანებელი და ინტერპრეტატორი), რომელმაც მოისაზრა და იაპონელებს აუხსნა, რომ ეს იყო დასავლეთში მიღებული ქალისა და მამაკაცის ჩვეულებრივი მისალმება.

1960 წელს საფრანგეთში კანის კინოფესტივალი მიმდინარეობდა.

ფედერიკო ფელინი აღელვებულ კინომაყურებელთან ზურგით იდგა, როდესაც კინოფესტივალის უმაღლეს ჯილდოს „ოქროს პალმის რტოს" გადასცემდნენ ფილმისთვის „ტკბილი ცხოვრება". დარბაზის მდიდარი, ე. წ ელიტარული საზოგადოება, ღრიალებდა, ფეხებს აბაკუნებდა, ლაყე კვერცხებს ისროდა გენიალური რეჟისორის მიმართულებით.

დარბაზში მჯდომი ჯულიეტა მაზინა ტიროდა.

ამ ამბავს ბევრი იგონებს და წერს კიდევაც, მათ შორის არიან კინომცოდნეები, რომელთა თანახმადაც იგივე გამეორებულა მილანშიც, სადაც ერთი შეხედვით სოლიდურმა ადამიანებმა ფელინის სახეში შეაფურთხეს და ცემაც დაუპირეს. ქალები გაჰკიოდნენ, ბოლშევიკსა და რას არ უწოდებდნენ. ერთ-ერთმა იტალიელმა კინომაყურებელმა, სამშობლოს შეურაცხყოფისთვის, ფელინი დუელშიც გამოიწვია. თავად კინორეჟისორმა კი ასეთ კინომაყურებელს ამგვარად უპასუხა. „ჩემი მიზანი არ იყო იტალიაში სამოქალაქო ომის წამოწყება, მაგრამ უდიდეს სიამოვნებას განვიცდი, ვინაიდან ფილმი მიზანში მოვახვედრე."

თავიდან დასავლეთის კინომაყურებელი უარყოფითად უყურებდა და ამორალურად მიიჩნევდა ზედმეტად თამამ სექსუალურ სცენებს, მაგრამ მას თანდათანობით აპარებდნენ კინომაყურებელს. ადრე ასეთ ფილმებზე მოზარდები, ჯარისკაცები და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ინტელექტუალები დადიოდნენ, მართალია დაფარულად, მაგრამ მაინც. სხვათა შორის, გერმანია, რომელმაც ინტელექტუალურ ფილმებს დაუდო საფუძველი, ამ კუთხითაც ერთ-ერთი პიონერი აღმოჩნდა.

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან კი, როდესაც ზიგმუნდ ფროიდის თეორიებზე დაყრდნობით, დასავლეთის ქვეყნებში კარგად დაგეგმილი სექსუალური რევოლუცია საკმაოდ მოკლე დროში განხორციელდა, კინემატოგრაფმაც მას დიდი ხარკი გადაუხადა ნიჭიერად თუ უნიჭოდ გადაღებული ფილმებით. დღეს ამ რევოლუციასა და მასზე გადაღებულ ფილმებს სხვადასხვა დარგის მეცნიერები იკვლევენ — დემოგრაფები, სოციოლოგები, ფსიქოლოგები და სხვ., იმდენად დიდი გავლენა იქონია ამ ტიპის კინემატოგრაფმა დასავლეთის საზოგადოებაზე და არა მხოლოდ მათზე. ამ ფილმებმა (მაგალითად, მსოფლიოში გახმაურებულმა „ემანუელამ" და სხვ.), რომელმაც ფარულად საბჭოთა კავშირშიც შემოაღწია. მალე ამ ტიპის ფილმებმა პოსტსაბჭოთა სივრცე იმდენად დაიპყრო, რომ ამ კუთხითაც საზოგადოებაზე ანუ კინომაყურებელზე მის გავლენასა და უარყოფით შედეგებს დღეს უკვე არა მხოლოდ კინომცოდნეები, არამედ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებიც სწავლობენ. უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთი დღემდე მის უარყოფით შედეგებს იმკის დემოგრაფიისა თუ სხვა თვალსაზრისით, რის გამოსწორებასაც საზოგადოების გარკვეული ჯგუფები ცდილობენ. სხვათა შორის, ემანუელას როლის შემსრულებელმა, უკვე ასაკში შესულმა განაცხადა, რომ ამ ტიპის ფილმებმა მას როგორც პირადი ცხოვრება, ისე სამსახიობო კარიერა დაუნგრიეს.

დასავლურმა, განსაკუთრებით ჰოლივუდის ფილმებმა საბჭოთა კინომაყურებელს დასავლურ სამყაროზე გადაჭარბებულ წარმოდგენასთან ერთად, გადაჭარბებული ილუზიებიც შეუქმნა დასავლურ უზრუნველ, ტკბილსა და საამურ ცხოვრებაზე, რაც რეალობაში ისეთი არ არის, როგორც კინოშია.

დრო (კინოს დაბადების შემდეგ გასული) და ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებული ცვლილებანი კინოს განვითარებაზე და, ცხადია, კინომაყურებლის გემოვნებასა და განწყობაზეც აისახებოდა. იცვლებოდა კინოგმირების ფსიქოლოგია, ქცევის ნორმები და ჩაცმულობა. იცვლებოდა კინომაყურებელიც, მისი გემოვნება, კინოსადმი დამოკიდებულება, აღქმები და პრეტენზიები. სხვადასხვა ქვეყნის კინომაყურებელი ამ გზას მსოფლიო კინოსთან თავისი ქვეყნის ტრადიციების კავშირში აგრძელებდა. იგივე ხდებოდა ქართულ კინოშიც, რომელიც ოთხ დიდ ქრონოლოგიურ ჩარჩოში თავსდება: მეფის რუსეთის ხანა, დამოუკიდებელი საქართველოსი (1918-1921), საბჭოთა პერიოდისა (1921-1990) და 1990 წლიდან — დამოუკიდებელი საქართველოსი. ამავე ქრონოლოგიურ ჩარჩოებს მოიცავს ქართველი კინომაყურებლის ისტორიაც, რომელსაც განსხვავებულ პოლიტიკურსა და სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაში მოუხდა ცხოვრება.

მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ქართული კინო მსოფლიო კინოს სათავეებთან დგას, ხოლო ქართველი კინომაყურებელი მსოფლიოს პირველ კინომაყურებელთა რიგებშია. რაც მთავარია, ქართულმა კინომ თავიდანვე ორიგინალური სიტყვის თქმა შეძლო, რის გამოც მსოფლიო კინემატოგრაფის ნაწილად იქცა. ამაში განსაკუთრებულია ქართული კინემატოგრაფის ერთ-ერთი ფუძემდებლის ვასილ ამაშუკელის წვლილი, რომელმაც დიდი ფუნდამენტი ჩადო ქართული კინოს განვითარებასა და შემდგომ წინსვლაში.

ვასილ ამაშუკელი ადრიდანვე დაინტერესდა კინოხელოვნებით. იმ დროისათვის, როდესაც იგი მოსკოვში ამ სფეროში ცოდნის შესაძენად გაემგზავრა, ა. დრანკოვს პირველი რუსული მხატვრული ფილმი „სტენკა რაზინი" (1907), გადაღებული ჰქონდა, ა. ხანჟონკოვს კი ისტორიულ-პატრიოტული ფილმი „სევასტოპოლის დაცვა" (1911). დრანკოვს, მიუხედავად ლევ ტოლსტოის უარისა (ფარულად მოახერხა დიდი მწერლის გადაღება), მისი 80 წლის იუბილესთან დაკავშირებული ფილმი გამოშვებული ჰქონდა. ამავე დროს ხანჟონკოვი რუს კინომაყურებელს უცხოეთიდან ჩამოტანილ ფილმებს უჩვენებდა. ამდენად, ვასილ ამაშუკელს მოსკოვში ყოფნისას, საშუალება ჰქონდა გარკვეულიყო რუსულსა და მსოფლიო კინემატოგრაფში.

ცნობილია, რომ თავდაპირველი პრაქტიკა ვასილ ამაშუკელმა მოსკოვის კინოთეატრ „ელექტრიკში" გაიარა, შემდეგ უკვე მოსკოვის ფრანგულ ფირმა „გომონში." ბაქოს ელექტრო-ტექნიკუმში სწავლისას კინომექანიკოსის პროფესიას დაეუფლა. ბედნიერი შემთხვევის წყალობით მისი შემოქმედებითი კინოკარიერა დაიწყო. ეს მოხდა მაშინ, როდესაც ი. გეპნერი (თბილისის ჟანდარმერიის მიერ დევნილი) თბილისიდან ბაქოში მეუღლესთან, მსახიობ ეფემია მესხთან ერთად ჩავიდა და ქართულ თეატრში გახსნა კინოთეატრი „ელექტრო-ბიოგრაფი." სათავეში მას ეფემიასა და სერგეი მესხის (ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და ჟურნალისტის) ძმა, რეჟისორი და მსახიობი კოტე მესხი ჩაუდგა.

ქართული კინოს ისტორიიდან ასევე ცნობილია, რომ კოტე მესხისა და მაშინდელი ქართული საზოგადოების ხელშეწყობით ვ. ამაშუკელმა 1908-1909 წლებში გადაიღო და ბაქოს აღნიშნულ კინოთეატრში უჩვენა მცირემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმები: „ქართული სცენის მოღვაწენი — ეფემია მესხი, კოტე მესხი და სხვები ქალაქის პარკში," „მუშაობა ნ. რამიშვილის სტამბაში," „ნავთის ჭაბურღილებზე მუშაობა," „გემის შემოსვლა კავკაზ მერკურში და გადმოტვირთვა," „ქვანახშირის გადმოზიდვა აქლემებით," „ბაქოს ხედები," „კასპიის ზღვის სანაპირო," „ლულა - ქაბაბის გამყიდველი" და სხვ., რომელთა კვალსაც, მიუხედავად მცდელობისა, ვერ მი-

აგნეს. ფაქტობრივად ეს იყო ეთნოგრაფიული, აღწერითი, შემეცნებითი და ბაქოში ქართველთა კულტურული ცხოვრების ამსახველი დოკუმენტური ფილმები, ასევე კადრები ბაქოს ქალაქური ყოველდღიური ცხოვრებიდან. კინოთეატრი „ელექტრო-ბიოგრაფი," სადაც ამ ფილმებს უჩვენებდნენ, ყოველთვის სავსე იყო ქართველი კინომაყურებლით, რომელიც ერთ-ერთი პირველი ქართველი კინომაყურებელიცაა.

ბუნებრივია დაისვას კითხვა, როგორი იყო პირველი ქართველი კინომაყურებელი და როგორი თემები და კინოსიუჟეტები იზიდავდა. ამაში ვასილ ამაშუკელის მოგონებებიც გაგვარკვევს, მისი დამოკიდებულება კინოსადმი. აღსანიშნავია, რომ კინემატოგრაფთან მიმართებაში იგი თავიდანვე აცნობიერებდა ეპოქის თავისებურებასა და თავისი სამშობლოს ბედს, რომელიც, როგორც დაპყრობილი ქვეყანა, რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო. იგი წერს, რომ მეფის რუსეთს კინოსადმი თავისებური მიდგომა ჰქონდა. თუ არ ჩავთვლით პოლიტიკურ-პროპაგანდისტულ ფილმებს, რომელიც (1896 წლიდან მოყოლებული) ნიკოლოზ II-ის, მისი კარის ცხოვრებასა და აღლუმებს ასახავდა, რუსეთში კინოს, ვ. ამაშუკელის სიტყვებით, რომელიც 1900 წლიდან იდგამს ფეხს, სერიოზულად არ უყურებდნენ. ეს მათთვის გასართობი სფერო იყო, რის გამოც მასში, სხვადასხვა ხასიათის ტრიუკები, ასევე რეკლამები ჭარბობდა. ამიტომ ფილმები ტყის ყაჩაღებზე, ზღვის მეკობრეებზე და მსგავსი და ზოგჯერ ზედმეტად ფრივოლური თემატიკა, რუს კინომაყურებელში დიდი წარმატებით სარგებლობდა, ხოლო კინოთეატრების მფლობელთათვის კინომაყურებელი დიდი შემოსავლის მომტანი იყო. თუმცა პროგრესული რუსული საზოგადოების წარმომადგენლები ცდილობდნენ კინოს ჩაყენებას ერისა და ქვეყნის ინტერესებში და მისთვის საზოგადოებრივი დატვირთვის მინიჭებას.

ამდენად, კინო თავიდანვე აშკარად კომერციული იყო და მხოლოდ მოგვიანებით შეიძინა საზოგადოებრივ-კულტურული დატვირთვა.

რაც შეეხება ქართულ კინოს, მან თავიდანვე სხვა გზა აირჩია. პირველ რიგში, ეს იყო გაპირობებული საქართველოს მაშინდელი ვითარებით, რამაც ქართული კინოს ისტორია და ხასიათი განსაზღვრა და რაშიც ქართველი კინომაყურებელი ჩართეს. ამასთან დაკავშირებით მხედველობაშია მისაღები, რომ ვასილ ამაშუკელი მაშინდელი მოწინავე ქართული საზოგადოების ნაწილი იყო, რომლის ინტერესებითაც იგი ცხოვრობდა. ამ საზოგადოებას, როგორც უკვე ითქვა, აწუხებდა დაპყრობილი და სახელმწიფოებრიობადაკარგული სამშობლოს ბედი, რომელსაც ენასთან ერთად, ეროვნულ ცნობიერებასა და ღირსებასაც ართმევდნენ. ასეთ დროს, ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად უმნიშვნელოვანესი იყო ხალხის განათლების საკითხიც, რის გამოც ქართული საზოგადოება აქტიურად თანამშრომლობდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან. ამიტომ კინომაყურებელიც, ქართველ საზოგადო მოღვაწეთა მხრიდან განათლების კუთხითაც განიხილებოდა, რის საშუალებასაც ხელოვნების ეს ახალი დარგი იძლეოდა. კერძოდ, კინოს გზით ერში ეროვნული გრძნობების კიდევ უფრო გაღვივებას, სამშობლოს სამსახურში ეროვნული ენერგიის ჩაყენებასა და სწორი ორიენტირების დასახვას. შესაბამისად, ქართველ მოღვაწეთათვის მნიშვნელობა ჰქონდა თუ რას ნახავდა ქართველი კინომაყურებელი და რაზე იფიქრებდა. ამიტომ ყოველივე ამან განაპირობა, რომ ქართული კინო თავიდანვე პატრიოტული და შემეცნებითი ხასიათისა იყო და, ცხადია, ზნეობრივი პრინციპების მატარებელიც.

ვასილ ამაშუკელი, რომელიც ამ საკითხსაც საგანგებოდ ეხება, წერს, რომ კოტე მესხსა და მის სიძეს გეპნერს: „საქმე სხვა კინოებთან შედარებით კულტურულად ჰქონდა დაყენებული და იდგმებოდა ხშირად უფრო სამეცნიერო: ასტრონომია, მედიცინა, ტექნიკა, რომელსაც საზღვარგარეთიდან ღებულობდენ. მაგრამ ასეთი სურათების ხარჯს ვერ ფარავდა შემოსავალი." გეპნერმაც გადაწყვიტა სანახაობაზე აგებული კომერციული ფილმების გადაღება.

როგორც ვხედავთ, თვალნათლივია კინოსა და შესაბამისად კინომაყურებლის დიფერენცირება. აქვე უნდა შევნიშნოთ, ქართველი საზოგადო მოღვაწენი, კერძოდ, კოტე მესხი, შეუვალი, კატეგორიული აღმოჩნდა იმ პიროვნების მიმართ, ვინც მას სექსუალურ-პორნოგრაფიული ხასიათის ფილმები გამოუგზავნა. კ. მესხის პასუხი უმკაცრესი იყო: მე აქ გარყვნილების ბუდე კი არ მაქვს, არამედ თეატრი, რომლის მიზანიც ხალხის აღზრდა და განვითარებაა. ამ პიროვნებამ ქართველებზე შური იმით იძია, რომ მათ არ მიჰყიდა ფილმისთვის ფირები და ვ. ამაშუკელმა ვერ შეძლო ბაქოში აკაკი წერეთლის საიუბილეო საღამოს გადაღება.

ქართული კინოსადმი ზემოაღნიშნული მიდგომის შემდეგ არ უნდა გაგვიკვირდეს, ვ. ამაშუკელს დიდი და სერიოზული შემოქმედებითი სურათის შექმნა რომ სურდა — და არც ეს არ არის შემთხვევითი — კოტე მესხს უზიარებდა. კოტე მესხიც ამ ახალგაზრდას ამხნევებდა და იმედს აძლევდა. სხვათა შორის კინოაპარატურა ვ. ამაშუკელს გეპნერმა შეუძინა, რომლითაც 26 წლის ახალგაზრდა „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში" გადაიღებს და რომელიც კინომცოდნეთა შეფასებით, მსოფლიო დოკუმენტურ კინოშედევრადაა აღიარებული.

ამ ფილმის მნიშვნელობა მაშინაც დიდი იყო და დღესაც დიდია. მისი მთავარი გმირი აკაკი წერეთელია და მასში მონაწილე ხალხი, რომელიც დღეს ასე აკლია დაცარიელებულ რაჭა-ლეჩხუმს.

აკაკიზე შექმნილი ფილმის საერთო განწყობის თანამონაწილე გახდება ქართველი კინომაყურებელი, რომელიც ამ ფილმისადმი თავის დამოკიდებულებას დიდ ეროვნულ აქციაში გადაზრდის და, როგორც კინომაყურებელი, არაჩვეულებრივ ფურცელს ჩაწერს ქართული კინოს ისტორიაში.

„აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში" იმ ფილმების კატეგორიას ეკუთვნის, რომელსაც დღიდან მისი შექმნისა ყველა დროსა და თაობაში კინომაყურებელი ჰყავს. ამ მხრივ ამ დოკუმენტურ ფილმსა და მხატვრულ ფილმ „ქეთო და კოტეს" მათთვის საერთო, ქართველებისთვის ნიშანდობლივი განწყობითა და სულით, ყველა დროში ყველაზე მეტი კინომაყურებელი ჰყავს.

იმ დროს, როდესაც ვასილ ამაშუკელი აკაკი წერეთელზე ფილმის გადასაღებად რაჭა-ლეჩხუმში გაემგზავრა, იგი ქუთაისის კინოთეატრ „რადიუმის" მექანიკოსი იყო.

ამ კინოთეატრში შედგება ფილმის პრემიერა და პირველი ჩვენებები.

ქართული კინომაყურებლის ისტორიის თვალსაზრისით ეს ფილმი იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ მასში გადაღებული რაჭა-ლეჩხუმის მცხოვრებლები მისი ერთ-ერთი პირველი კინომაყურებლებიც გახდებიან, ზოგიც ამ ფილმის პრემიერის მონაწილე. მათ შორის აკაკი წერეთელიც, საქართველოში ერთ-ერთი პირველი კინომაყურებელი, რომელსაც კინო, მისი სიტყვები რომ მოვიხმოთ, კარგ საქმედ მიაჩნდა.

კიდევ ერთი საინტერესო მომენტია, შემდეგი თაობის ზოგმა კინომაყურებელმა ამ დოკუმენტური ფილმის კადრებში თავისი წინაპარი რომ ამოიცნო.

ქუთაისში გამართულ კინოპრემიერის მონაწილე კინომაყურებლებს შორის, რაჭა-ლეჩხუმში აკაკის თანმხლები პირებიც იყვნენ — საზოგადო მოღვაწეები, გაზეთების რედაქტორები თბილისიდან და ქუთაისიდან, უბრალო ხალხის წარმომადგენლები, რომელთა წიაღიდანაც წამოვიდა აკაკის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის იდეა, ქართულმა მოწინავე საზოგადოებამ კი ეს იდეა აიტაცა და ხალხთან ერთად ხორცი შეასხა. „სახალხო გაზეთის" ცნობით (6 VII, 1912, №642), აკაკის თანმხლებ პირებს შორის მწერალი გრიგოლ რობაქიძეც უნდა ყოფილიყო, რომელსაც აკაკი წერეთლის შემოქმედებაზე ხალხისთვის ლექციები უნდა წაეკითხა.

დასასრული შემდეგ ნომერში

ეკა ბუჯიაშვილი

„შეთქმულება“, რომელიც გასცეს

მეცნიერულ წრეებში ნინო გოგიაშვილის სახელით იცნობენ, პროზის მოყვარულები — ნუციკო დეკანოზიშვილისა. ლექსების კრებული „ნამსხვრევებიც“ სწორედ ამ ფსევდონიმით გამოაქვეყნა.

წარდგინება ერთხელ უკვე იყო ლიტერატურულ კაფე „დივანში“, საპატრიარქოს ტელევიზიის დილის გადაცემაშიც „განთიადი“ მიმოიხილა როსტომ ჩხეიძემ, ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ლიტერატურულ სალონში კი ამ კრებულის განხილვა გაიმართა.

— ყოველთვის ვაქცევ ყურადღებას პოეტურ კრებულსაც და პროზაულსაც, რამდენად არის ის მთლიანი — თუნდაც მოზაიკურ პრინციპზე გახლდეთ აგებული, უნდა იყოს კარგად გააზრებული, და არა მექანიკური ჯამი კარგი თხზულებებისა.

ნუციკო დეკანოზიშვილისთვის ნიშანდობლივია ასეთი მთლიანობისკენ სწრაფვა, და არა მხოლოდ წიგნის შედგენისას, არამედ ცალკეული პუბლიკაციების წაკითხვის დროსაც ყოველთვის იგრძნობა ციკლის ერთიანობა, ერთმანეთთან შეხმიანება განწყობილებით, და ამავე დროს, მრავალფეროვნებაც.

ერთი ნაკლიც არსებობს დღევანდელ ქართულ პოეზიაში — განსაკუთრებით, მის ახალ ნაკადში — ერთფეროვნება და მონოტონურობა. ცალ-ცალკე შესაძლოა მოგეწონოს ლექსები — თითქოს კარგია, გამართულია, წაიკითხავ — ყველაფერი რიგზეა, ერთად თავმოყრილი კი შთაბეჭდილებას ვერ ტოვებს, რადგან გგონია, რომ დაუსრულებელი ვარიაციებია ერთი განწყობილებისა.

განსაკუთრებით მომაბეზრებელია კოშმარული განცდები, მუდმივი წუხილი, დარდი, ტირილი და მოთქმა, თითქოს ადამიანი რაღაც ჩაკეტილ სივრცეშია მომწყვდეული... და, რაც მთავარია, ამ ყველაფერზე ერთი კუთხით და ერთნაირად იწერება.

ნუციკო დეკანოზიშვილი კი ახერხებს, რომ თავისებურად თქვას საკუთარი სათქმელი.

სათაური იმაზე მიგვანიშნებს, რომ აქ მხოლოდ ყოფით ნამსხვრევებზე კი არ არის საუბარი, არამედ სულიერ რღვევაზე, დაშლაზე... და კრებულის მთელი არსიც ისაა, თუ როგორ უნდა მოხერხდეს ამ დაშლილი ნამსხვრევების გამთლიანება, თანაც ისე ბუნებრივად, რომ ხელახლა არ ჩამოიფშვნას.

ნუციკო დეკანოზიშვილს თავისი სახისმეტყველება აქვს, ორიგინალური, რაღაცით თავის თანამედროვეებსაც რომ ეხმიანება და ამასთანავე სრულიად განსხვავებულიც არის.

ჩვენთვის სწორედ ეს განსხვავებაა საგულისხმო და ისიც, რომ ავტორი არ არის ამოწურული, პირიქით, რაღაც ახალი სივრცე იშლება მის წინაშე და გარკვეულ პერსპექტივასაც სახავს მკითხველისათვის, — ასე წარუდგინა როსტომ ჩხეიძემ ნუციკო დეკანოზიშვილი შეკრებილებს და სიტყვა გადასცა მომხსენებელს, სალომე კაპანაძეს:

— ნუციკო დეკანოზიშვილი პირველად ოთარ ჩხეიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე გავიცანი. მისი შესანიშნავი მოხსენების ფონზე, უცნაური ის იყო, ვიდრე მეტყოდნენ, რომ ასეთივე შესანიშნავი პოეტიაო, მე მასში ლექსი ვიგრძენი. მართლაც იშვიათად შემხვედრია ასეთი პოეტური გარეგნობის პოეტი. და როდესაც ისეთი გემოვნებიანი ქალბატონი, როგორიც დოდონა კიზირიაა, ნუციკო დეკანოზიშვილზე გენიალურად მარტივად იტყვის, ჩემო კარგო, შენ ნამდვილი პოეტი ხარო, დანარჩენი, რის თქმასაც დავაპირებ, ამის დადასტურება იქნება მხოლოდ. ნუციკო დეკანოზიშვილის პოეზიას ყოველთვის აქვს საერთო ჩვენს შინაგან განწყობასთან. ის არასოდეს კარგავს დროს გაცვეთილი ფრაზებისთვის და ამიტომაც უსაშველოდ ვივსებით ხოლმე მისი „მზისთვალება ბალახებით“, „დარბეული სიზმრებით“, „ტყვიისფერი თოვლით“, „პირამდე სველი მედუზების სველი შეხებით“. თელავმაც ნუციკოს სამყაროში აირეკლა თავი, რადგან „ალუბლისფერი კარების მიღმა ნუციკო ცხოვრობს“. ამ სამყაროში შესვლისას სიამოვნებით კრეფ ნუციკოს „ნამსხვრევებს,“ რომლებიც საბოლოოდ, სიცოცხლის სახელით, ჩვენს დაღლილ სულებში ისადგურებენ. ქალად ყოფნის „დანაშაული“ აძლევს ნუციკო დეკანოზიშვილის პოეზიას ელეგანტურობას, რომელიც განსაკუთრებულ მომხიბლველობას ანიჭებს მისი ლექსის სიურრეალისტურ ფორმებს. უფალთან მიახლების, უფლის ძიების ეგზისტენციალური სევდა ბავშვობის შორეული მოგონებებიდან ადევნებია მის ფიქრებს. ღმერთი ხან დედის, ხან ჩვილის და ხანაც კაცის სახით ევლინება. უღმერთობისგან „მხნე და გაძრცვილი“ ადამიანების სევდა ახლავს მის სტრიქონებს. უნაყოფოა ის ქილა, რომელიც მასთან უსიყვარულოდ თენდება და ყოველ სტრიქონს თანმდევი სათაურივით გასდევს — მიყვარხარ, გეძებ, გპატიობ.

„როგორია ნუციკო დეკანოზიშვილის პოეტური მე? მისი პორტრეტია ყოველი ლექსი“ — წერს მაია ჯალიაშვილი. მკითხველს ყოველთვის აქვს ფარული სურვილი — პოეტი ჰგავდეს თავის ლექსს, რომ პოეტის რეალური „მე“ სახლობდეს მის სტრიქონებში და როცა იგი აღმოაჩენს, რომ ეს ასე არ არის, მკითხველიც იღუპება. ნუციკო დეკანოზიშვილის ყოველი სტრიქონიდან კი მისი პიროვნება იმზირება. მისი პოეზიის შუქ-ჩრდილებში არასდროს შეხვდებით მყვირალა ფრაზებს სამშობლოზე, თავგანწირვაზე, თანაგრძნობაზე. რამდენჯერაც უნდა შებრუნდე ნუციკოს პოეზიის სამყაროში, არასოდეს დაგრჩება განცდა, რომ ბოლომდე ამოწურე მისი შესაძლებლობანი. პოეზიის ეს ჯადო წიგნი, რომელსაც მან „ნამსხვრევები“ უწოდა და რომელსაც ძალუძს, ესთეტიკური განწვალების პროცესში ჩაგრთოს, მუდმივად გენატრება და გესაკლისება. ეს არის სწორედ ნამდვილი პოეზიის მახასიათებელი — ის ერთჯერადად არასოდეს შემოდის ჩვენს სულებში.

* * *

— ქალბატონო ნუციკო, როდის და როგორ დაიწყეთ ლექსის წერა?

— ბავშვობიდან ვწერდი — ისე, ჩემთვის... და როცა მეკითხებიან, რატომ არ გვეუბნებოდი, ლექსებს თუ წერდიო, ვპასუხობ: მეც არ ვიცოდი-მეთქი. ეს უფრო საკუთარ თავთან მარტო დარჩენის, თვითგამოხატვის საშუალება იყო. შემდეგ ისე მოხდა, რომ ჩემმა ქალიშვილმა, რომელსაც ძალიან მოსწონდა ეს ლექსები, გადაწყვიტა, ინტერნეტში გამოექვეყნებინა. ვთხოვე, რომ ჩემი სახელი და გვარი არ მიეთითებინა. მაშინ ფსევდონიმი მოვიფიქროთო. და მოვიფიქრე — ბებიის სახელი და დიდი ბებიის გვარი შევაჯერე და ამით თითქოს ორივეს ხსოვნას მივაგე პატივი. ასე დაიბადა ნუციკო დეკანოზიშვილი... ჯერ მხოლოდ ინტერნეტ-სივრცეში, მერე კი ფართო ლიტერატურულ წრეებშიც.

— და როცა მოიწონეს, მერეც არ გიფიქრიათ, რომ როგორც პოეტი, საკუთარი სახელით და გვარით წარმდგარიყავით მკითხველის წინაშე?

— სხვათა შორის, მიხო მოსულიშვილმა მიაქცია ყურადღება ჩემს ლექსებს და მითხრა, დავბეჭდოთო. მაშინ ვიფიქრე, რომ ნინო გოგიაშვილი გამოჩენილიყო, მაგრამ მიხომ მითხრა: ლიტერატურული სამყარო ნუციკო დეკანოზიშვილად გიცნობს, ასეთი უყვარხარ და დაე ასე დარჩესო.

— და როგორ რიგდებიან ნინო გოგიაშვილი და ნუციკო დეკანოზიშვილი?

— სიმბიოზურად.

ნინო ჩვეულებრივი ადამიანია — მეცნიერებაში ახალფეხშედგმული ქალი, დედა, შვილი, მეგობარი, ვისაც რაღაც სტკივა, რაღაც უხარია, რაღაც მოსწონს, რაღაცას ინანიებს... ნუციკო კი სხვანაირია... ნუციკო ნინოსაც ძალიან მოსწონს, თუმცა ფიქრობს, რომ მასავით რომ ეცხოვრა, ცოდო იქნებოდა, რადგან ნუციკო დეკანოზიშვილი პოეტი ქალია, რომელსაც გაშიშვლებული აქვს თავისი გრძნობები, ემოციები... და ისეთი დაუცველია...

— **ხომ არ აპირებს ნინო გოგიაშვილი, გამოეხმაუროს ნუციკოს პოეზიას?**

— ნინო ძალიან თვითკრიტიკულია... ფაქტობრივად, აუტანელი! სხვათა შორის, მეგობარმა მირჩია ერთხელ, დამეწერა საკუთარ გამოცდილებაზე ლექსთმცოდნეობის თვალსაზრისით — დასავლურ ლიტერატურაში არსებობს ასეთი შემთხვევებიო. ვნახოთ, გამორიცხული არაფერია, შეიძლება დადგეს ასეთი დროც.

* * *

ეს ნუციკოს სულის, ცხოვრების ნამსხვრევებია... და მაინც როგორი მთლიანია ყველაფერი!

სულის დამსხვრევის გარეშე კი შენსას ვერ მიაგნებ, — ასე ფიქრობს **ნინო ქუთათელაძე,** ვისაც ქართველი ქალი პოეტების მიმართ, ცოტა არ იყოს, სკეპტიკური განწყობილება დაუფლებია, რადგან მისი აზრით, ნაწილი ლია სტურუას ბაძავს, მეორე ნაწილი კი მედეა კახიძეს, არადა, პოეტი სწორედ თვითმყოფადობით, საკუთარი სათქმელით, ბუნებრიობითა და ინდივიდუალიზმით უნდა გამოირჩეოდეს.

ნუციკო დეკანოზიშვილი

— ან სად უნდა წავიდეს პოეტი თავისი სამყაროდან?! — გაიქეცი საითაც გინდა, ის მაინც თან მოგყვება, რადგან ყველგან კედელია, საკუთარი ჭურჭელია და თავიც რომ შეაწყვიტო, არაფერი გამოვა აქედან. ამ კედლებში კი, მის დამსხვრეულ სულს რომ საზღვრავს, სივრცეა ჩატეული.

ვდგავარ, აქ ვარ და გაბზარული შევყურებ კედლებს.

დიახ, კედლები კი არ ჩამოიქცა, თვითონ პოეტი გაიბზარა მარადიული წნეხისგან.

ქალბატონი ნინოს თქმით, ნუციკო დეკანოზიშვილის ლექსებში საგულისხმოა სამშობლოს თემა, რომელიც განყენებული კი არ არის, არამედ მისი თანაზიარია, ნუციკოს სულის ნაწილია **ქვეყანა, რომელსაც წლებია, სიყვარულს უხსნის და არ ესმის.**

— ნუციკო ზედაპირული, იოლად გასაგები პოეტი არ გახლავთ... ამავე დროს, ის ძალიან ქალურიაო, — ამასაც იტყვის და მისი ორიგინალური მეტაფორების ნიმუშად მოიყვანს სტრიქონებს:

დამშვიდობებით, მოსვლით, შეხვედრით,
გაცემული ზღვებით წყალსავსე,
აფხაზეთივით გამდინარე,
სამშობლოსავით დაგუბებული,
შენსავით მღვრიე,
ბნელი,
მკვლელი ზღვა მოგიტანე —
არ დამიღვარო.

ქალბატონი ნინო გამოარჩევს კითხვებსაც, რომლებიც ისმის პოეტის შემოქმედებაში:

რატომ უნდა აიმღვრეს სამყარო, თუ ყველაფერი სწორად მიედინება, რატომ ვერ უნდა მოახერხო უფლის დანახვა, თუ ყოველდღე ლოცულობ და ის შენთან არის?

ასევე იტყვის ფერზეც, რადგან დეპრესია მისთვის ყვითელია და **წითელთითებჩაბღუჯულია მისი სხეული;**

ცალკე თემად მიიჩნევს საუბარს ნუციკო დეკანოზიშვილის პოეზიის მელოდიურობაზე, პოეტურ სმენაზე, ექსპრესიასა და ლექსებში გაყუჩებულ მისტიკაზე... და ამ თვალსაზრისით გამოარჩევს სტრიქონებს:

ჩუმად უთხარი მკვდრებს, რომ გაჩუმდნენ!
უთხარით, ცაში სიყვარულს ვმკიდი...
ჩვენც აღარ დაგვრჩა სიცოცხლის კვნიტი,
ჰოდა, უთხარი მაგ მკვდრებს —
გაჩუმდნენ!

რეალურისა და ირეალურის ზღვარზეც გამოიხმობს მკითხველს პოეტი, რომელსაც **თვალებს უსერავენ შიგნიდან ჩამტყდარი შუშები** და **თამარელა წოწორიასთვის** ეს სტრიქონები უხმო მსხვრევის ასოციაციასაც გამოიწვევს. იგი მიიჩნევს, რომ მათი ავტორი საგანგებოდ შლის საკუთარ სულს ნამცეცებად, რათა ხელახლა აღადგინოს მკითხველის თვალწინ და ერთ მთლიანობად წარმოსახოს.

არ შემოხვიდე!
ეს ნამსხვრევები უნდა
ვკრიფო მთელი ცხოვრება,
კარადის თავზე, იატაკზე,
მიწაზე, ცაში...

ქალბატონი თამარელა სათაურის პოეტიკის გასახსნელად მოიშველიებს სტრიქონებს თემურ ჩხეტიანის ამავე სახელწოდების ლექსიდან და ჩინურ სიბრძნესაც მოიხმობს;

საგანგებოდ ჩაუღრმავდება ამ კრებულის მთავარ მოტივს — „თუ ღმერთმა ადამიანი შექმნა თავის ხატად და სახედ, ადამიანმაც უნდა გაიმეოროს ეს ქმნადობა — შექმნას საკუთარი თავი. უფალი მხოლოდ შესაძლებლობას გვაძლევს, მისი ხორცშესხმა კი ჩვენი საქმეა“.

მას შემდეგ, რაც გამომსვლელმა ნუციკო დეკანოზიშვილის ლექსების ნარატიულ ნაკადზე ისაუბრა — სადაც, მისი თქმით, თავისუფალი და კონვენციური ლექსი ერთმანეთს ენაცვლება და ვერლიბრი ანუ თავისუფალი ლექსი, რომელიც რითმასთან დამოკიდებულებაში შეუზღუდავია, გაიგივებული არ არის ვერბლანსა თუ ურითმო ლექსთან — ტრადიციული სალექსო ფორმების საზომთა მრავალფეროვნებაც აღნიშნა და დასძინა, რომ ეს პოეტის შინაგანი ზრდისა და სიმწიფის მაუწყებელია.

— მთავარი სათქმელი ანუ ის მეტაფორული ხერხემალი, რომელიც ამ ლექსებს აერთიანებს, ალბათ ის ტკივილია, ალუბლისფერი კარის მიღმა მცხოვრებ პოეტს რომ გამოარჩევს და განასხვავებს განსხვავებულის ვერმგუებელ სინამდვილეში.

მთავარი სიტყვები, რომლებიც უნდა თქვას პოეტმა, რომ წიგნად შეიკრას სათქმელი, ნუციკოს ნათქვამი აქვს და ლექსებთან ერთად **დაატარებს ყვავილებს მექალაქიდან შენქალაქამდე.**

სწრაფად, ურითმოდ ფართხალებს ნუციკოს გული...

გამართლებად ბაგისმიერ ბგერებსა და დახავსებულ სიტყვებს იგონებს, წყალდიდობისას სათქმელად და მოსაჭიდებლად.

...და მოდის და მოაქვს ლექსები, სადაც **წრეზე სიტყვებით დანთებული ცეცხლი გიზგიზებს.**

* * *

— **ქალბატონო ნუციკო, დაგიწერიათ ლექსი, რომელიც არავისთვის გიჩვენებიათ და შეგინახავთ?**

— კი. თითქმის სულ ასე იყო. შეიძლება მეგობრისთვის წამეკითხებინა, თორემ ყოველთვის ჩემთვის ვწერდი. ფაქტობრივად, ნინო გოგიაშვილის განდობა ლექსთან, ეს შეთქმულება პოეზიასთან, ჩემმა ქალიშვილმა გასცა, თორემ ასე დარჩებოდა — გაუმხელელი.

— **თუ გაქვთ განსაკუთრებული ადგილი, სადაც წერთ?**

— არა, არც ადგილი მაქვს და არც დრო. ვწერ დიდი პაუზებით. შუალედებში მაქვს გამოხატვის სხვა საშუალებებიც — ხატვა, ფორტეპიანო... მთლიანად ლიტერატურით არ ვისახები...

— **პროზას თუ წერთ?**

— ჯერ არ დამიწერია, გარდა კომენტარებისა და სტატუსებისა ინტერნეტსივრცეში, რომელიც ცალკე ტიპოლოგიაა გამოხატვისა და, სხვათა შორის, ძალიან საინტერესოც, თუმცა... ვემზადები პროზისთვის... მეტიც — თითქოს მზაობაც მაქვს ამ ჟანრში გადასვლისა.

— **თქვენ თელავში მოღვაწეობთ და ძალიან დასაფასებელია, რომ ამ ქალაქს არ უღალატეთ. ხომ არ აპირებთ მის ყოფაზე დაწერას?**

— არა, იცით, უფრო ეგზისტენციალისტი ვარ. ფაქტებსა და ეპოქაზე მეტად ადამიანი მაინტერესებს თავისი შინაგანი სამყაროთი, განცდებით, ტკივილებით...

— **ამას იმიტომ გეკითხებით, რომ ახლახან ჩამოვედი კახეთიდან და აღმოვაჩინე, რომ კოტე აფხაზის სახლ-კარი სრულიად მიტოვებულია, მეტიც — იქაურებმა რიგიანად არც კი იციან მისი ღვაწლის შესახებ. ასეთ მემორიალურ ადგილებს პოპულარიზაცია სჭირდება... სკოლის მოსწავლეებთან მუშაობა ამ თემებზე.**

— ძალიან კარგი იდეაა...

გერმანიაში მოღვაწეობს ქართველი ქალბატონი მარიკა ლაფაური-ბურკი, რომელმაც შეიმუშავა კისისხევის პროექტი რეგიონებში საგანმანათლებლო კერების შექმნის შესახებ და მასში მეც ვმონაწილეობდი.

მეც მგონია, რომ ამ ბოლო ხანს ეპატაჟური ფსევდოკულტურა ჩამოყალიბდა, ნამდვილი ღირებულებები იკარგება და ამას სათანადო ყურადღება სჭირდება.

— **პირველად რამ დაგაწერინათ ლექსი?**

— წარმოიდგინეთ, არც სიყვარულმა, არც გაზაფხულმა... ჩემი ძმა პირველად დაჯდა ველოსიპედზე, გააქროლა და ისე გამიხარდა, ამაზე ლექსი დავწერე. 9 წლის ვიქნებოდი მაშინ.

— **მერეც არ უსვრია თქვენთვის კუპიდონს ისარი?**

— რა თქმა უნდა, უსვრია, აბა, ამდენ ლექსს სხვანაირად როგორ დავწერდი?!

— **თეთრი ლექსი უფრო გაინტერესებთ თუ რითმიანი?**

— თეთრი ლექსი ჩემს შემოქმედებაში, მგონი, ყველაზე ნაკლებადაა. უფრო ჟანრობრივი მრავალფეროვნება მიტაცებს — ვერლიბრი, ვერბლანი, კონვენციურ ლექსსაც ვწერ... ყველა სალექსო ჟანრი მაქვს მოსინჯული. მთავარია, ლექსის ჩარჩომ არ შემზღუდოს. თუ ვგრძნობ, რომ ხელს მიშლის, ვიშორებ.

— **მუსიკითაც გამოვიხატებიო, — თქვით. ლექსის წერაში მუსიკა არ გიშლით ხელს?**

— არა, არა... პირიქით. მუსიკალური სკოლა მაქვს დამთავრებული. სერიოზული კონკურსების გამარჯვებულიც ვარ, კონსერვატორიაში ჩაბარებასაც მირჩევდნენ... თუმცა, სხვა გზა ვარჩიე.

— **და ამ გზაზე რა ადგილი აქვს თქვენს ცხოვრებაში ლექსის წერას?**

— ლექსის წერა ჩემთვის თვითგამოხატვის საშუალებაა, ამავე დროს, სუნთქვაა, სულიერი საკვებია... როცა სიტყვები მთავრდება, ემოცია იშრიტება, მე ვხდები მარგინალი... პოეზია ჩემთვის ყველაზე მთავარი კი არ არის, ყველაზე მთავარის გამოხატვის საშუალებაა.

* * *

5 ოქტომბერს ჩოხში ვიყავითო, — **იოსებ ჭუმბურიძე იტყვის.**

გოდერძი ჩოხელის დღე იყო.

ბევრნაირი ორატორი მონაცვლეობდა სცენაზე.

ბატონ ზაზა აბზიანიძეს უთქვამს, ჩემი ნება რომ იყოს, სამშობლოზე ლექსის დაწერას რამდენიმე წლით მაინც ავკრძალავდიო.

— ცხადია, მივხვდი, რასაც გულისხმობდა, მაგრამ მაინც შევცბუნდი.

რამდენიმე წუთის შემდეგ მიკროფონთან ტარიელ ხარხელაური მივიდა და სწორედ სამშობლოზე დაწერილი ლექსი წაიკითხა.

ბატონი ზაზას რეაქციას დავაკვირდი.

მხურვალედ დაუკრა ტაში და ერთხელ „ბრავოც“ კი წამოიძახა.

შეცბუნებამ გამიარა: მივხვდი, რომ „აკრძალვა“ ყველაზე არ ვრცელდებოდა.

...დღეს აქ სწორედ სამშობლოზე დაწერილმა ლექსმა გამომიყვანა, — ასე დაიწყებს თავის გამოსვლას ბატონი იოსები და აღნიშნავს, რომ ნუციკო დეკანოზიშვილის წიგნში თავიდანვე სწორედ ასეთ ლექსს დაუწყო ძებნა. გაუხარდა, რომ ბოლოში მაინც მიაგნო.

გაუხარდა და თანაც გაბრაზდა, ამ ლექსის სათაური წიგნის გარეკანზე რომ არ იყო გამოტანილი.

საერთოდ, არ უყვარს ასეთი სათაურები: ნამცვრევები, ნამსხვრევები, ნატეხები...

განა ეს უფრო არ მოუხდებოდა: „სიზმარი სამშობლოზე“. მითუმეტეს, რომ ეს ამ მშვენიერი კრებულის (თანაც რა კარგად გამოცემულის) ერთ-ერთი საუკეთესო ბინადარიაო.

— არა ვარ ურითმო ლექსის მოყვარული, მაგრამ ასეთიც არაერთხელ მომწონებია.

„სიზმარი სამშობლოზე“ მათ შორისაა.

მაინც რით მომწონს ეს ლექსი? — ეს რომ გითხრათ, ის სტრიქონ-სტრიქონ უნდა განვიხილო.

ნეტავ შენ რას გარგებს
ჩემი ხმადაბალი ლექსები...
...პრიალა შვილები
ისე თავხედურად შეგხებიან,
მე — თავჩაქინდრული —
ფრაზების უკანღა ვიმალები.

აი, ეს „დამალვა“ მომწონს.

ნეტავ მაცოდინა, —
შენს გულს რა წამალი ეამება.

შენს მთებს ჩემი ხელი
ისე ფრთხილად,
ისე რბილად უნდა ვახლო,
რომ სულ დაიბზაროს
ყველა ჩრდილოეთის ყინული და
ჩამოჭრილი ხორცი
ისევ გაგრძნობინო.

აი, ეს ფრთხილად და რბილად ხელის ხლება მომწონს.

ჩრდილოეთის ყველა ყინულის დაბზარვა და ჩამოჭრილი ხორცის გრძნობა მომწონს!

და კიდევ — ძალიან მნიშვნელოვანი რამ:

ხომ სამშობლოს ელაპარაკება, მაგრამ ზოგჯერ ავიწყდება და აი, რას ამბობს:

ჩემი სიტყვა უნდა
დაგადევნო, დედი...
ვნატრობ, დედი...

აი, ეს „შეშლა“ მომწონს.

სხვა რომ არ იყოს, ამ კრებულს მარტო ეს ლექსი ეყოფოდა გამოსარჩლებად.

P.S. არადა, თავისთვის წერდა.

ეს ყველაფერი თვითგამოხატვის საშუალება იყო, შეთქმულების მისტერიაში გამოხვეული სათქმელი — განდობა ლექსთან, „ვისთანაც“ შეგიძლია ყველა საიდუმლო ამოთქვა, ყველა ოცნება გაამხილო, თითოეული ნაიარევი გააშიშვლო და წარდგე ისეთი, როგორიც ხარ.

როგორიც შეიყვარა მკითხველმა ნუციკო დეკანოზიშვილი.

და გიხარია, რომ მისი „შეთქმულება“ ლექსთან ასე წარმატებულად გასცეს.

ლელა ჯიყაშვილი

ფერწერის არისტოკრატი

ზურაბ ნიჟარაძე

არისტოკრატია ბერძნული სიტყვაა ariotoς და საუკეთესოს ნიშნავს, κratoς კი — მმართველობას, ძალაუფლებას. ის ვინც საუკეთესოა და უმაღლეს კლასს წარმოადგენს, ის, ვისაც ხელეწიფება მართვა და განკარგვა არისტოკრატი გახლავთ. და თუ ამ ყველაფერს სულიერ ასპექტში გადაიტანთ, მხატვარი ზურაბ ნიჟარაძე ნამდვილი არისტოკრატია — ფერწერის არისტოკრატი.

ხელოვნებაში მართალია არსებობს პირობითობა — ვიღაც მეტად სრულყოფილადაა აღიარებული, ვიღაც — ნაკლებად, მაგრამ რეალურად იყო ხელოვანი — ეს უკვე ნიშნავს იყო რჩეული და იერარქიაში, სადაც უმაღლესი (მონარქი) მშვენიერების განცდაა, მხოლოდ მას (მონარქს) ემორჩილებოდე... ზურაბ ნიჟარაძის შემოქმედება ამ მორჩილების, მსახურების მაგალითია. მხატვარი უპირობო მმართველია, როცა საქმე ფერთა ფლობას ეხება, ასე იქმნება დიდებული ფერწერული ტილოები, რომელიც საქართველოს სულიერ საგანძურს წარმოადგენს.

მამის მხრიდან სამხედრო არისტოკრატიის და დედის ხაზით თარხან-მოურავთა ბრწყინვალე გვარის ჩამომავალი, თბილისის შუაგულში — ბესიკის ქუჩაზე დაბადებული და გაზრდილი თავნება და ჯიუტი ბიჭი, რომელსაც ხატვა უყვარდა, ბუნებითად აერთიანებდა თავის თავში სამხედროთათვის დამახასიათებელ მიზანდასახულობას და საბრძოლო მზადყოფნას, თარხან-მოურავთა გვარისათვის დამახასიათებელ ინტელექტუალურობასა და თავადურ ხელგაშლილობას, თბილისურ სითბოსა და უბრალოებას... და, რაც მთავარია, მსახურების განცდას, რაც მართლაც ყველაზე ელიტარული განცდაა: თავის საქმეს გულწრფელად, მთელი სულით, თავდაუზოგავად ემსახურება და არ ტოვებს განცდა, რომ ის ვალშია, აღიარებასთან ერთად კი იზრდება ვალის სიდიდეცა და პასუხისმგებლობაც...

ინტელიგენციისათვის დამახასიათებელ სირბილეს, ლიბერალობას, რომელიც ძალიან იოლად გეცემა თვალში, ზურგს უმაგრებს შინაგანი სიმტკიცე, რომელიც ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთა მტკიცე ნაგებობას შეიძლება შეადაროთ. ეს უკვე ზედაპირზე არ გახლავთ ამოტანილი, მაგრამ ის, რომ ზურაბ ნიჟარაძე, როგორც მხატვარი არსებობს, სწორედ ამ „ძლიერი ზურგის“ წყალობაა... აბა, რა გამოატარებდა ან სტალინიზმით დაზაფრულ პერიოდს, ანდა მაამებლობითა და მლიქვნელობით ნიშანდებულ საბჭოთა კავშირის არსებობის უკანასკნელ წლებს ასე შეუბღალავად, მხოლოდ საკუთარი მონარქის — მშვენიერების — მორჩილებით?! როგორ გაუძლებდა ამდენ პირდაპირ და ირიბ ზეწოლას იდეოლოგიური თვალსაზრისით? ყველაზე მნიშვნელოვანი ღირსება კი ის გახლავთ, რომ ამ თავდაუზოგავ ბრძოლაში არ გაგულისებულა, მის შემოქმედებას არ შეხებია ლოზუნგებისათვის დამახასიათებელი სიმჭახე და პოლიტიკური პროტესტისათვის დამახასიათებელი სწორხაზოვანი განაცხადი. არ გაუბრალოებულა მოსალოდნელი მახრჩობელა განცდით — ჭაობში ვცხოვრობო...

რეალურად მართლაც შეიძლებოდა დროს ემძლავრა და მთავარის ნაცვლად მიმდინარე და ნაკლებმნიშვნელოვანზე გადაეტანინებინა ყურადღება, მაგრამ ის ხომ ქვითკირით ნაგები ციხე-სიმაგრის სიმტკიცით იყო დაჯილდოებული... ამ სიმტკიცითვე დღემდე ერთგულებს უმთავრესს — მშვენიერებას.

შთაბეჭდილება რჩება რომ ყველაფერი ასეც უნდა ყოფილიყო, რომ ზურაბ ნიჟარაძე აუცილებლად უნდა დაბადებულიყო და მხატვრად ჩამოყალიბებულიყო საქართველოში... მხატვარი ნატალია ნესტეროვა წერს, „ადამიანი, რომელიც საქართველოში დაიბადება, ვალდებულია ნიჭიერი იყოს... ასეთი წარმოუდგენელი ბუნების, რომელიც მძვინვარეცაა და სევდიანიც, დამაუნჯებელი არქიტექტურის, მშვენიერი სიმღერების ქვეყანაში — მხატვარი საკუთარ თავს გადმოაფრქვევს ტილოზე, ან კედელზე, ან თეატრალურ დეკორაციაში და თავის აპოგეას მიაღწევს...

ეს ზურაბ ნიჟარაძეა...

მრავალმხრივი მხატვარი, მხატვარი — ინტელექტუალი“.

ზურაბ ნიჟარაძე თითქოს საქართველოს ბუნებრივი გაგრძელებაა და მისი შინაგანი საზრისის წამკითხველი. ამავდროულად ის მსოფლიო ხელოვნების მემკვიდრეცაა, რადგან მშვენიერებას, არ აქვს საზღვარი და ეროვნული კუთვნილება, ის ყოვლისმომცველი და მარადიულია.

* * *

ზურაბ ნიჟარაძე დაიბადა თბილისში, 1928 წლის 4 დეკემბერს.

გარემო, სადაც ყალიბდება ხელოვანი, ცხადია, ძალიან მნიშვნელოვანია. ზურაბ ნიჟარაძეს ამ მხრივ გაუმართლა. დედა — თარხან-მოურავი ბიბლიოთეკაში მუშაობდა, ამდენად მათთან შინ ყოველთვის „ჩნდებოდა“ წიგნები, რომლებსაც ძნელად წააწყდებოდით სხვაგან. ბიბლიოთეკები უკეთ მარაგდებოდა, ხანდახან ისეთ ლიტერატურასაც შეიტანდნენ ხოლმე (განსაკუთრებით ევროპულს), რომ გაგიკვირდებოდათ, ეს ცენზორმა რატომ არ აკრძალაო... თუკი რამე საინტერესო გამოჩნდებოდა, აიტაცებდნენ ინტელექტუალური თბილისელები და ხელიდან ხელში გადადიოდა წიგნი იყო თუ ჟურნალი. ასე ვრცელდებოდა ის ევროპული კულტურა ქალაქში, რომელსაც ებრძოდნენ, რომელიც შერისხული ჰქონდათ.

დედამ კარგად იცოდა, რა სჭირდებოდა მის ვაჟს, რომ ინტელექტუალური სფეროსადმი ინტერესი არ განელებოდა... მას მერე, რაც ზურაბმა კითხვა ისწავლა, ბიბლიოთეკის მკითხველიც გახდა...

ლიტერატურამ ხელი შეუწყო იმ წარმოსახვის უნარის განვითარებას, რაც ისედაც კოდირებული იყო მასში, როგორც მომავალ მხატვარში. გარემო ირგვლივ რაღაცნაირად განსულიერებული გახდა. თითქოს ხელშესახებ სხეულებად ჩამოყალიბდნენ მითიური გმირები, ანტიკური ისტორიის პერსონაჟები.

და იყო კიდევ ერთი ძალიან საინტერესო რამ, რომელსაც, ერთი მხრივ, მამის — არჩილ ნიჟარაძის — წყალობითაც დაუკავშირდა, და რომელმაც დიდი ემოცია მოუტანა. ეს ორთქლმავალი გახლდათ.

მხატვარი იხსენებს: *„მამას ე.წ. რეალური გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული, ინჟინრის დიპლომი ჰქონდა რკინიგზის განხრით, ორთქმავლის სპეციალისტი იყო, ლექციებს კითხულობდა სარკინიგზო სასწავლებელში. ორთქლმავლები მეც ძალიან მაინტერესებდა, ცოცხალი არსებებივით იყვნენ. თანამედროვე მატარებელი თითქოს ცივია, არანაირ ემოციას არ იწვევს, ორთქლმავალი კიდევ ცოცხალი არსებასავით იყო — ორთქლს უშვებდა, სხვანაირი ხმა ჰქონდა. მშობლებთან ერთად ხშირად დავდიოდი სააგარაკოდ, გვიხდებოდა რკინიგზით მგზავრობა. მაშინ ვხედავდი ორთქლმავლებს და ძალიან მომწონდა მათი თვალიერება“...*

სამყარო ნელ-ნელა იზრდებოდა ბავშვის ირგვლივ, ინტელექტუალური სფეროს უკიდეგანო სივრცეებს შეგრძნებათა უსასრულო სამყარო ერთვოდა. ემოცია დიდი იყო, მაგრამ ზურაბ ნიჟარაძეს არ სჩვეოდა ხმამაღალი საუბარი საკუთარ განცდებზე... თითქოს ყველაფერი მასშივე უნდა დარჩენილიყო, რომ წლების შემდეგ უკვე ტილოზე გადასულიყო და, დიდი ზემოქმედების ძალით თავად აღჭურვილი, მის მნიშვნელოვან ხელოვნებად მოგვვლენოდა.

„გულახდილი არც ბავშვობაში ვიყავი, არც ახლა ვარ... სენტიმენტები არ მიყვარდა — გავურბოდი... მარტოობა უფრო ბუნებრივი იყო ჩემთვის, ვიდრე ვინმეს გვერდით ყოფნა და შთაბეჭდილებისა და განცდების გაზიარება. მახსოვს სულ პატარა ვიყავი, მშობლებთან ერთად რომ მივდიოდი სადმე, ჩამოვრჩებოდი და მარტო მივყვებოდი. მამასაც უკვირდა და დედასაც. მე კი ასე მერჩივნა“... — ამბობს მხატვარი.

ჯერ კიდევ არ ჰქონდა გაცნობიერებული, რომ დიდი ტკივილის განცდითაც ჩნდება მარტოობა, რომელიც სულ სხვაა და არ ჰგავს იმ შეგრძნებას, შინ წიგნების პირისპირ მარტო დარჩენილი რომ განიცდი.

1941 წელს მისი უფროსი ძმა — გია აგლაძე — ომში წავიდა. შეეძლო არც წასულიყო, ამის საშუალებას ჯანმრთელობის მდგომარეობა აძლევდა. ძალიან სუსტი მხედველობა ჰქონდა, -7 სათვალეს ატარებდა. გია გახლდათ... ვაჟი პირველი ქორწინებიდან. საოცრად დადებითი პიროვნება და მოწესრიგებული ახალგაზრდა იყო. ყველაფერს ისე აკეთებდა, როგორც წესიერმა კაცმა უნდა გააკეთოს — სწავლობდა მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტში, სკოლა სულ ფრიადებზე ჰქონდა დამთავრებული, მისით ყველა მოხიბლული იყო. ზურაბს ძალიან უყვარდა უფროსი ძმა, რომელსაც საინტერესოდ შეეძლო საუბარი... და აი, გაიგო, რომ მისი საყვარელი და სამაგალითო დედმამიშვილი მოსკოვიდან მოხალისედ წავიდა ფრონტზე. იქიდან ცოცხალი არ დაბრუნებულა...

გიას გარდაცვალების ცნობა მოვიდა ოჯახში, თუმცა მამამ გადაწყვიტა, ცოლ-შვილი დაენდო ამ დიდი ტკივილისაგან და დიდხანს ინახავდა საიდუმლოდ. დედა და უმცროსი ძმა კი ყოველ ცისმარე დღეს ელოდნენ წერილს ფრონტიდან, მერე იმ ცნობას მაინც, რომ გია სადღაც ტყვედ იყო ჩავარდნილი... არსაიდან არაფერი ისმოდა. ესეც მარტოობა იყო, ოღონდ უფრო ცივი, დამზაფვრელი, სულისგამაწვრილებელი. ამისი განცდა სწორედ ზურაბ ნიჟარაძის გარდატეხის ასაკს დაემთხვა, იქნებ ამანაც განაპირობა, რომ უფრო გულჩათხრობილი გამხდარიყო, პროტესტის განცდა კი — სიკვდილი არ უნდა არსებობდესო — აღარასოდეს განელებოდა...

* * *

— ჩემი ძმა ნამდვილად დადებითი პიროვნება იყო, სკოლაშიც საუკეთესოდ ითვლებოდა, საზოგადოებაშიც... მე კი — არა, — თქვა და გაიმეორა ძმის გარდაცვალებიდან ათეული წლების შემდეგაც ზურაბ ნიჟარაძემ, — ჩემში მიღებული ნორმები ბავშვობიდანვე პროტესტს იწვევდა, არ მომწონდა. ამიტომაც ვარღვევდი, შესაბამისად „კარგიც“ არ ვიყავი...

ეს „დამრღვევი“, დაუმორჩილებელი ბიჭი ბესიკის ქუჩაზე ცხოვრობდა და იქვე ახლოს, მე-14 სკოლაში დადიოდა. რეალურად, მეექვსე კლასამდე „დამრღვევიც“ არ ეთქმოდა. ისიც ფრიადოსანი იყო, მაგრამ მერე...

მე-14 სკოლის შენობაში ომის დროს სამხედრო ჰოსპიტალი გახსნეს და მთელი კონტინგენტი გადაიყვანეს I სკოლაში. მე-14 სკოლელები პირველ ცვლაში სწავლობდნენ, პირველი სკოლის მოწაფეები — მეორე ცვლაში. ქვეყანას დაეტყო დაძაბულობა და ისიც, რომ უამრავ ოჯახს დაატყდა თავს ტრაგედია — ომში დაეღუპა შვილები, ქმრები, ძმები და მამები. საერთო განწყობილებამ თავისი ქნა და ზურაბიც, რომელიც ძალიან მძაფრად აღიქვამდა გარესამყაროდან მომავალ ემოციას, რაღაცნაირად „განუდგა სკოლას“...

გარდა საერთო საომარი განწყობილებისა, იყო მეორე ძალიან ობიექტური და კონკრეტული მიზეზიც, რომლის გამოც სკოლისკენ გახედვა აღარ უნდოდა: *„სკოლაში ძალიან ცუდი სასწავლო პროგრამა იყო შედგენილი. არ შემეძლო უბრალოდ დამემახსოვრებინა რამე, მჭირდებოდა გამეგო, გამეაზრებინა... დრო უნდა, რომ ჩაწვდე ყველაფერს, სკოლაში კი თითქოს მოსწრებაზე იყო საქმე. ჩქარ-ჩქარა გავდიოდით პარაგრაფებს. ასე არ შეიძლება! შეიძლება ვინმე 45 წუთში ჩაწვდეს გაკვეთილის აზრს, მე ეს დრო არ მყოფნიდა. იმასაც, რასაც გვასწავლიდნენ, უღიმღამოდ გვაწვდიდნენ. ალგებრაში, მაგალითად, უცნობის ამოხსნა რა საინტერესოა, მერე მივხვდი, გვიანღა დავინახე, რა სილამაზეა ამაში და ძალიან გავერთე. ეს სკოლის გარეთ სულ სხვა შემთხვევის წყალობით მოხდა... თავის დროზე სკოლაში ვერ ამიხსნა მასწავლებელმა... ამიტომაც გული ავიყარე. აღარ ვუსმენდი პედაგოგებს, სანაცვლოდ, სიამოვნებით ვკითხულობდი პერელმანის სახალისო ბიოლოგიას, მათემატიკას, ფიზიკას, ქიმიას... თანაც ამ დროს უკვე გატაცებული ვიყავი ხატვით და მის ტოლფასად აღარაფერი მაინტერესებდა. თვეობით არ დავდიოდი სკოლაში. სამაგიეროდ, დავდიოდი ჩემს ბიძაშვილთან — რეზო თარხან-მოურავთან. ის ჩემზე უფროსი იყო და სამხატვრო აკადემიაში ჩასაბარებლად ემზადებოდა... მასთან თავს კარგად ვგრძნობდი. სახელოსნო არ გაჩნდა, მასთან შინ ვმუშაობდით... ზემელზე ცხოვრობდა დეიდაჩემი და ბიძაჩემი გოგლიკა თარხან-მოურავი. ბიძა იურისტი გახლდათ. მათი ოჯახი დიდი კულტურის მატარებელი ოჯახი იყო. აქ იკრიბებოდნენ ძველი თაობის საინტერესო წარმომადგენლები.*

მათთან მისვლა ყველაფერს მერჩივნა... სკოლას საერთოდ დავანებე თავი, დავდიოდი რეზიკასთან და ვხატავდი. რეზო ჩემზე უფროსი იყო 5-6 წლით. აკადემიაში აპირებდა გამოცდების ჩაბარებას.

ომის წლები იდგა. თბილისში ცხოვრობდა საშა ბაჟბეუქ-მელიქიანი. ისე უჭირდა, შიმშილობდა, ვისაც შეეძლო, ეხმარებოდა. ბიძაჩემმა შესთავაზა, ჯგუფი მოემზადებინა, შეკრიბეს მსურველები, რამდენიმე ბიჭი და ერთი გოგო — მისი სახელი ახლაც მახსოვს, — იოლანდა პეტრაკოვსკაია. ჩემზე უფროსები იყვნენ, მათ ჯგუფში არ ვიყავი, მაგრამ ვესწრებოდი გაკვეთილებს, საშა მაღალი დონის მხატვარი გახლდათ და არაჩვეულებრივად ასწავლიდა. დახედავდა ჩემს ნამუშევარს, შემაგულიანებდა ხოლმე და მეც მიხაროდა... პირველი სერიოზული ნიშანი რომ მხატვარი უნდა გავმხდარიყავი, ამ ატმოსფეროში გამოჩნდა“...

რაკი სკოლისკენ გახედვაც აღარ უნდოდა, მშობლები საგონებელში ჩავარდნენ. რაღაცნაირად ხომ უნდა დაესრულებინა საშუალო განათლება, ატესტატი ხომ უნდა აეღო, მითუმეტეს, რომ ის არ იყო ბიჭი, რომელსაც სწავლა არ უნდოდა. შინ სულ წიგნი ეჭირა ხელში და ინტელექტუალური ადამიანის ფსიქოტიპი გახლდათ. გამოსავალს მამის მეგობრის წყალობით მიაგნეს: *„მამაჩემის მეგობარი გახლდათ გოგი თაქთაქიშვილი, ნიჭიერთა მუსიკალური ათწლედის დირექტორი იყო იმ დროს. მან შესთავაზა: მოდი, ჩვენს სკოლაში ავიყვან ზურაბსო. მამა დათანხმდა, სხვა არჩევანი მაინც არ გვქონდა.*

რაკი ფორტეპიანოსა და ვიოლინოს კლასში სწავლის დაწყება ჩემთვის დაგვიანებული იყო, კონტრაბასზე შემიყვანეს. ჩემთან ერთად სწავლობდნენ ბიძინა კვერნაძე და ფელიქს ღლონტი. ან იმათ რა უნდოდათ კონტრაბასზე, მაგრამ განსაკუთრებით მე რა მინდოდა!

არცერთი გაკვეთილი არ მისწავლია. ჩვენი პედაგოგი იყო ცნობილი კონტრაბასისტი სავჩენკო, მომხიბვლელი, მაღალი კაცი, ძალიან განიცდიდა, რომ ვერ დამაინტერესა. მეუბნებოდა: თქვენ ისეთი მონაცემები გაქვთ, ისეთი ნიჭიერი ხართ, როგორც სერგეი კუსევიცკიო.

სერგეი კუსევიცკი (1874-1951) ნამდვილი მეტრი იყო — კონტრაბასზე სოლო შემსრულებელი, დირიჟორი და საზოგადო მოღვაწე. 1921 წლიდან ემიგრაციაში ცხოვრობდა და თავისი ნიჭით მსოფლიო აალაპარაკა. ამანაც ვერ მიშველა, სავჩენკომ მისი დარი ნიჭი რომ მიწინასწარმეტყველა. არ მოვიხიბლე... მაინც არ ვისწავლე. მარწმუნებდა: დირიჟორის ტანი, მონაცემები და სმენა გაქვსო... არც ამან გაჭრა. როგორღაც დავამთავრე, თუმცა კონტრაბასის ხელში აღებაც კი ვერ ვისწავლე“...

* * *

ზურაბ ნიჟარაძე

მუსიკალური ათწლედის დამთავრების შემდეგ სამხატვრო ტექნიკუმში განაგრძო სწავლა. ტექნიკუმის შენობა სამხატვრო აკადემიის ეზოში იდგა და სწავლის პროცესიც თითქოს აკადემიასთან ერთ სიბრტყეში იყო გადატანილი. ამაზე თუნდაც ის მეტყველებდა, რომ როცა ტექნიკუმის სტუდენტები აწყობდნენ გამოფენას, აუცილებლად ხვდებოდა აკადემიის სტუდენტებისა და პედაგოგების ყურადღების ცენტრში. აკადემიის სტუდენტთა გამოფენა კი თავისთავად მოვლენა იყო ტექნიკუმის მსმენელთათვის. ზურაბ ნიჟარაძეს სამხატვრო ტექნიკუმში საინტერესო გარემო დახვდა:

„ჩემზე ერთი წლით წინა კურსს, სადაც სწავლობდნენ ჯიფსონ ხუნდაძე ზურა მეძმარიაშვილი, ჟანი მეძმარიაშვილი, რენო თურქია, ჰყავდათ პედაგოგი ვალენტინ შერპილოვი, — კაცი, რომელიც გატაცებული იყო იმპრესიონისტებით. მან შეაყვარა ამ თაობას იმპრესიონიზმი. მეც რაღაცნაირად დავინტერესდი. აქ მანეს, მონეს სული რომ ტრიალებდა, დიდი დამსახურება იყო ვალია შერპილოვის“.

ახალგაზრდა პედაგოგი ვალენტინ შერპილოვი 1930-იან წლებში სტუდენტებს შორის "არასწორი იდეების" (იმპრესიონიზმის) პროპაგანდისთვის აკადემიიდან დაითხოვეს. მას მერე ტექნიკუმში ჰქონდა ლექციები...

ევროპული მხატვრობისადმი ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ ზურაბ ნიჟარაძეს მეგობრებმა მეტსახელად პიკო დაარქვეს პაბლო პიკასოს გამო.

„ადრე საზღვარგარეთულ მხატვრობაზე ჩვენს ქვეყანაში მწირი ინფორმაცია შეიძლებოდა მიგელოთ. დედაჩემი მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში მუშაობდა და მოჰქონდა უცხოური ჟურნალები, სადაც იბეჭდებოდა ზოგი რამ მხატვრობაზეც... ამიტომაც მქონდა უცხოელი მხატვრების გავლენა ადრევე. ამით გამოვირჩეოდი სხვა სტუდენტებისაგან. კოკი მახარაძემ დამარქვა პიკო პიკასოს გამო... მაშინ გამოფენილი მქონდა საკურსო ნამუშევარი თეატრის თემაზე. მართალია, შერპილოვი არ მასწავლიდა, ჩემზე წინა კურსებს ასწავლიდა, მაგრამ რატომღაც მოვწონდი და ხაზგასმით ყურადღებას მაქცევდა. ერთხელაც მოვიდა ცეკას მდივანი შადური. შერპილოვმა რამდენჯერმე მიიყვანა იქ, სადაც ჩემი ნახატები ეკიდა. ყურადღება მიაქცევინა. მერე გამომიძახეს ცეკაში — შადური გეძახისო. მივედი. მკითხა: ბევრს დადიხარ თეატრშიო?! ვერამეთქი. დაუძახა მდივანს: ამას საშვი მიეცითო. იმ საშვით ყველგან შემეძლო შესვლა. მეც დავდიოდი სპექტაკლებზე. ყველგან მიდგამდნენ სკამს. შევამჩნიე, რომ ყველა ადმინისტრატორი ამ დოკუმენტს — საშვს ჯიბეში იდებდა, მიხდებოდა მოთხოვნა, გარკვევა, იყო ერთი ამბავი... მერე მომბეზრდა ყველაფერი და დავანებე საშვით სიარულს თავი“.

ზურაბ ნიჟარაძემ იცოდა, იცოდა, რომ ის, რასაც საბჭოთა იდეოლოგიის საცერში ატარებდნენ და ნახევრად გადასხვაფერებულს, ან სრულიად თავდაყირა დაყენებულს აწოდებდნენ, არ იყო რეალური დასაყრდენი მომავალი ინტელექტუალური და სულიერი ზრდისთვის... ამიტომაც ნამდვილ დასაყრდენს ეძებდა და წინ მიდიოდა...

...თანაც ზურაბ ნიჟარაძე გაცილებით უფრო სწრაფად მიდიოდა წინ, ვიდრე ტექნიკუმში სწავლის პროცესი. ამიტომ ერთ დღესაც აღარ დაინტერესა იქ მისვლამ...

„ტექნიკუმში იმდენი გაცდენა მქონდა, მექანიკურად ამომშალეს მესამე კურსიდან. არ დავდიოდი. მიზეზი — შემოქმედებითი პროცესის მოთხოვნილება. სამაგიეროდ, ისევ რეზიკა თარხან-მოურავთან დავდიოდი და იქ ვხატავდი“.

1947 სამხატვრო აკადემიაში ჩაირიცხა თავისუფალ მსმენელად. მიღებული წესის თანახმად, როცა რომელიმე სტუდენტი ვერ აბარებდა სემესტრულ გამოცდებს, გაირიცხებოდა და მის ადგილს თავისუფალი მსმენელი იკავებდა. როცა აკადემიის რექტორად მამია დუდუჩავა დაინიშნა, მოსპო თავისუფალი მსმენელობა და ზურაბ ნიჟარაძეც აკადემიიდან დაითხოვეს.

1948 წელს მისაღები გამოცდები ხელახლა ჩააბარა და ისევ სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გახდა... თუმცა ბევრი სირთულე ელოდა წინ.

„მეორე კურზე პრაქტიკაზე ვიყავით ზღვისპირეთში. იქ კომპოზიცია გავაკეთე, პიონერთა ჯგუფი და ქალი, ექსკურსიაზე მოჰყვებოდა... არაფერი ისეთი არ ყოფილა, მაგრამ კომპოზიცია შეფასდა როგორც ფორმალისტური, და კურსზე დამტოვეს... ჩემი ხედვა არ თავსდებოდა სოცრეალიზმის ფარგლებში, ამიტომაც პრობლემები მექმნებოდა. სამი-ოთხი წელი ასე დავკარგე. ჭიდაობა იყო გაჩაღებული ფორმალიზმთან, ამის გამო მარტო მე კი არ დავზარალდი, ვინც კი ე.წ. ავანგარდისტული მხატვარი იყო — ედმონდ კალანდაძე, ჯიფსონ ხუნდაძე — ყველამ ზედმეტი წლები გაატარა აკადემიაში, რადგან რამდენჯერმე ტოვებდნენ კურსზე. ასეთი დრო იყო. რუსეთში უფრო მკაცრად ექცეოდნენ „ფორმალისტებს“, ჩვენთან შედარებით რბილად... კიდევ კარგი, აქ გამოფენებს ბულდოზერებით არავინ შლიდა. იმას, რომ კურსზე მტოვებდნენ, არ ვაგდებდი არაფრად, მაგას მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენ წელიწადს ვისწავლიდი. დიდი აზრი არ ჰქონდა 6 წელს ვისწავლიდი, 7-ს თუ 8-ს. არ მივიჩნევდი, რომ აკადემია არის გარანტი იმისა, მხატვარი ჩამოყალიბდეს. აკადემია პროფესიულ ჩვევებს იძლეოდა, მაგრამ მხატვარი მერე უნდა ჩამოყალიბებულიყო“...

* * *

წინასადიპლომო პრაქტიკაზე ახალქალაქში იყვნენ. იქ გაიკეთა ესკიზი — ნახირი და იქვე მაღალი ძაბვის ანძები. ეს დაპირისპირება თანამედროვე რკინის კონსტრუქციებისა და ფორმებისა, რომელიც პირველყოფილ აღქმას შეესაბამებოდა, ძალიან მეტყველი გამოდგა.

რაკი მოზრდილი ნახირი იყო, უნდა დაერქმია საკოლმეურნეო ნახირი. სადიპლომო ნამუშევარს ასეც ჰქვია. კომისიას ალბათ არ გასჭირვებია პირობითად საბჭოთა დასახელების უკან ის სერიოზული სიღრმე ამოეკითხა, რომელიც ასე უშლიდა ნერვებს, ის ფერით მეტყველება დაენახა, რომელიც თან ასახავდა რეალობას და თანაც დიდი განზოგადებისაკენ მიდიოდა. კომისიამ იმსჯელა და გადაწყვეტილება მიიღო — სადიპლომო ნამუშევარი სამი ქულით შეეფასებინათ (ხუთქულიანი სისტემა იყო).

„ზუსტად აღარც მახსოვს, სამი დამიწერეს თუ დიდი გაჭირვებით ოთხი, — იხსენებს ქართული ფერწერის კლასიკოსი, — *ის კი მახსოვს, რომ სილოვან კაკაბაძეს შევხვდი კიბეზე, მან მითხრა: მადლობა უნდა თქვა, რომ ეს ნიშანი მაინც მიიღეო.*

საერთოდ რას ნიშნავს სამიანი, ოთხიანი და ხუთიანი, დღეს აც არ ვიცი. პირობითი დაყოფაა... ყურადღებას არაფერს ვაქცევდი“.

საქმეც ეს იყო, რომ ყურადღებას არაფერს აქცევდა, გარდა მნიშვნელოვანი საქმისა — მხატვრობისა. არ სჭირდებოდა განსაკუთრებული პატივი, ან რეგალიები, ნიშნები, ან აღიარება. მთავარია, საქმე ისე ეკეთებინა, როგორც სწამდა — ნამდვილი ხელოვნების რაკურსით განჭვრეტილი. თუმცა არც ისე იყო, რომ ვერავის დაენახა მომავალი დიდი მხატვარი ურჩ სტუდენტში, სადიპლომო ნამუშევრის უფრო მაღალ შეფასებაზე წარდგენა რომ ვერ მოახერხა... „საკოლმეურნეო ნახირი“ ძალიან მოეწონა მოქანდაკესა და კრიტიკოსს სანდრო **რაზმაძეს**, რომელიც სოხუმში ცხოვრობდა. თემის არჩევანში დაიჭირა რაღაც ორიგინალური. ანძებისა და ნახირის დაპირისპირება — ეს სახოვან აზროვნებაზე მეტყველებდა, მეტაფორულ აზროვნებაზე. სურათი ისე იყო შესრულებული, რომ თემაც გაიხსნა საინტერესოდ. ეს არც დაუმალა დიპლომანტს, რომელიც სამის მეტის ღირსი არ გახადეს.

„ჩემი ასპირანტობის საკითხი არც დამდგარა, ერთი სული მქონდა, როდის გამოვძვრებოდი აკადემიიდან და არც ვიფიქრებდი, სწავლა გამეგრძელებინა. აუტანელი იყო რეჟიმის აბსურდულობა... პროტესტს სიტყვიერად არ გამოვხატავდი. ვიცოდი, ეს იყო სახელმწიფო იდეოლოგიური პოზიცია, მასთან სიტყვიერ დაპირისპირებას რა შედეგი უნდა გამოეღო? ურჩხულს ცარიელი ხელებით ხომ არ შეებრძოლები? ამიტომაც სხვა გზა ვარჩიე — ყველაფრის მიუხედავად ვმუშაობდი ჩემებურად“.

ქვეცნობიერად იცოდა, რომ სამხატვრო აკადემიის დასრულება სულაც არ ნიშნავდა ბრძოლის დასასრულს. მაინც ერთი სული ჰქონდა, როგორღაც ბოლომდე მიეყვანა საქმე და დიპლომი აეღო. იმიტომ კი არა, რომ ფარატინა ქაღალდს — დიპლომს — ჰქონდა რამე განსაკუთრებული მნიშვნელობა, უფრო იმიტომ, რომ ამდენი ხნის პრინციპულად დგომის შემდეგ მარტივად არ უნდა გასცლოდა „ბრძოლის ველს“...

დიპლომის დაცვიდან ათეული წლების შემდეგ, როცა ღიმილით ვკითხე, ეტყობა, ასეთი ბრძოლის უნარი მეომარი წინაპრებისაგან გამოგყვათ-მეთქი, — *არა, ბატონო,* — იუარა, — *საერთოდ არ ვარ მებრძოლი, პირიქით, სახელოსნოში რაც ხდება, იმის იქით გახედვაც არ მინდა, არაფერში ვერევი, რადგან ვფიქრობ, რომ აქაც, ხატვის პროცესში უამრავი პრობლემა მაქვს გადასაჭრელი. ჩემთვის ესეც საკმარისია...*

არ დამიზუსტებია, რომ სწორედ ის იყო დიდი ბრძოლა, რაც აქ ხდებოდა, სახელოსნოში. ისე ხდებოდა, როგორც უნდა მომხდარიყო, და, რაც მთავარია, ამ ხელოვანმა დროს გაუძლო, ზეწოლა გადაიტანა და ვითომც აქ არაფერიო, ისე დაამარცხა ტოტალიტარული სახელმწიფოს მოთხოვნა — ხელოვნება იდეოლოგიის სამსახურში, ერთი ხმამაღალი სიტყვაც არ უთქვამს — მხოლოდ საქმით!

* * *

„ყველგან პოეტურობა, სინაზე და ბუნებისადმი, ნატურისადმი სიყვარული, თითქოსდა შორიდან ტკბობა, ხოლო ის ოდნავი ნაღველის ელფერი, რომელიც ასე თუ ისე გადაჰკრავს ზურაბ ნიჟარაძის ყველა ნამუშევარს, — ეს თვით ოსტატის ხასიათია, ეს თითქოსდა სინანულია ამ მშვენიერი და მრავალსახოვანი სამყაროს სულ ბოლომდე, სიღრმემდე ჩაუწვდომლობის გამო“, — წერს არტკრიტიკოსი ეკატერინე პრივალოვა.

მისი შემოქმედება მართლაც აღბეჭდილია როგორც პოეტურობით, ისე ინტელექტუალურობით, სამყაროში წვდომის სურვილითა და ისეთი წიაღსვლით, როგორიც მხოლოდ რჩეულ მოაზროვნეთა ხვედრია. ამიტომაცაა, რასაც უნდა მოჰკიდოს ხელი — ფერწერულ ტილოს, გრაფიკულ ნამუშევარს თუ ფილმისთვის ესკიზს — ყველგან რჩეულ სიმაღლეს აღწევს.

მხატვარი საოცარი ოსტატობით ეხება დროს, მოძრაობას დროში... ზოგჯერ ეს იმდენად თვალნათელია, რომ გგონია, საცაა თვალს მიეფარება ის წამი, რომელიც ოსტატს ტილოზე აღუბეჭდავს, ვერ მოიხელთებ, დიდხანს ვერ დააკვირდები, იმიტომ, რომ სურათი მოძრაობს, „გარბის“, უსასრულობისკენ მიემართება („კაფეში“)... პეიზაჟი ნისლიდან წამიერად გამომკრთალი სხივის წყალობით ხდება თვალხილული („სოფლის პეიზაჟი“, „თბილისის პეიზაჟი, სტუდქალაქი“, „საბუე“), მაგრამ ეს სხივი მქრქალი კი არა, თვალისმომჭრელია, გარემო — საოცრად ფერადოვანი და მეტყველი. თუმცა განცდა — რომ ეს ყველაფერი წამიც და ისევ ნისლით დაიფარება, ამიტომ უნდა მოასწრო და ბოლომდე შეისრუტო მშვენიერება — არ გტოვებს.

ზურაბ ნიჟარაძის მშვენიერი შიშველი ქალები უბრალოდ კი არ მოხვედრილან მხატვრის ყურადღების ცენტრში, მათი სხეული ანთია, სინათლეს გამოსცემს — ეს არაამქვეყნიური სინათლეა. მხატვარი ზურაბ ნიჟარაძე ამიტომაც არის დიდი ოსტატი, რომ ყველაზე ამქვეყნიურს, წარმავალს — სხეულს, ხორციელ სილამაზეს შინაგანი, მარადიული სინათლით ავსებს. მას არ სჭირდება მარტოოდენ ნაკვთობრივი სრულყოფილება... უფრო სწორად, ეს საერთოდ არ სჭირდება! სრულყოფილება მის შემოქმედებაში გაცილებით უფრო განზოგადებულია, ვიდრე მხოლოდ ვიზუალური განცდა ნატურისა. სილამაზეს შეიძლება ჰქონდეს ასაკობრივი განცდაც. დამჭკნარი, მზით გამომშრალი და დამაშვრალი სხეული, ცხადია, სულ სხვაა და სიცოცხლის სხივით განათებული — სხვა. ახალგაზრდა ქალის სილამაზე ერთი შეხედვით არამატერიალური სიმდიდრე ხდება, რომელზეც დროის სვლით შეცვლილი, სახსრებ-დეფორმირებული ხელის შეხებას მტკივნეულად განიცდი („მოხუცი მექისე“), მაგრამ ფრაგმენტი ჭრელი ფერადოვნებისა (ამ შემთხვევაში ქისა, თუმცა სხვა შიშველ სხეულებთან იგივე ფერთა სიჭრელით მოჩანს გადასაფარებლის ფრაგმენტი, ან ლენტი...) გაფხიზლებს, წარმოსახვითი სამყარო ნაკლებად პრეტენზიული ხდება და მიახლოების ნებას გრთავს — ყველაფერი თამაშივითაა, და ეს მკვეთრი ფერებიც, ბავშვობისდროინდელ სათამაშოს რომ მოგაგონებენ, თითქოს ხელის შეხების საშუალებას გიჩენენ.

მაგრამ მხატვარი, ცხადია, მარტო ფერზეც არ არის დამოკიდებული, ფანქარში შესრულებული გრაფიკული ნამუშევრები ადამიანის სულისკენ მიბრუნებულ, სხვა თვალისათვის დაფარულ, მაგრამ აშკარა ფერადოვნებაზე მოგვითხრობენ. ამ შემთხვევაში ნაკლებმნიშვნელოვანი ხდება, ვინ არის ნახატზე — რეალური პიროვნება თუ მითოსის გმირი — ეს ფიქრია ადამიანზე, რომელიც უკიდეგანო სამყაროში, მხატვარს ასე აინ-

ტერესებს, სწორედ ფიქრების სახითაა ფორმირებული. თუ ამას პოეზია ჰქვია, მაშინ ზურაბ ნიჟარაძე პირველი პოეტია.

ასეთი წიაღსვლების ფონზე გასაგები ხდება, რატომ უყურებს ერთი შეხედვით ზერელედ გამოფენების მოწყობას. მთავარი საგამოფენო დარბაზში არ წყდება, მთავარი სახელოსნოშია გადაწყვეტილი.

* * *

2010 წლის თებერვალში რადიო „თავისუფლებამ“ თავის პროექტში „თავისუფლების დღიურები“ მონაწილეობა სთხოვა ზურაბ ნიჟარაძეს. სწორედ აქ გაიხსენა მხატვარმა თავისი პირველი პერსონალური გამოფენის ამბავი:

„1979 წელს მოსკოვიდან ჩამოვიდა ორი ქალბატონი, რომლებიც საკავშირო მხატვართა კავშირში საქართველოს კურირებდნენ. მოვიდნენ ჩემთან სახელოსნოში და საუბარში გაირკვა, რომ მოსკოვში ჩემი გამოფენის მოწყობას აპირებდნენ. არც არავის არასოდეს ეკითხა ჩემთვის, პირველად მათგან გავიგე ეს ამბავი.

მოკლედ, დავთანხმდი და როდესაც ეს მხატვართა კავშირში გაიგეს, თქვეს: რაღა მოსკოვში, ბარემ აქ გავაკეთოთ უფრო ადრეო. გამოიყო დარბაზი — ორი სართული ჩემი ნამუშევრებით იყო სავსე!“

მართალია, საქართველოში ცოტა უფრო გვიან ფხიზლდებოდნენ და რუსეთში მოპოვებული დიდი აღიარების მერეღა იწყებდნენ სასწრაფო წესით გამოფენის მზადებას, მაგრამ ეს სპონტანურობა ხელს არ უშლიდა, რომ გამოფენას ნამდვილი ფურორი მოეხდინა, არც იმას ნიშნავდა, რომ ქართული კულტურული სივრცე მზად არ იყო თავად მიეღო და პატივი მიეგო ხელოვანისათვის. ჯერ ერთი, როგორც მხატვარი იხსენებს, მაშინ ძალიან იშვიათად ეწყობოდა პერსონალური გამოფენები და ამისი მოლოდინი არც ჰქონდა, და მერე — პრინციპულად არ იყო მომხრე იმისთვის მუშაობისა, რომ გამოფენა მოეწყო. *„სულ არ მჭირდება არავითარი გამოფენა. და არც მიყვარს, მართალი რომ ვთქვა. ამიტომ არ ვემზადები არავითარი გამოფენისთვის. მიგროვდება რაღაც ნამუშევრები და თუ არის რამე, კი ბატონო, მივიღებ მონაწილეობას. ისე, სულ არ მიყვარს ეს ამბავი. არც გახსნა მიყვარს - სულ უხერხულ მდგომარეობაში ვვარდები, არ მიყვარს, მოკლედ. ზოგჯერ არც დავდივარ. თავისუფლად ვმუშაობ, ვშრომობ - მორჩა და გათავდა“...*

1981 წელს მოეწყო ზურაბ ნიჟარაძის პირველი პერსონალური გამოფენა თბილისში, რასაც ასეთი გამოხმაურება მოჰყვა: ეს იყო ტრიუმფი!! — როგორც ტარიელ ჭანტურიამ წერილში მოიხსენია — „პიკოს ტრიუმფი“:

„ფერწერის დანიშნულება გაუგებარია! — მაგონდება ცნობილი პარადოქსი. არც მე ვცდილობ ამის „გაგებას“. მე მშვენიერების ცქერაც მაკმაყოფილებს.

მათ გასაგონად ვისაც მეწამულის ყოველ გაელვებაზე ხან იმპრესიონისტები აგონდება, ხანაც — პოსტიმპრესიონისტები, გავიხსენებ ცნობილ ფრაზას: „ის რაც არაფერს ჩამოჰგავს, არ არსებობს“.

და მაინც რა არის საკუთრივ პიკოსი, ის რითაც ასე გვხიბლავს იგი ყველას! — წერის პასტოზური მანერა (წინათ), თუ ოდენ ნელი, ოდნავ შესამჩნევი გრადაციები (ახლა), გროტესკული ხასიათის ჩანახატები (იშვიათად), თუ მკაცრად რეალისტური სახეები (უმთავრესად)?

მხოლოდ და მხოლოდ ახალი მშვენიერება, რომელსაც ქმნის თვითონ, ერთადერთი ქვეყანა, რომელიც მისმა ფუნჯმა ამოზიდა ქაოსიდან, ახალი წესრიგი, მისმა ტალანტმა რომ დაამყარა, თერმინატორის ხაზივით უხილავი სამანი, შუქსა და ჩრდილს, კეთილსა და ბოროტს შორის მან თვითონ რომ აღმოაჩინა.

ბევრი ჭკვიანი სპეციალისტის შრომაა საჭირო ამ საიდუმლოს გასაშიფრად“.

გამოფენები ბევრი იყო:

1981 – კუზნეცკის ხიდის საგამოფენო დარბაზი, მოსკოვი, რუსეთი.

1982 – ქართველ მხატვართა გამოფენა, ვენა, ავსტრია/ პრაღა, ჩეხოსლოვაკია.

1987 – საარ-ბრიუკენი, გერმანია.

1992 – საქართველოს კულტურის ცენტრი „მზიური”, მოსკოვი, რუსეთი.

1994 – ხელოვნების საერთაშორისო ცენტრალური საგამოფენო დარბაზი, პარიზი, საფრანგეთი.

1994 – სამხატვრო გალერეა, ქ. ბერგჰაიმი, გერმანია.

1995 – მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზი ქ. ვესელინგი, გერმანია.

1996 – „რაინდთა კლუბის” საგამოფენო დარბაზი, მოსკოვი, რუსეთი.

1996 – სასტუმრო „მეტროპოლის” საგამოფენო დარბაზი, მოსკოვი, რუსეთი.

1997 – საქართველოს საელჩო, მოსკოვი, რუსეთი.

1998 – მხატვრის ცენტრალური სახლი, მოსკოვი, რუსეთი.

2000 – ტრეტიაკოვის გალერეა (მხ. გ.გიგინეიშვილთან ერთად), მოსკოვი; რუსეთი

2003 – დიზაინერთა კავშირის საგამოფენო დარბაზი, თბილისი, საქართველო.

2005 – გალერეა „კოპალა”, თბილისი, საქართველო.

2005 – მ. ბერძენიშვილის სახ. კულტურის ცენტრი ‘მუზა”, თბილისი, საქართველო.

2006 – „ბაია გალერეა” თბილისი, საქართველო.

2009 – „British corner”, თბილისი, საქართველო.

2012 — TBC ბანკის საგამოფენო დარბაზი...

საიდუმლო კი ჯერ ისევ ამოუხსნელია...

* * *

ზურაბ ნიჟარაძე 1958 წელს სსრკ მხატვართა კავშირის წევრი გახდა. 1965 წლიდან არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი, 1979 წლიდან — საქართველოს სახალხო მხატვარი. 1983 წელს მიენიჭა რუსთაველის სახელობის პრემია, 2004 წელს რუსეთის სამხატვრო აკადემიის საპატიო წევრად აირჩიეს, 2009 წელს კი საქართველოს ეროვნული პრემია მიენიჭა. ეს ერთგვარი პირობითობაა, რომლისთვისაც განსაკუთრებულად არასოდეს უბრძოლია...

დიდმა ინტელექტუალურმა შესაძლებლობებმა და ფართო თვალსაწიერმა ისედაც უამრავი საინტერესო ასპექტი გაუხსნა ცხოვრებაში. მისი ტილოები და გრაფიკული ფურცლები სრულიად საკმარისი იქნებოდა იმისთვის, რომ აღიარება მოეპოვებინა და ქართულ მხატვრობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეჭირა, თუმცა ლოგიკურია, რომ მონუმენტურ ფერწერაშიც, წიგნის ილუსტრაციაშიც და სცენოგრაფიაშიც დატოვა მნიშვნელოვანი კვალი. 1981 წელს დაასრულა პანო „მორბენალები“ ტანვარჯიშის სასახლისათვის,

1984-85 წლებში კი შეასრულა 3 პანო რიტუალების სასახლისათვის.

საინტერესოდ მუშაობდა კინოს მხატვრობაში (გააფორმა მხატვრული ფილმი „თიბათვე“, არის მულტფილმის „ჭრელი პეპელა“ მხატვარი), სცენოგრაფიაში (გააფორმა სპექტაკლები „ტოპაზი“ რუსთაველის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, „რუსიმის ქვა“ კიევის დრამატულ თეატრში, „პირველი სიყვარული“ კიევის ოპერისა და ბალეტის თეატრში, „სალომე“ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, „დრაკონი“ თბილისი მუსკომედიის თეატრში, „წელიწადის დრონი“ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში და „სილფიდები“ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში).

მის მიერ ილუსტრირებული ბოკაჩოს „დეკამერონი“, ფრანსუა რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელი“, უილიამ

შექსპირის „ჰენრიხ VI“, არისტოფანეს „ფრინველები“, ლამორისის „წითელი ბუშტი“, ლუის კეროლის „ალისა საოცარ ქვეყანაში“ წიგნის გაფორმების საუკეთესო ნიმუშებია.

მხატვარი ერთგვარი აზარტით მუშაობს ყველა სფეროში, და ყველგან საოცრად საინტერესო სახით იხსნება საზოგადოების წინაშე.

* * *

აზარტი ვახსენე და ზურაბ ნიჟარაძის სიტყვები გამახსენდა:

„ერთხანობას პოკერს ვთამაშობდი ყოველდღე. მთაწმინდაზე ცალკე ოთახი მქონდა სახელოსნოდ, დედაჩემის დეიდა გარდაიცვალა და დამრჩა ეგ ოთახი. სხვებს არ გააჩნდათ ცალკე სახელოსნო და იქ ვიკრიბებოდით. მაშინ გადავყევი კარტის თამაშს. მერე მივხვდი, რომ არ შეიძლებოდა დღეში 6 საათი კარტის თამაში და შევეშვი... ვისთან ერთად ვთამაშობდი? ჭილაძეებთან, ჯანსუღ ჩარკვიანთან, ტარიელ ჭანტურიასთან... ჩვენ 50-იანი წლების შუაში დავმეგობრდით. „ცისკარში“ ილუსტრაციები მიმქონდა და მაშინ.

მე ვფიქრობ, სულ ვაგებდი, მაგრამ რატომღაც თამაშის მერე უფულოდ არასოდეს ვრჩებოდი.

ეს ურთიერთობაც რაღაცას ნიშნავს. აზარტული თამაშისას კარგად ვლინდება ხასიათი.

ახლაც ძალიან აზარტული ვარ, როცა ჩემზეა დამოკიდებული შედეგის მიღება და არა ფორტუნაზე. შემთხვევითობა არ მაინტერესებს, ამიტომ კაზინო არ მიყვარს, არც ნარდი მაინტერესებს, არც სხვა თამაშები. მთელ აზარტს ხატვაში ვდებ“...

მაშინაც კი, როცა ერთი შეხედვით ხატვასთან საერთო არაფერი იყო, ის შემოქმედებითად ვითარდებოდა, ადამიანების სულში იხედებოდა და სწავლობდა იმ საოცარ სფეროს, ჩვენი შინაგანი სამყარო რომ ჰქვია.

ერთი მხრივ, აზარტულობა შეიძლებოდა გენეტიკურადაც ყოფილიყო განპირობებული:

„ჩემს გვარში დედის მხრიდან ძალიან აზარტული წინაპრები მყავდნენ. დედაჩემის ბებია იყო ესენოვა, მდიდარი ოსი, რომელსაც ეკუთვნოდა ძალიან დიდი მიწები, მათ შორის ესენდუკიც. სოფიო ვლასოვნა ესენოვა პეტერბურგში ცხოვრობდა, ცნობილია, ძალიან აზარტული ქალი იყო, თან ქველმოქმედიც — პეტერბურგში ჩასულ კავკასიელებს ინახავდა, მისი დახმარებით ცხოვრობდნენ კოსტა ხეთაგუროვი, ზურაბ ავალიშვილი, ივანე ჯავახიშვილი...

სოფია ვლასოვნა ესენოვა გენერალ მაიორ თარხან-მოურავის ცოლი იყო, ვისაც ეკუთვნოდა კასპის რაიონის ახალქალაქი, ნოსტე... მათი შვილი — დედაჩემის ბიძა იორამ თარხან-მოურავი პეტერბურგში ცხოვრობდა. ერთ ღამეს წააგო კარტში თავისი დიდი სახლი ლაქიებით... ჟორჟს ეძახდნენ ფრანგულ ყაიდაზე“.

მაგრამ ეს პირობითი დაკავშირებაა, ზურაბ ნიჟარაძის ძირითადი აზარტი იმას ეყრდნობა, რომ არასოდესაა კმაყოფილი, რომ ჰკითხო, არცერთი საკუთარი სურათი არ მოსწონს... კმაყოფილებისკენ სწრაფვა კი ძალიან ბუნებრივი მოთხოვნილებაა... აქ იღებს სათავეს ის აზარტი, რომლითაც შემოქმედებას ეკიდება.

„ზურაბ ნიჟარაძე იმათთაგანია, ვის ფსიქიკაზეც, ცხოვრების ერთხელ არჩეულ წესზე ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს. ვინც იცის, რომ ნამდვილი ხელოვანი ვერასოდეს იქნება კმაყოფილი“, — წერდა ორი ათეული წლის წინათ ემზარ კვიტაიშვილი. მისი სიტყვები რომ სიმართლეა, დრომ აჩვენა...

შემოქმედის ურთიერთობა სამყაროსთან ოჯახიდან იწყება, მეუღლე — ციცინო ციციშვილი — და ქალიშვილები — ესეც ერთი საინტერესო ფურცელია, რომელიც ხელოვანმა თავის შემოქმედებაში დიდი სულიერი წვდომის ობიექტად აქცია. შემდეგ იხსნება ქალაქი, სადაც ახალგაზრდობა გაატარა და დღემდე ცხოვრობს, რომელიც მაგიურ ადგილად იქცა თითქოს, მსოფლიოს არაერთი ქვეყანა ნახა, მაგრამ არასოდეს უფიქრია სადმე დარჩენაზე. თუნდაც იმიტომ, რომ სხვაგან არც ბესიკის ქუჩის ხვეულები იყო, არც რევაზ თარხან-მოურავის სალონად ქცეული სახლი... ეს ქალაქი იქცა პლაცდარმად, რომლიდანაც მსოფლიოს ერთიან ინტელექტუალურ თუ ხელოვნების სფეროს ხედავს. სივრცე ძალიან დიდია, მისი ფლობის სურვილი — ბუნებრივი, აზარტი — ამით არგუმენტირებული.

* * *

ხატვა, როგორც აზროვნება, და სურათი, როგორც ნაფიქრალი, ცხადია, ძალიან მნიშვნელოვანია მხატვრისათვის, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ შემოქმედი ვიდრე არსებობს, აზროვნებს კიდეც, სურათს, რომელზეც მუშაობს, ყოველთვის უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე ადრე შესრულებულს.

საერთოდ, ზურაბ ნიჟარაძე თითქოს არც კი იკარებს გულთან თავისი ნამუშევრების ბედს. სამაგიეროდ, მისი მეუღლე — ციცინო ციციშვილი ძალიან ღელავს, განიცდის, რომ ადრეული ხანის ნამუშევრები ისეა დაფანტული, მხატვარს თავის კოლექციაში თითქმის არაფერი აქვს დატოვებული.

ახალგაზრდა მეუღლის პორტრეტიც კი, რომელიც ძალიან უყვარდა ციცინოს, ზურას ჩუმად გაუტანია შინიდან. ახლა ის ქუთაისის მუზეუმშია...

— *ნეტავ შეიძლება, ორ ნახატში რომ გადაგვიცვალონ?* — გულდაწყვეტილი კითხულობს მხატვრის მშვენიერი მეუღლე.

— *არ ვიცი,* — პასუხობს ბატონი ზურა და იღიმება.

— *მაინც რატომ გაატანეთ ეს ნახატი?* — ვეკითხები.

— *ქუთაისში მუზეუმი იხსნებოდა და უარის თქმა არ შეიძლებოდა, მე სხვა ნამუშევარი არ მქონდა და გავატანე. ციცინოს გული დაწყდა... საერთოდ, მე არ მწყდება გული არაფერზე. ადრეული ნამუშევრები თითქმის აღარ მაქვს. ერთხელ შარდენზე გალერეა „ბაიაში“ მივიტანე ნამუშევრები. ამ დროს ვიღაც ქალმა მოიტანა ჩემი ადრე დახატული სურათი. ციცინოს გაუხარდა, რაღაც ფული ჰქონდა და სასწრაფოდ გადაიხადა... იყიდა. ჩვენ ფული გადავიხადეთ ჩემს სურათში და იმის ნაცვლად, რამე ამეღო, ისიც დავხარჯეთ, რაც გვქონდა... ჩემი მიტანილი ახალი სურათები არ გაიყიდა...*

— *საკვირველია, რომ თქვენი ნახატებისადმი ასე გულგრილი ხართ,* — გაკვირვებას ვერ ვფარავ...

— *უფრო სასაცილო რამესაც გეტყვით: საერთოდ მავიწყდება ჩემი სურათები. ერთხელ სამხატვრო კომბინატში ვიყავი, იქ ცეხი იყო, სადაც შუშაში სვამდნენ ნამუშევრებს. მეც მქონდა რაღაც ნახატი და მინდოდა შუშაში ჩამესვა. რიგი იყო. ჩავდექი რიგში. თვალში მომხვდა ერთი ნამუშევარი — პორტრეტი. მომეწონა. რა კარგი ნახატია, ნეტავი ვისია-მეთქი,* — *გავიფიქრე. რატომღაც მეგონა, ნახატი კი არა, პლაკატი იყო დაბეჭდილი, ვიფიქრე, ახალგაზრდა შილერია გამოხატული-მეთქი. ნახე, გერმანელებმა ხატვა ისწავლეს-მეთქი, გავიფიქრე ჩემთვის. გავაკეთე ჩემი საქმე და წავედი შინ... მთაწმინდაზე ვცხოვრობდი მაშინ. ავდივარ ქუჩაზე. ზემოდან ჩამოდის რეჟისორი მიკა გიჟიმყრელი. მეძახის: ზურა! ზურა! შენთვის სიურპრიზი მაქვსო. წავყევი. ვხედავ მის სახლში ის სურათი არ კიდია? თურმე მაგან დამიკვეთა ედმონდ კინის პორტრეტი. ერთი წლის წინათ დამიხატავს. საერთოდ არ გამხსენებია... მერე კი გამახსენდა. ყველაფერზე ამას ვერ ვიტყვი. ზოგი რამ მახსოვს კიდეც...*

ისე, ადრე ნამუშევარს ხელსაც არ ვაწერდი. ახლა ვისწავლე, იმიტომ, რომ მოდიან და ძველ სურათებზეც ხელს მაწერინებენ.

ზურაბ ნიჟარაძე ღიმილით ჰყვება, რა იყო და როგორ... გონების თვალს კი მოლბერტზე დადებულ ტილოს არ აშორებს. თითქოს ამ მოლბერტთან დარაბები იხურება და იმის იქით სამყაროს მხოლოდ ოდნავ შესამჩნევ ღიმილს აგებებს, შეფარულ იუმორს იშველიებს, რომ ყოველდღიურობას დაუსხლტეს და დარჩეს იქ, სადაც ყოფნა არსებობის ტოლფასია.

წარმოვიდგენ, რამდენი სერიოზული კონფლიქტი იქნებოდა მის შემოქმედებით ცხოვრებაში მას მერეც, რაც აკადემია დაამთავრა და ფორმალისტის იარლიყის მიკერებასაც თავი ანებეს... თუნდაც ის რა ძნელი იქნებოდა, როცა შემოქმედს ჩარჩოში ჩასმას მოუნდომებდნენ, უგერგილო შეკვეთას მისცემდნენ, ან თუნდაც რომელიმე ძვირფასი ჩარჩოს „ამოვსებას“ მოსთხოვდნენ... ასეთი ამბები ხომ სულ ხდებოდა და ზოგჯერ ახლაც ხდება...

„ იდეოლოგია შემეხო, მაგრამ არც ეგ მზღუდავდა. გამოსავალს ვპოულობდი. იყო შემთხვევა, როცა ლენინის დაბადების 100 წლისთავისთვის შესთავაზეს მხატვრებს თემები. ავირჩიე უშველებელი, 3 მეტრზე დიდი სიმაღლის პანო. ჩემთვის საინტერესო იყო მესინჯა... ამ ზომის პანოს სხვანაირად ვერ შევასრულებდი. უშველებელი ტრიპტიხი გამოვიდა. ეს ახლა გალერეის სარდაფშია, ბატონო.

ჩარჩოში ჩასმა?! პრინციპში მართალია, გასაღიზიანებელი შეიძლება იყოს, მაგრამ მე არ მაღიზიანებს... ჩარჩო არ მზღუდავს, ჩნდება ამოცანად და მინდა პროფესიულად გადავწყვიტო. წინასწარ ჩარჩოს მისვამენ — თუ ჩარჩოში მსვამენ — ეგეც ამოცანის გადაწყვეტას უკავშირდება. შეურაცხყოფილად არ ვგრძნობ თავს. წინდაწინ არ მაქვს განსაზღვრული, რა გამოვა. ხატვის პროცესში ჩნდება ყველაფერი. მხატვრობა სპორტს ჰგავს. სპორტში წინდაწინ ხომ არ იცი, რა შედეგით დასრულდება შეჯიბრი? ან ნადირობისას ხომ არ იცი, დათვი შეგხვდება, თუ ტახი... ასე მოულოდნელია შემოქმედების პროცესიც“, — მშვიდად ამბობს მხატვარი.

* * *

არსებობს უამრავი თითქოსდა უმნიშვნელო შტრიხი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მხატვრის პიროვნების წარმოსადგენად. მათთვის, ვისაც არ ჰქონია ბედნიერება, ახლოს გაეცნო ქართული ფერწერის კლასიკოსი და მას მხოლოდ შესანიშნავი ტილოებით იცნობს, მინდა ერთი ღიმილიანი ამბავი გავიხსენო, რომელიც მისმა მეუღლემ, ქალბატონმა ციცინო ციციშვილმა მიამბო. ვინ იცის, რამდენჯერ წარმოვიდგენ, როგორ იქნებოდა ყველაფერი სინამდვილეში და მეღიმება...

ვისაც საკუთარი თვალით არ გინახავთ, გეტყვით, რომ ჩვენი დროის უდიდეს მხატვარს — ზურაბ ნიჟარაძეს შინ არაჩვეულებრივი პატარა ექსპოზიცია აქვს. განათებაც კი სწორედ ისეთია, უცხოეთში, სამუზეუმო ექსპონატებს რომ უყენებენ... ცხადია, არც ამ ექსპოზიციის მოწყობაში და არც განათების დამონტაჟებაში ბატონი ზურა იდეურადაც კი არ მონაწილეობდა. ყველაფერი ქალბატონი ციცინოს დიდი მონდომებით მოეწყო. ნახატებს ერთი ახლო ნათესავი არჩევს და მიუჩენს ხოლმე ადგილს. როგორც ჩანს, ეს „გამოფენა“ ბატონ ზურას ძალიან მოსწონს, მაგრამ არა ჩვეულებრივი გაგებით, არამედ პრაგმატულად... როცა გამოფენისათვის სურათებს სთხოვენ, წარმოიდგინეთ, რა ძნელია სახელოსნოში, უამრავ უჩარჩოო ნახატში სასურველის ამორჩევა, წაღება, ჩარჩოში ჩასმა, შეფასება, როგორ გამოიყურება კედელზე... გაცილებით იოლია, საოჯახო ექსპოზიციიდან „მოპარვა“... მოპარვა იმიტომ, რომ ეს ყველაფერი დილის 5 საათზე ხდება, როცა ყველას სძინავს. გათენების შემდეგ კი უნდა ნახოთ ქალბატონი ციცინოს ნაწყენი სახე, როცა გაძარცული ექსპოზიციის წინაშე აღმოჩნდება...

განსაკუთრებით იმისი წარმოდგენა მხიბლავს, როგორ ხსნის უხმაუროდ ბატონი ზურა თავის ნახატს და როგორ გაქვს ფეხაკრეფით შინიდან...

* * *

სერგო ქობულაძემ (1909-1978) ზურაბ ნიჟარაძე სამხატვრო აკადემიაში მიიწვია და ხატვის კათედრა ჩააბარა. ქობულაძე თავისუფალი აზროვნებით გამოირჩეოდა, ამიტომაც დაითანხმა მხატვარი, რომელსაც ყველაზე მნიშვნელოვნად სწორედ ეს თავისუფალი აზროვნება მიაჩნდა... 1960-1975 წლებში ის პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. მისი მიდგომა სწავლასა და სწავლებასთან სრულიად გამორჩეული და ყველასაგან განსხვავებული გახლდათ. ლექტორი ზურაბ ნიჟარაძე არასოდეს აიძულებდა სტუდენტს, აუცილებლად დასწრებოდა ლექციაზე. შრომა იყო ის საფუძველთა საფუძველი, რაზეც აიგებოდა შემოქმედებითი პროცესი, შესაბამისად — ხელოვანის მომავალიც. თუკი სტუდენტს ამისი განცდა არ ჰქონდა, არ აინტერესებდა მოლბერტთან მუშაობა, ამისი გაკეთება ძალდატანებით შედეგს არ მოიტანდა...

1982-1987 წლებში ზურაბ ნიჟარაძე სამხატვრო აკადემიის რექტორი გახლდათ. ეს ერთგვარად ბრძოლის ველზე ყოფნას მოგაგონებდათ. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იქმნებოდა, როცა მისაღები გამოცდები იწყებოდა. თითქოს შეჯიბრი იყო რეპეტიტორებისა, ყველა თავის აბიტურიენტს ლობირებდა, მისთვის მაღალ ნიშანს ითხოვდა... „ჩაწყობას“ კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა რექტორი. ამ ნიადაგზე ერთხელ ისეთი მწვავე დაპირისპირება მოხდა რექტორსა და დანარჩენ მასწავლებლებს შორის, რომ ფიზიკური ანგარიშსწორების შიში გაჩნდა.

ზურაბ ნიჟარაძე კატეგორიული წინააღმდეგი იყო ასეთი მიდგომისა... მხატვარმა გაიხსენა, როგორ იხუმრა ერთხელ: *„ნიშნების სისტემა არ მგონია გამოხატავდეს ობიექტურ სინამდვილეს. სხვა კრიტერიუმი უნდა შევიმუშაოთ: მოდი მშობლებმა დაწერონ ნიშნები-მეთქი. მართალია თავის შვილს ყველა უმაღლეს შეფასებას დაუწერს, მაგრამ სხვის შვილებს ხომ კრიტიკულად მიუდგებიან და ჩვენ საშუალო არითმეტიკულით გამოვთვალოთ შედეგები-მეთქი. ასე გადავრჩებოდით ჩხუბს“.*

სამხატვრო აკადემიის რექტორს მარტო სასწავლო პროცესის ადმინისტრირება და თვალყურის დევნება კი არა, სხვა მოთხოვნების წინაშეც უწევდა დგომა... ახლა წარმოუდგენელია, ალბათ, რომ საბჭოთა კავშირში, ყოველ დღესასწაულზე — მშრომელთა საერთაშორისო დღე იქნებოდა თუ რევოლუციის წლისთავი — პარადი ეწყობოდა, რომელზეც იძულებით გაჰყავდათ ორგანიზაციები და დასწრებაზე პასუხისმგებლობას რექტორებს, დირექტორებს აკისრებდნენ. ცხადია, ზურაბ ნიჟარაძე ამას ვერასოდეს შეეგუებოდა, ამიტომაც საყვედურს საყვედურზე იღებდა:

„გროტესკულ სიტუაციაში იყო მთელი ქვეყანა მაგათ გამო. მარტო პარადებზე ხალხის იძულებით გაყვანა რა იყო! ერთხელ ლორთქიფანიძე იყო რაიკომის მდივანი, გამომიძახა, 1 მაისს რატომ არავინ მოვიდა აკადემიიდან პარადზეო. ინფორმაცია გამოვაკარი და ზეიმზე შეიძლება ძალით გამერეკა თანამშრომლები-მეთქი? — პარტერიდან ვუთხარი. გაჩუმდა. იმ წელს ხალხი რომ არ წავიდა პარადზე, იძულებული გავხდი, მე გავსულიყავი, როგორც რექტორი, ნაცნობები შემხვდნენ, გამოვეცალე აკადემიის კოლონას და სხვა კოლონაში ჩავდექი. ეს წარმოუდგენელი თავხედობა იყო მაგათთვის! რატომღაც მითმენდნენ.

პირად საქმეში 37 უკანასკნელი გაფრთხილება მქონდა, მინისტრმა ასათიანმა მომცა. მერე უცხოეთში მივდიოდი. რომ გადახედეს პირად საქმეს და ამდენი „უკანასკნელი გაფრთხილება“ ნახეს, გაოცდნენ. რაში მოგცესო... არ ვიცი... თუ ეგ დამიშლის წასვლას, არ წავალ-მეთქი... გამიშვეს მაინც.

აბსურდში ვცხოვრობდი...“

* * *

„ჩემი ხასიათი უხასიათობაა“, — ამბობს ზურაბ ნიჟარაძე. ეს *„უხასიათობა“ გაცილებით უფრო ღრმა მნიშვნელობისა გახლავთ, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება მოგეჩვენოთ:*

„ბალეტი კლასიკური ცეკვაა. კლასიკაში ხასიათი ნულამდეა დაყვანილი. ის მთლიანობაა, როგორც კი ხასიათი გაერევა, ირღვევა. ეს ხელს არ უშლის, იყოს მშვენიერი... შეადარეთ

სახასიათო ცეკვა და ბალეტი, ბაუერი — რომელიც ცეცხლივით იყო, და ულანოვა — ჰაეროვანი მშვენიერება. აქ ნათლად ჩანს, რისი თქმაც მინდა, რას ნიშნავს ხასიათი და უხასიათობა...

უხასიათობა ორაზროვანია, მე ვგულისხმობ არა იმას, რომ ცუდი ხასიათი გაქვს, არამედ მეორე მნიშვნელობას — განცალკევებულის უარყოფას და მთლიანზე ორიენტირებულობას. მთლიანობის პრიმატი გამორიცხავს ხასიათის პრიმატს. როგორც კი ხასიათი გამოიყოფა — მთლიანობა ირღვევა. მთელში კი ყველაფერია. უხასიათობის გამო არ მჭირდებოდა თავის დასაცავად ძალების მოკრება — ის თავისთავად ძლიერი იყო. ასე მგონია, განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშეც დაცული ვიყავი კაცობრიობის კულტურის გამოცდილებით. რასაც ვკითხულობდი, შევიმეცნებდი, სავსე იყო ენერგეტიკით, შინაარსით. რაკი ამას ვეზიარე, ბრძოლა აღარ მჭირდებოდა „...

აბსოლუტთან, მთლიანობასთან საზრისით დაკავშირება შემოქმედისათვის აბჯრად იქცა. თითქოს ამ აბჯარს შიგნით მოექცა მშვენიერის განცდა, რომელსაც მთელი თავისი არსებით ემსახურება. მშვენიერება — ეს არის ცნება, რომელიც სიკვდილსაც უპირისპირდება: *„ანტიკური ხელოვნება იყო და ახლაც რჩება სრულყოფილების ყველაზე მიუღწეველ დონედ. აღორძინების ეპოქაში იყო დადებითიც (ანტიკურიდან) და უარყოფითიც, რომელიც კი არ ავითარებდა, ამუხრუჭებდა ანტიკურს. ვგულისხმობ, რომ სკულპტურასა და ფერწერაში გაჩნდა დასასრულის განცდის ტკივილი, წარმავლობა... ეს ტკივილი მოხსნილი იყო ანტიკურში. მშვენიერება და ტკივილი შეუსაბამობაა“.*

მხატვრის სახელოსნოში მართლაც იმდენი რამ ხდება, იმდენი რამ უნდა გაიაზროს და გარდაქმნას ფერებად, რომ თითქოს სხვა აღარაფრისთვის დრო აღარ რჩება. მისი დილა ძალიან ადრე იწყება... და თუკი რამე ისე არ გამოდის?.. ამაზე ხელოვანს ეღიმება:

„მთავარი პროცესია. არცერთი სურათი არ გამომივიდა, ასე მიმაჩნია... და მაინც... არავითარი წვალება, სიამოვნებით ვმუშაობ. მიწის თოხნაც არ უნდა იყოს წვალება. სიყვარულით უნდა იმუშაო. შრომა რა წყევლაა?! ჰიმნში ჰქონდა რევოლუციონერებს:

Вставай, проклятьем заклеймённый,
Голодный, угнетённый люд!

რატომ? აბა რა უნდა აკეთო, თუ არ უნდა იმუშაო? ბედნიერი ცხოვრება ისაა, რომ არაფერი აკეთო? პირიქით!

კარჩაკეტილ ცხოვრებას ვეწევი, მოვდივარ სახელოსნოში და სიამოვნებით ვშრომობ. აქ საკმაოა ყველაფერი შემოქმედებითი პროცესისათვის და არ მჭირდება დამატებითი შთაბეჭდილებანი. რაც დრო გადის, მეტად და მეტად მესმის, რა როგორ უნდა გაკეთდეს, რა არის მთავარი... შედეგრებით სავსეა მუზეუმები და რაღაც რომ დაუმატო, ამას დიდი შრომა და დიდი დრო უნდა.

და იცით, რას ვფიქრობ? მხატვრები თავიანთი ცხოვრების ბოლოს მეტად მნიშვნელოვან სურათებს ქმნიან“...

მურმან ჯგუბურია

ყვავილთა მწყემსი, ანუ წიგნის აშიებზე მინაწერი

Над вымыслом слезами оболюсь.
ალექსანდრ პუშკინი



„გამო გარეთ...“

ამ სიტყვებით იხსნება გურამ პეტრიაშვილის ახალი ლექსთა კრებული.

ამ ლექსების ენა —

„იმდენად ბუნებრივია, იმდენად უბრალო, გასაგები და ნათელია, გეგონება თვითონ საგანი მეტყველებს, გეუბნება, გებაასება...“ (ივანე ამირხანაშვილი).

„გამო გარეთ...“

ასეთი არასასწაული ენით გადმოგვცემს პოეტი სასწაულ ამბებს. — ერთხელ ანა კალანდაძისადმი მიძღვნილ ესეიში წამომცდა ასეთი სიტყვათა შეხამება: „ულამაზო ლამაზი“, რაც ერთგვარად გურამ პეტრიაშვილისეულ არასასწაულ-სასწაულს უახლოვდება.

გურამ პეტრიაშვილის ლექსებში თითქმის ყველა სიტყვა თავის ადგილასაა. აუცილებელია და იმიტომ, რაც აუცილებელია, ის მართალია. რაც მართალია, ქრისტიანულია, რაც ქრისტიანულია, ქართულია და საყოველთაოდ გასაგები.

„გამო გარეთ“. გამოგარეთ. სხვაფრივ რომ შევადგინოთ. ორი სიტყვაა, გამო და გარეთ, მაგრამ ერთია. ისე აუცილებელია ერთმანეთისათვის, რომ მათი ცალ-ცალკე ცხოვრება არ შეიძლება. და მაინც, რატომ უნდა გამოვიდეთ გარეთ? გარეთ რა ხდება ისეთი? გარეთ რა არის?

გამო გარეთ, ქუჩებს გავყვეთ ტკბილსევდიან წარსულში,
ხედავ?!. ღამის სითეთრეში გაქრა დროთა სამანი,
დგას ქალაქზე სასწაული: ბუჩქი ცამდე მაღალი,
ქუჩებს ათოვს თეთრი... თეთრი... თეთრი... იასამანი.

და, რაც მთავარზე მთავარია. გარეთ არის ვარსკვლავებით მოჭედილი ცა. ხომ ხდება, მთელი დღე შინა ხარ და ცას ვერ ხედავ. ან კიდევ: მთელი დღე გარეთა ხარ, მაგრამ ცისკენ ერთხელაც რომ ვერ აიხედავ, ცის ქვეშ დადიხარ და ცა არ გახსოვს. თუმცა პოეტი გულუბრყვილოა და ჭგონია, თუკი გარეთა ხარ, ცას აუცილებლად დაინახავ. როგორ შეიძლება, გარეთ იყო და ცა არ ნახო.

„გამო გარეთ“, საცა სასწაულები ხდება.

„ქოლგებს უნდათ ქალები აიტაცონ ზეცაში“.

ქალებს მარჯვედ აქვთ ხელი ჩავლებული ქოლგის ტარისთვის და დაბლა ექაჩებიან, რათა არ გაფრინდნენ. ქოლგებს ეს არ უნდათ, ქოლგებს გაფრენა სწყურიათ, მაგრამ ვაგლახ რომ

„ჯერჯერობით აშკარად იმარჯვებენ ქალები“.

„ჯერჯერობითო“, გვეუბნება პოეტი, რაც ამ ლექსის მთავარი სიტყვაა, ანუ მისი გასაღები.

ასი ლექსია ამ კრებულში და თითქმის ასივე ლექსში არის ნახსენები ცა. და კიდევ — ყვავილი. სამაგალითოდ, ცხონებული ზაურ ბოლქვაძე თითქმის ყველა ლექსში ახსენებს (ახსენებდა) ცრემლს. „თავისუფალი ხარ, ცრემლო, როცა გინდა, გამობრწყინდი!“

შემთხვევითია?

წითელწინწკალა თევზები წყლიდან მალიმალ ხტებიან,
ჩამავალი მზის სხივებში ლამაზად იდრიკებიან,
უნდა ავყვინთოთ ცაშიო, ერთმანეთს ეჯიბრებიან.

აი, რატომ უნდა გამოვიდეთ გარეთ.

„ცას გაუფრთხილდით!“ — გვეუბნება სხვა ლექსში პოეტი.

ხოლო დაღლილი ორკესტრანტები
თავისი ძველი, შავი ფრაკებით
მერცხლებსა ჰგვანან, საცოდავ მერცხლებს,
რომლებსაც უცებ ზეცა მოჰპარეს.

ბაწარი რომ ჩააბას ვინმემ მთვარეს ან მზეს და შინ წაიყვანოს, თავისი სახლის მახლობლად დააბას...

აი, რატომ უნდა გამოვიდეთ გარეთ.

გარეთ უნდა გამოვიდეთ, რომ ქვეყანა დავინახოთ, ცა დავინახოთ, დავინახოთ ჩიტები, თეთრი იასამნები, ციცინათელები, აყვავებული ტყემლები, ფარფაშა ვარდები, იები და ენძელები, მთვარე და ვარსკვლავები, მზე („Смотрели, как солнце горело“, ალექსანდრ ბლოკი), მამიკოს მიწებებული და ფეხისწვერებზე წამოწეული პატარები, და ქართული სიტყვები — „მათი მსუბუქი ფეფები“ (ეს როგორ უნდა დაინახო, თუ გურამ პეტრიაშვილი არა ხარ!), წვიმა დაინახო, —

წვიმა წყალია ციდან მოსული,
ცისა ჩამოსდევს ნაზი სურნელი,
ამ სურნელს იგრძნობს მხოლოდ ის, ვინაც
არის ამისი გულით მსურველი
და ვისაც სტანჯავს ზეცაში ფრენის
მარადი სევდა განუკურნელი.

დავინახოთ რიონი, ჩვენი რიონი, არა ჩვენი, არამედ მხოლოდ ჩვენი რიონი.

მდინარე ხარ მხოლოდ ჩვენი,
ცას ირეკლავ მხოლოდ ქართულს,
დიდს ამშვენებ ქართულ ქალაქს,
შენთა ჩქერთა ცქერით გართულს,
დარბაისელს ჰგავხარ ქართველს,
თეთრ ჩოხაში გამოკვართულს.

ამ ლექსში მარტო რიონზე ხომ არაა საუბარი!

პოეზიის ნიშანი ხომ სწორედ ისაა, მკითხველს გაუღვივოს მიხვედრის ნიჭი, რაც ერთგვარად ბედნიერების განცდასთანაა დაკავშირებული.

ბედნიერება სულ უბრალო რამაა, ძმაო:
ქართულ სოფელში ცხოვრობდე და იყო ქართველი,
ქართულ სკოლაში დადიოდნენ შენი შვილები,
ქართველი გყავდეს სოფლისა და ქვეყნის მმართველი.

კიდევ რა არის აუცილებელი, რომ ვიყოთ ბედნიერი? დავაწალიკოთ:

ჩხერიმელა მინდა ვიყო, ზვირთში თევზი კრიალებდეს,
ხან მათოვდეს, ხან მაწვიმდეს, მეხიც გაიგრიალებდეს,
თვალი, ჩემი დამნახავი ინათებდეს, იალებდეს,
ჩემს პაწია ბონდის ხიდზე ჭრელი კაბა ფრიალებდეს,
ქართული მზე დამნათოდეს, ბრწყინავდეს და ბრდღვიალებდეს.

ან კიდევ: იხ. გვ. 47.

ან კიდევ: იხ. გვ. 48.

მაგრამ მივუბრუნდეთ ზემორე ნახსენებ ყვავილებს. დაღონებულ ყვავილებს, ქოთნის ყვავილებს, ოთახში რომ არ უნდათ ყოფნა, გარეთ კი არ უშვებენ. ქოთნის ყვავილებზე უარეს დღეში არიან ქაღალდის ყვავილები, ქაღალდის ყვავილებზე უარეს დღეში არიან რკინის ყვავილები, საფლავის ძეგლებზე რომ არიან უმეტესად გამოსახულნი („მხოლოდ ქაღალდის ყვავილებს არ სჭირდებათ მოვლა-პატრონობა“, ხიმენესი), ნამდვილ ყვავილებსაც სჭირდებათ მოვლა-პატრონობა, გვეუბნება ყვავილთა მწყემსი, ანუ ამ საკვირველი ლექსის ავტორი:

დილაადრიან,
მზე ჯერ რომ არ ამოსულიყო,
და ჯერ მანქანებს არ დაეწყოთ გაბმით ღრიალი,
ქალაქის დიდი მოედნის ცენტრში,
პაწაწინა მიწის ნაჭერზე
იდგნენ ლამაზი ყვავილები, ეკვროდნენ ერთურთს
და იჯდა იქვე
თავჩაქინდრული კაცი, დაღლილი,
თითქოს ის იყო, —
გზაარეულმა უკუნ ღამეში
აქ რომ მოლალა თავისი ფარა —
ის საცოდავი მწყემსი ყვავილთა.

ეს ლექსი, რობერტ ფროსტის მითითებისდაკვალად, ლექსს რომ მიაწერდა ხოლმე ბოლოში, „წაიკითხეთ ორგზის“, ან კიდევ, „წაიკითხეთ სამგზის“, — არ ვიცი, მერამდენედ გადავიკითხე, — არა თუ ოთახში, ამ ლამაზ ყვავილებს „ქალაქის დიდი მოედნის ცენტრში“ არ უნდათ დგომა, მაგრამ მათი დარდი და წუხილი რა არის იმ საღონებელთან შედარებით, მათი მწყემსი რომ განიცდის, „უკუნ ღამეში რომ გზა აერია და აქ მოლალა თავისი ფარა“, — რას უნდა უმღეროდნენ ეს ლამაზი ყვავილები, ერთად არიან, მიწაზე დგანან, ერთმანეთს ეკვრიან, მაგრამ მსგავსი ურთიერთობა-ერთობა არ არის ბუნებრივი ერთობა (თავისუფლება), — თავისუფლება იქ არის, მინდვრებში რომ არიან მიმოფენილნი ცალ-ცალკე, და მაინც ერთიანნი, — გალაკტიონის „შადრევნების ვედრება“-ს აქეთ ამ ლექსზე ტრაგიკული ლექსი, ძვირფასო მკითხველო, ალბათ, თითებზე თუ ჩამოითვლება, რასაც, ჩემი გაგებით, ასე განმარტავს თავად ავტორი:

მე ბავშვობაში კუდბაწარა ვისროლე მაღლა,
მერე დიდხანს ვეძებე და ვეღარ ვიპოვნე...
ალბათ ახლაც გდია ჭინჭრებში...
მაგრამ ცოდვა შემინდეთ მცირე,
თუ ხანდახან ამასაც ვფიქრობ:
იქნებ
მართლა
ვუწიე
ცამდე?!

იქნებ თუ მართლა? ჩვენ გვეკითხება და თავის თავსაც ეკითხება? გამოკვეთილად არ გვეუბნება, ქართულის შინა-მო-ბუნება აქვს კარგად გასიგრძეგანებული და გათავისებული და იმიტომ („შენ ყოვლის მთქმელო, ყოვლის არ-მთქმელო“), თუმცა ისიც იკითხება, რომ მკითხველის იმედიც რომ გააჩნია, ანუ, ჩვენი იმედი, არა მარტო ჩვენი, როგორც დავინახავთ:

ხელში მეჭიროს რეზინის მილი,
თავზე ძველი ქუდი მეხუროს,
და ხეებს ვრწყავდე მთელი სიცოცხლე

და მუდამ იმას ველოდებოდე,
რომ შეირხევა ხე რომელიმე
და დამიწყებს
უცებ
საუბარს...

„შენ მოგეყრდნობი, ძვირფასო ხეო“ (ტერენტი გრანელი).

„Счастливы деревья, вышумется могут“ (ანა ახმატოვა).

კიდევ არაერთი ლექსი მინდოდა ამომეწერა ამ კრებულიდან, მაგრამ გადავიფიქრე. არცაა აუცილებელი, კაცმა რომ თქვას. რაც ვილაპარაკე, რა არის, რომ კიდევ ვილაპარაკო.

ილაპარაკოს წიგნმა: გურამ პეტრიაშვილი „ასი ლექსი“, გამომცემლობა „ინტელექტი“, 2012 წელი. თბილისი.

P.S. ალექსანდრ სოლჟენიცინი, ვისთანაც მცირე საუბარი მქონდა (მოსკოვში), და რომლის გასვენებასაც დავესწარი დონის მონასტერში, — ჩემი საყვარელი მესიტყვე არაა, მაგრამ ეს ამბავი მაინც უნდა მოვყვე:

ის დროა, მისი „ივანე დენისოვიჩი“ მილიონნიანი ტირაჟით ცალკე „რომან-გაზეტას“ სერიით რომ გამოიცა. ჟურნალი პალტოს ჯიბეში მედო. ზუგდიდში, „ოდიშის“ რესტორანში რომ შევედით, ხუთნი თუ ექვსნი ვიყავით, ნაცნობ-მეგობრები. ზამთარი იდგა. პალტოები გავიხადეთ და სუფრას მივუსხედით. არ ვიცი, ცხადია, ვინ ამაწაპნა, მაგრამ, რესტორნიდან რომ გამოვდიოდი, ჟურნალი არ აღმომაჩნდა.

აი, რაღაც ამ ამბის მსგავსი მიამბო ამ სამი ათეული წლის წინათ ერთმა ახალგაცნობილმა ახალგაზრდა პოეტმა: „გურამ პეტრიაშვილის ლექსების პატარა კრებული მქონდა, მაგრამ მომპარესო“.

ამ ესეის დასასრულიც (დასაწყისიც) ეს იყოს.

* * *

ცოტა რამ ფორმისა და შინაარსის ურთიერთობა-შეხამებაზე.

პატარა შვილი სასეირნოდ მე გარეთ გამყავს,
აქ გორაკია, ნელა-ნელა გორაკზე ამყავს...

რა დაუდევრობაა — „გამყავს — ამყავს“...
ან კიდევ:

Вздыхать и думать про себя,
Когда-же чёрт возмёт тебя.

რა „სებია-ტებია“ აუტყდა რუსული პოეზიის მანათობელს, რითმა ვერ მოიძია და ვერ მოიხელთა? თუ ამას რომ წერდა, რითმაზე წამითაც არ უფიქრია? ანკი რანაირი ქართულია ეს „გამყავს-ამყავს?“ რანაირი პასუხი უნდა მოეძებნოს? — ასეთი ქართულია, როგორიც უნდა იყოს, როგორიც მოვიდა, უფერუმარილო, შეულამაზებელი, იმიტომ, რომ აქ მთავარი ამ ლექსის წამკითხველის გუნება-განწყობის შექმნა კი არაა, არამედ ახლა, ამ წუთებში, ამ გორაკის ავლა, და იმის ახსნა თუ: „რა დაფრინავს, რა სტვენს, რა ჰყვავის“, რასაც კარგად თუ დაიმახსოვრებს მოზარდის პატარა და სპეტაკი გული, მომავალში შეიძლება მთელი სამყაროც დაიტიოს...

* * *

და კიდევ: ცოტა რამ თავად მესიტყვის შესახებ:

გურამ პეტრიაშვილი-პოეტი, კაცი, პიროვნება, ფიცხი, უშიში, პირიანი და პირში მთქმელი, საკუთარი ხმისა და საკუთარი მსოფლმხედველობის ბატონ-პატრონი, მეგობარი და თანამეინახე, დიდად ერუდირებული პიროვნების — ცხონებული მიხეილ კვესელავას ერთ-ერთი საყვარელი პოეტი, და ცხონებული პრეზიდენტის — ზვიად გამსახურდიას მარადი მხრის ამხანაგი.

ყვავილთა მწყემსი.

როსტომ ჩხეიძე

ვახტანგ ჭელიძის მონატრება

□

ბიოგრაფიული რომანიდან „საგა ვახტანგური (ვახტანგ ჭელიძის ცხოვრების ქრონიკა)“

ვახტანგ ჭელიძის გარდაცვალებას არაერთი გამოსათხოვარი რომ მიედევნებოდა, ემზარ კვიტაიშვილის სამძიმარში — არა მარტოდენ ოჯახისა და ნათესავთა, არამედ მთელი ქართველი საზოგადოების მიმართ შედგენილში — ეს სტრიქონებიც საგანგებოდ გაიელვებდა:

— იმედი უნდა ვიქონიოთ, ამ საუკუნეშივე გამოჩნდება პიროვნება, ვინც ისევე გულმოდგინედ შეისწავლის ვახტანგ ჭელიძის მდიდარ შემოქმედებას და წარმოაჩენს ქართული კულტურის წინაშე მის უდიდეს დამსახურებას, როგორც თვით მან ივანე მაჩაბლის სახელის უკვდავსაყოფად გააკეთა.

ამ პასაჟის მოხმობას მოგვიანებითაც რომ დაისაჭიროებდა, დასძენდა:

— პირადად მე ასეთი ადამიანი დღევანდელ საქართველოში, მის მოწაფეთა შორის, უკვე მეგულება და დარწმუნებული ვარ, იგი ღირსეულად გაართმევს თავს ამ ძნელ საქმეს.

შენ გიგულისხმეო, — მეტყოდა.

რომც არ გაემჟღავნებინა, მაინც ასე აღვიქვამდი, და მარტო მე კი არა, სხვაც არაერთი, ვისაც მოეხსენებოდა ამ პიროვნებისა და ღვაწლის ჭეშმარიტი მნიშვნელობა და შესაფერისი ბიოგრაფოსის შესარჩევად მიმოიხედავდნენ.

როდესაც გურამ ასათიანი განაცხადებდა: პავლე ინგოროყვას უსათუოდ გამოუჩნდება მისი ცხოვრების აღმწერი, როგორც თვითონ მან აღნუსხა დაწვრილებით გიორგი მერჩულეს ცხოვრება და ღვაწლიო, — ჩემი არსებობაც კი არ იცოდა და მხოლოდ დიდ და სანუკვარ სურვილს გამოთქვამდა იმ მოტივით: როგორ შეიძლება ასეთი კაცი მართლაც არ გამოჩნდესო.

ემზარ კვიტაიშვილს სხვა ფიქრი აჰყვებოდა: როგორ შეიძლება ამდენი რომანის შემქმნელმა ადრე თუ გვიან ვახტანგ ჭელიძის ბიოგრაფიული ქრონიკის შედგენასაც არ მოჰკიდოს ხელიო.

არაერთხელ შევუგულიანებივარ.

და „აგვისტოს შვილები (მამაჩემი ოთარ ჩხეიძე)“ რომ გამოქვეყნდებოდა, დაბეჯითებით მომთხოვდა: ვახტანგი კარგად შემოდის პერსონაჟად სიუჟეტში და ნუღა გადადებ, ეგებ უშუალოდ გადასულიყავი მისი ცხოვრების აღწერაზეცო.

კიდეც გადავწყვეტდი, განა არა, მაგრამ... მაშინ როგორღაც არ აეწყობოდა და უფრო შესაფერისი დროისათვის გადავდებდი ამ განზრახვას.

უკვე მეგულება მის მოწაფეთა შორისო...

ვახტანგ ჭელიძის ცხრატომეულის გამოცემას რომ წამოიწყებდა „საქართველოს მაცნე“ (ჯერჯერობით მარტოდენ მის ორიგინალურ ნაღვაწს იკმარებდა), საერთო რედაქტორობასა და ბიოგრაფიულ ნარკვევს ემზარ კვიტაიშვილს დაუკვეთდა და ესეც რომ ჩაეფლობოდა ამ მდიდარ შემოქმედებით სამყაროში, ნარკვევს ვეღარ იმყოფინებდა და ბიოგრაფიულ ქრონიკას შეადგენდა, მონოგრაფიულ ნაშრომს, რომელშიც ნაბიჯ-ნაბიჯ აღინუსხებოდა ქრონიკის გმირის ცხოვრებისეული ქარგაც და ლიტერატურული და საზოგადოებრივი ღვაწლიც.

ბიოგრაფოსი დაეყრდნობოდა მის მემუარებსა თუ უბის წიგნაკის ჩანაწერებს, აგრეთვე პირად შთაბეჭდილებებს, ათწლეულების განმავლობაში რომ ეტრიალა მის სიახლოვეს, მისი სიცოცხლის უკანასკნელ ათ წელიწადს კი სულაც ყოველდღიური ურთიერთობა დააკავშირებდა... სხვათა მონათხრობსაც უხვად მიმართავდა და ასე წარმოისახებოდა კანთიელი და კოლორიტუ-

ლი პორტრეტი კაცისა, ვისი ღვაწლის გაზომვაც ამიერიდან უფრო უნდა გამხდარიყო შესაძლებელი.

შესაძლებელიც და აუცილებელიც.

მაგრამ თვითონ მაინც ძალიან დააკლდებოდა გულს, განსაკუთრებით მთარგმნელობით მონაპოვარს რომ ვერ დაუთმობდა ჯეროვან ყურადღებას და... შეაგულიანებდა ლიტერატორთა და მთარგმნელ-თეორეტიკოსთა დღევანდელ თაობას, რომელსაც მართლაც არ აკლია დასავლეთ ევროპის ენისა და ლიტერატურის საუკეთესო მცოდნენი, რაც შეიძლება სრულად წარმოეჩინათ ღირსეული წინამორბედის დაუღალავი, საშვილიშვილო გარჯა, მისი ძნელად აღსანუსხი დამსახურებანი.

თავისი ბიოგრაფიული ქრონიკის სათაურს თავიდან ასე შეარჩევდა: „ვახტანგ ჭელიძის სამუშაონი და დღენი“. მარჯვედ წამოაგონდებოდა ჰესიოდეს თეოლოგიური თხზულების სახელწოდება, რომლის განმეორებასაც აქ ყველაზე შესაფერისად მიიჩნევდა. მერე მაინც „მოძღვარს“ ამჯობინებდა და პირვანდელი სათაური ქვესათაურად გადაინაცვლებდა, თანაც „სამუშაონი და დღენი“ წინწკლებით შეიმოსებოდა. თუმც ამგვარი დაზუსტება ზედმეტი უნდა იყოს, რადგანაც ვახტანგ ჭელიძის ცხოვრების ყველა წამკითხველისათვის უსათუოდ იქნება ცნობილი ჰესიოდეს იმ უკვდავი თხზულების სახელწოდება და არავის მოაფიქრდება, მონოგრაფიის ავტორს სახელწოდების მითვისება დააბრალოს.

ვახტანგ ჭელიძე

მოვუწონებდი ამ მონოგრაფიულ ნაშრომს.

და პასუხად:

— თუ რამეში გამოგადგება, ძალიან გამეხარდება.

სულაც არ მიიჩნევდა ვალს მოხდილად ამ დიდებული აჩრდილის წინაშე, თუკი ბიოგრაფიული რომანიც არ შეიქმნებოდა მასზე, საამისოდ შესაფერის პერსონაჟზე, მისი ცხოვრების მდინარების ფონზე ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ყოფა თავისთავად რომ უნდა წარმოსახულიყო და სხვა არაერთი ისტორიული პერსონაჟიც გამოჩენილიყო თხრობისას.

ამასთან:

ოთარ ჩხეიძის ბიოგრაფიული ქრონიკა XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის გარკვეული ხანის ერთგვარ კონსპექტურ მონახაზსაც შეითავსებდა.

და დაე ვახტანგ ჭელიძის ბიოგრაფიულ ქრონიკასაც შეეთავსებინა XX საუკუნის ქართული მთარგმნელობითი ნაკადის გარკვეული მონაკვეთის ერთგვარი კონსპექტური მონახაზი.

უკვე მეგულება მის მოწაფეთა შორისო...

უნდა დამდგარიყო ეს დროც, მითუმეტეს, რომ სულ უფრო და უფრო გამიმძაფრდებოდა სინანული: რატომ მეც ისევე არ დავაძალე ავტობიოგრაფიული რომანის შექმნა, როგორც ბატონი ვახტანგის ძალდატანების უშუალო ნაყოფი აღმოჩნდებოდა შალვა დადიანის მემუარების წიგნი.

ვახტანგ ჭელიძის მიერ წარმოსახულ ლიტერატურულ გალერეაში, ერთიერთმანეთზე უკეთესი ლიტერატურული პორტრეტები რომ ჩამორიგებულა, ერთი ესეიც გამოანათებს და მისი სათაურიც რაღაც სხვაგვარად გეჭდევა გულზე: „გერონტი ქიქოძის მონატრება“.

სწორედაც... მონატრება!..

ვახტანგ ჭელიძე ყოველთვის მარჯვედ აგნებს შესაფერის სიტყვას ვრცელ კონტექსტშიც, არამცთუ ლიტერატურულ ფორმულასა და თხზულების სახელწოდებაში, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის სიტყვა კიდევ უფრო ტევადი და გამომსახველი ხდება, ისე ზუსტადაა შერჩეული.

ყველაზე ვერ იტყვი — მომენატრაო. შესაძლოა ძალიანაც აფასებდე პიროვნებას, დიდ პატივს მიაგებდე, გეამაყებოდეს კიდეც მასთან პირადი ნაცნობობა, ურთიერთობა, მაგრამ მონატრებით არ გენატრებოდეს. ყოველ შემთხვევაში, ასე ძალიანაც არა...

ეს კიდევ სხვა განცდაა.

სხვა სულიერი სიახლოვე.

სხვა სევდა.

გახსენება ვერ გაგიქარვებს ამ სევდას, ვერც მისი ნაწერების გადმოღება და გადაკითხვა. არის კიდევ რაღაც, გამოუთქმელიც და უსაზომოდ დამაფიქვრელიც, მასთან საუბარი რომ გწყურია, და კიდევ უფრო გიძლიერდება ეს შეგრძნება, შორეულად რომ მოგესმის მისი ხმის მელოდია... თუ გინდ ამ წუთას არც გელაპარაკებოდეს, თავისთვის იჯდეს, ან ჩაფიქრებული მისეირნობდეს თუ გარემოს ცქერით იყოს გართული... ოღონდაც თვალს ადევნებდე, წარმოსახვაში კი არა, რეალურად შეჰყურებდე... და ეს გიღირს ყველაფრად!..

მაგრამ... სადღაა!

და ტკივილი გინდა ჩაკლა დაჟინებულ ფიქრსა თუ ლიტერატურულ პორტრეტსა ან სილუეტში, რომელსაც ასე პირდაპირვე დაარქმევ მონატრებას.

გერონტი ქიქოძის სახება ამ განცდას იწვევდა მის უმცროს თანამოკალმეებში, რომელთაც ჰქონდათ მასთან პირადი ურთიერთობის ბედნიერება, რასაც მომდევნო თაობები მოკლებულნი ვართ, სამაგიეროდ, ერთნაირად გვეუფლება ის შეგრძნება, რაც ესეის პირველივე ფრაზაში ფორმულის სისხარტითა და სიღრმით ჩატეულა:

— გერონტი ქიქოძის ნაწერები ლექსივით მოგენატრება.

ეს ის დაკვირვებაა, შედევრალურ მიგნებათა შორის რომ გვეგულება და თვით მწერლის შემოქმედებითი სამყაროს არსს ხსნის. ქვაკუთხედადაც ამიტომ გამოდგება მონოგრაფიული ნაშრომისათვის, ის კი არა, ბიოგრაფიული რომანის შთამაგონებლადაც შეიძლება მოგვევლინოს.

ვახტანგ ჭელიძე ლიტერატურული პორტრეტისათვის იკმარებდა და... კიდეც შეგვიძღვებოდა დიდებული მოღვაწის სულიერ ლაბირინთებში.

ლექსივით მოგენატრებაო...

და ეს იმიტომ, რომ:

— მწერალს საოცარი ძალა აქვს, ერთბაშად გადაგიყვანოს სულ სხვა სამყაროში; იმ ჰაერით გასუნთქოს, რითაც მისი ესეებისა და მოგონებების პერსონაჟები სუნთქავენ, უშუალო მომსწრისა და მონაწილის თვალით და გულით განგაცდევინოს ყველაფერი.

გერონტი ქიქოძის წარმოსახვისა და სტილის მანერას გვიხასიათებს და... უნებურად საკუთარ მწერლურ თავისებურებასაც გვიმჟღავნებს.

ვახტანგ ჭელიძის თხრობის საოცარი ძალაც ხომ ეს არის, რომ იმ ჰაერით გასუნთქოს, რითაც მისი ესეებისა და მოგონებების პერსონაჟები სუნთქავენ, და უშუალო მომსწრისა და მონაწილის თვალით და გულით განგაცდევინოს ყველაფერი. და ერის თავგადასავალზე სხვა ვინ შეიძლება წერდეს, თუ არა ამ მადლით აღვსილი ადამიანი.

ანდა როდესაც გერონტი ქიქოძის ერთ გონებამახვილურ დაკვირვებაზე დამყარებულ ჰიპოთეზას გვაცნობს და დასძენს: ასე ნათლად, ასე სადად და რბილად, და ასეთი არაკატეგორიული ტონით არის მოცემული საკმაოდ გაბედული მოსაზრება; და მიუხედავად იმისა, რომ ეს პოლემიკაც გახლავთ უკვე წარმოდგენილი და თავისებურად დასაბუთებული ჰიპოთეზების მიმართ, ავტორს საჭიროდ არ ჩაუთვლია გაემწვავებინა ტონი. და სწორედ ეს აძლევს დამაჯერებლობას თამამ მოსაზრებასო, — განა ამჯერადაც საკუთარი სტილის თავისებურებაზეც არ მიგვანიშნებს მისდაუნებურად? თუნდ „ქართლის ცხოვრების ქრონიკებშიც“ უხვადაა გონებამახვილურ დაკვირვებებზე დამყარებული ჰიპოთეზები, მკვეთრად რომ უპირისპირდება უკვე წარმოდგენილსა და თავისებურად დასაბუთებულ ჰიპოთეზებს, მაგრამ ეს სიმკვეთრე თვალში არ გეცემა, რაკიღა მსჯელობის კილო სრულიად არ არის გამწვავებული... და მისი თამამი მოსაზრებანიც ამიტომაც აღიქმება ასე დამაჯერებლად.

ამ ორი პიროვნების სულიერი სიახლოვე აქ სულაც არა მთავრდება და სხვა ხვეულებშიც ხელშესახებად იჩენს თავს.

თავის დროზე გერონტი ქიქოძე ფეხით რომ მოივლიდა სამაჰმადიანო საქართველოს, მოგვიანებით, როდესაც მუხლიც უმტყუნებდა და ადამიანს მანქანაც წამოეშველებოდა, შენატრებდა და ძალიანაც შენატრებდა იმ ძველი დროის მოგზაურს, რომელიც ფეხით დადიოდა, და ამიტომაც საშუალება ჰქონდა უფრო მეტი ეცქირა ბუნების მშვენიერებისათვის:

— იგი ბედნიერი იყო ჩვენთან შედარებით: ბევრად მეტი დრო რჩებოდა დაკვირვებისა და მოფიქრებისათვის და აჭარის ბუნება სენემატოგრაფიულ სურათად არ ეჩვენებოდა.

სინემატოგრაფიულ სურათად თუ აღიქვამ, განა რამე შავდება, მაგრამ ამ განცდას რაღაც აკლია, რაღაც მნიშვნელოვანი იმ გარდასული ჟამის მოგზაურის სიალალესა და უანგარობამდე.

ვახტანგ ჭელიძე ამ ნატვრას რომ მიაქცევდა საგანგებო ყურადღებას, იმ პასაჟსაც შემოგვთავაზებდა, რომ გერონტი ქიქოძეს თითქოს კიდეც შურდა იმ კაცისა:

— მან ერთი ღამე აჭარლების ქოხებში გაატარა, ერთი ღამე — ცის ქვეშ, ნაძვების კოცონთან; ამას გარდა, ჩვენზე უფრო გულუბრყვილო იყო და უფრო თავისუფლად ამოქმედებდა იმ ბედნიერ ნიჭს, რომელსაც ფანტაზია ჰქვია... როცა სამხრეთისაკენ დაეშვა და ფეხქვეშ თვალუწვდენელ სივრცეზე მოძრავი ღრუბლები დაინახა, იფიქრა, რომ ჰაერში ცურავდა ფრთებშესხმულივით...

გერონტი ქიქოძე თითქოს ჩასახლებულა იმ ძველი მოგზაურის არსებაში, რათა პირწმინდად გაიზიაროს მისი განცდები, მაგრამ მაინც მიაჩნია, რომ რაღაც აკლია ამ შეგრძნებებს, რაღაცის განმეორება უკვე გაძნელებულა, თუნდაც ღრუბელთა გვერდი-გვერდ ცურვა ფრთებშესხმულივით, და ეს შეხარბებაც იმისაა.

და ვახტანგ ჭელიძე ამ პასაჟებს რომ უკვირდება, თავის ნატვრასა და შურსაც მიადევნებს თავისი წინამორბედის გულნაკლულობას — მასავით არა წყინდებოდა საქართველოს მთაბარში ხეტიალი, კუთხეც არ დაეტოვებინა უნახავი და კვლავ და კვლავაც ესტუმრებოდა ხოლმე, რათა ბოლომდე შეეგრძნო და შეესისხლხორცებინა ის თავისებურებანი, რაც თვითეულ მხარეს ჯერაც ასე თუ ისე შეენარჩუნებინა — მეტყველებაც, ადათ-ჩვევებიც, სამოსელიც, კერძებიც, სამეურნეო ტერმინოლოგიაც, ცხოვრების რიტმიც და ხასიათიც კი.

და წუხდა, რომ ეს სასურველი მრავალფეროვნება ქვეყნის ცალკეული მხარეებისა, ფარნავაზ მეფიდან მოკიდებული საუკუნეთა განმავლობაში უმნიშვნელოდ რომ შეცვლილიყო, აგერ რამდენიმე ათეულ წელიწადში სულ უფრო და უფრო ნიველირდებოდა, და გამოკვეთილ თავისებურებათა ასერიგად სწრაფ წაშლასთან ერთად უფერულდებოდა და ქრებოდა ქვეყნის სილამაზეც და მიმზიდველობაც.

რაც რჩებოდა და როგორიც რჩებოდა ნაშთად თუ ნამუსრევად, მასაც ხომ სჭირდებოდა — და ეგებ უფრო მეტადაც — სრულყოფილი შეგრძნება ერთ მთლიანობად — მზერაში დატყვევება; და ვახტანგ ჭელიძის თვალი დაუმცხრალი სიხარბით რომ ნთქავდა ამერ-იმერის ტერიტორიულ სივრცეს, ისე გაჰყურებდა გერონტი ქიქოძის ლანდს, თითქოს ეს მოვალეობა უშუალოდ მისგან გადმოებარებინოს.

მის სხვა პიროვნულ თვისებებსა თუ შტრიხებსაც რომ წარმოაჩენს, გასაოცარია, როგორ ემთხვევა არაერთი მათგანი ვახტანგ ჭელიძის ხასიათის გამოვლინებებს. შესაძლოა თვითონაც გრძნობდა ამ მსგავსებას, შესაძლოა ამ მხრივ არც შეუდარებია, მაგრამ რაც მკვეთრი და მიმზიდველი ეჩვენება გერონტი ქიქოძის არსებაში, მასაც ზუსტად ესადაგება, თითქოს ავტოპორტრეტს ქმნიდეს.

არისტოკრატი არასოდეს უთამაშია, ბუნებით იყო არისტოკრატიო, — ერთ უმთავრეს ნიშნად ამასაც რომ მოიხსენიებს მისი პორტრეტის სრულყოფისას, განა თვითონაც თვალსაჩინო ნიმუში არ გახლდათ, თუ რას გულისხმობს ბუნებითი არისტოკრატი?

არც ამას სჩვეოდა დაწუწუნება — არც ავადმყოფობაზე, არც ვინმეს მხრივ უსამართლო მოპყრობაზე, არც არაფერზე...

და თვითონაც:

— თავისივე წერილებს ჰგავდა — ნათელი, სადა, ბრძენი, ლაღი, კეთილმოსურნე და მუდამ სასურველი...

გარეგნობა და სიარულის მანერა ვახტანგ ჭელიძესაც უფრო მედიდური კაცისა ჰქონდა, მაგრამ მასავით:

— სახით სიკეთეს ასხივოსნებდა, თითქოს თვალებით ეალერსებოდა ყველას.

ამ შტრიხით კი განსხვავდებოდა იმისგან, გერონტი ქიქოძეს დინჯი ნაბიჯით სიარული რომ სჩვეოდა და ფეხს ვერაფერი ააჩქარებინებდა. ვახტანგ ჭელიძე არამცთუ სიჭარმაგის, სიბერის ჟამსაც მკვირცხლი ნაბიჯით გაუყვებოდა ხოლმე ქუჩას და უკვე დაძრულ ტროლეიბუსსაც შეიძლება გაჰკიდებოდა და ბაქანზეც მარჯვედ მოეკიდებინა ფეხი.

ერთი ასეთი შემთხვევისას, რუსთაველის პროსპექტზე „მხატვრის სახლიდან“ (სადაც ერთხანს დაბინავებულიყო „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია) გაოცებული მიაჩერდებოდა თამაზ ჩხენკელი და თამაზ ბიბილურს გადაულაპარაკებდა:

— მიმიცია ასი წელი!..

და მეორე დღეს ვახტანგ ჭელიძე ამას რომ შეიტყობდა, „აფეთქდებოდა“:

— მამაცხონებული... იქნებ ორასი მინდა!

გაუძნელდებოდა თუ რა იმ წლების უკან მოტოვებაც!..

ხოლო გერონტი ქიქოძე რომ:

— გიზიარებდა თავის აზრს გულუხვად, უშურველად, არ გაგრძნობინებდა, რომ მან შენზე მეტი იცოდა, შენზე მეტი ენახა და წაეკითხა...

ვახტანგ ჭელიძის თვითდახასიათებასავით არ აღვიქვამთ?!.

ანდა ამას:

— იმ არტისტულ მანერას, რაც მის ადამიანებთან ურთიერთობასა თუ საუბარს დაჰკრავდა, ერთი ბეწო ხელოვნურობა არ ახლდა, და ამიტომ განსაკუთრებით მიმზიდველი იყო, საყვარელი.

ან კიდევ ამას:

— მისი ახალგაზრდებთან ურთიერთობა სუფთა და უანგარო იყო.

აქ იმ ფსიქოლოგიურ გარემოებასაც მიგვაქცევინებს ყურადღებას, ახალგაზრდებთან ზოგიერთი მწერლის ურთი-

ერთობას რაღაცნაირი კეკლუცობა რომ ახლდა თან — ზოგი მარჯვედ ფარავდა ამას, ზოგსაც უფრო ტლანქად გამოსდიოდა... ანგარება კი ორივენაირ ქცევაში ერთნაირად ერია.

— გერონტი ქიქოძის გახარება ნიჭიერი ადამიანის მოსვლით გულწრფელი იყო, ხოლო მისი ურთიერთობა ახალგაზრდობასთან — მუდამ ბუნებრივი და ლაღი.

და თუ ვახტანგ ჭელიძის თვალში გერონტი ქიქოძის გამოჩენა მატებდა განუმეორებელ ხიბლს მწერალთა სასახლეს, თითქოს ერთბაშად შარავანდედი დადგმოდეს, ჩვენს თვალში თვითონ ვახტანგ ჭელიძის გამოჩენას უნდა შეემატებინა ხიბლი ამ სასახლისათვის და შარავანდედის განცდაც ხელშესახებად მოელანდებინა.

რამდენი რამის მოგონება შეეძლო, მაგრამ თუ რაიმეს გამოარჩევდა მეხსიერებაში შემონახული წუთებიდან, უპირველესად მაინც ამ ეპიზოდს.

„საბლიტგამში“ მუშაობისას ვახტანგ ჭელიძე გაუფორმებდა გერონტი ქიქოძეს ხელშეკრულებას იროდიონ ქავჟარაძის მიერ თარგმნილი „პოლი და ვირჟინის“ რედაქტირებისათვის და შიგ სარედაქციო განრიგის მაქსიმუმს ჩაუწერდა. ის აიღებდა ხელშეკრულებას, ერთხანს ატრიალებდა ხელში, შეყოყმანდებოდა, თითქოს თქმა გაუჭირდებოდა, და მერე რაღაცნაირი მორიდებით ეტყოდა: ბევრი ჩაგიწერიათ, ამდენი რა ვიშრომე, კარგი თარგმანი იყოო...

ეს შეწუხდებოდა, ის კი ღიმილით დასძენდა:

— ვინმემ მეგობრობაში არ ჩამოგვართვას...

და ერთ შეგონებასაც მოადევნებდა, ცხოვრებისეული გამოცდილებიდან რომ გამოეტანა:

— ფულს ბევრს აიღებ თუ ცოტას, სულერთია — მაინც ყოველთვის გაკლია და გჭირდება.

თვითონვე რომ ეზრუნა თავისი პარადოქსული სენტენციების ჩაწერაზე, იქნებ გუსტავ ფლობერსა თუ ოსკარ უაილდზე ნაკლები კოლექცია არც მას გამოსვლოდა. არადა, ფანტავდა ასე, სკეპსისით გულგამოღრღნილი.

ვინმემ მეგობრობაში არ ჩამოგვართვასო...

სადღაც შორეთში ჩარჩებოდა ეს ეპიზოდი, მცირე სტატიით — „გადალახული ზღვარი“ — გამოხმაურება რომ მომიწევდა სამწერლო გაზეთის ფურცლებზე (1988, 29 ივლისი) ვახტანგ ჭელიძის მიერ თარგმნილი უილიამ შექსპირის კიდევ ერთი პიესის „საწყაული საწყაულისა წილ“ („საბჭოთა ხელოვნება“, 1988, №5, 6) გამოქვეყნების გამო.

ეს „კიდევ ერთი“ მეცხრე ნიმუში გახლდათ მის შექსპირულ თარგმანებში და ამ მხრივ საგანგებოდ აღსანიშნავი, თავისებურად სიმბოლური, რაღაც უხილავი ზღვარის გადალახვას რომ ნიშნავდა.

ივანე მაჩაბელს რვა ტრაგედია ეთარგმნა დიდი ინგლისელი დრამატურგისა და, ძალზე ნაადრევი აღსასრული რომ არა, ვინ იცის სადამდე გადაეწია ეს საზღვარი, თუკი მთლიანად ვერ ამოწურავდა. ნაღებს რომ ნამდვილად მოხდიდა, ეს კი უეჭველია.

ასეა თუ ისე, რვა დადებულიყო უხილავ ზღვრად, და მისი წამოწყების გამგრძელებელთაგან თუ ვინმე მიახლოებოდა და სულაც გაემეორებინა ეს რაოდენობა, ვახტანგ ჭელიძე გახლდათ. გამეორება დიახაც, თანდათან კიდეც რომ გაუსწორდებოდა ამ „რვას“, მაგრამ... გადალახვა რომ საძნელო შექმნილიყო?!. თითქოს რაღაც ფარული ძალა ეწინააღმდეგებოდა მეცხრე თარგმანს, შეუცნობელი და აუხსნელი, მაგრამ ეწინააღმდეგებოდა კი... ფსიქოლოგიურად ვერა და ვერ გადაწეულიყო ეს მიჯნა, და თუ ის რვა პიესა — ტრაგედიებიც და კომედიებიც: ეს „რომეო და ჯულიეტაო“, ეს „ვენეციელი ვაჭარიო“, ეს „ქარიშხალიო“, ეს „მეფე ლირიო“, ეს „ზაფხულის ღამის სიზმარიო“, ეს „მეფე ჰენრი მეოთხეო“, პირველი და მეორე ნაწილი, ეს „უინძორელი მხიარული ქალებიო“ — კარგა ხნის წინათ მოთავებულიყო, მეცხრე აწვალებდა, ადვილად არ იკარებდა ეს ორი ათეული წელია და... ლამის სამუდამოდაც ჩაექნია ხელი: სათარგმნელი ისედაც ბევრია და დაე ჩემი შექსპირი ეს იყოს, სპორტი ხომ არ არის, რეკორდების გაუმჯობესებაზე ვიზრუნოთო.

მაგრამ გადაილახებოდა ფსიქოლოგიური ბარიერი და... ის იდუმალი მიჯნა უკან აღმოჩნდებოდა.

თავისებურად სიმბოლური უნდა დარქმეოდა, აბა, სხვა რა!..

და ეს საჯაროდაც უნდა თქმულიყო — რიგითი ამბავი ხომ არ მომხდარიყო.

1886-88 წლებში საზოგადოება სრულიად გულგრილად რომ შეხვდებოდა „ჰამლეტისა“ და „ოტელოს“ გამოქვეყნებას, ვახტანგ ჭელიძე გულისტკივილით აღნიშნავდა: ცხოვრების წვრილმანებში ჩაფლულმა ადამიანებმა სათანადოდ ვერ შეაფასეს და, ცხადია, ვერც დააფასეს ამ ლიტერატურული მოვლენის გამორჩეული მნიშვნელობაო. და ამ პასაჟს რომ მოვიხმობდი ივანე მაჩაბლის ცხოვრების ქრონიკიდან, აღარც შეფარულ საყვედურს მოვერიდებოდი: ცხოვრების წვრილმანებმა არ უნდა ჩაგვიხშოს ნამდვილი ლიტერატურული ფაქტების დანახვისა და აღტაცების უნარი-მეთქი.

ბარემ მერჩივნა უფრო ცნობილ და ავტორიტეტულ ადამიანებს გამოედოთ თავი, შექსპირის ცოდნაზეც რომ თავს დებდნენ, მაგრამ გაყუჩდებოდა ყველა და, რომ ვიგრძნობდი, დუმილს არც არავინ დაარღვევდა, ისევ მე გამოვეხმაურებოდი ამ პუბლიკაციას, და ეს იქნებოდა საქვეყნო გაცხადება, რომ მაჩაბლური რიცხვი უკან მოტოვებულიყო ქართულ შექსპირიანაში.

ბატონ ვახტანგს ძალიან გაახარებდა ეს შეხმიანება, მაგრამ სევდიანი ღიმილით კი დასძენდა:

— მეგობრობაში არ ჩამოგვართვან...

„მეგობრობაში?!“

გული გამიჩერდებოდა ამ ფრაზის მოსმენისას, მისგან ამ სიტყვის გაგონებაზე ვერც ვიოცნებებდი. ის კი ძალიან მახარებდა და მაამაყებდა, ვახტანგ ჭელიძის სკოლა რომ მქონდა გავლილი, და ყოველთვისაც თავმომწონედ აღმინიშნავს, როგორც ერთგვარი უპირატესობის ნიშანი თუ დასტური.

მეგობრობაში არ ჩამოგვართვანო...

მთავარია, რომ მაჩაბლურ მკვიდრ საძირკველსა და შენობას ვახტანგ ჭელიძის შექსპირული ციკლიც დაშენებოდა და, ოთარ ჩხეიძის განსაზღვრებისა არ იყოს, შექსპირი კიდევ უფრო მძლავრად მოიქნევდა მხრებს ქართველი ერის სიჯანსაღისა და სისაღის გზაზე.

სიმკვირცხლის ძალ-ღონე თანდათან ელეოდა.

ახალი განზრახვის წამოსაწყებად ონსილა აღარც ჰყოფნიდა.

მაგრამ, აი, ავტობიოგრაფიული რომანისათვის კი...

მაინც მოგონებებში გადავარდნილიყო, მაინც გამოვლილ გზას გაჰყურებდა და ბარემ ფურცლებზე გადაენაცვლებინათ წარმოსახვაში მობორიალე აჩრდილებსაც და იმ ამბებსაც, ზოგადკულტურული და საზოგადოებრივი მნიშვნელობა რომ ჰქონდათ და მეტად ღირებული იქნებოდა შთამომავლობისათვის ვახტანგ ჭელიძის მიერ მოთხრობილი, განსჯილი და შეფასებული.

— ის დრო მენატრება, ძიას რომ მეძახდი!..

ეს მანამდე, ვიდრე „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში დავიწყებდი სამსახურს უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე. სექტემბრამდე რა მომაცდევინებდა, როდესაც აგვისტოშიც შეიძლებოდა ოფიციალური გაფორმება კორესპონდენტის შტატზე.

თავიდან გამიძნელდებოდა „ძიას“ შენაცვლება „ბატონოთი“ და ერთხანს ასეც მივმართავდი და ისეც... მერე თანდათან გამოვეთხოვებოდი „ძიათი“ მიმართვას, თუმც რა დამაშორებდა იმ დიდ სულიერ სიახლოვესთან, რასაც ბავშვო-

ბიდანვე განვიცდიდი მისადმი — რაც თვალი გამოვახილე, მის გვერდით მიხდებოდა გაზრდა, და ყველაფერი ისეთი ბუნებრივი გახლდათ, ისეთი ძალდაუტანებელი, რას წარმოვიდგენდი, რომ დადგებოდა დრო, როდესაც ვახტანგ ჭელიძისა და ოთარ ჩხეიძის მეგობრობა ლეგენდურ ხიბლსაც კი შეიძენდა შთამომავლობის თვალთახედვაში — როგორც მეგობრობა თედო სახოკიასი და შიო არაგვისპირელის, დავით კლდიაშვილისა და ვასილ ბარნოვის, გერონტი ქიქოძისა და ლეო ქიაჩელის, პაოლო იაშვილისა და ტიციან ტაბიძის...

ის დრო მეც არანაკლებ მენატრებოდა.

— გახსოვს თქვენთან, ყელქცეულში... ქვიშხეთში... სამშვილდეში... კახეთში თავიდან ბოლომდე, მგონი ერთი ადგილიც არ დაგვიტოვებია მოუნახულებელი... ბორჯომში... ფასანაურში...

ხან ასე ჩამოყვებოდა, ხან ეპიზოდებსა და სურათებსაც მოადევნებდა და ისეთი გაფაციცებით ვუგდებდი ყურს, თითქოს რობინზონ კრუზოს თავგადასავალს ვისმენდი, შორეულსაც და ახლობელსაც ერთსა და იმავე დროს.

ან ეს წუთები როგორ არ მომენატროს, მისი გატაცებული თხრობა, შიგადაშიგ ხელებსაც რომ ააყოლებდა ეშხში შესული და თვალებაციმციმებული და მისი შინაგანი არტისტიზმი ისე თვალნათლივ ცნაურდებოდა.

ან ის წუთები — ვიდრე თხრობასა და მოგონებაში გადაინაცვლებდა.

ანდა სულაც მის თანამშრომლად რომ ვირიცხებოდი...

ეს ყოველივე ერთიანდებოდა და იმ სახელწოდების ქვეშ ექცეოდა, ვახტანგ ჭელიძის სკოლა რომ ერქვა, ერთგვარად პერეპატეთიკოსური ყაიდისა, სიარულ-სიარულშიც რომ ითვისებდნენ არისტოტელეს მოწაფენი მის სიბრძნეს.

სწორედაც ლექსივით შეიძლება მოგენატროს მის გვერდით ყოფნის ჟამი.

მისი ნაწერები ხომ მოგენატრება და მოგენატრება ლექსივით.

და ჩაყვინთავ და გაჰყვები იმ მდინარეს, რომელიც ვეება სულიერი მემკვიდრეობის თავისებური ხატია, შორს გაფენილი პოლიფონიური სიმფონია. განა ისედაც მუსიკა არ აღავსებდა მის სუნთქვას? და თუმც სადღაც ჩაიკარგებოდა ოცნება მომღერლობაზე, სამაგიეროდ, ქართული ენის მელოდიასა და მუსიკას შეიგრძნობდა იშვიათი შემოქმედებითი სმენით და თხრობას ჩაუფენდა იდუმალ მოძახილად, რათა მეტი ინტიმითა და ექსპრესიით აღევსო მონაყოლიც, ანალიტიკური განსჯაც, გააზრება-განზოგადებაც; ისტორიის სულთანაც რომ მიგაახლოებდა და პიროვნულ ხასიათთა მრავალფეროვნებასთანაც. და ისე მოგანატრებდა ყველასა და ყველაფერს, თითქოს შენც უშუალო მომსწრე და მონაწილე ყოფილიყავი.

მარინე ტურავა

ჯერაც ართქმულის განცდა

(ნაირა გელაშვილის რომანი „მე ის ვარ“)

როგორი უნდა იყოს თანამედროვე რომანი, როგორი მკითხველის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, რაზე უნდა წერდეს დღეს მწერალი? — ამ კითხვებზე პასუხი თითქოს არსებობს თანამედროვე მსოფლიოში, სადაც არაერთი პოპულარული მწერალი ცხოვრობს, რომელთა წიგნებიც ხელიდან ხელში გადადის. მათ კითხულობენ და იცნობენ. ეს მწერლები პოლიტიკოსებსა თუ მსახიობებზე, შოუ ბიზნესის წარმომადგენლებზე არანაკლებ პოპულარულები არიან და კარგადაც, უზრუნველადაც ცხოვრობენ. ქართველი მწერლებისაგან განსხვავებით არც სპეციალური ბლოგებისა შექმნა და არალიტერატურული საქმეების კეთება უხდებათ და არც ლუკმა-პურისთვის ზრუნვა. მათი ლუკმა-პური ლიტერატურაა.

რამდენიმე მაგალითიც საკმარისია: 1999 წელს გამოიცა თანამედროვე ამერიკელი მწერლის ბრედ ისტონ ელისის (დაიბადა 1964 წელს) რომანი „ამერიკელი ფსიქოპათი“, 2000 წელს თანამედროვე ფრანგი მწერლის ფრედერიკ ბეგბედერის (დაიბადა 1965 წელს) რომანი „99 ფრანკი,“ 2001 წელს დაიბეჭდა ასევე ფრანგი მწერლის მიშელ უელბეკის (დაიბადა 1958 წელს) რომანი „პლატფორმა“... ეს რომანები ადამიანის მარტოობას, ცხოვრების აბსურდულობას, კულტურის კომერციალიზაციას, სარეკლამო სფეროს სიყალბეს, სექსსა და ძალადობას ასახავენ, რომელმაც მოიცვა მთელი სამყარო და ანადგურებს მას. არსებობს ფილოსოფიური თემატიკაც... ფილიპ როთის (დაიბადა 1933 წელს) რომანი „პორტნოის სინდრომი“, ახალგაზრდა ებრაელის იუმორისტული და სექსუალური მონოლოგი, შვედი სვენ დელბანკის (გარდაიცვალა 1992 წელს) რომანი „უკანასკნელი სიტყვა“, რომელშიც შევიდა დღიურის 55 ჩანაწერი კიბოთი დაავადებული ავტორის უკანასკნელ დღეებზე, ბელგიაში მცხოვრები ფრანგი მწერლის ერიკ-ემანუელ შმიტის (დაიბადა 1960 წელს) 2004 წელს დაბეჭდილი რომანი „პილატეს სახარება“ ადამიანის რწმენაზე და ა.შ.... მწერლები თანამედროვე ადამიანის პრობლემებსა და ყოფაზე არიან ორიენტირებულნი, რეალობის შეგრძნებას არ კარგავენ და შესაბამისად თანამედროვე ენაზე წერენ. ამ ენას ხშირად მედიაეპოქა და მეორადი, ვირტუალური და სუროგატული განცდები განაპირობებს, ამიტომაც ტრადიციული მკითხველისათვის ეს უფრო სტერილური ენაა, უფრო მედიალური, ვიდრე მწიგნობრულ-აკადემიური. ასეთია ეპოქისა და მკითხველის არჩევანი, ურთიერთმიმართებაც მკითხველსა და მწერალს შორის ორმხრივია — პირველი განაპირობებს და განსაზღვრავს მეორეს და პირიქითაც... ამ მწერლებს საქართველოშიც იცნობენ, გარკვეულწილად მათი თარგმანის ენაც განსაზღვრავს თანამედროვე სალიტერატურო ენას, მედიასივრცესთან ერთად. ლიტერატურაც და წიგნიც ხომ ფაქტობრივად მედიაა...

როგორია თანამედროვე ქართული რომანი, უცხოელებს უფრო გატაცებით ვკითხულობთ ქართველები თუ საკუთარ ავტორებს, საკუთარ პროზას, საბოლოოდ გავთავისუფლდით საბჭოთა ფობიებისა და ცენზურის ზეგავლენისაგან, დასრულდა ეპატაჟითა და სკანდალებით გაჯერებული პოსტსაბჭოთა ეპოქა თუ ისევ ამ მაგიურ წრეში ვტრიალებთ? — ეს ქართული კითხვებია, ეროვნული ქრონიტოპოსიდან დასმული და ჯერ კიდევ პასუხგაუცემელი. ის, რაც მისაღები და აუცილებელი იყო საბჭოთა სინამდვილეში — შეფარვით თქმა შეზავდა ეპატაჟთან, პოპულარობის ადვილად მოპოვებასა და კომერციულობასთან, რაც არაპროფესიონალიზმის, იაფფასიანი ლიტერატურის აღზევების წინაპირობა გახდა. თუმცა წარმატებული მარკეტინგისათვის შექმნილი ტექსტის პოპულარობა მსოფლიო ლიტერატურამაც გამოიარა, გასაგებ მიზეზთა გამო, ჩვენზე დიდი ხნით ადრე.

რამდენიმე იმედისმომცემი და საინტერესო ავტორის არსებობა ოცდამეერთე საუკუნის სალიტერატურო სივრცეში თითქოს გვამშვიდებს კიდეც, მაგრამ კონკრეტული რომანების, ხელიდან ხელში საგოგმანები ტექსტების ჩამოთვლა მაინც ძნელია, საკმაოდ ძნელი... მითუფრო ძნელია ამის გაკეთება, როცა საქმე სიყვარულს ეხება, სიყვარულზე წერა ასმაგად ძნელია, ამაზე იმდენი რამე დაწერილა და იმდენნაირად... მაგრამ ნაირა გელაშვილი არის თანამედროვე ქართველი მწერალი, რომელსაც მრავალჯერ დაწერილის ახლებურად, სიღრმისეულად და თანამედროვე მკითხველისათვის გასაგებ, საინტერესო ენაზე გადმოცემა შეუძლია. ის არც ეპატაჟურია, არც სკანდალური, არც მძიმედ წასაკითხი, არც მარტივი და ზედაპირული... ნაირა გელაშვილის ახალი ქმნილება „მე ის ვარ“ თანამედროვე ქართული რომანის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს, მე მგონი, თანა-

მედროვე ევროპული რომანისაც. არა მხოლოდ მხატვრული თვალსაზრისით, არამედ ვიზუალურადაც. ამ საუკუნის მკითხველს, დროის დეფიციტის გამო, აშინებს სქელტანიანი წიგნები, ეს რომანი სულ რამდენიმე საათში იკითხება, ტვინის ჭყლეტისა და ფიზიკური ძალისხმევის გარეშე. მკითხველს კოშმარული განცდები კი არა, ბავშვობასთან, პირველ ემოციებსა და გრძნობებთან შეხება, ლიტერატურით ტკბობა ელოდება...

ნაირა გელაშვილი უშიშარი ავტორია იმიტომაც, რომ მეოცე საუკუნის 80-იან წლებში იგი ფაქტობრივად ამ თემატიკით შემოვიდა ქართულ ლიტერატურაში. მისი რომანი „ამბრნი, უმბრნი და არაბნი“ ჟურნალ „ცისკარში“ იბეჭდებოდა და მკითხველი გაფაციცებით ელოდა ყოველ ახალ ნომერს. მოგვიანებით ის ერთ-ერთ საუკეთესო მცირე-რომანადაც აღიარეს. „თუ რამ ნამდვილად ბედი და ბედისწერაა — ეს სიყვარული და სიკვდილია. სიყვარული დედამიწაზე თითქოს სხვა პლანეტიდან, სულ სხვა საუფლოდან მოხვედრილი მცენარეა, რომლისთვისაც ძალზე მკაცრია და სასტიკია დედამიწის ჰაერი“, წერდა მაშინ 33 წლის მწერალი. „შენი ლაღი ცხოვრება უეცრად დამთავრდა შარშან, შემოდგომა რომ შემოდგა ქუჩებში... რადგან მოულოდნელად (და ეს ყოველთვის მოულოდნელად ხდება) და შემთხვევით (და ეს თითქმის მუდამ შემთხვევითია) შეაწყდი **იმას:** უცნობს და უცხოს, ვინც რატომღაც დაუმსახურებლად და უმიზეზოდ შენი სიცოცხლისათვის წყალივით აუცილებელი გახდა, სიხარულზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თუმცა სიცოცხლე და სიხარული რას გაუყვია? ყოველ შემთხვევაში სამყაროს გამჩენს არა“, წერს უკვე 65 წლის მწერალი.

ნაირა გელაშვილი უშიშარი ავტორია იმიტომაც, რომ მისთვის ასე ახლობელ გერმანულენოვან ლიტერატურაში არსებობს ავსტრიელი მწერლის შტეფან ცვაიგის (1881-1942) არაერთი თაობისათვის საყვარელი ნოველა „უცნობი ქალის წერილი“, რომელიც ასევე 13 წლის გოგონას უპასუხო და უიმედო სიყვარულზე მოგვითხრობს. „მთელი ჩემი წუთისოფელი ვიდექი ჩემთვის დაგმანული შენი ცხოვრების წინაშე,“ „ეს ჭუჭრუტანა ჩემი სარკმელი იყო სამყაროში“, — ასეთი იყო იმ უცნობი ქალის საბედისწერო სიყვარული 13 წლით უფროსი მწერლის მიმართ. ნაირა გელაშვილმა შეძლო და საკუთარი დებიუტიც დასძლია და შტეფან ცვაიგის სათქმელიც განსხვავებულად, თუმცა სიყვარულის მარადიულ, ფატალურ კონტექსტში წარმოგვიდგინა.

რომანის იმანენტური ანალიზი კომპოზიციით უნდა დავიწყოთ. თითქოს ტრივიალური და ნაცნობი ფაბულის მიუხედავად, „მე ის ვარ“ არის მრავალშრიანი და მრავალწახნაგოვანი ნაწარმოები, ადამიანის ფსიქიკის ურთულეს ხვეულებს, მოზარდისა და ოჯახის, გარემომცველი სამყაროს ურთიერთობებს რომ გვიხატავს. სიყვარულზე წერა ყოველთვის იწვევს ადამიანური დრამის ასახვას, რაც მწერლისაგან დიდ გამომსახველობასა და გემოვნებას მოითხოვს. ნაირა გელაშვილს ამ მხრივ უსათუოესი გემოვნება აქვს, არასოდეს ღალატობს ალღო, რაც მწერალს ზეგარდმო მოემადლება. თხრობა ერთდროულად ორ დროში მიმდინარეობს — გასული საუკუნის 50-60 იან წლებში — აქედან იწყება ცამეტი წლის გოგონას სიყვარული მეზობლად მცხოვრები ოცი წლის ვაჟისადმი და თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ გრძელდება მთავარი პერსონაჟის მიერ ძველი სიყვარულის ძებნით. „სევდა გასაგებია, მონატრებაც, მაგრამ კერძოდ რისი, არ ვიცი, მისი? თუ ჩემი თავის, როგორც მაშინ ვიყავი? იმ სიტუაციების? თუ მაინც და ისევ ის: **მისი** დანახვის სურვილი... თუ იმ მდგომარეობის გამეორების სურვილი, როცა ყველაფერი წინ გქონდა, ესე იგი, „ქალის ბედნიერება“, ახლა კი ყველაფერი უკანა გაქვს.“

თითქოს ეს, **მისი** თუ საკუთარი თავის ხელმეორედ აღმოჩენა უნდა იყოს ნაწარმოების მთავარი ამბავი, მაგრამ ასე ცალსახად თქმა ძნელია. ორივე დრო და ორივე ამბავი მთავარი და მნიშვნელოვანია, დრო 1975 წელსაც ჩერდება, როდესაც 28 წლის პერსონაჟი ლექციებისა და პოეზიის მეშვეობით გადმოსცემს თავის დამოკიდებულებას ცალმხრივი, უპასუხო სიყვარულის მიმართ. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი — ნაირა გელაშვილი სწორედ ამ პერიოდში მთარგმნელობითი ოსტატობის ხერხებზე გვიყვება, რაც დარგის ერთგვარი ქრესტომათიაა. რომანში არის კიდევ ერთი დრო — პერსონაჟის — ნიას შინაგანი კალენდარი, შინაგანი დრო, მხოლოდ მის მიერ მართული, ეს დრო მოქმედებას 13 წლის ასაკში, **მისი** გაცნობით იწყებს, შემდეგ არაერთხელ განახლდება — 28, 48, 58, 60... წლის ასაკში და ყოველთვის **მას** უკავშირდება. როგორც მწერალი ამბობს „ისწავლეთ შეყვარებულებისაგან მაგია“.

„მე ის ვარ“ თავისი კომპოზიციით პოსტმოდერნისტული რომანია, ხშირად სწორედ პოეტური ობერტონებით არის დახატული ნიას სიყვარულის დრამა. „ვეფხისტყაოსნის“, გალაკტიონისა და ანა კალანდაძის, ხალხური და გერმანული პოეზიის ნიმუშები თითქოს ამ დიდი და სათუთი გრძნობის გადმოსაცემად სჭირდება ავტორს. ნაწარმოების ქრონოტოპიც განსაზღვრულია — სამი სხვადასხვა დრო, გაერთიანებული ერთი სივრცით — თბილისის პრესტიჟული უბნით, ლოკალური სივრციდან და გრძნობიდან დანახული ურთულესი სამყარო ადამიანისა. აქვე მინდა ვუთხრა იმ ადამიანებს, რომლებიც ურბანისტული თემატიკის არარსებობას უსვამენ ხაზს ჩვენს ლიტერატურაში და ქართველ პოლ ოსტერსა და ორჰან ფამუქზე ოცნებობენ, „მე ის ვარ“ ამ დეფიციტის ერთგვარი ამოვსებაც არის. ფრანგი მოდერნისტი მწერლის მარსელ პრუსტის სიტყვებით „რომანში ერთი საათის განმავლობაში ადამიანში ღელავს უამრავი სიხარული თუ ნაღველი, ცხოვრებაში კი ამას წლები დასჭირდებოდა, თანაც ისე, რომ მხოლოდ ზოგიერთის შეცნობას მოახერხებდა კაცი, არსებობენ განცდანი, რომელთაც ვერც კი აღვიქვამთ, რადგან მათთვის დამახასიათებელია იმგვარი შენელებულობა, რაც „დროში“ ძნელი მოსახელთებელია“. ლიტერატურას სწორედ ამ მოუხელთებელის, ძნელად აღსაქმელის მოხელთება და ერთ კონტინიუმში მოქცევა, ერთ ტექსტად ტრანსფორმირება შეუძლია.

რომანში ამბავს გადმოგვცემს ავტორი-ნარატორი პერსონაჟის დიალოგებისა და შინაგანი მეტყველების, მონოლოგის მონაცვლეობით, რომლებსაც ერთმანეთს ოსტატურად უხამებს და ანაცვლებს. ამასთან ცნობიერების ნაკადი თავისი ტრადიციული და კლასიკური გაგებით არც არის. ხშირად დიალოგსა და მონოლოგს შორის საზღვარი იშლება, არ არსებობს. ეს პროცესი ქმნის დროის განსაკუთრებულ შეგრძნებას — თანამედროვე რომანის ერთ-ერთ სპეციფიკურ ნიშანს, რომელსაც ეფუძნება მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული რომანის სტრუქტურა. არის ავტორი-ნარატორი, რომელიც ერთგვარი ფამილარობით, მგრძნობელობით, მეორე პირში ესაუბრება პერსონაჟს, საკუთარ თავსა და ბავშვობასაც — „აი, ხომ ხედავ, ბეწვზე გადარჩი. ისევ დალილავდი. მძღოლების ყვირილი გაცილებს ფალიაშვილის ქუჩით შინმიმავალს. კიდევ კარგი, **ის** არ გხედავს, მე კი ისევ გხედავ. გადაყვლეფილ ლოყებზე ცრემლები გეღვრება და ნიკაპზე — გახეთქილი ტუჩებიდან დადენილი სისხლი. გაყინული ხელისზურგით იჩერებ...“

მახსოვრობა არა მხოლოდ ავტორს აქვს, შეყვარებულებს მთელი სამყარო იმახსოვრებს: „და ბაღი იმახსოვრებს მათ. მათ გამოსახულებას აღიბეჭდავს ნაზამთრალი და დაწმენდილი ცა, გამზეურებული ჰაერი, ძაღლებისა და ჩიტების წმინდა თვალები, ყოველ შემთხვევაში, ასე ჰგონია უმცროსს და ასე ეგონება შემდეგაც.“ ნაირა გელაშვილს, როგორც თანამედროვე რომანისტს,

ერთნაირად ეხერხება როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური თხრობის ხერხების გამოყენება — „თქმაც“ და „ჩვენებაც“. აქვე საგანგებოდ უნდა შევეხოთ ავტორის ენას — ცოცხალს, არამწიგნობრულსა და არააკადემიურს, მაგრამ ამასთანავე დახვეწილსა და ლექსიკურად მდიდარს, მედიალურს. ენასთან ნაირა გელაშვილის დამოკიდებულებაში ვლინდება სიყვარულთან მიმართება, მისი სისავსით, უშურველად შეგრძნების უნარი.

„მე ის ვარ“ — ავტობიოგრაფიული რომანია, მწერლის პირადი გამოცდილებით ინსპირირებული, ამას გამოუცდელი მკითხველიც ადვილად შეატყობს. ნია ლელაშვილი — ნაირა გელაშვილის ორეულია, რაც მწერლის გამბედაობასა და პიროვნულ თავისუფლებას კიდევ ერთხელ წარმოგვიჩენს ხაზგასმულად. რომანის დასაწყისში მერამდენედ ცნაურდება მწერლის უცნაური, ლამის საკრალური დამოკიდებულება საკუთარი სახელის მიმართ. ჯერ კიდევ როდის წერდა იგი: „როდესაც უახლესი კაცი წარმოთქვამდა ზოგჯერ ჩემს სახელს, ჟრუანტელი მივლიდა ხოლმე და მორჩილება, თითქოს ტუჩებით მე მეხებოდა, ანდა ჩემს სულს, ან ჩემს სიცოცხლეს, ანდა ჩემს სიკვდილს“, ან: „ბაზალტის ქვაზე ჩატვიფრული ჩემი სახელი აღარ შემაწუხებს. თავისუფალი იქნება ჩემგან, თავისუფალნი ვიქნებით ერთმანეთისაგან.“ ახალ რომანში ეს დამოკიდებულება არ იცვლება: „რა ბრიყვულად და არაბუნებრივად ჟღერს ჩემი სახელი და გვარი, თითქოს ზედმეტია“; „კიდევ იმაზე მწყდება გული, რომ ერთმანეთის სახელები არ წარმოგვითქვამს, ესე იგი არ მიგვიმართავს ერთმანეთისთვის, არ დაგვიძახია, არადა, როცა შენი შეყვარებული წარმოთქვამს შენს სახელს, თითქოს ტუჩებით ეხება იმას, რაც შენ ხარ... ეს მართლა ძალიან ინტიმური რამ არის.“

რომანის მიხედვით, რეალური გარემო მტრული გარემოა ადამიანისათვის, ადამიანი უმწეო და მიუსაფარია. 13 წლის შეყვარებულ გოგონას მთელი სამყარო უპირისპირდება, იგი მარტო რჩება საკუთარ გრძნობასა და ტკივილთან. „სწორედ იმიტომ, რომ სიყვარული შეთქმულებაა, ორთა კავშირი წინააღმდეგ მთელი ქვეყნისა, პირუმტკიცობას სიყვარულში ღალატი ჰქვია“ (მიხეილ ქვლივიძე). ნია ნამდვილი შეთქმულია, არ ღალატობს საკუთარ გრძნობას, რომელიც მასზე ბევრად ძლიერია და ეს საიდუმლოც აუცხოებს და აშორებს ადამიანებთან („ყველაფრიდან გთიშავს ეს, რაც დაგემართა“), მაგრამ აახლოვებს დანარჩენ სამყაროსთან. უახლოესი ადამიანები ვერ ამჩნევენ მის სულიერ მდგომარეობას, ამიტომაც მამა, განსაკუთრებით კი დედა („დედა კი უბრალოდ აღარ მიყვარდა, რადგან ის უკვე იყო მახვილი — მარადიულად ჩემს წინააღმდეგ მომართული“) მისთვის შორეულ, უცხო განზომილებაში რჩებიან. მხოლოდ მარიას ესმის მისი, მისთვის გაუგებარ თემებზეც ესაუბრება და მთელი გულითაც თანაუგრძნობს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რომანის პერსონაჟთა გალერეაც საინტერესო და მიმზიდველია, მათ შორის განსაკუთრებით რუსი გადია თუ დამხმარე ქალი — მარია გამოირჩევა, დასრულებული სახით, საინტერესო ცხოვრების გზით, გამოკვეთილი ინდივიდუალობით, ცხოვრებისეული სიბრძნითა და სიყვარულით... რომანის პირველ დროს ამ თვალსაზრისით მეორე, გასული საუკუნის 70-იანი წლები უპირისპირდება, როდესაც სტუდენტები შეუზღუდავად, ცენზურის გარეშე საუბრობენ გრძნობებზე, სიყვარულზე, საუბრობენ თავიანთ ლექტორთან და არა თანატოლთან, სწორფერთან ...

უკვე წარმოვაჩინეთ ნაირა გელაშვილი როგორც რომანისტი და მთხრობელი, ყურადღება გავამახვილეთ მის სტილზე, რომელიც განმსაზღვრელია მწერლისათვის, ხაზი გავუსვით კომპოზიციის აგებისა და პერსონაჟთა ხატვის ოსტატობას, დაგვრჩა კიდევ ერთი საკითხი — ნოვატორული იდეები, რაც აუცილებლად სჭირდება მაღალი რანგის პროზას. ეს არის ცალმხრივი სიყვარულის ლამის მეტაფიზიკური აღქმა და მტკიცება იმისა, რომ ნამდვილი სიყვარული სწორედ ყველაზე უუფლებო, უპრეტენზიო და იდენტობადაკარგულია, მას შეყვარებულის სახელი და გვარის ცოდნაც კი არ სჭირდება, ერთადერთი მოცემულობა არის — არსებობდეს **ის**, ვინც ერთ დღეს მოულოდნელად, უკითხავად შემოიჭრება შენს სამყაროში და მოიცავს და ნთქავს ყველაფერს. ის, ვინც ცვლის შენს მომავალს, გეხმარება პროფესიისა და ცხოვრების ნირის არჩევანშიც კი. შენი ცხოვრების მხოლოდ ოთხი მნიშვნელოვანი „დიდი დღე“ შეიძლება უკავშირდებოდეს ამ უპასუხო, თითქოს ულოგიკო გრძნობას და 13 წლის ასაკში თავსდატეხილი ეს ოთხი დღე ყველაზე მნიშვნელოვანი იყოს ხანგრძლივი, გამოცდილებით აღსავსე ცხოვრების მანძილზე.

ქართულმა ლიტერატურამ სიყვარულის არაერთი მაგალითი იცის, მაგრამ ასე გამოხატული, გააანალიზებული ცალმხრივობა და უპასუხობა ნაკლებად. „უპასუხო სიყვარული იმდენად აძლიერებს ადამიანის ტანჯვას, რომ ის ბოლოს უსასრულობაში გადადის სიყვარულთან ერთად. ამ ზღვრულ მდგომარეობაში ადამიანთა შინაგანობა ღიაა და მასში მარადისობა შემოდის“... სიყვარული არის „სრული მარტოობა საკუთარ ბედისწერასთან“ და ამქვეყნად განცდილი ყველაზე დიდი სიხარულიც: „მან უკვე იცოდა სამყაროს მთავარი საიდუმლო: სამოთხე, ანუ გულში ჩაკვრა. ის ახლახან იყო ედემის ბაღში და იქიდან მოდიოდა“. შეუძლებელია ნაირა გელაშვილის საყვარელი პოეტი, ადრეული გერმანული რომანტიზმის ყველაზე უცნაური სული — ნოვალისი არ გაგახსენდეს — სამოთხის შუაგულში მოქცეული სატრფო — სოფი კიუნი, რაც პოეტს სამყაროს სკნელებისაკენ სწრაფვას უასკეცებს და სასუფეველს უახლოებს.

ერთი შეხედვით, „მე ის ვარ“ ქალების საყვარელ ტექსტად, მხოლოდ მათ ხელში საგოგმანებ წიგნად შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ სიყვარულია ის მარადიული თემა, რომელიც აერთიანებს ყველასა და ყველაფერს და მწერლის ოსტატობა, შთამბეჭდავი სახეობრიობა, რომლის წინაშეც „ძუ და ხვადი“ უძლური და თანასწორია. ამიტომაც მიანიჭა ნაწარმოებს ლიტერატურული პრემია „საბას“ შერეულმა ჟიურიმ წლის საუკეთესო რომანის ნომინაცია, რითაც, არაერთის აზრით, თავად „საბას“ შელახული სახელი ოდნავ მაინც აღსდგა. სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლის ლიტერატურული პრემია მეტი ობიექტურობითა და სამართლიანობით, ნაკლები კლანურობითაც გამოირჩეოდა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ თავად დაჯილდოვების ცერემონიალის პომპეზური და ზეაწეული სტატიკურობაც ნაირა გელაშვილის მოულოდნელმა გამოსვლამ გამოაცოცხლა, ახალი სუნთქვა შთაბერა. მან სოფელ ხაიშის პრობლემაზე მიმართა საზოგადოებას და მხარდაჭერისკენ მოუწოდა. სოფელს, ხუდონჰესის აშენების შემთხვევაში, დატბორვა ემუქრება. ნაირა გელაშვილი მწერლებს მოუწოდებს ხმა აიმაღლონ ხაიშელების დასაცავად, როგორც ეს წინა ხელისუფლების დროს, 2012 წელს, გააკეთეს. მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ქართული მწერლობა ჯერაც ცოცხალი და პოზიციის მქონეა, რომ მწერალი უპირველესად ადამიანი და მოქალაქეა და მერე პროფესიონალი...

ის, რაც უხდება საჯარო გამოსვლას ან საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ამსახველ ტექსტს, სრულიად ზედმეტი და უსარგებლოა სასიყვარულო რომანში, რომელიც სწორედ უნატიფესი გემოვნებით უნდა გამოირჩეოდეს პირველ რიგში. ნაირა გელაშვილს, როგორც ადამიანსა და მოქალაქეს, აქვს თავისი პოზიცია კონკრეტულ საკითხში და ჩემი დამოკიდებულების მიუხედავად ამ პოზიციის მიმართ, მე პატივს ვცემ მას. თუმცა მიმაჩნია, რომ ამ პოზიციის ასე პირდაპირ და შეუფარავად გამოხატვა რომანში, თვით ამ დახვეწილ ტექსტს, მის მხატვრულ მთლიანობას არღვევს და არაფერს სძენს. ნიას ეშინია რამდენიმე წლის შემდეგ **მასთან** შეხვედრის, მისი ხელახლა ხილვის, უამრავი რამის გამო, მაგრამ პირველ რიგში — „ზვიადისტი რომ აღმოჩნდეს? ხომ გავგიჟდი! ჯობია, არ დავრეკო!“ მეორეგან უკვე იმაზე შიშობს, ამ მთავრობის კაცი არ იყოსო?! გამოხატვის ფორმა მეთაკილება და არა შინაარსი, ფორმა, რომელიც ტექსტის ესთეტიკური მთლიანობის განცდას მიკარგავს მე, როგორც მკითხველს. წიგნს, რომელსაც

აქვს ყველა პირობა დროს გაუძლოს და მომავალმა თაობებმაც სიყვარულით იკითხონ, მხოლოდ ვნებს ამგვარი კოლიზიები. „თან უნდა გახსოვდეს და თან არა. წარსულიდან მხოლოდ ის უნდა იცოდე, რასაც აცნობიერებ, სხვა ყველაფერი უნდა გადაყარო, რათა ტვირთად არ გექცეს," - წერს ნაირა გელაშვილი თავის რომანში „პირველი ორი წრე". ბოლო რომანში ამ ტვირთის გადაგდება მხატვრული პოზიციიდან იქნებოდა, პირველ რიგში, მართებულიც და მომგებიანიც.

აქვე ერთი გულისტკივილი მინდა გაგიზიაროთ, სუბიექტური, მაგრამ მრავალთა სათქმელის დამტევი. ეს არ ეხება მხოლოდ ნაირა გელაშვილსა და მხოლოდ ამ რომანს, არც მის მხატვრულ ქსოვილსა და მთლიანობას აკლებს რამეს. ეხება თანამედროვე ქართულ მწერლობას ზოგადად, ტენდენციის სახესაც იღებს, რაც განსაკუთრებით მაშინებს. ბოლოდროინდელ ტექსტებში გამოყვანილი აფხაზეთელი, თავის სამშობლოში დევნილად და მსხემად რომ ქცეულა, აუცილებლად გაუმართავი ქართულით მეტყველებს, ხაზგასმულად გაუმართავით („მოვლიან ჩემი ქალიშვილი და ჩემი სიძე საღამოს და იქნებოდეს იცოდენ იმათმა", ტელეფონში პასუხობს დევნილი მოხუცი ქალი ნიას). იქნებ ბლომად არიან ჩვენში ასეთებიც, მაგრამ ნუთუ არცერთ მწერალს არასოდეს შეხვედრია თავანკარა ქართულით მოსაუბრე სოხუმელი, გაგრელი, ახალათონელი, გულრიფშელი, ბიჭვინთელი?!... იქნებ ობიექტურობისათვის ერთი ამგვარი სახეც გამოკრთეს ამ საუკუნის ქართულ ბელეტრისტიკაში?!

„მე ის ვარ" არის რომანი, რომელსაც ყველა თაობის მკითხველი სიამოვნებით დააგემოვნებს და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ნაირა გელაშვილი თავისი მოგონებებითა და შეგრძნებებით ამთლიანებს წარსულს, აწმყოსა და მომავალს, არამედ იმიტომაც, რომ მას ესმის თავისი მკითხველის, მისი ნაწილია. არც მასზე ჭკვიანი ჰგონია თავი და არც აღმატებული, ზემოდან არ გადმოგყურებს, აქვეა, შენ გვერდით, მშობლიური, ახლობელია... შენსავით და უფრო მეტადაც, ძლიერად უყვარს... ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ 65 წლის მწერალმა, რომელმაც შთამბეჭდავი ცხოვრება განვლო, ბევრი რამის დანახვა და აღქმა, საკუთარ თავზე გამოცდა მოასწრო, ასე დამაჯერებლად და ლიტერატურულადაც შეძლო უკან მოხედვა და საკუთარ თავში ისევ ის 13 წლის გულწრფელი და უმანკო გოგონა აღმოაჩინა, რომელზედაც საქვეყნოდ თქვა — „მე ის ვარ." თქვა ქვეყანაში, სადაც მსახიობებს როლებთან აიგივებენ, მწერლებს პერსონაჟების ცოდვებს მიაწერენ. ნაირა გელაშვილი გამბედავი მწერალია, დიდი მწერლები არიან მუდამ გამბედავები.

„ყველაფერი, რაც ითქმის, ატარებს ჭეშმარიტებას არა მხოლოდ საკუთარ თავში, არამედ მიუთითებს უკვე ნათქვამზეც და ჯერ ართქმულზეც" (გადამერი). სიყვარულია, ალბათ, ის ამოუწურავი თემა, ის დაუშრეტელი წყარო — ართქმულსაც რომ განგაცდევინებს და გამოგახატვინებს.

P.S. უბრალო ჭეშმარიტებაა, რომ წიგნი — შინაარსთან ერთად — გამოცემის კულტურაც არის. რომანი „მე ის ვარ", ე.წ. „ჯიბის სერიის" წიგნებს მიეკუთვნება, რომელიც ამ ბოლო დროს საკმაოდ მოდურია ჩვენში, მოხერხებული გამოცემაა, სადაც გინდა კომფორტულად წაიღებ და წაიკითხავ, მეგობრებს წააკითხებ. წიგნი „კავკასიურ სახლშია" გამოცემული და დახვეწილი მხატვრობითაც გამოირჩევა, თუმცა მხატვრისა ან დიზაინერის ვინაობას ვერსად წააწყდებით. თვალშისაცემია მეორე სათაურიც — „ძველებური ამბავი მოზარდებისათვის", მომგებიანი და მრავლისმთქმელი მიგნებაა, თუმცა ამ რომანს დიდებიც — დედები, ბებიები და გადიები — სიამოვნებით კითხულობენ.

კიტოხის სკოლის დასახმარებლად

საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი 16 ნოემბერს მასპინძელი გახლდათ მთა-ბარელი გუდამაყრელებისა. კერძოდ იმათი, შავი არაგვის ხეობის სოფლებს (გაუსაძლისი ყოფითი პირობების მიუხედავად) მეცხოვნეებივით რომ შემორჩენიან და მათიც, ბედით თუ იღბლით, ბარში რომ განესაზღვრათ დამკვიდრება; ხოლო მშობლიური მთების, წყალ-ჭალის მონატრებას, ჩამქვლეული ნაფუძრების დარდს გულით დაატარებენ.

შეხვედრის თაოსანმა, ახალგაზრდულად ენთუზიადაუმცხრალმა **ადამ ბექაურმა** შესავალ სიტყვაში ორიოდე შტრიხით დახატა დღევანდელი გუდამაყარი: ზამთრის ქარბუქიანი ღამეებიდან ვიდრე გაზაფხულის მოლოდინამდე, გაიმეორა კიტოხელი პატარა გოგონას, იმდღევანდელი ღონისძიების მონაწილე **ანა ბექაურის** ნათქვამიც, მოკითხვის პასუხად მიგებული: — აბა, როგორ ვიქნები, ამ ბებრებთან დაქალობამ დამღალაო...

ღონისძიებას პოეტი **მაია გონჯილაშვილი** უძღვებოდა.

მთიულეთ-გუდამაყრელთა ერთად ყოფნა და სრულიად საქართველო დალოცა მეუფე **თადეოზ იორამაშვილმა.** მანვე წაიკითხა ვაჟა-ფშაველას ლექსი „აკაკის საიუბილეოდ". ნიჭით, სათნოებითა და მიმტევებლობით სრულყოფილი საეკლესიო მოღვაწის მიერ, მაინც-დამაინც ეს ნიმუში არ უნდა ყოფილიყო ნაუცბათევად ამორჩეული.

მერე კი მთელ გუდამაყრის ხეობაში ერთადერთსა და კელაპტარივით მანათობელს, 15 მოსწავლიანი კიტოხის საჯარო სკოლის აღსაზრდელებს ასპარეზი მიეცათ. სულ თერთმეტნი, დედაქალაქს წვეულნი და პოეზიის სიყვარულით გაცისკროვნებულნი, აღტაცებით კითხულობდნენ ლექსებს სრული 40 წუთის განმავლობაში. ნორჩმა დეკლამატორებმა გაახმაურეს **გოდერძი ჩოხელისა** და **მამუკა წიკლაურის** პოეტური ნიმუშები და შესაფერისად, პატივიც მიეგო მათ ხსოვნას.

წაიკითხეს აგრეთვე ღონისძიების მონაწილე საყვარელი პოეტების: **ტარიელ ხარხელაურის, მარიამ წიკლაურის, თავამაზ ჩოხელის** ლექსები; არც ხალხურ მთქმელთა ფოლკლორული ნიმუშები დავიწყნიათ, ითქვა ნატირლებიც და დაგუგუნდა სიმღერებიც, ფანდურიც აჟღერდა. ასე რომ გახანგრძლივებული საღამო სევდიანიც გახლდათ და ხალისიან-სიცილიანიც. რახან თერთმეტივემ მოხიბლა დარბაზი, ქებაც შესაფერისი დაიმსახურეს. განსაკუთრებით ყველაზე უმცროსმა, მესამეკლასელმა ანა ბექაურმა, მიკროფონს რომ ვერ სწვდებოდა, ხელში ატატებულმა უშუალოდ და ლაღად შეიფერა დეკლამატორობა. მასთან ერთად ხმიანობდნენ მისი გვარიშვილებიც: **ორი გიორგი, ილია, თეონა** და **თამთა. წიკლაურები** კი იყვნენ ხუთნი: **ხვიჩა, გიორგი, დათო, ბაჩო** და **ნუცა.**

აღინიშნა ისიც, რომ მთა-ბარელთა შეხვედრა, ლექსისა და სიმღერის ეს მშვენიერი საღამო, იყო საქველმოქმედოც — კიტოხის სკოლის დასახმარებლად.

სიტყვებით გამოვიდნენ: პროფკავშირების წარმომადგენელი **ეთერ მათურელი,** დეკანოზი **თავამაზ ჩოხელი**, პოეტი **მარიამ წიკლაური,** წითელი ჯვრის ორგანიზაციიდან **ეკა ზანდუკელი, ეკა ბაიაშვილი**, ფილოლოგი **გიული ჩქარეული; ტრისტან მახაურმა,** როგორც პროფესიონალმა, გუდამაყრული ფოლკლორი მიმოიხილა. თანაც თანამედროვე ხალხურ მთქმელთა მოსწრებული სიტყვა-პასუხი, კაფიები ამოამზეურა.

ჩვეული ოსტატობითა და არტისტიზმით დარბაზი მოხიბლა **ელდინო საღარაძემ.**

კახა მანგოშვილისა და **გიორგი ბექაურის** დუეტი ფანდურებით იყო საამო მოსასმენი, არანაკლები — **დები წიკლაურების** სიმღერები თუ ანსამბლი „**პოპური**", საგარეჯოდან.

ღონისძიების დასასრულს ყულაბაც გატყდა. შეგროვილი თანხა, რასაკვირველია, საკმარისად ვერ დაითვლებოდა კიტოხის სკოლის მოსწავლეთა უზრუნველყოფისათვის, მაგრამ ისიც ხომ უსათუოდაა დასაჯერებელი — კარგ წამოწყებას მიმბაძველნიც გამოუჩნდებიან...

ნინო დეკანოიძე

„ალუდა ქეთელაურის“ ერთი სტროფისა და კიდევ იმის შესახებ, ვინ რას ამბობს პოემაში

ვფიქრობ, საკამათო არ არის, რომ ქართული ლიტერატურის სწავლება სკოლაში უდიდეს პასუხისმგებლობას მოითხოვს, პირველ რიგში კი მზადყოფნას იმისთვის, რომ ნებისმიერი მხატვრული ტექსტის მრავალმხრივ ჭრილში გააზრების საშუალება მივცეთ მოსწავლეებს. ამიტომ ყოველთვის ინტერესით ვეცნობი რუბრიკას „როგორ ვკითხულობთ კლასიკას“, რომელმაც ამჯერად შემოგვთავაზა ბადრი დანელიას წერილი „ადვილ ნუ იტყვით ვაჟკაცსა“ („ჩვენი მწერლობა“ №4, 2013).

წერილში ავტორი ძირითადად „ალუდა ქეთელაურის“ ერთი სტროფის („ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ...“) სწორად გააზრებაზე მსჯელობს და საყურადღებო მოსაზრებებსაც გამოთქვამს, თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ მის განსჯაში შეიმჩნევა ფაქტობრივი უზუსტობა.

წერილის დასაწყისში ბადრი დანელია მოიხმობს მანანა ყიფიანის მიერ გამოთქმულ ვარაუდს ალუდას სიტყვებთან დაკავშირებით, ხოლო შემდეგ, როცა საკუთარ მოსაზრებას გვთავაზობს, სხვათა შორის აღნიშნავს, რომ „განსახილველ სტროფსაც (იგულისხმება „ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ...“ — ე.ბ.) იგი (ანუ ალუდა — ე.ბ.) უშიშას, ბებერ ხევსურს ეუბნება და არა ბერდიას, როგორც ამას ქ-ნი მანანა წერს“.

ამ დეტალზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებ, რომ მომდევნო აბზაცში თვითონ ბადრი დანელიას მოსდის ფაქტობრივი შეცდომა, როცა წერს: „მინდიაც კი, რომელმაც მორალურ დონეზე გაუგო ალუდას... ამ სისასტიკის მომხრეა: „წესი არ არის მტრის მოკვლა, თუ ხელ არ მასჭერ დანითა“, რასაც საკმაოდ საინტერესო მსჯელობის შემდეგ კიდევ ერთხელ იმეორებს: „მტერი მოკლულად ითვლებოდა მხოლოდ მარჯვენის მოჭრის შემდეგ. გავიხსენოთ მინდიას სიტყვები: „წესი არ არის მტრის მოკვლა...“

სინამდვილეში ამ სიტყვებს მინდია კი არა, ალუდა ამბობს, ოღონდ ის სხვათა ნათქვამს იმეორებს.

მინდია, რომელმაც მუცალის მკლავი მოიტანა და ამუნათებს და საყვედურობს ახალგაზრდებს, ალუდას მხოლოდ ამას ეუბნება: „ნაიღ, მიაკარ ქავადა!“ ამას მოსდევს ალუდას საკმაოდ ვრცელი პასუხი („თუ ხელის მოჭრა მდომიყო...“), განსჯა იმისა, რომ ეს მარჯვენა არაფერში გამოადგება. სწორედ ამ დროს იღებს იგი საბოლოო გადაწყვეტილებას:

მტერს მოვკლავ, კიდევ არ მოვსჭრი
მარჯვენას მაგათ ჯაბრითა!
— „წესი არ არის მტრის მოკვლა,
თუ ხელ არ მასჭერ დანითა“, —
ვაი, ეგეთას სამართალს,
მონათლულს ცოდვა-ბრალითა.

დავაკვირდეთ! ალუდას მიერ წარმოთქმულ სიტყვაში ჩართული ეს სტრიქონები („წესი არ არის...“) თავის მხრივ ბრჭყალებშია ჩასმული, რაც იმას ადასტურებს, რომ ეს ნათქვამი ალუდას კი არ ეკუთვნის, არამედ სხვა შატილიონებს (ოღონდ არა უშუალოდ მინდიას), იმ ახალგაზრდებს, რომლებმაც ქეთელაურს სიმხდალე და სიცრუე დასწამეს:

გამოქცევიხარ ქისტიშვილს,
გადუქცევიხარ ქალადა.
მაჰკალ, მარჯვენა არ მასჭერ,
უკან მისდევდი მა რადა?

აი, სწორედ ამ ბოლო ორი სტრიქონის ერთგვარი პერიფრაზია მწარე ირონიითა და სინანულით სავსე სიტყვები: „წესი არ არის მტრის მოკვლა...“ და ამ წესს ალუდა „ცოდვა-ბრალიან სამართალს“ უწოდებს.

ცხადია, მტრისადმი ამგვარ დამოკიდებულებაში მინდიას პოზიციაც იგულისხმება, რასაც მისი ქმედება (და არა სიტყვები) ადასტურებს (მუცალს ხომ მარჯვენა სწორედ მან მოჰკვეთა), მაგრამ ეს ნამდვილად არ გვაძლევს იმის საფუძველს, დავასკვნათ, რომ საკამათო სტრიქონთა მთქმელი მინდიაა, თანაც ეს ორჯერ დაბეჯითებით გავიმეოროთ.

რაც შეეხება განსახილველ სტროფს („ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ...“), შეიძლება ითქვას, რომ ის პოემის ერთგვარ ქვაკუთხედს წარმოადგენს, რომელშიც საცნაურდება ავტორის მსოფლმხედველობა და რელიგიური მრწამსი. მისი ანალიზისას მნიშვნელოვანია პარალელის გავლება „ვენეციელი ვაჭრის“ პერსონაჟის, შაილოკის, განცდებთან, როცა იგი გულისტკივილს გამოთქვამს, რომ ქრისტიანულ საზოგადოებას სარწმუნოების გამო იგი გარიყული ჰყავს და არასრულფასოვან ადამიანად მიაჩნია. შაილოკი აცნობიერებს, რომ კაცობრიობის დაყოფა ეროვნული თუ რელიგიური ნიშნით ნებადაურთველია: „განა იუდეველს არ აქვს გრძნობები, მისწრაფებები, ვნებათ-ღელვანი? განა იმავე საჭმელს არ ჭამს? იმავე იარაღით არ იჭრება? იმავე სნეულებით არ ხდება ავად? ზამთარ-ზაფხულშიც ხომ ისევე სცივა და სცხელა, როგორც ქრისტიანს? თუ გვიჩხვლეტთ, განა ჩვენ არ დაგვედინება სისხლი?“ (მინდა აღვნიშნო, რომ „ალუდა ქეთელაურის“ ამ რაკურსით გაგაზრება მოცემული იყო თამაზ ვასაძის სახელმძღვანელოში, რომელშიც, ხშირ შემთხვევაში, საუბარია ქართულ და უცხოურ ტექსტებს შორის პარალელებზე. დასანანია, რომ ამჟამად ეს წიგნები ამოღებულია სასკოლო სახელმძღვანელოთა ნუსხიდან).

არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ კუთხით ტომას ვულფის მიმართვა ანტიამერიკანიზმის ფერხულში ჩაბმული ევროპელებისადმი: „დიახ, ეს მართალია... ჩვენ იანკები ვართ... განა იანკის სმენა არ გააჩნია? განა არ იცის, რა არის სიცრუე, ღირსება, სიკეთე, შიშები, სიხარული, ვნება? განა მას იგივე მზე არ ათბობს, იგივე სიკვდილი არ სცელავს, იგივე მატლები არ სჭამენ, რაც გერმანელს? თუკი მოკლავ მას, განა არ მოკვდება? თუკი სამოსელს გაიხდის, განა არ დაემსგავსება გაშიშვლებულ შვედს? განა ცოლი თუ სატრფო ისევე არ ღალატობს, როგორც ფრანგს? განა მისი კანი ნაკლებად თეთრია, ვიდრე ბოდლერის?“

სწორედ შექსპირისა და ტომას ვულფის განზომილებიდან მსჯელობს ვაჟა-ფშაველა, როცა პოემის მთავარ პერსონაჟს ათქმევინებს:

ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ,
მარტო ჩვენ გვზდიან დედანი,
ჩვენა ვსცხონდებით, ურჯულოთ
კუპრში მიელის ქშენანი.
ამის თქმით ვწარამარაობთ,
ღთიშვილთ უკეთეს იციან,
ყველანი მართალს ამბობენ
განა ვინაცა ჰფიციან?!

ეს სიტყვები პირდაპირი პასუხია უშიშას გაოცებაზე: „რას ამბობ? ქისტის ცხონება არ დაწერილა რჯულადა“, რითაც ალუდას (რომელიც ეზიარა უმაღლეს ქრისტიანულ ფასეულობას — შემწყნარებლობას, მიმტევებლობას) იმის თქმა სურს, რომ ყველა ადამიანი, განურჩევლად რწმენისა, უფლის ხატი და მსგავსია და მათი განსჯაც ისევ და ისევ უფალს ხელეწიფება მხოლოდ, რადგან „ღთიშვილთ უკეთეს იციან“. განა თავად მაცხოვარი არ გვეუბნება: „რაც თქვენ გაუკეთეთ ერთ ჩემს მცირე ძმათათაგანს, მე გამიკეთეთ“, და განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ იმ ქისტის, იუდეველისა თუ იანკის სახით თვით უფალი გვეცხადება?

როგორ ესადაგება ამ ყველაფერს მაჰათმა განდის სიტყვები: „ჩვენ ყველა ერთ თარგზე ვართ მოჭრილი და ერთი შემოქმედის შვილები ვართ. ჩვენში არსებული ღვთაებრივი ძალა უსაზღვროა. თუნდაც ერთი ადამიანის აბუჩად აგდება მისი ღვთაებრივი ძალის აბუჩად აგდებას ნიშნავს, რითაც მხოლოდ ამ ერთ არსებას კი არა, მთელ სამყაროს ვაყენებთ ზიანს“.

ალუდა სწორედ სამყაროს ამ უდიდეს საიდუმლოს ჩასწვდა და უნდა, რომ სხვებიც აზიაროს ამ ჭეშმარიტებას. ამაშია ვაჟა-ფშაველას გენიალურობა, ამაშია ქეთელაურის სიბრძნე.

P.S. გადაძახილი XXI საუკუნიდან:

„...დღეს დაიბადა თავისუფალი კათოლიკე, სახელად მეთიუ!

...დღეს დაიბადა თავისუფალი ებრაელი, სახელად მოშე!

...დღეს დაიბადა თავისუფალი მუსლიმი, სახელად ალი!

...დღეს დაიბადა თავისუფალი ბუდისტი, სახელად სვამი!

...დღეს დაიბადა თავისუფალი მართლმადიდებელი, სახელად გიორგი!

მათ ერთად იხილეს ცის პორტრეტი, მიწის პალიტრა, ერთად წაუსვეს ხელი ცხოვრების მოლბერტზე, ერთად წაიცხეს ადამიანურობის ფერ-უმარილი.

მათ გზა ელოდათ.

...მათ გზა განამზადებდა ღვთისაკენ“ (ზვიად კვარაცხელია).

ეთერ ბერიაშვილი

გივი ალხაზიშვილი

მწერალთა სახლის დაარსების რამდენიმე ფრაგმენტი

მწერალთა სახლის სამეურვეო საბჭოს სხდომა №1

ჩატარდა პირველი თათბირი ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარესთან. მწერალთა სახლის სამეურვეო საბჭოში შედიან: რეზო ჭეიშვილი, გივი შაჰნაზარი, როსტომ ჩხეიძე, ტარიელ ჭანტურია, ლია სტურუა, ირაკლი ჯავახაძე, ლაშა იმედაშვილი, გურამ ოდიშარია, მე და კიდევ ორი წევრი, დღეს რომ არ მონაწილეობდნენ — ანა კორძაია-სამადაშვილი და დათო მაღრაძე.

დებულება, ჩვენ რომ დაგვირიგეს, კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს და ჩვენი რჩევები გათვალისწინებულია ზედმიწევნით. ერთადერთი ეჭვი, რაც შეიძლება ბუნებრივად გაუჩნდეს ადამიანს, ის არის, რომ ხელისუფლებაზე დამოკიდებული არ გახდეს მწერალი, ზოგადად ლიტერატურული პროცესი.

თავიდანვე ითქვა, რომ კლუბურ-ასოციაციური სტრუქტურა უნდა მოქმედებდეს და მიუღებელია რაიმე საერთო ხელმძღვანელობის ან იერარქიული სტრუქტურის შექმნა.

ჩემს მეგობარ როსტომ ჩხეიძეს აფიქრებს საერთო ჟურნალის არსებობა, რას ნიშნავს ეს საერთოდ? მეც ეჭვით ვუყურებ ამ საკითხს, მაგრამ ჟურნალის დაარსება არ უნდა იყოს ურიგო, თუნდაც ახალგაზრდებისათვის.

ასევე დაეჭვების საგნად იქცა ზოგიერთი სხვა პუნქტიც, რაც, ჩვენი აზრით, ხელს უშლის კლუბური მუშაობის ყაიდას.

22 ნოემბერს უნდა შევიკრიბოთ ყოფილ მწერ-კავშირში, სადაც შედგება იმ დებულების დეკლარირება, კავშირის წევრები რომ არ იცნობენ, და როცა გაიგებენ, მიატოვებენ პატრონს - მარევა-ს – /მა-ყვალა, რე-ზო, ვა-ჟა/, როგორც გამოუსადეგარ და უპერსპექტივო გაერთიანებას.

22.11.2008

მწერალთა სახლის სამეურვეო საბჭოს სხდომა №2

ტარიელ ჭანტურია, გურამ ოდიშარია და მე ერთად მივედით მაჩაბლის 13-ში. როგორც მანამდე ტელეფონით შეგვატყობინეს, მართლაც მიტინგს მართავდნენ მწერკავშირის წევრები და მათი უფროსები.

იქ იყო ზაალ სამადაშვილი – ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე, მოვიდა გრიგოლ ვაშაძეც და მწერალთა სახლის სამეურვეო საბჭოს წევრების უმრავლესობა.

მიშველაძემ ჩაილაპარაკა, რომ მხოლოდ ჭანტურიაა კაცი, დანარჩენები ნაძირლები არიან.

დანარჩენები ე.ი. ჩვენ, სამეურვეო საბჭოს დანარჩენი წევრები, რეზო ჭეიშვილიც კი, რომლის ჭაჭაზე დაყენებულსაც ეძახიან მიშველაძის პროზას. არ ღირდა შეპასუხება და პროვოკაციაზე წამოგება. გაპროტესტებასაც კი არ ჰქონდა აზრი. არც გავბრაზებულვარ. გააჩნია, ვინ გეძახის ნაძირალას.

ვაშაძე გაგვაცნეს, კულტურის ახალი მინისტრი, ზალიკომ წარგვადგინა: ტარიელ ჭანტურია, — უღიმის ზალიკო და წარადგენს მწერლებს. უემოციო მინისტრი. ზალიკო: რეზო ჭეიშვილი, უაზროდ მზირალი მინისტრი. ზალიკო: ბესიკ ხარანაული... თვალებგაშუშებული მინისტრი, ზალიკო: გივი ალხაზიშვილი.. შეწუხებულ მინისტრს სახეზე გადაურბინა წინადადებამ და ამივიკითხე: ნეტავ რა დავაშავე?! ზალიკო: ლია სტურუა, როსტომ ჩხეიძე, გურამ ოდიშარია.. აჩქარებულად და შეუსვენებლად ჩამოთვალა დანარჩენების გვარები.

ვატყობ, მინისტრი ფრიად კმაყოფილია თავის ძალაუფლებით და ცდილობს კიდეც თავის უფლებათა დემონსტრირებას და უაღრესად ბედნიერი ახალი ნაცნობობით სწრაფი ნაბიჯით ტოვებს იქაურობას. ჩემს თვალწინ იდგა საბჭოეთში გამოჯეკილი ჩინოვნიკი, იერარქიულ კიბეს რომ იცნობს კარგად და თავის დაფასებაც შეუძლია თავის მდგომარეობის გამო. მდგომარეობაში ბევრი რამ იგულისხმება, ოჯახურიც კი, რამაც განაპირობა კიდეც მისი გამინისტრება, თანაც კულტურაში, რადგან თურმე პოლიტიკაში ოჯახური მდგომარეობაც განსაზღვრავს პროფილს.

— ზალიკო, სამშაბათს ამოდით ჩემთან და ერთმანეთთან მოილაპარაკოს ორივე დაპირისპირებულმა მხარემ, — მინისტრმა ისეთი გადაწყვეტილება მიიღო, რომ აზრზეც არ არის, რა ხდება, სად არის და რატომ არის. აქ მოსვლამდე მაინც ეკითხა ვინმესთვის და მერე მოსულიყო. ისე გამოვიდა, თითქოს ჩვენ შენობისთვის ვიბრძვით და არა ჩამყაყებული საბჭოური სტრუქტურის მონოპოლისტური მდგომარეობის გასაუქმებლად. ეს ხომ არ იყო ორგანიზატორების მიზანი, ასეთი შთაბეჭდილება რომ დარჩენოდათ ჟურნალისტებს, მათი მეშვეობით კი მთელ ქვეყანას.

ხმა მომიტინგეებიდან: ვინ არის ორივე მხარე, რას ჰქვია ორი ჯგუფი. აქ ერთია სამართალმემკვიდრე და ეს ჩვენ ვართ – მწერალთა კავშირი.

სამეურვეო საბჭოს წევრები საქციელწამხდარები ჩანდნენ და არც არის გასაკვირი.

ერთი, რაც მყარად გადავწყვიტეთ, ის არის, რომ კულტურის მინისტრს არ ვეახლოთ სამშაბათს იმ მოლაპარაკებაზე... როგორ შეიძლება ერთი ოდიოზური კავშირი აცხადებდეს თავს იაკობ ხუცესისა და რუსთაველის სამართალმემკვიდრედ?!

ეს ხომ სრული სიგიჟეა? აქ მთავრდება ნებისმიერი დიალოგის გამართვის სურვილი. ეს სპეკულიაციები, ერთადერთობასა და ეროვნულ სულიერებაზე მონოპოლია, ცხადია, მთლიანად უსაფუძვლოა და პრიმიტიული მცდელობაა შეინარჩუნონ მწერკავშირული მდგომარეობა, როგორც "კარმუშკის" გარანტი და საკუთარი ფიქციების ტრიბუნა.

გარეთ რომ გამოვედი, მიტოვებულ მიკროფონთან აღმოვაჩინე უცნობი ანაფორიანი აღნაგი მღვდელი, ხმამაღლა რომ გაჰყვიროდა ნაციონალისტურ ლოზუნგებს.

მივხვდი, რომ ჩვენში ისევ ძალიან ბნელა, სამწუხაროდ, და მაჩაბელზე როსტომთან ერთად რომ დავეშვი, მივხვდი, რა ოსტატურად ავუარე გვერდი საკუთარი რომანის გმირებს, რომლებსაც არ მსურდა შევხვედროდი, და ისეთივე უსიამოვნო საუბრები გაგრძელებულიყო.

მაჩაბლის დასაწყისს რომ მივუახლოვდით და შევჩერდით, აღმოვაჩინე რომ სლალომი ჩემი საქმეა, იმდენად ოსტატურად და სწრაფად ვუქცევდი გვერდს არასასურველ ტიპებს და ფინიშის სწორზე მაღალი სიჩქარეც კი ავკრიფე.

22.11.2008

მწერალთა სახლის სამეურვეო საბჭოს სხდომა №3

დღეს კულტურის მინისტრთან შედგა მწერალთა სახლის სამეურვეო საბჭოს სხდომა.

როგორც მინისტრის საუბრიდან გაირკვა – მწერკავშირი მოხიბლულია არსებული დებულებით და მოსალოდნელი დაფინანსებით, და თხოულობს მეორე სართულზე დარჩეს მათი კაბინეტები. რაზეც მინისტრს უარი უთქვამს და შეუთავაზებია სამეურვეო საბჭოში კავშირიდან რამდენიმე წევრის დამატება, რასაც, როგორც მინისტრმა აღნიშნა, კმაყოფილებით შეხვედრიან ისინი.

ჩვენი მხრივ/ჭეიშვილი, ჭანტურია, ბესიკ ხარანაული, გურამ ოდიშარია, ლაშა თაბუკაშვილი, ლია სტურუა, გივი შახნაზარი და მე/ ითქვა, რომ ოთახების გადანაწილება თან მეორე სართულზე, სრული უაზრობაა, რადგანაც შენობა ფაქტობრივად მეორე სართულია. მე შევთავაზე, მეორე სართულზე, კაბინეტებში განთავსდეს ფუნქციური სათათბიროები, რასაც დებულებაც ითვალისწინებს, რომელთა საქმიანობითაც დაინტერესებული იქნება ყველა მწერალი და შებამისი ურთიერთობაც ექნება მათთან.

ტარიელ ჭანტურიამ საუბარი წამოიწყო მწერალთა ყრილობის არალეგიტიმურობაზე, რაც სიმართლეს შეესაბამება და აგრეთვე იმ სიაზე, რომელიც ასახავს, ვინ ესწრებოდა და ვინ არ ესწრებოდა მწერალთა ყრილობას. ეს სია გამოქვეყნებულია გაზეთში "ჩვენი მწერლობა" 2003 წელს, შთამბეჭდავია სხვაობა, ამ ორ სიას შორის რომ არსებობს.

როგორც ქალაქის მერმა შენიშნა/ უგულავაც ესწრებოდა საბჭოს სხდომას, ზაალ სამადაშვილი და გრიგოლ ვაშაძეც/, წარსულის გამოძიება ვერ მიგვიყვანს შედეგამდე, რომ მწერკავშირს დათმობილი აქვს პოზიციები და მთავარია კავშირმა სარჩელი გამოიტანოს სასამართლოდან და ჩვენ/გ.უ./ნამდვილად არ გვჭირება ამათი/იგულისხმება მწერკავშირი/ მიტინგები — დამშვენებული ლეიბორისტული დროშებით და უაზრო შეძახილებით.

სხდომას არ ესწრებოდა ანა კორძაია-სამადაშვილი და დათო მაღრაძე. საპატიო მიზეზის გამო ვერ მოვიდა როსტომ ჩხეიძეც, რაც მან წინასწარ შეატყობინა საბჭოს წევრებს.

მთავარ საკითხზე კონსენსუსი შედგა. მოქმედ საბჭოს უნდა დაემატოს კავშირიდან რამდენიმე წევრი და ერთ-ერთი უნდა დაინიშნოს საბჭოს მდივნად, ხოლო თავმჯდომარე გამოიცვლება ექვს თვეში ერთხელ, რასაც როტაციას უწოდებენ ისინი, ჩვენ კი მორიგეობას ვარქმევთ.

ჩვენი მოლაპარაკებები თანდათან ჩიხში შევა, რადგან ჩვენი საუბარი გონაშვილი-მიშველაძის ტანდემთან არანაირად არ გამოვა. ორი ცნობილი დემაგოგი არგუმენტებს არაფრად დაგიდევენ და თავიანთ სიცრუეს იმეორებენ გაუთავებლად.

მაგათაც ის უნდათ, თუ მივატოვებთ შეკრებებს და უმრავლესობას თვითონვე გაინაღდებენ.

როგორც ჩანს, ხელისუფლებას ამათიც ეშინია / მწერკავშირის/ და ამიტომაც ანგარიშს უწევს მათ მოთხოვნებს, მაგრამ რა ზღვრამდე თმობენ პოზიციებს, ჩემთვის უცნობია.

როგორც ვატყობ, თანდათან ეჭვქვეშ დგება სამეურვეო საბჭოში ჩვენი მონაწილეობა, რადგან საიდუმლო გარიგებები გრძელდება მწერკავშირის ხელმძღვანელობასა და ოფიციალურ სტრუქტურებს შორის. დიდი კვლევა არ არის საჭირო იმის აღმოსაჩენად, რომ ხელისუფლებას ეშინია მცირე მიტინგისაც კი და კავშირის დასამშვიდებლად ჩვენთვის მიუღებელ კომპრომისზე მიდის და ჩვენც გვირჩევს დავეთანხმოთ. თუმცა, როგორც ვატყობ, ამგვარ "კონსენსუსს" არავითარი აზრი არ აქვს და აბსურდის დამკვიდრების მცდელობაა მხოლოდ იმიტომ, რომ ხელისუფლებამ სანაცვლოდ მიიღოს არარსებული მწერკავშირის რვაასი წევრის და მათი ოჯახების, გარემოცვის სიმშვიდე და საარჩევნო ხმები.

28.11.2008

* * *

მიხეილ სააკაშვილი პასუხობდა ომის შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის შეკითხვებს.

თვითონ იყო პროკურორი, მსხვერპლიც, ადვოკატიც, მოსამართლეც და დამნაშავეც —ერთდროულად. როგორ ითავსებს ამ ყოველივეს ეს შოუმენი უკვე აღარ მიკვირს, საკვირველი ის არის, რომ არავისი და არაფრის არ რცხვენია და ყველას მოტყუებას ისე იწყებს მეათასედ, როგორც პირველად.

30.11.2008

საკუთარ ილუზიათა და დანაშაულთა პრეზიდენტი

გუშინ, 2008 წლის 13 დეკემბერს, საქართველოს პრეზიდენტს შევხვდით მის რეზიდენციაში. შეხვედრის ინიციატორი, ზაალ სამადაშვილი, დამიკავშირდა და მეც არ ვიუარე, დავთანხმდი.

თავიდან გული მეთანაღრებოდა, ვიფიქრე, არ წავსულიყავი და უარი მეთქვა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ წამძლია და გავიფიქრე კიდეც, რომ ერთ საინტერესო ეპიზოდს არ გავუშვებდი ხელიდან და დოკუმენტური პროზისთვის საჭირო, მნიშვნელოვან საუბარს დავესწრებოდი...

საქვეყნოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ 2007 წლის მოვლენების შემდეგ გაყალბებული არჩევნებით გადარჩენილი პრეზიდენტი აღარ უნდა გადაურჩეს აგვისტოს მოვლენებს და ხელახალი არჩევნები დაინიშნოს. სააკაშვილი კატეგორიულ უარს ამბობს ვადამდელ არჩევნებზე და იმიზეზებს საყოველთაო ეკონომიკურ კრიზისს, რის გამოც ზედმეტი ფულის ხარჯვა, თუნდაც ვადამდელი არჩევნებისთვის, წარმოუდგენლად მძიმე ტვირთია და ასეთი ფუფუნებისთვის ქვეყანას არ სცალიაო. რამდენადაა ასეთ ვითარებაში ვადამდელი არჩევნები ზედმეტი ბარგი, ალბათ ამომრჩევლის გადასაწყვეტია. საკუთარი ინიციატივით წამოწყებულ ომში, პროვოკაციაზე წამოგებას ვგულისხმობ, დამარცხებისა და დამატებითი ტერიტორიების დაკარგვის შემდეგ, ყველაზე ლოგიკური იქნებოდა, თუ პრეზიდენტი თვითონ დანიშნავდა ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს და საკუთარი ნებით გადადგებოდა. სამწუხაროდ, იგი ასე არ ფიქრობს და ცდილობს აბსოლუტურად მართლად მოაჩვენოს თავი საკუთარ ხალხსაც და დანარჩენ მსოფლიოსაც, თუმცა ჩვენი ქვეყნის მაღალჩინოსანმა მფარველებმაც იციან სიმართლე, რადგან თვითონ იწვნიეს უხერხულობა სააკაშვილის გაუწონასწორებელი და მცდარი ნაბიჯების გამო და ჩვენი მოქალაქეების უმრავლესობაც ინფორმირებულია და ვეღარ ივიწყებს იმ საშინელ დღეებს, რომელთა მიჩუმათებისა და დავიწყების დიდი იმედი აქვთ მიშას და მიშისტებს.

ღამის ცხრა საათზე პრეზიდენტის რეზიდენციაში მივედით. ვიდრე შევიდოდით, კულტურის ახალი მინისტრი ნიკა რურუა შემოგვხვდა რეზიდენციასთან და სამადაშვილთან ერთად წაგვიძღვა შენობისკენ.

ჩვენი შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა: თამაზ ჩხენკელი, ლაშა იმედაშვილი, ანა კორძაია-სამადაშვილი, გურამ ოდიშარია, ზაალ სამადაშვილი, როსტომ ჩხეიძე და მე. მგონი ვიღაც გამომრჩა, მაგრამ ვერ ვიხსენებ, სამწუხაროდ.

პრეზიდენტი წამოდგა და გაბადრული შემოგვხვდა. გავიფიქრე მეთქვა, რომ მისი სიმაღლე დისკომფორტს მიქმნის და რომ ფეხზე დგომის გაგრძელება ორივესთვის არასასურველია, მაგრამ აღარ ვთქვი, რადგან ასეთი ხუმრობა ჩემს ბუნებას არ შეეფერება და თანაც შეხუმრების სურვილი მყისვე გამიქრა, გავიხსენე თუ არა ჩემი დამოკიდებულება უკანასკნელი მოვლენებისადმი; თან დანაშაულის გრძნობაც მტანჯავდა, რადგან იქ უსურვილოდ, პრაგმატული მიზნით მივედი, რათა ეს დღიური დამეწერა და ცოცხლად მენახა დემაგოგიის ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა კაცი, რომელმაც შეძლო საქართველოსთვის თვალში ნაცრისყრით რამდენიმე წელს ეპრეზიდენტა, გაეყალბებინა ყველა და ყველაფერი, თან დემოკრატიისა და უკეთესი მომავლის სახელით.

საუბარი პოლიტიკით დაიწყო. ზოგად, საინტერნეტო სიახლეებს მოჰყვა კულუარული ამბები

პუტინთან, ბუშთან, სარკოზისთან დაკავშირებით, რასაც პრეზიდენტი ყვებოდა და თავი გამოვიჭირე, რომ ყველა ინფორმაციას, პრეზიდენტი რომ გვიამბობდა, დაეჭვებული ვუსმენდი

და ვცდილობდი გამერჩია ერთმანეთისგან ტყუილ-მართალი, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვახერხებდი და მექანიკურად ვუსმენდი. ჯერი რომ აგვისტოს მოვლენებზე მიდგა პრეზიდენტმა გვაუწყა — რამხელა ფულს ხარჯავს რუსეთი საინფორმაციო ომის მოსაგებად და რომ თავის ტყუილი გაიტანა კიდეც. ეს იყო პირველი მამალი ტყუილი, რაც პრეზიდენტმა იმ ღამით თქვა, რადგან მასზე უკეთ ვინ უწყოდა სინამდვილე? არავინ! მასმედიის საინფორმაციო ომის მსხვერპლი არ გამხდარან წამყვანი სახელმწიფოების პრეზიდენტები და საგარეო საქმეთა მინისტრები, ანუ ისინი, ვინც პირველი ხელიდან ფლობდნენ უტყუარ ინფორმაციებს და რომლებმაც, მათ შორის კონდოლიზა რაისმა, განაცხადა ეს, თბილისმა, სამწუხაროდ, არ დაიჯერა ჩვენი რჩევაო. სწორედ ამიტომ ამერიკის ადმინისტრაცია მხარს არ უჭერს ომის დაწყების მიზეზების გამოძიებას და აქტიურად საუბრობს ექვსპუნქტიანი შეთანხმების შესრულებაზე და რუსეთის ჯარების ომამდელ პოზიციებზე აუცილებელ დაბრუნებაზე.

ეჭვი იმაში კი არ შემპარვია, რომ რუსეთი დიდ ფულს ხარჯავს თავის ტყუილების პროპაგანდასა და საინფორმაციო ომში, არამედ — ამ საქმეს რომ მიაბა თავის უდანაშაულობა და თავი რუსული პროპაგანდის მსხვერპლად წარმოაჩინა და საკუთარი უგუნური გადაწყვეტილება მიაფუჩეჩა, ვითომ არც არაფერი ჩაუდენია.

მსჯელობისას გაჩენილი პაუზით ვისარგებლე და ჩავერიე, მგონი ცოტა თავხედურად და დავსვი ერთი საჩოთირო შეკითხვა:

— ბატონო პრეზიდენტო, ახლახან თქვენს გამოსვლაში ბრძანეთ, რომ დასავლეთი ისეთივე გულგრილი აღმოჩნდა აგვისტოს ომის დროს საქართველოს ბედთან დაკავშირებით, როგორც პირველი დამოუკიდებლობისას. ხომ არ გეჩვენებათ, რომ სწორად ვერ შეაფასეთ ვითარება და ცეცხლის გახსნის ბრძანება იმიტომ გაეცით, რომ დახმარების გადაჭარბებული მოლოდინი გქონდათ დასავლეთიდან და იმედი გაგიცრუვდათ?!

შეიშმუშნა პრეზიდენტი, კულტურის მინისტრიც და უხერხული პაუზის შემდეგ პრეზიდენტმა განმარტა, რომ ამერიკას არ გულისხმობდა ამ კონტექსტში და რომ იგულისხმა ევროკავშირის წევრი ქვეყნები, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც არ მალავენ რუსეთთან კეთილგანწყობილ ურთიერთობას და მზად არიან ამ ქვეყნებმა საქართველო ანაცვალონ რუსეთთან თავის დამოკიდებულებას და ეკონომიკურ ინტერესებს. ყოველთვის ასეა, მსხვილი გარიგებისას ძველი ევროპისთვის საქართველო უმნიშვნელო "ობიექტია" და იოლად შესაწირი მსხვერპლი.

ვიკითხეთ ნაბუკოს პროექტის ბედსა და აშშ-ს მომავალ სატრანზიტო გზის შესახებ, რომელიც საქართველო-აზერბაიჯანის და შუააზიის გავლით ავღანეთისკენ გაემართება და სამხედრო ტვირთები ამ მარშრუტით ივლიან მომავალში და რომ ეს იქნება პაკისტანის გზის ალტერნატივა.

ამ თემაზე ლაპარაკში ხალისით აგვყვა პრეზიდენტი და დაგვეთანხმა რომ სწორი ინფორმაცია გვაქვს და სიამოვნებით აღნიშნა, რომ თურქმენეთში სულ ახლახან ენერგომატარებლების დამატებითი, უახლესი, უდიდესი მარაგები აღმოჩნდა და რომ ამიერკავკასიის გზა – საქართველო-აზერბაიჯანი ამერიკისთვის სასიცოცხლოდ სტრატეგიულ მიმართულებად იქცა და რომ ნაბუკოს პროექტს აფინანსებენ ევროპელები და ესეც საქართველოს გავლით მოხდება.

დროდადრო პრეზიდენტი, როცა საუბარს წყვეტდა, წამიერად ჩაფიქრებული და შეშფოთებული ამოილაპარაკებდა ხოლმე: რას იტყვით, ჩვენ ახალი იდეოლოგია გვჭირდება, ახალი მიმართულებები, იქნებ რამე თქვათ, მოიფიქროთ, რა იდეოლოგია ავირჩიოთ. ჰო, იდეოლოგია, ეს არის უპირველესი საფიქრალი, იდეოლოგია, ახალი და მნიშვნელოვანი. იდეოლოგია...

მივხვდი, რომ სააკაშვილი ამ უმძიმესი სიტუაციიდან გამოსავალს ეძებდა და საამისოდ სჭირდებოდა მომხიბლავი იდეოლოგია, არსებულ ვითარებას რომ განმუხტავდა და ყურადღებას გადაიტანდა სხვა საკითხზე, მაგრამ რადგანაც ჩვენს გონებაში მსგავსი ფიქრი არც გაჭაჭანებულა, ვერაფერი ვურჩიეთ, თუმცა აშკარა იყო, რომ ახალ იდეოლოგიას კი არა, ახალ სატყუარას ეძებდა დროის გასაწელად, ყურადღების სხვა საკითხზე გადასატანად, მარტივად რომ ვთქვათ, აგვისტოს მოვლენების გადაფარვას ცდილობდა.

ვამჩნევდი, რარიგ ხშირად ახსენებდა პრეზიდენტი რუსეთის ეკონომიკის სავალალო მდგომარეობას, რომ ჩრდილოეთის ნავთსადენის მაგისტრალის მშენებლობასაც ვერ ახერხებს და ფერხდება ბალტიის ზღვისქვეშა სამუშაოები დაფინანსების არარსებობის გამო. ამ თემას მიაბა რუსეთის დემოგრაფიული პრობლემები, მუსულმანური ნაწილის ზრდისა და ეთნიკური რუსების კატასტროფული შემცირება, ლოთობის პრობლემა, რომელიც ამოუძირკვავია მათთვის, და ამას მოჰყვა ჩრდილოეთ კავკასიის საკითხი, უმთავრესი რომ გამოდგა ჩვენს საუბარში. სააკაშვილმა მოდიფიცირებულად გაიმეორა კავკასიის ერთიანობის ზვიად გამსახურდიასეული ვერსია და თქვა, რომ კავკასიის ქართულ ინსტიტუტში შეიქმნება მძლავრი საგანმანათლებლო ბაზა გია ნოდიას ხელმძღვანელობით, სადაც ჩამოვლენ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებიდან ახალგაზრდები, ასე 150-200 ადამიანი, და მათ მისცემენ სათანადო განათლებას, დაუნიშნავენ სტიპენდიას, გამოუყოფენ საცხოვრებელ ფართს სწავლის პერიოდში და ასე "მოამარაგებენ" ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებს ნასწავლი პიროვნებებით, რომლებიც შეძლებენ ადგილზე შექმნან მძლავრი ოპოზიცია, რუსეთს რომ პრობლემებს გაუჩენს. მოკლედ, დემოკრატიის შეტანაზეა საუბარი ჩრდილოეთ კავკასიაში. არც დაუმალავთ, თქვეს რომ ამ პროექტს აშშ აფინანსებს.

როგორც გავიგე, ჩვენი ქვეყანა უნდა გახდეს რუსეთის რღვევის დამაჩქარებელი დეტონატორი, რაც უდიდეს რისკთან არის დაკავშირებული. მაგრამ ამ დროს პრეზიდენტმა გვითხრა, რომ საქართველო სრულიად დაუცველია და რომ უკვე გადაწყვეტილია და საქართველო დღედღეზე მოაწერს ხელს ხელშეკრულებას, რომლითაც აშშ-ს მეკავშირეები ვხდებით სამხედრო და ეკონომიკურ სფეროში, და რომ ამის შემდეგ, ცხადია, რუსეთი ვერაფერს დაგვაკლებს.

ისევ მე აღვნიშნე: ამ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ რუსები აღარც შეასრულებენ ექვსპუნქტიან შეთანხმებას.

მიპასუხეს: ახლა რა, ასრულებენ? არც ასრულებენ და მთელი ქვეყნის ანექსიას აპირებენ.

ერთი დასკვნა გამოვიტანე: ჩვენ ვთმობთ ყველა დაკარგულ ტერიტორიას მანამდე, სანამ რუსეთი დაიშლებოდეს და რომ დაშლაში აქტიური მონაწილეობა უნდა მივიღოთ — ჩრდილოკავკასიაზე ჩვენი გავლენებით — და დაველოდოთ რუსეთი როდის დაიშლება, რათა შემდეგ დაკარგული ტერიტორიები დავიბრუნოთ. რამდენად პრაგმატულია ეს გზა, თვითონ განსაჯეთ. ასეთ გამოუვალ ვითარებაში ჩაგვაყენა რუსეთმა, რომელიც თავიდანვე გვთავაზობდა ისეთივე სტატუსს, როგორც საბჭოეთში გვქონდა, ოღონდ უნდა დავბრუნებულიყავით მის მეკავშირედ და სამხედრო პარტნიორად.

როგორც ვატყობ, სახიფათო თამაშები იწყება საქართველოში, ისევ ნავთითა და გაზით მდიდარ შუაზიურ რეგიონებს რომ უკავშირდება, და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ქართული სახელმწიფო მხოლოდ ჩვენ გვაინტერესებს და მეტს არავის.

ისეთ ბანალურ თემებზე გვიწევდა საუბარი, რომ თავი მატარებელში მეგონა, სადაც დროის გასაყვანად ლაპარაკობენ და ყველა ცდილობს თავის არგუმენტი მოიტანოს ან გამოიგონოს, თუნდაც დროებითი ეფექტის მოსახდენად.

მომეჩვენა, რომ პრეზიდენტი ახალ გზებს ეძებდა ქვეყნის კი არა, არამედ თავის გადასარჩენად, მაგრამ სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულება აშშ-თან სრულებითაც არ არის სააკაშვილისთვის პრეზიდენტობის შენარჩუნების რაიმენაირი გარანტია, პირიქით, შესაძლოა დემოკრატიზაციის პროცესმა, რასაც აშშ თხოულობს, აუცილებლად დაიწუნოს სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმი და პრეზიდენტობაზე

ხელიც კი ააღებინოს. ჩრდილო-კავკასიელების თბილისში განსწავლა არ მიჯდება ჭკუაში და ძალიან მაეჭვებს, რადგან რუსეთი უყურადღებოდ არ დატოვებს ყოველივე ამას და შესაძლოა მაშტაბურ პროვოკაციებში ამოვყოთ თავი. საუბარი იყო განათლების რეფორმისას დაშვებულ შეცდომებზე, პრეზიდენტმა ლომაიას გადააბრალა სამი უმაღლესი სასწავლებლის გამთლიანება, რაც სრულიად გაუმართლებელად მიიჩნია, და ჩამოთვალა სულხან-საბას სახელობის უნივერსიტეტი, უცხო ენები და ფიზკულტურის ინსტიტუტი. გამიკვირდა, როცა ამას ამბობდა პრეზიდენტი და აღმოსავლეთმცოდნეობის უნიკალური სკოლის აღდგენაზეც ლაპარაკობდა. ფიზიკა-მათემატიკის სკოლის ნგრევაც შევახსენეთ, მაგრამ ამ საკითხს მისი ინტერესი არ გამოუწვევია და უყურადღებოდ ჩაიფარცხა. როგორც ჩანს, განათლების რეფორმაში დაშვებული შეცდომები მხოლოდ მინისტრის ბრალი იყო და პრეზიდენტმა მხოლოდ აცალა ბოლომდე დაენგრია უმაღლესი განათლების სისტემა და მერე დაშვებულის გამო დასაჯა გაეროში ელჩობით.

ვერ მივხვდი ასეთი გახსნილი საუბარი რატომ დასჭირდა ჩვენთან პრეზიდენტ სააკაშვილს, ან საიდუმლო გადაწყვეტილებებს რატომ გვაცნობდა, ნუთუ იმიტომ, რომ ამ თემაზე გველაპარაკა ხმამაღლა და ჩვენი გარემოცვა დაგვერწმუნებინა პრეზიდენტის სიწრფელეში თუ სხვა მიზეზეც იყო, რასაც მე ვერ ვხვდებოდი. როგორც ნიკა რურუამ თქვა, ამერიკასთან საქართველოს ჩარჩო-ხელშეკრულების შესახებ ბოცოს/ნუგზარ წიკლაურს/ საგაზეთო ინტერვიუში წამოცდენია, მაგრამ პრეზიდენტმა გაიღიმა — ეგ არაფერიო.

ასე რომ, როგორც მივხვდი, ამ საიდუმლოს გაქვეყნება და რუსის ყურამდე მიტანა თვითონ პრეზიდენტს სურდა, ალბათ იმიტომ, რომ "შემკრთალი" რუსი წამოვიდეს ჩვენთან მოლაპარაკებაზე, რამაც შესაძლოა /პრეზიდენტის გაუმხელელი აზრით/ რაღაც შედეგი მაინც გამოიღოს.

მერე გადავედით მწერლობის პრობლემებზე. პრეზიდენტი ყველაფერს დაგვპირდა:

ლიტფონდის ფინანსურ გაძლიერებას,

ლიტერატურული გაზეთის აღდგენას/ჰონორარით/,

საზოგადოებრივ არხზე ლიტერატურული გადაცემის აღდგენას,

იმავე არხზე წიგნის უფასო რეკლამას,

მთარგმნელობითი კოლეგიის აღდგენას და მთარგმნელების მოწვევას უცხოეთიდან.

იყო ლაპარაკი სუბსიდიებზე, სტიპენდიებზე, მაგრამ ეს საკითხი მგონი ჩაიფარცხა, რადგან სააკაშვილს სახეზე ეწერა ამ თემით დაუინტერესებლობა, უფრო სწორად, სრული გულგრილობა.

მივხვდი, რომ ძალიან მოვაბეზრეთ თავი პრეზიდენტს ჩვენი თამამი და ხშირი ჩართვებით, რადგან თვითონ შეჩვეულია მონოლოგის რეჟიმს და არც რჩევებს უგდებს ყურს, როგორც მისი საქმიანობიდან ჩანს.

ამ საუბარში აქტიურად მონაწილეობდნენ როსტომ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, ანა კორძაია-სამადაშვილი და ყველა ჩვენთაგანი შეძლებისდაგვარად, მაგრამ ყველაზე უფრო მე მოვაბეზრე თავი გადაჭარბებული სითამამით და უხერხული კითხვებით. ბოლოს პრეზიდენტი დაიღალა ჩვენთან საუბრით, ასე რომ ფიქრობდა, სახეზე ეწერა. პრემიერი მელოდებაო, მოგვიბოდიშა, წამოვიშალეთ და კარისკენ დავიძარით. ყველაფერსს აიტანდა კაცი, რომ არა მთავარი მიზეზთა-მიზეზი, რის გამოც თვითონ უნდა მიეღო გადაწყვეტილება აგვისტოს მოვლენების შემდეგ, მაგრამ ბუნებით ავანტიურისტი და მატყუარა, ასეთ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს და შეეცდება ათასი ხრიკი მოიგონოს სავარძლის შესანარჩუნებლად.

2008 წლის დეკემბერი

პ.ს. ფრაგმენტი პრეზიდენტის საუბრიდან /2008 წლის დეკემბერში მწერლებთან შეხვედრისას/:

ძალიან დიდი შეცდომები დავუშვით განათლების რეფორმირებისას, ძალიან დიდი. როგორ შეიძლებოდა უმაღლესი სასწავლებლების გაერთიანება. ყოფილიყო ცალკ-ცალკე. ან ეს აღმოსავლეთმცოდნეობის და ბიზანტინიზმის სკოლების უყურადღებოდ დატოვება, ასევე ფიზიკა-მათემატიკური სწავლების ტრადიციების მოშლა... სკოლის პროგრამები რას გავს? არა, ასე არ შეიძლება. ახლა ჩვენი ორკესტრები ავიღოთ... მუსიკალური სწავლება ჩვენში უმაღლეს დონეზეა, მაგრამ რად გვინდა კონსერვატორია, თუ მუსიკალური სკოლებიდან არ დაიწყეს სწავლა ინსტრუმენტალისტებმა. ორკესტრები სანთლით ეძებენ ჩასაბერ და სიმებიან ინსტრუმენტებზე შემსრულებლებს. საზღვარგარეთიდან ჩამოჰყავთ და დიდ გასამრჯელოსაც უხდიან, და ეს იმიტომ, რომ მუსიკალური სკოლები გავაუქმეთ. მართლაც სავალალო შეცდომები დავუშვით. ლომაია ჩემი თანამებრძოლია, მაგრამ ზედმეტი მოუვიდა, შეიძლება გამოუცდელობით. ჩვენ გამოვასწორებთ.

აბა, შეიძლებოდა იმ საცხოვრებელი სახლის დანგრევა თაბუკაშვილზე? ან ის რას ჰგავდა, ხალხს რომ ერეკებოდნენ საკუთარი გარემონტებული ბინებიდან იმავე ქუჩაზე.

ყველაფერს გამოვასწორებთ, თავიდან დავიწყებთ და გამოვასწორებთ.

ვიჯექი, ვუსმენდი და ვფიქრობდი, რომ რის გამოსწორებასაც ეს კარგი ადამიანი აპირებდა, მისივე დავალებით მისმა თანამებრძოლებმა ისე აქციეს ნაცარტუტად, რომ თვითონ თითქოსდა ვერაფერი გაიგო დღემდე ან სულაც ჩვენი ჩადენილი იყო ის, რასაც გვიამბობდა აგრერიგად აღშფოთებული და პასუხს გვთხოვდა, გვტუქსავდა მომხდარის გამო.

რა ჰქვია ამ ყოველივეს, ასეთ საქციელს?

არანაირი დასკვნა არ მიტრიალებს თავში, გარდა ერთისა, ასე ურცხვად ავაზაკები ან გარყვნილი ბავშვები იქცევიან, რომლებიც გამუდმებით სჩადიან დანაშაულს და ასევე გამუდმებით პატიებას ითხოვენ.

01.02. 2009

ქეიფი „წისქვილში“ ანუ პრეზიდენტის მესიჯების პრეზენტაცია

დამირეკეს და შემატყობინეს რომ 15 იანვარს, საღამოს შვიდ საათზე პრეზიდენტი მეპატიჟება რესტორან წისქვილში. ცოტა არ იყოს გამიკვირდა და კვლავ გამიჩნდა შეკითხვა: წავიდე თუ არა? 2007 წლის შვიდი ნოემბრის შემდეგ, განსაკუთრებით კი შარშანდელი აგვისტოს მოვლენების გამო მძაფრად ნეგატიური თვალსაზრისი ჩამომიყალიბდა საქართველოს პრეზიდენტზე და ამიტომაც ვთვლიდი, რომ არ უნდა მიმეღო მისი მოპატიჟება და არც უნდა წავსულიყავი ვახშმზე. ასევე ვფიქრობდი 2008 წლის დეკემბრის შეხვედრაზეც, მაგრამ მაშინ მწერალთა სახლის იდეის განხორციელების ხათრით უკან დავიხიე და წავედი მასთან – სხვა მწერლებთან ერთად. ახლა კი არავითარი აზრი არ ჰქონდა რესტორანში პრეზიდენტთან ერთად პურისჭამას, გარდა უაღრესად მაცდუნებელი მოლოდინისა, რასაც მწერლური ცნობისმოყვარეობა ჰქვია, მეტადრე მაშინ, როცა არაფორმალურ ვითარებაში შევძლებდი დავკვირვებოდი, განმეჭვრიტა და გამეაზრებინა, რაც უშუალო გარემოში მოხდებოდა, ითქმებოდა პირდაპირ თუ მინიშნებით და ა. შ.

ასე რომ, დღის ბოლოს, დათქმულ დრომდე საათნახევრით ადრე გადავწყვიტე წავიდოდი რესტორანში და ამ აზრსაც შევეგუე თანდათან. წინა დღეს ზალიკო სამადაშვილმა კიდევ ერთხელ დამირეკა და მთხოვა, აუცილებლად მივსულიყავი.

მივედი. შესვლამდე ზერელედ გამჩხრიკეს, მერე გვარი მკითხეს, ეს უკვე ქვემოთ, კიბის ბოლოში, შენობასთან, სიაში მოიძიეს ჩემი გვარ-სახელი და შემიშვეს. მე და როსტომ ჩხეიძე აღმოვჩნდით ნაადრევად მისული სტუმრები, მერე გურამ ოდიშარია და ტარიელ ჭანტურიაც შემოგვემატნენ და გაიბა საუბარი. თანდათან მოდიოდნენ სტუმრები, არა უბრალოდ ცნობადი სახეები, როგორც ტელევიზიით უყვართ თქმა, არამედ ძალიან ცნობილი ადამიანები. მსახიობები, მხატვრები, მუსიკოსები, მომღერლები, თეატრალები, მწერლები, ბალეტის ვარსკვლავი – ნინო ანანიაშვილი, დავაკონკრეტებ, რადგან იგი ერთადერთი იყო ამ სამყაროდან. დანარჩენი დარგების წარმომადგენლების ჩამოთვლა შორს წამიყვანს და შემდეგ თუ გამახსენდა, ჩამოვთვლი კიდეც, მაგრამ არ შეიძლება ვინმე არ გამომრჩეს და ამიტომაც თავს შევიკავებ სიის შედგენისაგან. ერთადერთი გიგა ლორთქიფანიძის იქ ყოფნამ გამაკვირვა, თვითონაც გაოცებული ამბობდა, ვერ წარმოვიდგენდი ამასთან /პრეზიდენტს გულისხმობდა/ თუ მომიწევდა წავახშმებაო.

პრეზიდენტმა დაიგვიანა თითქმის ერთი საათით და, ვიდრე სუფრასთან მიგვიწვევდნენ, მოგვეცა საშუალება გავსაუბრებოდით ან სულაც გაგვეცნო ერთმანეთი, აღმოჩნდა, რომ ზოგიერთებს არც კი ვიცნობდით, ან სხვები არ გვიცნობდნენ. აშკარად ჩანდა, რომ ასეთ ელიტარულ წრეში ყოფნით არ ვიყავით განებივრებული მე და როსტომი, არც გურამ ოდიშარია, ხოლო ტარიელ ჭანტურია, გურამ დოჩანაშვილი და ბესიკ ხარანაული უფრო გაშინაურებულები ჩანდნენ. ნიკა რურუა, კულტურის მინისტრი, მოგვესალმა, მოგვიკითხა და გვთხოვა, როგორც კომისიის /მწერალთა სახლის კომისია/ წევრებს დროზე გადაგვეწყვიტა ლიტერატურული გაზეთის ბედი, რომლის დაარსება უკვე შეთანხმებული იყო სააკაშვილთან. ვკითხე რურუას, რას აპირებდნენ მწერალთა სახლის დაფუძნებასა და იმ დაპირებებზე, რაზეც საუბარი გვქონდა მასთან და ქვეყნის პირველ პირთან?! ეს მომავალში გავაკეთოთ, ახლა კი გაზეთის დაარსება დავაჩქაროთ, ეს არის პირველი რიგის საქმეო.

მივხვდი, რომ მწერალთა სახლის დაარსების საკითხი გადაიდო მანამ, პოლიტიკური ვითარება არ გაირკვევა ქვეყანაში. ეშინიათ, მწერალთა კავშირის ასკაციან მიტინგსაც კი ერიდებიან, ეს ნიშნავს, რომ დამატებითი პრობლემების შექმნა არ უნდათ.

წარმოიდგინეთ, როგორი დამფრთხალები უნდა იყვნენ, ასკაციანი ჩოჩქოლიც რომ აკრთობთ?!

საერთოდაც მგონია, რომ ეს საქმე მოუგვარებელი დარჩება და ტყუილად დავშვრით. გუნება წამიხდა და მივხვდი, აქამდე გამართული შეხვედრები უბრალო ფაფხური რომ იყო და სხვა არაფერი. ახლა კი ირკვევა რომ მწერალთა სახლის ჩამოყალიბების მოგვარება სამომავლოდ გადაიდო. სამ დროში ყველაზე ბუნდოვანი მომავალია და ბუნდოვანებაში გადადებული საქმე მაეჭვებს, მითუმეტეს თუ დღესვე შეიძლებოდა ამის წამოწყება. მე ვერ ვიმკითხავებ, როდის დადგება ამ ხელისუფლებისთვის ხელსაყრელი დრო, როდის ამოიწურება პოლიტიკური პრობლემები ამათთვის?! არსებობს უმოკლესი პასუხი. ეს არასოდეს მოხდება. ამათი პრობლემები ახლა იწყება, თან ფართო ფრონტით, და დასასრულისკენ მიდის.

მოვიდა პრეზიდენტი და მიესალმა ყველას, ვინც ახლოს აღმოჩნდა და ვისაც მიწვდა, ხელიც ჩამოართვა.

სუფრა უცნაური სიტყვით, სტერეოტიპული ქათინაურით დაიწყო პრეზიდენტმა, რომელიც ცოტა არ იყოს პრიმიტიულად ჟღერდა. თქვა: ვინმეს თუ უნდა საქართველო მართლა გაანადგუროს, ახლა, ამ შენობას, სადაც ქართველი ხალხის უნიჭიერესი ნაწილია შეკრებილი, ბომბი უნდა დაარტყასო. შექებაც არის და შექებაც, არც ქათინაურად ვარგა, მაგრამ ჩავთვალოთ, რომ პრეზიდენტი შეეცადა გულწრფელად მოფერებოდა იქ მყოფთ. უცხოდ და უხერხულად ვგრძნობდი თავს, რადგან არასოდეს ვყოფილვარ განებივრებული ასეთი შეხვედრებით და უფრო გარიყულ ცხოვრებას ვიყავი შეჩვეული. ესეც არ იყოს, დისიდენტური ცნობიერება ჯერ კიდევ თავისას აკეთებდა და ჩემთვის იმდენად უჩვეულო იყო სამთავრობო ჯამაათის თავშეყრაზე ყოფნა, რომ დროდადრო სინდისის ქენჯნას ვგრძნობდი. საკუთარ საქციელსა თუ ფიქრზე დაკვირვებამ თანდათან გადამასხვაფერა, მაგრამ ბოლომდე ჯერ ვერ გარდამსახა.

სეფე-სიტყვა პრეზიდენტმა თქვა, მოგახსენეთ კიდეც ის "მშვენიერი ქათინაური", რაც მას აზრად მოუვიდა, და მყისვე შეახსენეს ანალოგიური ნახევარხუმრობა კარლო კალაძისა, როცა ცნობილი ადამიანები, ერთ ავტობუსში თავმოყრილნი სადღაც მიემართებოდნენ და ვიღაცას უკითხავს: რა მოხდებოდა თუ ავტობუსი ხრამში გადაიჩეხაო? კარლოს არ შეყოვნებულა, ისე წაუღადავია: ხრამში თუ გადავიჩეხეთ მაშინ "ხრამ ისკუსტვა" გამოვაო.

პრეზიდენტმა დანიშნა თამადად გიორგი უშიკიშვილი, ახალგაზრდა კაცი, მშვენიერი მომღერალი, რაც მოგვიანებით კიდევ ერთხელ დაამტკიცა, როცა „ურმული" შეგვისრულა უბრწყინვალესად. სადღეგრძელოებს შორის პრეზიდენტი რატომღაც გვიკითხავდა მესიჯებს, რა მისწერა პარლამენტის თავმჯდომარეს, იმან რა უპასუხა, ან როგორ დაავალა ვანო მერაბიშვილს /ხუმრობით/ რომელიღაც დარბაზის შტურმით აღება. ყველაფერი ეს კეთდებოდა ხუმრობის, მახვილსიტყვაობის დემონსტრირებისთვის, რაც არ გამოსდიოდა სააკაშვილს და ზრდილობის გამო იღიმებოდნენ შაყირის დიდოსტატები. მესიჯების შინაარს თუ გავიაზრებთ, სახელმწიფობანას თამაში ძალიან მოსწონთ ამ ბიჭებს და არსად წასვლასაც არ აპირებენ.

ყველაზე მეტად დამამახსოვრდა ერთი მესიჯის შინაარსი, პრეზიდენტმა რომ გაიხსენა სადღეგრძელოებს შორის და რასაც სიცილი უნდა მოჰყოლოდა.

მიშამ თქვა, რომ ქვეყანას ჯარზე მეტად ესაჭიროება კულტურა, რომ ეს არის ერთ-ერთი მთავარი სავიზიტო ბარათი საქართველოსთვის, რომ ქართული კულტურა გამორჩეულია და ბევრი დიდი ქვეყანაც კი ვერ დაიკვეხნის ჩვენისთანა დონის კულტურით. სრულიად გულწრფელად საუბრობდა, მერე კი უცებ ინტონაცია შეიცვალა და თხრობა დამცინავი, არასერიოზული ტონალობით განაგრძო: ნიკა რურუას მივწერე მესიჯი, ხელში ტელეფონი შეატრიალა, მოძებნა დამახსოვრებული ტექსტი და წაგვიკითხა: ნიკა, მთავარია კულტურა, აბა შენ იცი, როგორ გაართმევ ამ საქმეს თავს. კულტურა დაიცავს ჩვენს ქვეყანას და ა.შ. ცხადია, არ დავიჩემებ, რომ ეს სიტყვები ზუსტი ციტატია, მაგრამ ვადასტურებ, რომ შინაარსობრივად ზუსტად გამოხატავს იმას, რასაც პრეზიდენტი საუბრობდა.

— იცით, ამის საპასუხოდ ნიკა რურუამ რა მომწერა? — მიშამ ისევ ტელეფონი შეათამაშა, მოძებნა შენახული მესიჯი და წაიკითხა, — ყველაფერს შევასრულებ ბატონო პრეზიდენტო! თუ სამშობლოს გაუჭირდა, შევეცდები ოპერისა და ბალეტის თეატრის კორდებალეტიდან შევარჩიო ოციოდე ნამდვილი მამაკაცი, ათიოდეს შევკრებ ზალიკოს ბიჭებიდან... და მიშამ აღარ გააგრძელა ჩამოთვლა, რასაც რურუას წერდა, კიდევ ვის სად აარჩევდა, მეცნიერებათა აკადემიაში რამდენს, მხატვრებში და მსახიობებში რამდენს და ა. შ.

ამ ხუმრობის ფსიქოანალიზი იოლი შესასრულებელია და რეალობასაც ეგრეევე აღმოვაჩენთ, თუ ამავე დროს წარმოვიდგენთ მისი ნაამბობის შემდეგ ძალად გაღიმებულ ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს და მეცო-სოპრანოს ტონალობაში გაჟღერებულ მიშას ამოკისკისება-ამოყმუილება-ამოკივლებას თუ ყურს ვათხოვებთ. აშკარა ეიჯიზმი ჭირს,

აბა, როგორ ბედავს ასე აბუჩად აიგდოს ხანდაზმული შემოქმედები?! ნამდვილად რომ ჩასარეცხებთან გაავლო პარალელი და ყმუილ-სიცილი განაგრძო.

მორიგი განცხადება, რაც აგრეთვე დაუფარავი სიამაყით გაგვაცნო მიშამ, შინაარსობრივად ასე უნდა გაგვეგო, რომ რომელიღაც სოციოლოგიურმა ჯგუფმა გამოიკვლია ადამიანთა გარკვეული კონტიგენტი და გაირკვა რომ ქართველ ხალხს არ უნდა არავითარი არჩევნები, რაიმე ნეგატიური რყევები, და არაფერი არ უნდა სიმშვიდის გარდა. გაოცებული ვარ, თქვა პრეზიდენტმა, აგვისტოს ომის მერეც კი ხალხი რა ბრძნულად არის განწყობილიო. გამიკვირდა იმიტომ, რომ მართლა ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, რაც შარშან მოხდა, და ხალხს მართლაც აქვს საფუძველი უკმაყოფილო იყოს, მაგრამ ეს ასე არ არის.

დღესაც, მეორე დღეს, როცა ამ სიტყვებს ვიხსენებ, ჩემთვის ვფიქრობ, ნუთუ მართლა სჯერა მიშას თუ თავს იჯერებს ან ჩვენ გვაჯერებს, რომ რომელიღაც შინაური სოციოლოგიური ჯგუფის გამოკვლევების შედეგები ამდენად დამამშვიდებელია?! ასეთი სასურველი შედეგების მიღება სოციოლოგებს გაუჭირდებათ მაშინაც კი, მხოლოდ საპარლამენტო უმრავლესობა რომ გამოკითხონ. არ ვიცი, რისთვის, ვისთვის სჭირდება ამდენი ფიქცია?! იქნებ არის შინაგანი სურვილი ამ ტყუილის დაჯერებისა, რომელიც შემდეგ იქცევა მის არგუმენტად და ეჭვსაც არ შეიტანს მისივე გამონაგონის სიყალბეში.

დასკვნებს არ გავაკეთებ, თვითონ განსაჯეთ დანარჩენი.

აბა, ზალიკოს ბიჭებიო, გაიგონა როსტომმა და იძახა და იძახა, ზალიკოს ბიჭებო, ზალიკოს ბიჭებოო! აქვე განვმარტავ, რას ნიშნავს თუ ვის დაარქვა პრეზიდენტმა და რურუამ ზალიკოს ბიჭები. მწერალთა სახლის დასაფუძნებლად შეიქმნა სამეურვეო საბჭო, რომელშიც შედიოდნენ მწერლები: ტარიელ ჭანტურია, გივი შაჰნაზარი, ვახტანგ ჯავახაძე, რეზო ჭეიშვილი, ბესიკ ხარანაული, როსტომ ჩხეიძე, ლაშა იმედაშვილი, გურამ ოდიშარია, ლია სტურუა და მე. თუ ვინმე გამომრჩა, ბოდიშს ვიხდი გულმავიწყობისთვის. ყოველი შეკრების წინ ზალიკო სამადაშვილი გვიკავშირდებოდა ტელეფონით და გვაფრთხილებდა — როდის, რომელ საათზე და სად უნდა შევხვედროდით სასაუბროდ. წევრთა ვინაობა და რაოდენობაც ხშირად იცვლებოდა. ჩვენი შეხვედრები თანდათან გაღრმავდა, ერთ მშვენიერ დღეს პრეზიდენტმაც მიგვიწვია თავის რეზიდენციაში, ნაახალწლევს კი რესტორანშიც მოგვიხმო. ასე რომ, ზალიკოს ბიჭები შეგვარქვეს ზემოთ ჩამოთვლილ მწერლებს და ამ თემაზე წაიღადავა რურუამ და შემდგომ პრეზიდენტმა. იქნებ მე ვაჭარბებ, მაგრამ არ მიყვარს ასეთი ღლიცინი და ფამილარული დამოკიდებულებები, რაც არღვევს დისტანციას და მათთან ჩვენი სიახლოვის ილუზიას ქმნის.

როსტომიც მწარედ იცინოდა, იმიტომ კი არა, ზალიკოს ბიჭები რომ დაგვარქვა რურუამ და მიშამ გაიმეორა, არამედ იმიტომ, რომ მწერალთა სახლის შექმნის იდეა სამომავლოდ გადაიდო, ხოლო ლიტერატურული გაზეთი, რომლის დაფუძნებასაც აპირებენ, მთავრობისგან დაფინანსდება და არავითარ ხეირს არ ველი ამ წამოწყებიდან. ტარიელ ჭანტურიამ და როსტომ ჩხეიძემ კატეგორიულად მომთხოვეს რომ დავთანხმებულიყავი დასაარსებელი გაზეთის რედაქტორობაზე. გამეცინა და მშვიდად ვიუარე. მე აღარსად არ ვიმუშავებ, გარდა ჩემი სახლისა. ესეც არ იყოს, ვერ ვიმუშავებ გაზეთში, რომელიც სახელმწიფოსგან დაფინანსდება. ავტორიტარულ ქვეყანაში რამდენად შესაძლებელია იარსებოს მიუკერძოებელმა ლიტერატურულმა გაზეთმა, მითუმეტეს მაშინ, თუ იგი ხელისუფლებისგან ფინანსდება?! ბოლოს შევთანხმდით და გავიზიარეთ როსტომის იდეა, მოვქცეულიყავით ისე, როგორც ოციან წლებში იქცეოდნენ ჩვენი ლიტერატურული წინამორბედები ანუ დავაარსოთ კოლეგია და კოლეგია იქნება პასუხისმგებელი გაზეთზე. არ ვიცი, რამდენად განხორციელდება ეს იდეა და თუ დაგვიჭერს მხარს დამფინანსებელი სახელმწიფო. მე უკვე აღარ მხიბლავს ეს იდეა იმდენად, რამდენადაც მწერალთა სახლის დაფუძნების იდეა, ანუ უმთავრესი რამ, მიჩუმათდა და გადაიდო გაურკვეველ მომავალში.

„არილი“ განახლდა!

მწერალთა სახლში გაიმართა საზოგადოებრივ-ლიტერატურული **„არილის“** სამი ნომრის პრეზენტაცია. 8-წლიანი პაუზის შემდეგ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით კვლავ განახლდა ამ ჟურნალის გამოცემა.

შეგახსენებთ, რომ ჟურნალი გასული საუკუნის 90-იან წლებში დაარსდა მწერალ **თეიმურაზ მაღლაფერიძის** ინიციატივით. რამდენიმე წელიწადს გაზეთის სახით გამოდიოდა, 2000 წლიდან კი გადაიქცა ჟურნალად, რომლის გამოცემაც 2005 წლის ბოლოს შეწყდა.

ქვეყნისა და ლიტერატურისთვისაც გაუსაძლის ნაცრისფერ 90-იანებში, „არილი“ სხვა რამდენიმე ლიტერატურულ გამოცემასთან ერთად იყო ის ნათელი წერტილი, რომელიც განსხვავებული, ახლებური ხედვით გამოირჩეოდა და გემოვნებიანი ნაწარმოებებითა და პუბლიკაციებით ანებივრებდა მკითხველს. არაერთი ქართველი და უცხოელი მწერლისადმი მიძღვნილი პერსონალური თუ თემატური ნომრის გამოცემით ჟურნალმა ლიტერატურულ პერიოდიკაში დაამკვიდრა საკუთარი სტილი, ხელწერა და გამოზარდა ლიტერატურული თაობაც კი, რომელსაც დღეს „არილელებად” მოიხსენიებენ.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ ძველი და ახალი თაობის არილელები, ასევე ჟურნალის მკითხველები და ლიტერატურის მოყვარული უამრავი ადამიანი. „არილის” განვლილი გზა, მისი ისტორია და წარსული ერთად გაიხსენეს ჟურნალის უცვლელმა რედაქტორებმა **მალხაზ ხარბედიამ** და **შადიმან შამანაძემ**; მოიგონეს გარდაცვლილი მწერლები და ლიტერატორები — **თეიმურაზ მაღლაფერიძე, ზაზა თვარაძე, ვახტანგ როდონაია, რევაზ სირაძე, ალექსანდრე გვახარია** და ბევრი სხვა ადამიანი, რომელთაც ჟურნალის დაარსებასა და გამოცემაში დიდი წვლილი მიუძღვით; ასევე ისაუბრეს „არილის“ სამომავლო გეგმებზეც.

ჟურნალს განახლება მიულოცეს და წარმატებები უსურვეს ჟურნალ „ახალი საუნჯის“ რედაქტორმა **შოთა იათაშვილმა**, კრიტიკოსმა **ლევან ბრეგაძემ**, პოეტმა და მთარგმნელმა **გიორგი ლობჟანიძემ**, ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა პოეტმა **გიორგი კეკელიძემ**, მწერალმა **ჯაბა ზარქუამ**, პოეტებმა — **ირაკლი კაკაბაძემ, ლია ლიქოკელმა** და სხვებმა. „არილზე“ თბილად და მადლიერებით ისაუბრა საღამოს საპატიო სტუმარმა, ბატონმა **რეზო ჭეიშვილმაც**, რომლის დაბადებიდან 80 წლისთავსაც მიეძღვნა განახლებული ჟურნალის მესამე ნომერი. შეხვედრას ესწრებოდნენ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები — მინისტრის მრჩეველი **თეონა დოლენჯაშვილი** და ქართული წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამის ხელმძღვანელი **დეა მეტრეველი**.

პრეზენტაციის დასასრულ **მალხაზ ხარბედიამ** დააანონსა ჟურნალის მომდევნო, ნომერიც, რომელიც ალბერ კამიუს დაბადებიდან 100 წლისთავს მიეძღვნებოდა. პრეზენტაციაზე მისულ სტუმრებს რედაქტორმა სიხარულით ამცნო იმის შესახებაც, რომ „არილს“ უკვე აქვს ელექტრონული ვერსიაც და მისი შეძენა შესაძლებელია არა მხოლოდ დედაქალაქში, არამედ რეგიონებსა და უცხოეთშიც.

პოეტური თანავარსკვლავედი

სენ-ჟონ პერსი

ანდრე ბრეტონი

ანრი მიშო

ლეოპოლდ სანგჰორი

ალფრედ დე ვინი

სენ-ჟონ პერსი *(1887-1975)*

ქრონიკები
(ფრაგმენტი)

...სიბერის ჟამო, ჩვენ მოგეახლეთ — უკვე გზის ბოლოს უახლოვდება ჩვენი ნაბიჯები კაცებრივი. საკმარისია, რომ ავრწყოთ და გავანიავოთ, დავაბინაოთ და პატივი მივაგოთ კალოს.

ხვალ...უძლიერეს ქარიშხალთა მძაფრი თარეში და ელვამეხი დაუცხრომელი...ციდან ეშვება

მჭკნარი ფოთლები, რათა მიწაზე აღიბეჭდონ. კავშირი მყარი!

აჰ, აღიმართოს უნდა ელიტა: დიდი ხეები ამა მიწისა, ცადატყორცნილნი, ვითარცა მოდგმა დიადთა სულთა, ვისთა რჩევასაც სასმენელნი უპყრია ჩვენნი და ჰა, სიმკაცრე მიმწუხრისა ლავანდებით გაბრწყინებულ ქვის მხურვალე გზებზე, სიტკბოებას რომ გვპირდება და ათრთოლება ყველაზე მაღალ ღეროზე ყველაზე მაღლა ამბრით მიწებებული, სპილენძისფერ ყუნწზე ნახევრად ახსნილი ფოთლისა.

და ჩვენი ქმედებები ელვათა ხეხილნარში ერთმანეთს სცილდებიან.

მაშ, სხვებმა უნდა ააშენონ ამ ლავებსა და ფიქალებს შორის, სხვებმა აღმართონ ქალაქებში მარმარილონი.

ჩვენთვის მღერის თავგადასავალი უუმაღლესი, გზა გაყვანილი ახალი ხელით და ცეცხლი მწვერვალიდან მწვერვალზე ნატარები...

და ეს არ არის ქსოვის სიმღერა, არც სიმღერები ღამისთევისა ან როგორც ხმობენ, სიმღერები უნგრელთ დედოფლის, ოჯახის ძველი რაპიერების ჟანგიან რიგზე რომ გალეწონ წითელი სიმინდი, არამედ ჰანგი ბევრად უფრო მნიშვნელოვანი, თან სხვა მახვილის, როგორც სიმღერა ღირსებისა და ჭარმაგობის, სიმღერა თავად ოსტატისა, მიმწუხრში მარტომ რომ გაიკვალოს გზა კერიისკენ.

— ო, სიამაყე სულისა სულის წინაშე და სიამაყე დიად მახვილში გაზრდილი სულისა.

ჩვენი ფიქრები ღამით დგებიან, ვით დიდ კარავში მოლაშქრენი გამთენიისას და ზეცისაკენ მიაბიჯებენ მარცხენა მხარზე გადაგდებულ უნაგირებით.

აი, ადგილნი, რომელთაც ვტოვებთ. ჩვენს კედელთა ქვეშ რჩება ამა მიწის ნაყოფი, ციურნი წყალნი წყალსატევებში და სილაში კი ზვინულები პორფირებისა.

ღამევ, სად უნდა წავიღოთ ძღვენი, ან სიმღერები სადიდებელი, ანდა იმედი? და ჩვენ ვშლით მკლავებს, სულ ბოლომდე, მთელ სიბრტყეზე ჩვენი ხელების, ვითარცა ბუდეს ახალამოწვერილი ჩვენი ფრთებისა, ვითარცა გულს წყვდიადით მოცული კაცისა, სადაც ბუდობდა გაუმაძღრობა და სიმხურვალე და...იმდენი გაუმჟღავნებელი სიყვარული.

უსმინე ღამევ, უბუნაგო, უმაღლესი სულის დიად ნაბიჯებს უდაბურ შიდაეზოებსა და ეულ თაღებქვეშ, წმინდა ნანგრევთა და ტერმიტების ძველ ბუდეებს შორის, თითქოს ბრინჯაოს ფილებს შორის დაძრწოდეს ნადირი.

სიბერევ, აი, ჩვენც მოგეახლეთ. აჰა, არწყავით გული კაცისა!

ანდრე ბრეტონი *(1896-1966)*

თავისუფალი კავშირი

ჩემს ქალს თმები აქვს შეშის ცეცხლისა
და ფიქრებიდან აელვებს ნათელს
სხეული სილის საათსა ჰგავს
სხეული ჩემი დიაცისა სხეული ვეფხვის კბილებში
მოხვედრილ წავის
ჩემი დიაცის პირი მსგავსი უუდიდესი
ვარსკვლავების თაიგულისა და კიდევ კოკარდის
კბილებში ანაბეჭდია თეთრ მიწაზე თეთრი თაგვის გარბენისა
ენა ჰგავს მინას გაპრიალებულს და სურნელებას აფრქვევს
ამბრისა
ო ენა ჩემი დიაცისა ხანჯალჩაცემული ზვარაკის ენა
ენა თოჯინისა თვალს რომ ხუჭავს და ისევ ახელს
ენა იშვიათი და საოცარი ძვირფასი ქვისა
ჩემი დიაცის წამწამები ბავშვის დახატულ ჯოხებს ჰგვანან
და წარბები კი კიდეებს მერცხლის ბუდისა
ჩემი დიაცის საფეთქლები ჰგვანან ფიქალს სათბურის სახურავისა
და მინას დაორთქლილს
ჩემი ქალის მხრებს შამპანურის ბოთლის ფორმა აქვთ
და შადრევნის ქეჩოზე მიყინული დელფინისა
მაჯები ასანთის ღერებია
და თითები კი ღერებია მოჭრილი თივის
ჩემს ქალს აქვს კვერნის იღლიები და საჭვრეტელნი
წმინდა იოანეს ღამისა
კვიდოებისა და სკალართა ბუდისა
მკლავები მსგავსი ზღვის ქაფისა და რაბის საკეტისა
და ხორბლისა და წისქვილის შენარევისა
ჩემი დიაცი თითისტარის წვივებიანი
კედლის საათის ისრების მოძრაობითა და უიმედობით
ჩემი დიაცი ანწლის ღეროს გულივით რბილი
ჩემი დიაცი ფეხებიდან იწყება
ჩემი დიაცი ასხმულაა გასაღებების და მგმანავების
რომლებიც სვამენ

ჩემი დიაცი არის ყელი ოქროს ველისა
და პაემნისა სარეცელში თავად მეხისა
ღამის უბეში
ჩემი დიაცის მკერდი მსგავსი ზღვის ბორცვებისა
ჩემი დიაცის მკერდი მსგავსი ლალით სავსე ქოთნისა
მკერდი მსგავსი დაცვარულ ვარდის
მუცელი დაკეცილი მარაოსი
მუცელი მსგავსი დევის კლანჭისა
ზურგი ჩიტისა ისარივით ცისკენ რომ მიქრის
ზურგი ცინცხალი ვერცხლისა
და ზურგი სინათლის
კეფა დახვეული ქვა და სველი ცარცი
და ძირს დავარდნილი ახალდაცლილი ჭიქა
ჩემი დიაცი გონდოლის მსგავსი ბარძაყებით
ჭაღის მკლავებითა და ისრის ფრთებით
და თეთრი ფარშავანგის ნაკრტენის ღეროთი
სასწორზე რომ არ აიწონება
ჩემი დიაცის თეძოები აზბესტისა და კერამიკისა
ჩემი დიაცის თეძოები მსგავსი გედის ზურგისა
ჩემი დიაცის თეძოები მსგავსი გაზაფხულისა
და ხმალაბალახას სქესი
ჩემი დიაცის სქესი სქესი ოქროს ქვიშრობებისა და
იხვნისკარტასი
ჩემი დიაცის სქესი სქესი წყალმცენარეთა და ძველებური
კანფეტებისა
ჩემი დიაცის სქესი სარკეა
ჩემი დიაცის ცრემლებით სავსე თვალები
ჩემი დიაცის თვალები სავანისა
ჩემი დიაცის წყლიანი თვალები პატიმარს რომ
მოუკლავს წყურვილს
ჩემი დიაცის თვალები ნაჯახის ქვეშ მომლოდინე შეშის თვალები
თვალები ყველგან წყლის ჰაერის ცეცხლის დონეზეც.

ანრი მიშო *(1899-1984)*

აისბერგები

აისბერგებო, უმოაჯირო და უგალავნო აისბერგებო, ვისაც ბებერი, ქანცგაცლილი თევზიყლაპიები და ახალდაღუპული მეზღვაურების სულები გსტუმრობენ ხოლმე ჩამოსაყრდნობად ჩრდილოეთის ცივ საღამოებში.

აისბერგებო, აისბერგებო, დედამინის ყინულოვანი არახჩინებით შემოსილებო,მარადი ზამთრის ურელიგიო კათედრალებო.

რა მაღალი და თან რა წმინდაა სიცივით შობილი თქვენი კიდეები.

აისბერგებო, აისბერგებო, ზურგნო ჩრდილოეთ ატლანტიკისა, მრავალო ბუდავ, გაყინულნო ზღვათა ზედა თვალუწვდენელთა, გარდაუვალი სიკვდილის მოკაშკაშე შუქურებო, საუკუნეთა მტკიცე სიჩუმის დაკარგულო ძახილო.

აისბერგებო, აისბერგებო, ეულნო, ვისაც არ გჭირდებათ შორეული, მიუვალი ქვეყნები, თავისუფალნო ყოველგვარი სიმდაბლისაგან. წინაპრებო კუნძულთა და წყაროებისა, რა ნათლად გხედავთ და რარიგად ხართ ახლობელნი.

ლეოპოლდ სედარ სანგჰორი *(1906-2001)*

შავო ქალო

ქალო შიშველო და კუნაპეტო,
ხარ შემოსილი შენივე ფერით, რომელიც არის თავად ცხოვრება
და შენი ფორმა თავად არის მშვენიერება!
მე ხომ შენს ჩრდილში გავიზარდე და სინაზე შენი ხელების მიხვევდა თვალებს.
და აი, ახლა ცხელი ზაფხულის შუადღის ჟამს აღმოგაჩინე
კირქვადქცეული უღელტეხილის სიმაღლიდან,
მიწავ აღთქმულო,
შენი მშვენების ელვამ დამკრა, როგორც არწივმა და
მთელი გულით ამაგიზგიზა.

ქალო შიშველო და კუნაპეტო,
მწიფე ხილი ხარ მკვრივი სხეულით და შავი ღვინით
ბინდისფერი თავდავიწყება,
ბაგე, რომელიც მგრძნობიარეს ხდის ჩემს ბაგესაც,

შენ სავანა ხარ გამჭვირვალე ჰორიზონტებით,
მარად მთრთოლვარე
აღმოსავლეთის თბილი ქარის მუდმივ ალერსში
დაფდაფის ხმა ხარ ქანდაკად ქმნილი, დაფდაფის ხმა ხარ
განფენილი და მოხმაურე
ძლევამოსილის თითების ქვეშე,
შენი კონტრალტო საყვარელ ქალის მრავლისმეტყველი
სიმღერაა სულშიჩამწვდომი.

ქალო შიშველო და კუნაპეტო,
ზეთი ხარ, რომელს ვერას აკლებს ვერც ერთი ქარი, ზეთი,
სიმშვიდედ რომ ეცხება
ათლეტის მკლავებს და მკლავებს მალის უფლისწულების.
შენ ხარ გაზელი, ზეცას რომ სწვდება, მარგალიტები
ვარსკვლავებია
ღამეზე შენი სხეულისა განფენილები
ნეტარებაა გონის თამაშის წითელი ოქროს ანარეკლები
შენს მღელვარე სხეულზე.
შენი თმის ჩრდილში, ახლო მზეებში შენი თვალების
ნათლით ივსება ჩემი სევდა და კაეშანი.

ქალო შიშველო და კუნაპეტო,
მშვენიერებას ვუმღერ შენსას, რომელიც წარვალს,
ფორმას, რომელიც
მე აღვბეჭდე მარადიულში,
მანამდე, ვიდრე მუხთალი ბედი გაქცევდეს ფერფლად
და საკვებად სიცოცხლის ფესვთა.

ალფრედ დე ვინი *(1797-1863)*

პარიზის სული

პარიზის სულო, ხარ დემონი ამ ცისქვეშეთის.
ძველო სოფისტო, გაცვეთილო, ღამე მბანგველი
შენი ღვინოა და სვამ, რათა ჩაკლა ნაღველი
და დილის სიტყვა: უარესიც და უკეთესიც.

ყველაფერს ცივად ათანაბრებ, ქილიკობ განგებ,
შენთვის ერთია დიდი კაციც და კაცისმკვლელიც,
მშვიდად უზომავ თავის ქალას და როგორც გველი
მათი გულისკენ მიაჩქარებ ვამპირის ბაგეს.

ამ ლამაზ თვეში ბრბოს სამსჯავროს ავი ხარხარით
წასაბილწავად სამჯერ სამი მიუგდე შუბლი,
ქრისტიანობის ახლა მაინც შეგეხოს ქარი.

სიავის მეფევ, დაიჩოქე, ვით წესი არი,
რათა ნათელმა თითმა ჩვენი მოწყალე უფლის
გადასარჩენად შენს ცოდვილ შუბლს დაასვას ჯვარი.

ფრანგულიდან თარგმნა
ბადრი თევზაძემ

აუგუსტო როა ბასტოსი

სადგურები

1.

მთელი დილა ვჯახირობდი, ჩემი დაკოჟრილი ფეხები როგორმე რომ ჩამედგა წაღებში. თავისუფლების იმ ჟამს ხომ ფეხშიშველა დავრბოდი მთაში, ქვებზეც, ეკალ-ბარდებშიც და არც მდინარის ფესვურებს ავუქცევდი გვერდს. მაგრამ ისევე, როგორც ყველაფერი ქვეყანაზე, ჩემი ლაღად ხეტიალის დროც იწურებოდა და არ ვიცოდი, უნდა გამხარებოდა ეს თუ უნდა მწყენოდა.

წინდები ჩავიცვი. მერე ისევ გავიხადე. ფეხი მაინც უფრო დიდი იყო, ვიდრე ჩემი ახალი ფეხსაცმელი, რომელიც მეორადი ტანსაცმლის ბაზრობაზე მიყიდეს. თუმცა ისე ჭრაჭუნობდა, თითქოს სუფთა ჯიშის ზერდაგის ტყავისგან ყოფილიყო შეკერილი, ძალ-ღონეს არ ვიშურებდი, რათა ჩამეცვა ფეხსაცმელი, რომელიც საშინელი ჭრიალით მიძალიანდებოდა, თან ტანინის მკვეთრი სუნი ასდიოდა. სამზარეულოში აქაფებული ნაცრისა და აკაციის ნაყენით სამჯერ დავიბანე ფეხები, მუხლებამდე ვიხეხე. მაგრამ ვერც შავმა გუაიაკანამ და ვერც ჟაველმა მომაცილა ქერქივით გაუხეშებული კანი. ქუსლებზე სალესი ქვაც კი დავისვი. ფეხები გამითეთრდა და თითქოს დაპატარავდა კიდეც, მაგრამ ფეხსაცმელში მაინც არ მეტეოდა. თითებს თუ მოვიჭრიდი, ალბათ ისე ჩავიცვამდი. მაშინ მოვიდა რუფინა და სახამებლიანი წყლით დამაბანინა ფეხები. როგორც იქნა, მოვირგე ფეხსაცმელი და მათაც შეწყვიტეს ჭრიალი.

ნაშუადღევს ყველანი სადგურში წავედით. ყველაზე წინ მე მივდიოდი. გამალებით ვიქნევდი ფეხებს, რათა ყველას დაენახა ჩემი ახალი ფეხსაცმელი და როგორმე არ მეფიქრა ჩემიანებთან დამშვიდობების სიმძიმეზე: დედაზე, მამაზე, ჩემს დებზე, მოხუც დონატოზე, რომელსაც ზურგზე პატარა ტყავის ჩემოდანი მოეკიდა, რუფაზე, საგზლიანი კალათა რომ მოჰქონდა (ქათამი თვითონ შემიწვა).

ფაბრიკაში აღდგენითი სამუშაოები შეჩერებული იყო. აღჭურვილობა ვერ ჩამოეტანათ, რადგან ოკეანის გაღმა დიდმა ომმა ქვეყნიერება გააჩანაგა. თუმცა ზოგიერთები ამბობდნენ, ომი დამთავრდაო. სიჩუმეში ყველაფერი უფრო დიდი ჩანდა, გრძნობებიც გამძაფრებულიყო. მივაბიჯებდი მიწაყრილზე და ვფიქრობდი, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, ძალიან სასიამოვნო იყო ახალი ფეხსაცმლით კოხტაობა. ცუდი ის იყო, წინ რომ მელოდა სკოლა დედაქალაქში, სადაც ყოველდღე ფეხსაცმლიანსაც და თმადავარცხნილსაც უნდა მევლო.

— თუ გინდა, რომ სამხედრო სასწავლებელში მიგიღონ, — მეუბნებოდა მამა, — ექვსი კლასი უნდა დახურო. სამხედროსაც კი სჭირდება განათლება.

იტაპეში მხოლოდ დაწყებითი სკოლის სამი კლასი იყო. ეს ორფერდა სახურავიანი და ჩუქურთმებიანი სასწავლებელი სწორედ ის გახლდათ, რომელიც გასპარ მორამ შეაკეთა.

დედაჩემი ძალიან განიცდიდა, კადეტობაზე რომ ვოცნებობდი.

— შეეშვი, — ისე წაუბურდღუნებდა ხოლმე მამა, თითქოს უნდოდა ეთქვა, თავის თავზე იწვნიოს ყველაფერიო, — მთელი ქვეყანა ყაზარმადაა ქცეული და ყველაზე კარგად აქ სამხედროები გრძნობენ თავს.

— ჰო, მაგრამ წელიწადგამოშვებით რევოლუციები ხდება, — წუხდა დედაჩემი. თან ისე გამომხედავდა, თითქოს მხარზე უკვე თოფი მქონოდა გადაკიდებული.

რევოლუციების დროს სამხედროებზე მეტად სამოქალაქოები იღუპებიან. ბოლოს და ბოლოს, თუ არ მოეწონება, თავს გაანებებს. აი, მე ხომ ვსწავლობდი სასულიერო სემინარიაში. მართალია, იქ შემთხვევით მოვხვდი, მაგრამ ანაფორას ხელი არ შეუშლია ჩემთვის, რომ კარგი მიწათმოქმედი გავმხდარიყავი. გაანებე ბიჭს თავი. დრო გვიჩვენებს, ყველაფერს საღად უნდა შეხედო...



მე სამალავიდან ვუსმენდი მათ კამათს და თვალწინ მედგა კადეტის ლურჯი, ოქროსფერსირმიანი უნიფორმა, კეპი და პატარა ხმალი. ჩემი ოცნება უნდა ამესრულებინა. მაგრამ მანამდე უნდა მესწავლა სკოლაში, უცხო ქალაქში, სადაც უნდა ჩავსულიყავი მატარებლით სწორედ იმ გზით, რომლის მშენებლობასაც სოფლის გასწვრივ თვითონ მოვესწარი. სწორედ ამ გზის გახსნაზე ვნახე პირველად სამხედრო სკოლის კურსანტები, თან რომ ახლდნენ პრეზიდენტსა და მის ამალას დროშებითა და პალმის რტოებით მორთულ მატარებელში. ბაქანზე „სწორებაზე“ გაჯგიმულ, მკერდგაშლილ და გამოწკეპილ ჭაბუკებს მეტი აღტაცებით შეხვდა ხალხი, ვიდრე თავად პრეზიდენტს. იგივე განმეორდა, როდესაც ქვეყნის მეთაური ვილია-ენკარნასიონიდან დაბრუნდა.

ორჯერ ვნახე ეს მამაცი ბიჭები და მას მერე მოსვენება დავკარგე.

ეს ფიქრები მიტრიალებდა თავში, როდესაც მიწაყრილზე მივაბიჯებდი. ლაგრიმა გონსალესზეც ვფიქრობდი. ის ჩემზე ცოტა დიდი იყო, მაგრამ სკოლაში ერთ მერხზე ვისხედით. გაკვეთილის დაწყებისა და დამთავრებისას, ზარის დარეკვის ნიშნად რელსზე ჯოხს ურახუნებდა. ხოლო სასწავლო წელი რომ დამთავრდა, გამოსაშვებ საღამოზე, ვიდრე დანარჩენები ჰიმნს მღეროდნენ, იგი თავისი მკვრივი ძუძუკებით მომეკრა და მაკოცა. ახლაც ჟრუანტელს მგვრის მისი ტკბილი ტუჩების გემო. და ახლა ყველაფერს ამას ვკარგავდი.

2.

ხალხი, მატარებლის მოლოდინში, ბაქანზე ირეოდა. დამიანა დავალოსიც, თავის ჩვილთან ერთად, იქ გვიცდიდა.

კვერების დამტარებლებს გაცხოველებული ვაჭრობა გაემართათ. იქვე ჩაცუცქულიყვნენ ტკბილი წყლის, ალოხას გამყიდველებიც, სიგარებს ეწეოდნენ და დამტვრეულ ესპანურზე სთავაზობდნენ გამვლელ-გამომვლელს ქილებსა და დოქებში ჩამოსხმულ გამაგრილებელს, ბუზები და ქინქლები რომ დახვეოდა. იქვე დაბორიალობდა მარია როსა, ჭკუასუსტი მეფუნთუშე კაროვენიდან. შეშლილ თვალებს აბრიალებდა, მხრებზე შემოესვა თავისი გოგონა, რომელსაც უზარმაზარი ცარიელი კალათის ჩრდილი ეცემოდა.

ტყუპი ძმები გაიბურუები ჩუმჩუმად ათვალიერებდნენ ჩემს ახალ ფეხსაცმელს. ერთმანეთში ჩურჩულებდნენ, დამცინავად იღიმეებოდნენ და გესლიანი შეძახილებით სხვებსაც იყოლიებდნენ. მე კარგად მესმოდა ტყუპების ქილიკი, სტვენა და მათთვის დამახასიათებელი ბილწსიტყვაობა, მაგრამ თავი ისე მეჭირა, თითქოს ვერაფერს ვხვდებოდი და ჩემი ახალი ტანსაცმლით თავი მომქონდა. სინამდვილეში მე მათი მშურდა. სიხარულით მოვისროდი შუაგულ ჯაგნარში ზიზია ქურთუკსაც და ფეხსაცმელსაც, ისევ შევუერთდებოდი მათ და ძველებურად დავატრიალებდი ბზრიალას, ვიბურთავებდი, ვიცელქებდი, ვიჩხუბებდი კიდეც და სუროთი ამწვანებულ ფარდულში მუშტებსაც მოვიქნევდი. მე კი დეზერტირი ვიყავი და მრცხვენოდა. ნაღველი შემომაწვა. აღარც ახალი ჩასაცმელ-დასახური მახალისებდა და აღარც მგზავრობა, არც სკოლა და არც ძალიან შორეული მომავალი კადეტის პატივი.

* თავი რომანიდან „ძე კაცისა“

სწორედ ამ დროს გამოჩნდა ლაგრიმა გონსალესი. მას ხელკავით მოჰყვებოდა ტყუპების და ესპარანსიტა გოიბურუ. სიამაყემ სძლია ჩემს ნაღველს და მათ ზურგი შევაქციე. თუმცა გოგოები ისეთი ლამაზები იყვნენ, როგორც არასდროს. ლაგრიმა განსაკუთრებით: მუდამ ხალისიანი, შავგვრემან პირსახიანი, გრძელ და ხშირ წამწამებს აფახულებდა, ხოლო ღიმილისას ტუჩის კიდეები ჩაეკუჭებოდა და უთეთრესი კბილები აუელვარდებოდა. რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი. ქუსლები ისე ავაკაკუნე, თითქოს ზედ უკვე დეზები მქონოდა და ისე გავიარე ქვაფენილზე, როგორც ამას პოლიტიკური შეფი ორუე აკეთებდა ხოლმე.

მატარებელი ერნანდარიას ხეობიდან გამოვიდა და ნელ-ნელა ამოუყვა აღმართს. რაც უფრო უახლოვდებოდა სადგურს, სულ უფრო და უფრო დიდდებოდა და ბოლოს ბაქანიც, სადგურიც და ხმაურიანი ხალხიც თავის ჩრდილში მოაქცია და რკინის შიგნეულიდან ამოფრქვეულ კვამლში გაახვია.

ჩვენ მეორე კლასის ვაგონებისკენ გავიქეცით.

— დამიანა, ბიჭს კარგად მიმიხედე! — თქვა დედამ.

— დიახ, ქალბატონო...

დამიანა ვაგონში ავიდა და იქვე, სკამზე მოკალათდა. საწყალი დამიანა დავალოსი! მგზავრობით გამოწვეულმა მღელვარებამ, ჩვილის ავადმყოფობამ, უძილო ღამეებმა და დაღლილობამ სულმთლად ბოლო მოუღო.

ამ აურზაურში მამაჩემმა ფუთა, ჩემი პატარა ჩემოდანი, შემწვარ ქათმიანი კალათი და თეთრეულის შეკვრა გადააწოდა მას. დამიანას კალთიდან ჩვილი ჩუმად აკვირდებოდა საერთო ალიაქოთს.

მამამ დასამშვიდობებლად მოსულ ახლობლებს მომგლიჯა და ვაგონისკენ მიბიძგა.

— ედელმირა, კოკა, მშვიდობით!.. — გავძახე ჩემს დებს, რათა გულში ცეცხლი ჩამექრო. თვალი კი ლაგრიმასა და ესპერანსიტასკენ გამირბოდა. ის თავხედი გოგოები კი იდგნენ და ურცხვად ხითხითებდნენ.

მატარებლის სასტვენმა ერთბაშად ააფორიაქა იქაურობა.

ამოვარდნილმა ორთქლმა ჩაახშო საუბრები, ყვირილი, ფუსფუსი. ბაქანზე მყოფთა სახეებიცა და სილუეტებიც ჩაჟანგულ სიბნელეში ჩაიკარგა. ჩაქ... ჩაქ... ჩაქ... — მატარებელი დაიძრა და თანდათან აკრიფა სისწრაფე.

გაოცებული ვიყურებოდი ფანჯრიდან. სადგური უკან მოვიტოვეთ. ხალხიც ნელა, ლაქასავით ილეოდა და ბოლოს მზისგან გახუნებული ჭიანჭველების გროვას დაემსგავსა.

გზის ორივე მხარეს მიჰქროდა სატელეგრაფო ბოძები, ცოტა მოშორებით კი სახლები, რანჩოები, ხეები, ნახირი, სოფლის განაპირას რომ ძოვდა ბალახს, ბოსლები, სასაფლაო. ყველაფერი თითქოს უკან, სადგურისკენ მიჰქროდა, მაგრამ დანიშნულების ადგილამდე ვერ აღწევდა. მერე ყველაფერი უკან შემობრუნდა, იფიქრებდით, თვითონ მიწა ტრიალებს მატარებლის გარშემოო. ტებიკუარის მთას რომ შემოვუარეთ, სოფელი მინდვრებში ჩაიკარგა. თითები ნერწყვით დავისველე და დავიხარე, რომ ფეხსაცმელი გამეპრიალებინა.

როდესაც გავსწორდი, მოსახვევში, ხელის გაშვერაზე გორაკი გამოჩნდა. ზემოდან, მოწნული ქოხიდან, შავ ჯვარზე მილურსმული კეთროვანი ქრისტე გადმოგვცქეროდა. მილურსმულის თავზე მიწებებულ ქალის თმას შუადღის პაპანაქებაში სიო აფრიალებდა. ცოცხალი გეგონებოდათ. წყაროს პირას კი ყვითელი პეპლები დაფარფატებდნენ.

უცებ რაღაცამ ყრუდ დაიგრუხუნა. ეს — მატარებელმა ხიდს გადაუარა. დამიანამ ქრისტესკენ გაიხედა და პირჯვარი გადაიწერა. დანარჩენმა ქალებმაც მას მიჰბაძეს.

გრუხუნმა მთელი შემადგენლობა მოიცვა, ბოლო ვაგონამდე ჩააღწია და მიწყდა. ხალხი ისევ ადუდუნდა.

ბოლო, რაც დავინახე, იყო ჯვარი მაკარიო ფრანსიას საფლავზე, ფერდობზე, ჯაგნარში რომ გაეთხარათ. ესღა დარჩენილიყო გათავისუფლებული მონისაგან, რომელმაც თავის დროზე სელვას კეთროვანი ქრისტე გამოსტაცა. ახლა კი, ბავშვის კუბოში ჩასვენებულს, მარადიული ძილით ეძინა არა სასაფლაოზე, არამედ იტაპეს გოლგოთის ძირში.

ბორბლების ხმაურში მაკარიოს უკანასკნელი სიტყვები ჩამესმა: — ადამიანი, შვილებო, ორჯერ იბადება... პირველად, როდესაც დედა შობს, მეორედ, როდესაც კვდება...

გორაკიც დაოთხილი გარბოდა უკან. ასევე დაოთხილად თან გაიყოლა ქრისტეც. ბოლოს გაქრა კიდეც ვეება ამწვანებული მთის მიღმა, რომელიც უზარმაზარი ბზრიალასავით ტრიალებდა წვრილი რელსების აბლაბუდაში გახვეული მატარებლის გარშემო.

მაშინღა შევამჩნიე მოპირდაპირე სკამზე მთვლემარე კაცი, რომელიც ფანჯრიდან შემოფრქვეული მზისა და მტვრის გამო ადრე ვერ დავინახე. მისი სილუეტი ნელ-ნელა იკვეთებოდა მტვრიანი ნაკადის მეორე მხრიდან. ეს იყო ძალიან გამხდარი უცხოელი. იგი არც პოლონელს ჰგავდა და არც გერმანელს, რომლებიც აქ ქარხნის ასაშენებლად ჩამოვიდნენ და ომის დროს უკან გაბრუნდნენ. მაგრამ, ცხადზე ცხადია, უცხოელი იყო. გრძელი ფეხების გამო უხერხულად, რაღაცნაირად მოხრილი იჯდა ხის სკამზე და თითქმის ეხებოდა ჩვენს სკამებს, რის გამოც დამიანას ფანჯარაში თავი ვერ გაეყო. უცხოელის ფეტრის ფართოფარფლიანი ქუდიდან ქერა, თითქმის ჩალისფერი თმა ჩამოშლოდა. წამახვილებულ მუხლებზე შალის ლაბადა გადაედო. ტანსაცმელიცა და ჩექმებიც საკმაოდ შელახული ჰქონდა. ჯიბეში გაცვეთილი, ლურჯი წიგნაკი ედო, რომლის კიდეზეც ოქროსფერი ასოებით, ღმერთმა იცის, რა ეწერა. პერანგი ტანზე მიკვროდა და ჩავარდნილი ფერდებიც ეკვეთებოდა. როდესაც აწრიალდებოდა, რათა უფრო მოხერხებულად დამჯდარიყო, უძილობისა და დაღლილობისაგან დასიებულ ქუთუთოებს შორის ღვთაებრივი ცისფერი თვალები გაუნათდებოდა. მზით შეწუხებულმა მკლავები ასწია და დამტვერილი ჟალუზები ჩამოუშვა. მერე ისევ თავის კუთხეში შეიყუჟა. მხოლოდ მაშინ შევნიშნე, რომ ისიც ქრისტეს უყურებდა. მეხსიერება თუ არ მღალატობს, პირჯვარიც კი გადაიწერა. თუმცა შეიძლება ვცდები კიდეც, მას ცუდად ვხედავდი. შესაძლოა, მთელი ეს დრო არც კი განძრეულა და მხოლოდ ცისფერი თვალები უელავდა მზის მტვრიანი სხივის აბლაბუდაში.

დამიანა მას შეშინებული უყურებდა.

ჩვენ გვერდით სამი გამხდარი და ერთიც ჩასუქებული, სავარაუდოდ მემამულე, მგზავრი ისხდა. ისინი ქრისტეზე ლაპარაკობდნენ. მსუქანა ისე დაწვრილებით უყვებოდა დანარჩენებს იტაპელი ქრისტეს ამბავს, იფიქრებდით, ხელების ფათურით ეძებს საფეიქრო დაზგაზე გაწყვეტილ ძაფსო. ცხადი იყო, რომ მან ეს ამბავი კარგად არ იცოდა, ან მსმენელთათვის თავ-გზის ასაბნევად შეგნებულად არეულად ყვებოდა.

— იტაპელები ამაყობენ ამ ქრისტეთი; ამბობენ, სასწაულმოქმედიაო.

— მართალია, — შეეხმიანა ერთი მსმენელი, — სადაც რწმენაა, იქ სასწაულიცაა.

— ასე რომ იყოს, ნუნიეს, — უპასუხა მეორემ გაღიზიანებულმა, — იტაპეც, კააკუპეც, ტაბატიც, კააბაპაც და კიდევ სხვა ბევრი სოფელი თავთავიანთი სასწაულთმოქმედი წმინდანებით, ყველაზე განვითარებულნი იქნებოდნენ ქვეყანაში.

— ჰო, ცხადია, — თქვა მთხრობელმა, — რწმენა აფერხებს პროგრესს. ეს ყველამ ვიცით.

— ნამყოფი ხარ იტაპეში? — დაიჟინა თანამოსაუბრემ, — იქ ყველაფერი ისევ ისეა, როგორც საუკუნის წინათ; როგორც იყო სამთა კავშირამდე და როგორც იყო რევოლუციამდე.

— იქ შაქრის ქარხანას აშენებდნენ... — გაიხსენა მემამულემ.

— ალბათ, ხვდებით, რომ ქრისტე ამაში არ მონაწილეობდა.

— აქ ცოტა სხვაგვარადაა საქმე, — უპასუხა მემამულემ და ფართო, გაოფლილ შუბლზე ცხვირსახოცი გადაისვა. მის არათითზე უზარმაზარი ბეჭედი ბრჭყვიალებდა.

— სხვაგვარად? ეგ როგორ? — შეეპასუხა გაღიზიანებული მგზავრი.

— როგორ და, იტაპელი ქრისტე თავდაპირველად ერეტიკოსი იყო.

მოსაუბრეებმა ისე გადაიხარხარეს, თითქოს კარგი ანეკდოტი მოისმინესო. გაღიზიანებული მგზავრიც კი იცინოდა. ვერცხლის ჯაჭვით მორთული მემამულის ღიპიც კი თახთახებდა, თუმცა სიცილმა მის სახემდე ვერ მიაღწია. ნეტა რატომ მგზავრობდა ჩვენსავით მეორე კლასით?..

— მართალია, რომ ქრისტე კეთროვანმა გამოკვეთა? აი, იმან, გასპარ მორამ... მუსიკოსი თუ საკრავების ხელოსანი რომ იყო?.. — იკითხა ერთმა გამხდარმა კაცმა.

— ეს კიდევ ერთი მოარული ტყუილია, — თქვა გესლიანად მსუქანამ.

სიამოვნებით ვეძგერებოდი და ფრჩხილებით დავუსერავდი მთელ სახეს, მაგრამ უცებ მოპირდაპირე მხარეს ცისფერი თვალები დავინახე და მრისხანება დამიცხრა. მემამულის ბეჭდის თლილი ქვაც მჭრიდა თვალს და მაღელვებდა მისი მოვარაყებული ქამარიც, რომელზედაც ბუდით ეკიდა 38-კალიბრიანი. იარაღის სადაფის სახელური თამბაქოს ბოლისგან ოდნავ გაყვითლებულიყო.

მხატვარი აივენგო ჭელიძე

მაკარიო ფრანსია გამახსენდა. იგი არასგზით არ მისცემდა ამას საშუალებას, ეცრუა. გული შემეკუმშა.

— თქვენ საიდან მობრძანდებით? — იკითხა მემამულემ.

— გადასახლებიდან.

— გასაგებია... ბოლო რევოლუცია, არა?

— ჰო, ვგონებ, ეგრეა.

— კარგია, რომ სამოქალაქო მთავრობამ მალე დაგაბრუნათ, — წაიდუდღუნა მსუქანამ.

— ჩვენ აჯანყებაში არ ჩავრეულვართ, — თქვა მგზავრმა, რომელსაც ოსუნა ერქვა.

— მართალია, გადატრიალებამ რიკოშეტით დაგარტყათ.

— მე და ნუნიესი ადვოკატობას ვაპირებდით. კუელიარი კი გაზეთ „პატრიაში“ მუშაობდა.

— და ქაღალდებში ვთხრიდით ტრანშეებს, — თქვა კუელიარმა ისე, რომ არც კი გაუღიმია.

— ერთმანეთი ბარჟაზე გავიცანით, როდესაც გადასახლებაში მივყავდით.

— ახლა სამივე ერთად ვბრუნდებით, — შენიშნა ნუნიესმა.

— მე ცივილისტი (სამოქალაქო ხელისუფლების მომხრე — ე.კ.) ვარ. კააზაპაში მაქვს მამული. არც მე გავრეულვარ აჯანყებაში, მეტიც, აჯანყებულებმა ძროხები შემიჭამეს, ასე რომ...

— რევოლუციები ნთქავენ ყველაფერს, რაც კი გზაზე შეხვდებათ, — გააწყვეტინა ნუნიესმა. მას ისეთი წრიპინა ხმა ჰქონდა, იფიქრებდით, მოკაუჭებული ცხვირიდან ძვალი ამოაცალესო.

— ასუნსიონში მივდივარ. მთავრობას ზარალის ანაზღაურება უნდა მოვთხოვო. ახლა ხომ ჩემი თანამოაზრეები მართავენ ქვეყანას.

— ჰო... ძროხები კი შეგიჭამეს, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ, მოითხოვოთ ანაზღაურება. იმათ რა ქნან, ვინც მოკვდა?

— მაგათ აღარაფერი სჭირდებათ... — უპასუხა მემამულემ.

— ცხადია, — თქვა ოსუნამ. — მიწა ჭამთ.

— კარგი, კარგი... — შეესიტყვა მემამულე შემრიგებლურად, — სისხლს ნულარ ავიმღვრევთ. ბედს ვერ გაექცევი, როგორც თქვა ლოდქვეშ მოყოლილმა ბაყაყმა. ყრუ სიცილისგან სქელოს მუცელი ისევ აუცახცახდა. — სადაცაა ბორხაში ჩავალთ. იქ გემრიელი კვერები იციან და ჩვენც წავიხემსოთ.

3.

მატარებელი გაჩერდა. აქაც ყველაფერი ისე იყო, როგორც იტაპეში. მგზავრები ამოდიოდნენ და ჩადიოდნენ. დერეფანში ერთი ღრიანცელი იდგა.

ბაქანზე წვრილი მოვაჭრეები რიხიანად სთავაზობდნენ მგზავრებს თავიანთ საქონელს. მათ გამომშრალი, თიხისფერი სახეები ჰქონდათ. თავზე კალათები შემოედგათ, ყრანტალა ჩიტებივით ბუტბუტურობდნენ, თან სიგარის ნარჩენებს აბოლებდნენ.

ყველაფერი მეორდებოდა.

სქელომ ფანჯარაში გაჰყო თავი და სხეულით სრულიად ამოავსო. მერე ხელი რევოლვერის უკან გადასწია და ვერცხლის რგოლებით მორთული პატარა აბგიდან მუჭით წვრილი მონეტები ამოიღო. კვერები და ბანანები იყიდა. გამყიდველი ქალის მიწისფერ სახეზე მემამულის ბრილიანტის მოცისფრო ციმციმი აირეკლა. სქელომ ერთი დოქი ალოხაც იყიდა და ერთიანად, სულმოუთქმელად დალია და შიგ მოტივტივე კააპიკას ტოტები, ჩენჩოები და ჩამხრჩვალი ბუზებიც ზედ მიაყოლა.

მე წყურვილისგან ვიხრჩობოდი.

მატარებლის რახრახმა ყველაფერი ისევ უკან ჩამოიტოვა. ისევ ბზრიალასავით დატრიალდა სახლები, მინდვრები, ცხოველები, შორეული მთები.

მემამულემ მეგობრებს გაუნაწილა მრგვალ-მრგვალი კვერები და ოქროსფერი ბანანის დიდი აკიდო.

— აბა, ბატონებო, წავიხემსოთ!

ოთხივემ მადიანად, აწყობილად აამოძრავა ყბები.

აფორიაქებულ და დაღლილ-დაქანცულ დამიანას გადაავიწყდა ჩვენი საგზალი. მე კი შიმშილისგან სულ ნერწყვი მდიოდა. მაგრამ არც თვალებითა და არც ჟესტიკულაციით არაფერი მითხოვია. ამით მსურდა დამიანას ეგრძნო, რომ კაცი ვარ და ის კი არ ზრუნავდა ჩემზე, არამედ მე ვმფარველობდი ამ მოგზაურობაში. ის კი, ალბათ, ასუნსიონის ციხეში ჩამწყვდეულ ქმარზე ფიქრობდა. ხანდახან, როცა მდინარეზე სარეცხს ჩამოიტანდა, მიყვებოდა ხოლმე ქმარზე. ასეთ დროს დამიანას სანდომიან სახეს ნაღველი მოეფინებოდა, შეფიქრიანებულს ახალგაზრდა სხეული მთლად გაუშეშდებოდა. მე მის ანარეკლს წყლის ფსკერზე, ქვიშაზე ვხედავდი, იქ, სადაც საპნის ნამცეცების ასაკენკად ლიფსიტები ირეოდნენ. მაგრამ ახლა, როდესაც ქანცგაცლილს სახეზე მტვრისფერი დასდებოდა, მობერებული მეჩვენა.

უცხოელი ისევ თვლემდა. ხანდახან თვალებიდან ძილს ჩამოიბერტყავდა და თავისი სამშობლოს შორეთიდან გვაკვირდებოდა. ვერაფრით გამოვიცანი, თუ რომელი უნდა ყოფილიყო მისი სამშობლო.

დამიანას ჩვილი ატირდა და ბაყაყივით აასავსავა ხელები. ქალმა ლაბადა აიფარა და ბავშვს ძუძუ მისცა. უცებ ნიავმა ლაბადა დაბერა და დამიანას ცისფერი ძარღვებით დასერილი, რძით დასველებული ვარდისფერი ძუძუები გამოაჩინა. პირი ნერწყვით ამევსო. გავბრაზდი კიდეც ავადმყოფ ჩვილზე, რომელიც ასეთ სიმდიდრეს ფლანგავდა.

— რა სჭირს შენს შვილს?

გაოცებულმა დამიანამ წამწამები ააფახუნა. მის გვერდით მოხუცი ქალი იჯდა და ინიავებდა ტირიფის მარაოს, რომელზედაც „იესოს გული“ (ერთგვარი კათოლიკური ხატი — ე.კ.) იყო გამოსახული.

— რა სჭირს?

— არ ვიცი, — უპასუხა დამიანამ უხალისოდ, — ექიმთან მიმყავს ასუნსიონში.

— უიმე, ღმერთო, ასე შორს! — წაიკრიახა დედაბერმა, — ეგებ ისეთი არაფერია და ბალახ-ბულახმაც უშველოს.

— ყველაფერი ვცადე, მაგრამ შეტევები მაინც მეორდება.

— რა შეტევები?

— როცა მოუვლის, მთელი ძვლები გამოებერება და პირზე დუჟი ადგება.

— გასაგებია. მაგას პილიპსია ჰქვია. ბავშვს სიკვდილი დარაჯობს. მე ვიცი, როგორ მოვარჩინო. რუტას ყლორტები, ანისულის მარცვლები და კამის თესლი ჩაყარე მდუღარე წყალში, მერე გააგრილე...

— ეგ უკვე ვცადე.

მოხუცმა ჩვილს შეხედა და თვალები მოჭუტა. პაჭუა ცხვირი დაემანჭა. მერე ტუჩები ააცმაცუნა, რათა პირით სიგარა კარგად დაეჭირა. ტუჩზემოთ დიდი ხალი, ზედ გამოზრდილი ღერა თეთრი თმით, აუთუხთუხდა. ტირიფის ჩარჩოში მოქცეული „იესოს გული“ აღარ მოძრაობდა. მას აღარ უნდოდა ეღიარებინა მარცხი.

— უზმოზე ვირის რძე უნდა დაალევინო.

— თხის რძეს ვასმევდი.

— ეს ერთი და იგივე არ არის. ვირის რძე უნდა ასვა. ყველა ცხოველს, როგორც ადამიანებს, თავისი ნიშანი აქვს. ეს უცოდველი ისეთი ლამაზია, მე მოვარჩენდი საბრალოს. ღმერთმა ქნას, გამოკეთდეს. ასუნსიონელი ექიმები ისეთი წუწკები არიან... მარტო ფულის აღება იციან. არ მესმის, რატომ მიგყავს ასე შორს. ვილიარიკაშიც არიან კარგი ექიმები.

— მარტო ეგ არ არის. ჩემი ქმარიც უნდა ვნახო.

— იქ მუშაობს?

— არა, ციხეშია.

— ვაი... Juepete! (ეშმაკმა დალახვროს — გუარონი) ვინმე გააბრაზა?

— არა. ცივილისტებმა დააპატიმრეს ბოლო რევოლუციის დროს.

— ეეეჰ... საწყალი, პოლიტიკური ყოფილა! — ჩაიფრუტუნა მოხუცმა და რიხიანად მოიქნია „იესოს გულიანი“ მარაო.

— ნეტა ჩვენი კაცები არ ყოფდნენ ცხვირს იქ, სადაც საჭირო არ არის.

— სირილო სულ ტყუილუბრალოდ დააპატიმრეს. შვილი ჯერ არც კი უნახავს. ამიტომ მიმყავს, რომ ნახოს.

— ჰოოო, მაშინ...

მოხუცის მონოტონურ საუბარს უცხოელიც ყურს უგდებდა, ან კიდევ თავს იკატუნებდა, რომ უსმენდა. ის კი, ხელიდან არ უშვებდა მოხატულ მარაოს.

4.

ბორხაში გიტარიანი მოხუცი ამოვიდა. იგი ჭუჭყიან, ჩამოკონკილ-ჩამოძენძილ ბიჭს მოჰყავდა ძეწკვით.

მოხრილი, ჩამომჭკნარი და გაძვალტყავებული მოხუცი სკამის კიდეზე ჩამოჯდა და დაკვრა დაიწყო. ფანჯრებს მიღმა კი ხავსითა და მწერებით დაბურულ ხეებს შორის მონასტრის ნანგრევები ამოტივტივდა.

მაშინვე გასპარ მორა და მაკარიო ფრანსია გამახსენდნენ.

რამდენიმე ნაწილად დაშლილი გიტარის ხმა ზუზუნით მოიწევდა ზევით. გაბურძგნული თავი მუსიკოსს საკრავის კორპუსზე დაეხარა და მხოლოდ მისთვის გასაგებ რიტმს აჰყოლოდა. ვიდრე მოხუცი უკრავდა, ბიჭი შეგროვილი ნიკელის მონეტებს ჯერ ნერწყვით ასველებდა და მერე თავისი ძონძებით აპრიალებდა.

— ასე დაწანწალებენ ეს საცოდავები! — თქვა კუელიარმა.

— მშვიდად ვეღარ უმგზავრია კაცს... — წაიწუწუნა კაასაპენიელმა მემამულემ, — გაივსო მატარებლები მაწანწალებითა და ბანდიტებით... მისი ბეჭდის ათინათი მგზავრებს თვალს ჭრიდა.

— ასეა, — დაეთანხმა მეგობარს ნუნიესი, — შეუცვლელი ადამიანებივით არიან. ეს განსაკუთრებით ბობოლა ყაჩაღებსა და კრიმინალებს ეხება. ახლა მაგათია ცხოვრება.

მსუქანას სახეზე უკმაყოფილება დაეტყო. რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ გადაიფიქრა.

— ვიცი, საიდანაც არის ეს მოხუცი, — თქვა კუელიარმა და საუბრის თემა შეცვალა.

— იცნობთ?

— არა.

— აბა? — გაიკვირვა მემამულემ.

— დაუგდეთ ყური, რას უკრავს. ეს არის ფრაგმენტი სოსა ესკალადას გავოტიდან. ამით შეიძლება მისი ამოცნობა.

— მე მხოლოდ პოლკას თუ ამოვიცნობ, ისიც გაჭირვებით, — თქვა ცივილისტმა. — ყველაზე კარგად კი ჩემი პარტიის ჰიმნი „კამპამეტო სერრო ლეონი“ და „დიანა ორე-კუერა“ ვიცი.

ბორბლების ხმაურში ჩაიკარგა ვაგონის კუთხეში მიმჯდარი მოხუცის მუსიკა. მხოლოდ მისი ჩაქინდრული თავი და გიტარაზე მავთულით მიმაგრებული ძეწკვი მოჩანდა.

— ყველას ბოლო ესაა, — თქვა კუელიარმა. — პარაგვაის დიდი გიტარისტები ან დაიხოცნენ, ან მათხოვრებად იქცნენ. ზოგიც, დავიწყებული და სიღატაკეში ჩავარდნილი, გალოთდა. კეთროვანი გასპარ მორა მთებში დაიმალა. სიკვდილის შემდეგ ხეში გამოთლილი ქრისტე დატოვა. აგუსტინ ბარიოსმა უკანასკნელი კონცერტი ღია ცისქვეშ, მოედანზე ჩაატარა და გაუჩინარდა. არავინ იცის, სად არის. ასევე ამპელიო ვილალბაც. ამბობენ, ენა მოაჭრეს და ახლა ბუენოს-აირესის დუქნებში უკრავსო. კარლოს ტალავერამ შუბლში ტყვია დაიხალა. საკვირაო ტანისამოსში გამოწყობილი ლოგინზე გაიშოტა, ტალავერიდან ცას გახედა, მერე რევოლვერის ლულა პირში ჩაიდო და სამუდამოდ დადუმდა. მე წერილიც კი გამოვაქვეყნე საკუთარ სამშობლოში არტისტების გაუსაძლის ცხოვრებაზე. ამის მერე დამაპატიმრეს.

— არამარტო არტისტები, — თქვა ნუნიესმა, — როგორც მავანმა შენიშნა, ეს არის უადამიანო მიწისა და უმიწო ადამიანთა ქვეყანა.

— ჰო, მაგრამ მუსიკოსების ამბავი ყველაზე სატირალია, — თქვა კუელიარმა. — ყველაზე ბოლოს გაბრიელ ბერმეხო გაუჩინარდა. წლების წინათ მიამბეს, რომ დაბრმავებულა და გალოთებულა. ამბობენ, სოფელ-სოფელ დახეტიალობსო.

— თქვენ ფიქრობთ, რომ აი ეს?.. — ცივილისტმა მოხუცზე მიუთითა.

— არ ვიცი... რას გაიგებ.

მოხუცმა დაკვრა შეწყვიტა. ბიჭმა ლამის თავისივე სიგრძის გიტარა აიღო და ძეწკვი, რომლითაც იგი მოხუცზე იყო მიბმული, აწკრიალდა. მოხუცი ადგა და ბანცალით გაჰყვა ბიჭს, რომელიც ცალი ხელით ჩალის ქუდს უწვდიდა მგზავრებს, მეორეთი კი გიტარას მიათრევდა. როდესაც ჩაგვიარეს, კუელიარმა მოხუცს მხარზე ხელი დაადო.

— თქვენ გაბრიელ ბერმეხო ბრძანდებით, არა?

მოხუცმა მას თეთრი გუგები მიანათა. უკბილო პირი ოდნავ გაეღო, თითქოს მივიწყებულ მელოდიას უსტვენსო. მაგრამ, ვერაფრით მიხვდებოდით, გაიგო თუ არა ნათქვამი. მხოლოდ ძეწკვის წკარუნი ისმოდა. მისი გამყოლი გაჩერდა და მოხუცის თვალებსა და ყურებზე მიუთითა.

— ბაბუკა ყრუ და ბრმაა. ვერაფერს ხედავს და არაფერი ესმის.

მგზავრმა, რომელიც „ქაღალდებში სანგრების გათხრისათვის“ გადაასახლეს, ჯიბიდან ბანკნოტი ამოიღო და ბიჭს გაუწოდა. რომ არა მისი სერიოზული სახე, ამას ხუმრობად ჩავუთვლიდით. ბიჭმა უნდობლად შეხედა.

— ეს ქაღალდი რად მინდა? ნიკელის ფული მომე, უფროსო...

ამ სიტყვებზე ყველას გაეცინა. საბრალო ბავშვს ხელებზე ფორთოხლის წვენი და მიწა ერთად შეხმობოდა და ძარღვებივით დატყობოდა. მოხუცის ხელები გეგონებოდათ. მაგრამ ბავშვური, ცოცხალი თვალებით შევარდენივით აკვირდებოდა ყველაფერს.

მგზავრებმა ქუდში ხურდები ჩაუყარეს. მემამულემაც, სხვებს რომ არ ჩამორჩენოდა, უხალისოდ მისცა ფული. მე ჩემი ახალი ფეხსაცმელი სკამის ქვეშ დავმალე.

მოხუცი და მისი გამყოლი მომდევნო ვაგონში გადავიდნენ. ძეწკვის წკარუნი ბორბლების რახარუხმა შთანთქა.

5.

— როდის მოუარა ბნედამ პირველად?

— დაბადებიდან ცოტა ხანში.

— ალბათ, მამისგან გადმოჰყვა. კაცებს უფრო ხშირად ეწეპებათ სენი.

დამიანას შეწინააღმდეგება უნდოდა, მაგრამ ვერ შეძლო. ისე უკანკალებდა ხელები, რომ მაშინვე მივხვდი, ძალიან გაბრაზებული იყო. დედაბერი კი ყველაფერში ყოფდა ცხვირს, ქათამივით ჩიჩქნიდა და ჩიჩქნიდა სხვის ჭუჭყიან თეთრეულს. მისი მძიმე სუნთქვისაგან დამიანას სული ეხუთებოდა, დაღლილობისგან თვალებიც ეხუჭებოდა, მაგრამ ბრაზმორეული ვერ იძინებდა. და ეს ღვარძლიანი დედაბერიც, თუნუქის ქილაში მომწყვდეული ბზიკივით რომ ბზუოდა, არ ასვენებდა.

სიმშვიდის მოსაპოვებლად დამიანამ სკამის ქვეშ ხელი მოაფათურა, საგზლიანი კალათა გამოათრია და ბებერს მიაჩეჩა, შემწვარი ქათამიც ზედ მიაყოლა. ეს ჩემი თვალით ვნახე, მაგრამ ხმა არ ამომიღია.

— ვილიარიკაში ჩავდივარ, — თქვა დედაბერმა და ნუგბარს ჩაებღაუჭა.

დამიანამ შვებით ამოისუნთქა. საგზალი სულაც არ ადარდებდა. ეს მეც არაფერში მენაღვლებოდა, ოღონდ იმ ქალს ჩვენთვის თავი გაენებებინა. მგზავრების მხიარული საუბარი და სიცილი უფრო მიზიდავდა, დედაბრის კრიახი კი ხელს მიშლიდა.

— ჩემი რძლის სანახავად მივდივარ. სადაცაა უნდა იმშობიაროს, უჩემოდ ვერაფერს გახდება. სამი შვილის გაჩენაში დავეხმარე, ეს მეოთხე იქნება. ამ საქმეში მსუბუქი ხელი მაქვს. ინოსენსია რომერო მქვია. მშვიდობით, ძვირფასო...

6.

სადგური სადგურს მისდევდა. ყველაფერი ზედმიწევნით მეორდებოდა, ბაქანზე მოსიარულე გამომშრალი მიწისფერსახიანი ხალხიც კი. სახლები და მინდვრები ისევ უკან გარბოდა. ყველაფერი მეორდებოდა. თითქოს უზარმაზარ, ნელ ბზრიალაზე დრო გაჩერებულიყო.

ერთ-ერთ სადგურზე წყვილი ამოვიდა. ძალიან ახალგაზრდები იყვნენ, ალბათ, ახალშეუღლებულები. ვაგონის ბოლოს დასხდნენ, ერთმანეთს ჩაეხუტნენ და კოცნაობა დაიწყეს.

დაღლილობამ, სიცხემ, მტვერმა ერთიანად მოგვთენთა. ძილიც მერეოდა. დამიანას ჩვილი ისევ ატირდა. დედამ პატარას ლაბადა წამოაფარა, მაგრამ მან ძუძუ აღარ ჩაიდო. მე კი ნერწყვებს ვყლაპავდი და ჩვილზე ვბრაზობდი. მშიერ-მწყურვალს ჩამთვლიმა. სიზმარში გამეტებით ვკბენდი დამიანას ძუძუსთავებს და ტკბილი წვენი, თითქოს საწოვარადან, პირში მეწვეთებოდა. როცა გავიღვიძე, ძალიან შემრცხვა. თავი იმით დავიმშვიდე, რომ დამიანას არ შეეძლო ჩემი სიზმრის ამოცნობა.

უცხოელს შევხედე. იგი ხელებს წინ იშვერდა და რაღაცას, სრულიად გაუგებარს ამბობდა. მერე ხელები ერთმანეთს მიაბჯინა, თვითონაც ნელა ირწეოდა, თითქოს რაღაცას ითხოვსო.

დამიანა მჭიდროდ მიეკრა სკამის საზურგეს. მაშინ უცხოელი წინ გადმოიხარა და ჩვილს თავზე მოეფერა. ბავშვმა მაშინვე შეწყვიტა ტირილი, დედის კალთაში გასწორდა და მშვიდად მიაშტერდა უცხოს. მას რაღაც ღიმილისმაგვარმა გადაურბინა სახესა და ვიწრო ტუჩებზე, ცისფერი თვალები აუციმციმდა, ნესტოებით კი ხარბად ისრუტავდა მტვრისა და ბოლისაგან შესქელებულ ჰაერს.

მე ქვეშიდან გავხედე შეშინებულ დამიანას და მივხვდი, ნანობდა კიდეც, დედაბერი რომ აღარ იყო მის გვერდით. უცხოელის დუმილი უფრო თრგუნავდა, ვიდრე ბებიაქალის ლაყბობა.

მე დამიანას მივეკარი, ჩემი იქ ყოფნა რომ ეგრძნო.

მერე ქალის კონტურები თითქოს წაიშალა, აი, ისე, მდინარის პირას რომ ხდებოდა, როცა მისი ჩრდილი ფსკერზე ქვიშას ეცემოდა. იქვე დაცურავდნენ წვრილი, სისხლისფერფარფლება თევზები და საპნიან ქაფს კენკავდნენ. მე, ნაპირზე გაშოტილი, კარგად ვხედავდი მის მრგვალ მუხლისთავებსა და ბარძაყებს. ვტკბებოდი მისი ცქერით, თან მრცხვენოდა, თითქოს რაიმე უხამსს ჩავდიოდი. უცებ დამიანა ლაგრიმა გონსალესად გადაიქცა. განზე გავხტი. ლაგრიმამ კი სარეცხი მიატოვა, თვალისდახამხამებაში გაიძრო კაბა და დედიშობილა გადაეშვა წყალში.

7.

მოსაღამოვდა. საპუკაის ვუახლოვდებოდით.

შორიდანვე დავინახეთ სადგური, დაბომბილი სახლები, მოედანივით დიდი ორმო, რომელიც სარკინიგზო გზებს კვეთდა.

— აგე, რევოლუციის კვალი! — წაიბურტყუნა მემამულემ და ნანგრევებისაკენ ხელი გაიშვირა.

ამ სიტყვებმა საბოლოოდ გამომაფხიზლა.

მემამულე ყვებოდა რევოლუციონერთა ეშელონზე, რომელსაც მოულოდნელი თავდასხმა უნდა განეხორციელებინა დედაქალაქზე. მაგრამ პარაგუარიდან მის საპირისპიროდ გამოგზავნილმა ბომბებით დატვირთულმა ლოკომოტივმა ის ააფეთქა.

ეს ამბავი ყველამ ვიცოდით, მაგრამ, ეტყობა, მსუქანა ტკბებოდა მისი ისევ და ისევ გახსენებით.

— დილამდე გზას ვერ გავაგრძელებთ. ღამის გათევა საპუკაიში მოგვიწევს. ვერ გამიგია, რატომ არ არის გადაჯდომა მატარებლის შემოსვლისთანავე. ნეტა როდის მორჩებიან აღდგენით სამუშაოებს?! ამას ხომ არაფერი უნდა, ეშმაკმა დალახვროს! აგერ, უკვე ხუთი წელია, რაც ეს ორმოა აქ და ჯერაც ვერ ამოუვსიათ. დაილია მოთმინების ფიალა.

— ჰოდა, თქვენც მიაწვდინეთ ხმა იქ, მთავრობაში, — უთხრა ოსუნამ, — ხომ თქვენი თანაპარტიელები არიან.

მემამულემ მინიშნება არ შეიმჩნია.

— დღემდე, — განაგრძო მან, — ჟანდარმებს ადამიანის ძვლები ამოაქვთ ამ ორმოდან.

სწორედ ამ დროს დამიანას კივილი გაისმა. თითქმის მთელი ტანით ფანჯარაში გამდგარიყო, ქარისგან თმა აბურდოდა და გიჟივით კიოდა:

— შვილი მომტაცა... შვილი მომტაცა!

ქარი და ბორბლების რახარუხი მის ხმას ახშობდა. მგზავრები აფორიაქდნენ. ვერავინ გაიგო, რა ხდებოდა.

ამ აურზაურში ვაგონში უცხოელი შემოვიდა. დაღლილი ჩანდა, ხელში ბავშვი ეჭირა. ისეთი მდუმარე იყო, იფიქრებდით, ქარიშხლის შუაგულში ტივტივებსო. საყოველთაო მძვინვარებასა და ხმაურში მხოლოდ მისი ღვთაებრივი თვალები ასხივებდა სიმშვიდეს.

გააფთრებულ დამიანას ლამის თვალები გადმოუცვივდა. იგი ეცა უცხოელს და ბავშვი გამოჰგლიჯა. კაცები უცხოელს მიცვივდნენ. მას რაღაცის ახსნა უნდოდა, მაგრამ საშუალებაც არ მისცეს და ვერც გაუგეს. ბრბოს არაფრის მოსმენა არ სურდა. კაასაპელმა მემამულემ, რომელსაც რევოლვერი ჩაებღუჯა ხელში, მუშტის ერთი დარტყმით წააქცია იგი.

როდესაც მატარებელი ნანგრევების წინ გაჩერდა, ის უცხოელი მუშტებისა და წიხლის კვრით ჩააგდეს ძირს. იგი ბაქანზე მუხლებით დაეცა, ცხვირიდან და პირიდან სისხლი სდიოდა, სახე მთლად დალურჯებოდა და პერანგიც შემოხეოდა. ვიღაცამ პალტო და ლურჯი წიგნაკი გადაუგდო. მან ხელის ფათურით აკრიფა, მერე წამოდგა, რამდენიმე ნაბიჯი ბარბაცით გადადგა, მაგრამ ვიღაცამ ისევ წააქცია. უკვე აღარ განძრეულა. პირქვე ეგდო სისხლით შეფერილ მიწაზე, ვიდრე ჟანდარმები დაადგებოდნენ თავზე და ხელები არ გაუკრავდნენ.

ფანჯრებთან მგზავრები შექუჩულიყვნენ. მეც მათ შორის ვიყავი და ვცდილობდი დამენახა, ბაქანზე შეკრებილ ხალხს შორის როგორ მიჰყავდათ იგი ჟანდარმებს, მაღალი, ოდნავ მოხრილი, ზურგსუკან ხელებგაკრული.

დამიანას მისკენ არც გაუხედავს. ისევ ცახცახებდა და თავის მკლავებში მძინარე ჩვილს ეფერებოდა. ქალები ყაყანითა და კრიახით შემოეხვივნენ. დანარჩენი მგზავრები მატარებლიდან ჩავიდნენ.

გამიხარდა, ღამეს რომ საპუკაიში გავათევდით. მინდოდა ახლოდან მენახა სოფელი, სადაც მოხდა ის საშინელება, დღემდე რომ ლაპარაკობს ხალხი.

მგზავრები ჯგუფ-ჯგუფად ათვალიერებდნენ ნანგრევებს. მეც ჩამოვედი მატარებლიდან და მათ შევუერთდი. ვნახეთ დამსხვრეული ვაგონები. ერთ-ერთი კი აფეთქების ტალღას სადგურიდან თითქმის ათას ვარაზე (სიგრძის საზომი ერთეული = 83, 5 სმ) გადაესროლა. ვაგონი თითქოს გადაფრენილიყო ამ მანძილზე და თითქმის უვნებელი დაშვებულიყო სათადარიგო ლიანდაგზე.

მომეჩვენა, რომ სოფლელები ფანტომებივით დაფარფატებდნენ აქეთ-იქით.

როდესაც მატარებელში დავბრუნდი, შევესწარი, როგორ ცდილობდა მემამულე, დაერწმუნებინა დამიანა, ღამე ფუნდუკში გაეთია. იქვე ვიდექი და კარგად გავიგონე, რასაც ეუბნებოდა:

— თქვენ ძალიან ახალგაზრდა და ლამაზი ხართ. თანამგზავრი გჭირდებათ.

— გმადლობთ, მე მყავს თანამგზავრი...

— ვინ? ის ლაწირაკი, გვერდით რომ გეჯდათ? — ისევ მხოლოდ მუცელი აუცახცახდა, სიცილმა სახემდე ვერც ამჯერად ააწია. ხელი ფულით გატენილ ტყავის ჩანთაზე გაივლო და ასე შეეცადა დამიანას დაყოლიებას, მაგრამ ქალმა ზურგი შეაქცია და იქვე მეც დამინახა.

მერე ჩემკენ წამოვიდა და მითხრა:

— ბარგი ძირს უნდა ჩავიტანოთ...

8.

მეორე კლასის მგზავრები ღამის გასათევად ნანგრევებში მოვთავსდით.

ცხელოდა. ჩვენი მწირი ბარგი იქვე დავაწყვეთ. დამიანამ ფუთიდან ლაბადა ამოიღო, გაშალა და ჩვენც მასზე მივწექით. იქვე, კედლის ნაგლეჯის უკან, ახალდაქორწინებულები მოკალათდნენ.

ღამემ ერთბაშად მოიცვა სოფელი.

ასე მეგონა, ბალახს, აგურებს, მიწას კვლავ დენთის სუნი ასდიოდა. კედლის იქითა მხრიდან ახალგაზრდა წყვილის ჟღურტული და კოცნაობის ხმა მოდიოდა. ხანდახან ქალის ჩუმი კვნესაც ისმოდა, თითქოს ალერსისას კაცმა რაღაც ატკინაო. მათი სიცილიც მესმოდა.

გვერდით კი ვიღაც მოხუცი, ალბათ, სოფლელი, აკანკალებული ხმით დიდხანს უყვებოდა რომელიღაც მგზავრს კატასტროფის დეტალებს. ერთი სიტყვით, დიდხანს ვერ დავიძინე.

მაგრამ ჩამეძინა თუ არა, აფეთქების გრგვინვა და ქუხილი მესიზმრა. ნათლად ვხედავდი, როგორ გარბოდა სისხლით ამოვსებულ თხრილზე ალმოდებული, თავწაცლილი ხალხი.

გამეღვიძა. მაგრად ვეკვროდი დამიანას. შიმშილმა ისევ შემახსენა თავი და, როცა დავინახე, როგორ უშედეგოდ ცდილობდა დამიანა ჩვილისთვის ძუძუ მიეცა, ტანჯვა გამიახლდა.

შევეცადე ძილი შემებრუნებინა, მაგრამ მხოლოდ უცნაურ, აგზნებულ თვლემაში ჩავვარდი. ასე მეგონა, ყველაფერი ერთმანეთში აირია. დამიანა მშვიდად იყო. ალბათ, ეძინა. ძილბურანში სველ ძუძუსთავს ვეძებდი და მოტკბო, შესქელებულ რძეს ვსვამდი. მერე, როდესაც გამოვერკვიე, სიზმარი ცხადად მექცა. ნელა წავიწიე ძუძუსკენ და ნაზად მოვიმწყვდიე ტუჩებში. მეშინოდა, დამიანას არ გამოეცალა ეს მრგვალი, რბილი ბორცვი. მაგრამ ქალი არ ინძრეოდა. ჩვენი დანახვა არავის შეეძლო, ჰოდა, ვერც ვერავინ ამიგდებდა მასხრად იმის გამო, რომ სიბნელეში ჩვილივით ვწოვდი ძუძუს. არ ვიცი რატომ, მაგრამ იმ წუთს ლაგრიმა გონსალესი გამახსენდა, თუმცა მასზე ფიქრს არ ვაპირებდი. მერე ძლიერად მოვწოვე, ხელებიც მოვიშველიე. ვწოვდი, ვიდრე რძე დაშრებოდა. დამიანამ ამოიოხრა და გვერდი იცვალა.

მერე ჩამეძინა და აღარც არაფერი დამსიზმრებია.

9.

დილით მატარებლის საყვირმა გაგვაღვიძა. ჩასხდომა იწყებოდა. ვარდისფერ ჩრდილებს დამსგავსებული ხალხი სწრაფად ამოძრავდა. მეორე ხაზზე მდგარ ვაგონებში უნდა მოესწროთ ასვლა.

ცალი ფეხსაცმელი ვეღარ ვიპოვე. ალბათ, რომელიმე მშიერმა ძაღლმა თუ წაათრია. ასე რომ, რაც წინა დღით ორი ფეხსაცმლის ჩაცმაზე ძალისხმევა დამჭირდა, ახლა მხოლოდ იმის ნახევარი უნდა დამეხარჯა. დამიანაც ეძებდა ფეხსაცმელს, თან ხელში ჩვილი ეჭირა. მაგრამ მატარებელი ჩვენ არ დაგველოდებოდა და სირბილით მოგვიხდა ქვა-ღორღზე გადარბენა. მე უკან მივდევდი დამიანას და ჩემს პატარა ჩემოდანსა და ფუთას მივათრევდი.

ფეხშიშველი მივაბიჯებდი ამ ბედკრულ მიწაზე.

10.

იმ მოგზაურობიდან და თავგადასავლებიდან ყველაზე ცხადად ასუნსიონში ჩასვლა მახსოვს. ადამიანისხელა სვეტებს შორის აუარება ხალხი ირეოდა. დამიანას გული ერეოდა, ხელზე დამეყრდნო.

ძლივს გავიკაფეთ გზა დერეფნისაკენ. იქ სვეტები კიდევ უფრო მაღალი და მსხვილი იყო. მათ, ოთხ-ოთხად დაჯგუფებულებს, ჭურვებით დაზიანებული თაღები ეჭირათ. უზარმაზარ, მაქმანისებრი გირლიანდებით მორთული თეთრი სადგურის სახურავზე ბაღი იყო გაშენებული. ჟასმინის სურნელი გვეცა. კვამლის სუნსაც კი ახშობდა.

გაოცებულები შევსცქეროდით მაღალ სახლებს, მოკირწყლულ ქუჩებს, ცხენშებმულ ეტლებს, კონკებს, რომლებშიაც ერთი ფერის ჯორები იყვნენ შებმულნი და რომელთაც კონდუქტორები შეჰყვირებდნენ ხოლმე.

ვიდექით მოედანზე, სადაც ძალიან ბევრი ნარგავი იზრდებოდა. ალაგ-ალაგ სარწყავი დანადგარები წყლის ნაკადს გამოსტყორცნიდა. დამიანა ბალუსტრადასთან დავტოვე და სირბილით გავექანე ყვავილნარისაკენ. წყურვილი მკლავდა და ხარბად დავეწაფე წყლის ნაკადს. მაგრამ სწორედ მაშინ შევესწარი ისეთ გასაოცარ რამეს, რომ წყალი კინაღამ სასულეში გადამცდა. იქვე, კუთხეში, ძალიან ლამაზ კიბეზე გაუნძრევლად იდგა მაღალი, თეთრი ქალი და ჩიტებს ჭამდა. ჩიტები თავისით, ფარფატით ეშვებოდნენ ქვევით და მხიარული ჟღურტულით უცვივდებოდნენ დაღმეჭილ პირში. ისიც კი მომეჩვენა, რომ ძვლების ხრაშუნი მესმოდა.

ᲔᲡᲞᲐᲜᲣᲠᲘᲓᲐᲜ ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲐ
ᲔᲚᲔᲝᲜᲝᲠᲐ ᲙᲣᲭᲐᲕᲐᲛ

მალხაზ ივანიძე

სიტყვაში გაცოცხლებული ისტორია

რას ნიშნავს სიტყვა „ჯოლბორდი“?

სიტყვა კი არა, გვარია გურიაში! — მიპასუხებს ბევრი ჩვენი მკითხველი, ვისაც სმენია ამ ლამაზი, შესანიშნავი გვარის შესახებ, მაგრამ მაინც, საიდან მოდის, რას ნიშნავს, რა ეტიმოლოგიური ძირი აქვს? შეიძლება ბევრმა არ იცოდეს და ჩემსავით შოტლანდიური წარმოშობისა ეგონოს. დიახ, მეც დიდი ხნის განმავლობაში ბრიტანეთს ვუკავშირებდი, სანამ ერთ მშვენიერ დღეს არ დავხედე ლექსიკონს, ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიულ ლექსიკონს, რომელშიც წერია: **„ჯოლბორდი** (ძვ.) — ისრის მთლელი და ზოგადად მშვილდ-ისრის მკეთებელი“.

სასწაულია პირდაპირ! სწავლა სიბერემდეო. ალბათ რამდენ ლექსიკონში იქნებოდა ეს სიტყვა მოცემული, მე კი მაინცდამაინც ამ უბრწყინვალეს ლექსიკონში უნდა მენახა.

ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, გამომცემლობა **„მერიდიანი“**, თბილისი, 2011.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ რუსთაველის ფონდის გრანტის საფუძველზე შესრულებული ეს პროექტი ეძღვნება ქართული ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებლის, აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ხსოვნას.

პროექტის ავტორი და ხელმძღვანელია პროფესორი **ელდარ ნადირაძე**; რედაქტორი — აკადემიკოსი **როინ მეტრეველი**.

ლექსიკონის მომზადებაზე მუშაობდა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების 18 თანამშრომელი და ერთი მოწვეული ეთნოლოგი. მასში შესულია 2086 ტერმინი.

როგორც პროექტის ავტორი ელდარ ნადირაძე წერს, ლექსიკონის შექმნა მოტივირებული იყო რეალურად არსებული ცვლილებით, რაც ხდება ქართულ მატერიალურ კულტურაში. როგორც ცნობილია, მსოფლიო გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესი დღის წესრიგში აყენებს ეთნოკულტურული მემკვიდრეობის პრობლემას. ქართული ეთნოკულტურა — ეს არის უზარმაზარი შემოქმედებითი პროცესი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში იქმნებოდა. ეს არის საქართველოს როლისა და ადგილის განმსაზღვრელი მსოფლიოს ხალხთა ცივილიზაციაში. თუ ქვეყანას აქვს პრეტენზია, რომ ითვლებოდეს დიდი კულტურული მემკვიდრეობის შემოქმედად, ეს, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაადასტუროს ამ ქვეყნის მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრების განვლილმა გზამ, რომელიც უნდა აისახებოდეს მიწათმოქმედებაში ზოგადად და კერძოდ, ხორბლეულისა და ვაზის კულტურების სელექცია-შეჯვარებაში, ხელოსნურ წარმოებაში, საცხოვრისში, ტანსაცმელში, მუსიკალურ ტრადიციებში, კვების კულტურაში, ხალხურ მედიცინაში და საერთოდ, საყოფაცხოვრებო მოდელების შემუშავებაში.

ქართულმა ეთნოლოგიურმა სკოლამ ღირსეულად წარმოაჩინა ქართველი ხალხის ეთნოკულტურული მიღწევები. ეს თვალდათვალ ჩანს, აღიარებული ფაქტია, მაგრამ ცხადია ისიც, რომ სამყაროს განვითარების პროცესი საფრთხეს უქმნის და გარკვეულ შემთხვევებში აჩერებს კიდეც ტრადიციული დარგების განვითარებას. მართლაც, ბევრი დარგი გაუქმდა და მასთან დაკავშირებული ტრადიციები და ლექსიკა დავიწყებას მიეცა ან გაქრა. ტერმინოლოგიური ლექსიკა უფუნქციობის გამო გაღარიბდა. მიმდინარეობს ტერმინთა გადაგვარებისა და უნიფიკაციის პროცესი. ელდარ ნადირაძის აზრით, ერთადერთი, რასაც შეუძლია ამ უარყოფითი მოვლენების შეჩერება და მდგომარეობის შედარებით გამოსწორება, ეს არის ვრცელი საცნობარო-ტერმინოლოგიური ლექსიკონი.

მით უფრო დასაფასებელია პროექტის მონაწილეთა შრომა, რომლის შედეგად მივიღეთ კულტუროლოგიური მნიშვნელობის ცნობარ-ლექსიკონი. მასში თავმოყრილია მატერიალური კულტურის წრეში შემავალი ტერმინების უმრავლესობა: დანიშნულების, მასალის დამზადების წესის, გავრცელების არეალის, უტილიტარული დონისა და ნივთთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენათა ასპექტების განხილვით; ლექსიკონში გამოყენებულია ქართული ლექსიკოგრაფიული შრომები სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონიდან“ დაწყებული — ცალკეული კუთხის კილო-თქმათა ლექსიკონებით დამთავრებული. ასევე უნიკალური ნივთიერი და საილუსტრაციო მასალა, რომელიც მუზეუმის ფონდებში არის დაცული: ექსპონატები, მხატვრულ-დოკუმენტური ჩანახატები, შესრულებული გერმანელი, ფრანგი, ებრაელი, რუსი და ქართველი მხატვრების მიერ.

რამდენი დავიწყებული და გაუცხოებული სიტყვა, საგანი, ცნება, ტერმინი; რამდენი სოციალური ფენა; რამდენი ისტორიული ეპოქა; რამდენი ადამიანის სიცოცხლე; რამდენი დრო — უხსოვარიდან დღემდე.

ზემოთ ბრიტანულ ასოციაციებზე ვსაუბრობდი. ქართულ ეთნოგრაფიაში ანგლიციზმებზე ლაპარაკი სასაცილოა, მაგრამ სასაცილო კი არა, გასაკვირი მაინც არის ტერმინთა უცნაური ასოციაციური მისამართები. მაგალითად:

ბერკლი (რაჭა) — ტილოს პატარა ჩვარი. ბერკლის ხმარობდნენ ფინთიხის (ტყვიის) შემოსახვევად, რომ იგი მაგრად ყოფილიყო ჩამჯდარი თოფის ლულაში;

ინგლისი — ჭურჭლის ერთგვარი შესამკობელი მასალა. ინგლისი მოვარდისფრო მიწაა. იგი „თირზე“ ღრმად არის მიწაში და „პწკრიალებს“. ერთი ფუთი ინგლისი საკმარისია ერთი საპალნე ჭურჭლის „მოსაინგლისებლად“. შროშაში ინგლისს საკარმიდამო ნაკვეთებში თხრიან. კარგად აშრობენ, ახმობენ მზეზე, ნაყავენ ხის როდინებში და ცრიან წმინდა საცერში — „სამტკიცეში“. შემდეგ ყრიან თიხის ჭურჭელში, ალბობენ და ზელენ ხელით თხლად — „ლაღედ“. წყალს უმატებენ მანამ, სანამ თხელი ფაფის სისქეს არ მიიღებენ;

ფუქსი — საბერველი გუდა სამჭედლოში.

ლექსიკონს უძღვის საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის დავით ლორთქიფანიძის შესავალი წერილი, რომელშიც საუბარია ლექსიკონის ღირსებებზე და აღნიშნულია:

„შესაძლოა ითქვას, რომ ეს მასალები შენივთებულია აქამდე არსებული სხვა დარგობრივი ლექსიკონების, ისტორიული წყაროებისა და ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე. საერთო შედეგით მიღებულია თითოეული ნივთის განმარტება, ისეთი აუცილებელი პირობების გათვალისწინებით, როგორებიცაა ნივთის ფუნქცია, მასალა, უტილიტარული დანიშნულება და მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენათა ასპექტები.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ლექსიკონის ვიზუალური მხარე, რომელიც თვალწინ წარმოგვიდგენს იმ უაღრესად მაღალ სამეურნეო და საყოფაცხოვრებო კულტურას, რომელიც

საუკუნეთა განმავლობაში შეუქმნია ქართველ ხალხს. ეს კულტურა უეჭველად იმსახურებს უმაღლეს შეფასებას. დარწმუნებული ვარ, რომ ქართული ეთნოკულტურის გაცნობიერების დარგში დიდია ლექსიკონის დანიშნულება. ესაა არა მხოლოდ საინტერესო, არამედ ფრიად საჭირო ნაშრომი განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის თვითშემეცნების გაღრმავებისათვის“.

ეთნოგრაფიული ლექსიკონის თავისებურება ისიც არის, რომ მასში თვალდათვალ მოჩანს ისტორიული, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური შრეები. ტერმინოლოგიაში ზოგჯერ ერის ხასიათი და განწყობილებაც კი იკითხება ხოლმე. მაგალითად, ადვილი წარმოსადგენია, რა გუნებაზე უნდა ყოფილიყვნენ ჩვენი ძველები, როცა გუთნის ერთ-ერთ ნაწილს „კაკაბს“ არქმევდნენ, ან დაგრეხილ თოკს — „ჩალიჩს“, ღვინის ასაწყავ დოქს — „მანიკას“, ჭურისთავის საგოზელას — „კვეჟოს“ და ა.შ.

არ ვიცი, რისი ბრალია, მაგრამ ლექსიკონში არ არის შეტანილი ზოგიერთი სიტყვა, რომელიც, წესით, უნდა იყოს. მითუმეტეს, ამ სიტყვათა მონათესავე ტერმინები შეტანილია. მაგალითად, ლექსიკონში არის „კაბდო“ (ფარცხის ერთ-ერთი მთავარი დეტალი; დავით გურამიშვილი: „უწინდელი გათხუნვილი დარჩა კაბდო, აღარ გარცხეს“), მაგრამ არ არის „ფარცხი“; არ არის „ტიკჭორა“, მაგრამ არის „ტიკი“, არ არის „თალარი“, არის „ხეივანი“; არ არის „ფუჩეჩი“, არის „ბზე“; არ არის „რახი“, არის „ჟიპიტაური“; არ არის „დამბალხაჭო“, არის „ხინკალი“; არ არის „ხელნა“ (ურმის დეტალი, გვერდითი ძელი), არის „აპეური“, არ არის „კოფო“ (სკამი ურემზე), არის „ტაბიკი“ და „ჭალი“.

ეს შეიძლება ხარვეზად ჩაითვალოს, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ წიგნში ყველა ტერმინი ვერ შევიდოდა, რადგან საუბარია არა ენციკლოპედიურ ან განმარტებით, არამედ ეთნოგრაფიულ ლექსიკონზე.

ამ თემაზე ამახვილებს ყურადღებას აკადემიკოსი როინ მეტრეველი, რომელიც წინათქმაში წერს:

„მატერიალური კულტურის სფეროს გამომზეურებას, არსებული სპეციფიკის გათვალისწინებით, სათანადო ადგილი დაეთმო ქართულ ენციკლოპედიაში, მაგრამ მისგან განსხვავებით, ლექსიკონი გვთავაზობს არჩეული თემების უფრო სპეციფიკურ, ფართო და მრავალმხრივ გაშუქებას უხვი საილუსტრაციო მასალით, რაც ნაშრომის ვიზუალურსა და შემეცნებით დონეს განსაკუთრებულად ზრდის.

ყველაფერი ის, რაც ამ ლექსიკონშია მოცემული ქართველი ხალხის საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ყოფის ვრცელი სპექტრი ფაქტობრივი განმსაზღვრელია ქართველი ერის ეთნოკულტურული მიღწევებისა, ამ სფეროში მისი წარმატების თუ წარუმატებლობისა, ნაშრომში თავმოყრილი მასალის გაცნობა და გაანალიზება უეჭველს ხდის, რომ ეს კულტურა არის ძალიან მრავალმხრივი, საყურადღებო და მნიშვნელოვანი. ასეთი მთლიანობით აქამდე ეს კულტურა არ ყოფილა წარმოდგენილი.

ლექსიკონის დანიშნულება ბევრად სცილდება წმინდა მეცნიერულ მიზნებს, განსაკუთრებით ფასეულია მისი ზოგადსაგანმანათლებლო მნიშვნელობა, ძალზე დიდია ასეთ ნაშრომებზე საზოგადოების მოთხოვნილებაც. ვისურვებდი ამ ლექსიკონის უცხოენოვანი ვარიანტების გამოცემას, რაც დიდად წაადგებოდა ქართული ეთნოკულტურის პოპულარობას საერთაშორისო მასშტაბით“.

ბუნებრივია, უაღრესად საშური საქმეა ქართული ეთნოკულტურის პოპულარიზება საერთაშორისო მასშტაბით, უცხოენოვანი ვარიანტების გამოცემის დროც დადგება ალბათ, მაგრამ სანამ იქამდე მივიდოდეთ, მანამ უნდა დავაფასოთ და მადლობა ვუთხრათ იმ ადამიანებს, რომელთა მეოხებითაც გამოიცა ლექსიკონი. ესენი არიან: **ვაჟა უსანეთაშვილი, ზაზა სიორიძე, ზურაბ ჩხაიძე (ასკანელი), გია ცაცანაშვილი, მერაბ ბოხუა, ნოდარ ზაზაძე, ბაქარ კაპანაძე, ანზორ ოდოიძე, კახაბერ რუსიძე.**

მადლობის ღირსი არიან მეცნიერები, მკვლევარები, მუშაკები, რომელთა შრომის შედეგად შეიქმნა და შეიკრა ლექსიკონი: **გვანცა არჩვაძე, ციალა ბეზარაშვილი, მარინა ბოკუჩავა, თამარ გელაძე, ანზორ გოგიაშვილი, მაყვალა ზანდუკელი, ცისანა კაკაბაძე, გულიკო კვანტიძე, ლეილა მოლოდინი, ელდარ ნადირაძე, თებრო ნადირაძე, მამუკა ქაფიანიძე, მანანა ხიზანიშვილი, ნანული ჯიქია; აგრეთვე ლამარა ბედუკიძე, გურამ გასიტაშვილი, ნელი გელაშვილი, მანანა შილაკაძე, ხათუნა ცინცაძე.**

მათთან ერთად ყველა, ვინც რაღაც ფორმით მონაწილეობდა საშვილიშვილო საქმის განხორციელებაში, გარკვეულწილად ამ ადამიანებსაც ეხება აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას სიტყვები, რომელიც ლექსიკონის სატიტულო ფურცელს ამშვენებს: „მადლობა ჩემს ხალხს ასეთი მემკვიდრეობისათვის, მადლობა ყველა უსახელო ხუროსა და ოსტატს, რომელთა მარჯვენამ განადიდა საქართველო, შექმნა მსოფლიო მნიშვნელობის უნიკალური კულტურის საგანძური“.

„ჟურნალისტიკის“ წარდგინება

ავტორთა კოლექტივის **(მარინე დარსაველიძე, მარინე ვეკუა, ხათუნა კაჭარავა, ლაურა კუტუბიძე-ზუბაშვილი, ელზა ლომიძე, მარინე ლომიძე, მაგდა მემანიშვილი, თეა მჟავანაძე, ნატო ონიანი, დალი ჩიკვილაძე, ნინო ჯალაგანიძე, ლალი ძამუკაშვილი)** სამწლიანი მუშაობა დაგვირგვინდა შესანიშნავი წიგნით **„ჟურნალისტიკა“**, რომლის პრეზენტაციაც აღნიშნული პროექტის ერთ-ერთ მხარდამჭერ **გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტში** გაიმართა.

ეს არის ქართულ-ფრანგული საგანმანათლებლო პროექტი, იდეის ავტორები არიან **მარინე ვეკუა** და საფრანგეთის რეი-შამპან-არდენის უნივერსიტეტის პროფესორი **ჟილ რუე**, ისინი ამასთანავე თანაავტორებიც არიან წიგნისა.

პრეზენტაციაზე **მარინე ვეკუამ** მოკლედ შეაჯამა სამწლიანი დაუღალავი მუშაობა, ისაუბრა წიგნის სტრუქტურასა და შინაარსზე.

უნივერსიტეტის რექტორმა **გიორგი მათიაშვილმა** აღნიშნა: მას შემდეგ რაც ქვეყანა გახდა დამოუკიდებელი და სწავლების ენა გახდა ქართული, სახელმძღვანელოების დეფიციტია, შესაბამისად ჩვენი უნივერსიტეტი მაქსიმალურად ცდილობს ამ დეფიციტის აღმოფხვრას, ამის დასტურია აღნიშნულ პროექტში ჩვენი აქტიური მონაწილეობა და ამ წიგნის დაბადება, რომელიც შექმნილია თითქმის ყველა ჟურნალისტიკის სკოლის წარმომადგენელთა ერთობლივი მუშაობით. მადლობას ვუხდი იდეის ავტორებს და წიგნის თანაავტორებს, ასევე ყველა უნივერსიტეტს, რომელიც ჩართული იყო აღნიშნულ პროექტში.

საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის **„ჯიპას“** (ასევე ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი პროექტისა) დოქტორმა **ნესტან ციციშვილმა** ხაზი გაუსვა აღნიშნული წიგნის მნიშვნელობას ჟურნალისტიკის სტუდენტებისა და ზოგადად საზოგადოებისთვის: „ჩემთვის, როგორც მოქალაქისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის საკითხები, რაც ეხება სიტყვის და მასმედიის თავისუფლებას. ეს წიგნი მოიცავს ჟურნალისტიკის ყველა მნიშვნელოვან საკითხს, მე მჯერა, რომ ის ძალიან დიდ როლს შეასრულებს სიტყვისა და მედიის თავისუფლების საქმეში“.

პაატა ნაცვლიშვილის თქმით, ეს არ არის ერთი ადამიანის, ერთი უნივერსიტეტის ან ერთი ქვეყნის გაკეთებული საქმე, ეს პროექტი განხორციელდა ერთობლივი ძალებით. ეს წიგნი აჯამებს იმ გამოცდილებას, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა XIX საუკუნეში, ამ პროტის განხორციელება ერთი მხრივ მოვალეობაც კი იყო საზოგადოების და სტუდენტების წინაშე.

კავკასიის უნივერსიტეტის მოწვეულმა პროფესორმა **ქეროლ ნევისმა** აღნიშნა: მე „ნიუ იორკ თაიმსში“ ყოველთვის ვკითხულობდი საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე, სწორედ აქ აღმოვაჩინე, რომ საქართველოში სტატიების წერის სტილი თანდათან იცვლებოდა უკეთესობისკენ, რასაც დიდი გავლენა აქვს პოლიტიკაზე. ვფიქრობ, ამ წიგნით ეს საქმე კიდევ უფრო წინ წაიწევს.

დასასრულ, ქალბატონმა მარინემ პირობა დადო, რომ წიგნს აუცილებლად ექნება გაგრძელება.

თეო კაპანაძე

და ერთხელაც... მოიკითხა

ალბათ გაგონილი გექნებათ, რომ ომისშემდგომ წლებში სტალინი თითქმის ყოველ შემოდგომაზე თვეობით ისვენებდა შავი ზღვის სანაპიროზე და იქ ყოფნისას სისტემატურად იბარებდა ხოლმე ჩვენი რესპუბლიკის იმდროინდელ ხელმძღვანელს ამხ. კანდიდ ჩარკვიანს. საქვეყნო საქმეთა გარჩევას რომ მოათავებდნენ, სიბერეშეპარული ბელადი დროდადრო სენტიმენტალურ გუნებაზე დგებოდა და თავისი ბავშვობისა თუ ყრმობის ეპიზოდებს უამბობდა სტუმარს. მათ შორის თავისებური, ერთგვარად კომიკური ელფერით გამოირჩევა ერთი მონათხრობი, რომელიც დამოწმებულია კანდიდ ჩარკვიანის მოგონებათა წიგნში „განცდილი და ნააზრევი“ (თბ., 2004, გვ. 475).

ახლა, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ორიოდე წუთით ყური ვათხოვოთ თვით სტალინს:

„სემინარიაში, როგორც კარგ მოწაფეს, თვეში 5 მანეთი სტიპენდია მქონდა და პანსიონშიც ვცხოვრობდი. ამავე დროს ეგზარქოსის ქოროში ვგალობდი სიონის ტაძარში — მაღალი ტენორი მქონდა. ამისთვისაც ყოველთვიურად 5 მანეთს მაძლევდნენ. ეს მოწაფისათვის იმ დროს კარგი ფული იყო. ზოგჯერ დედასაც ვეხმარებოდი, მაგრამ ამ ფულს სემინარიის ადმინისტრაცია ფუჭად ხარჯავდა — მაშინვე ჩანდა, რომ ჩემგან მღვდელი არ გამოვიდოდა. სემინარიაში სწავლის პირველივე წელს წიგნების კითხვით დარწმუნებული ათეისტი გავხდი. მალე რამდენიმე თანამოაზრეც შევიძინე და დაიწყო კლასში ცხარე დისკუსია მორწმუნეებსა და უღმერთოთა შორის. ჩემი ყველაზე სასტიკი მოწინააღმდეგე ამ პაექრობისას თანაკლასელი სიმონ ნატროშვილი იყო. არავითარი საბუთი მასზე არ სჭრიდა: ის დაჟინებით იცავდა ღმერთისა და მთელი ზეციერი იერარქიის არსებობის დოგმატს. ამიტომ გასაგებია, როგორი იქნებოდა ჩემი გაკვირვება, როცა ერთ ორშაბათ დღეს ნატროშვილი ჩემთან მოვიდა და თავი დამარცხებულად აღიარა.

— ვცდებოდი, ახლა აღარც ღმერთი მწამს, აღარც სამოთხე და აღარც ჯოჯოხეთი, — დაბალი ხმით გამანდო სიმონმა. — გუშინ მთელი დღე მაგ საკითხებზე ვფიქრობდი და ბოლოს გამოცანაც ამოვხსენი. მართლაც, ღმერთი თუ არის, ჯოჯოხეთიც ხომ უნდა იყოს. ჯოჯოხეთში კი დაუსრულებლად ცეცხლის გენია უნდა ენთოს. შენით განსაჯე, ამგვარი ცეცხლისათვის სამყოფ შეშას, ისიც მილიონ წლობით, აბა ვინ იშოვის ან ამას რა ტყეები გაუძლებს?

მე სიცილი ამიტყდა. მეგონა, სიმონი თავის დასკვნამდე ფილოსოფიური მსჯელობით მივიდა, ის კი ათეისტად თურმე ჯოჯოხეთისათვის შეშის მოსალოდნელმა ნაკლებობამ გადააქცია!“

ამ ეპიზოდთან დაკავშირებით კანდიდ ჩარკვიანი სქოლიოში შენიშნავს: „სიმონ ნატროშვილს მეც შევხვედრივარ. ოციან წლებში ის საბჭოთა პრესაში მოღვაწეობდა. კარგა ხანს რედაქტორობდა ჩვენს სასოფლო გაზეთს, რომელსაც, რამდენადაც მახსოვს, „ახალი სოფელი“ ეწოდებოდა“.

სტალინის მონათხრობის გმირი თავისი საგვარეულოს იმ შტოს მიეკუთვნებოდა, რომელიც სოფელ ზემო მაჩხაანში, მოგვარეთა ძირითადი ბირთვიდან ცოტა მოშორებით, ე.წ. ჭიღიტაანთ უბანში დამკვიდრებულიყო. ამ ნატროშვილებს სოფელში მოიხსენიებდნენ, როგორც „მღვდლიაანთ“, რამეთუ შტო იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, სასულიერო პირთა სამჭედლოს წარმოადგენდა.

აგერ, სიმონის უფროსი ძმა საცაა დიაკვნად უნდა ეკურთხებინათ და მშობლებმა სიმონსაც იგივე მომავალი გაუმზადეს — თბილისის სასულიერო სემინარიაში იქნა გამწესებული. მაგრამ, სოსოსი არ იყოს, არც სიმონისგან გამოსულა მღვდელი. მართლაც მართალსა ბრძანებს ბრძნული ქართული ანდაზა: კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო.

სიმონს შინაურობაში რატომღაც „ლადოს“ ეძახდნენ, ხოლო უმცროსთათვის, შესაბამისად, „ლადო ძია“ ან „ლადო პაპა“ იყო. ნათლობის სახელი საბუთებშიღა შემონახულიყო და, როგორც ირკვევა, ყველაზე სახელმოხვეჭილი თანაკლასელის მეხსიერებაშიც.

ლადო პაპას მეუღლე უდროოდ გარდაეცვალა და თავისი ერთადერთი შვილისათვის მამობასთან ერთად განგებამ დედობის გაწევაც დააკისრა. ახლო ნათესავების შემწეობით, შეძლებისდაგვარად, თავს ართმევდა. მისი სანდრო ათლეტური აღნაგობის საამო შესახედავი ვაჟკაცი დადგა. 1940 წელს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მისაღები გამოცდები ჩააბარა, ჩაირიცხა და როდესაც პირველი კურსი დახურა, სწორედ მაშინ დაიწყო ის ომი, რომელსაც საბჭოეთში „დიდი სამამულო ომი“ უწოდეს. სანდრო მოხალისედ წავიდა ფრონტზე. 1942 წელს ერთ-ერთ ბრძოლაში მძიმედ დაჭრილი ტყვედ ჩავარდა. ჩანს, არც შნო აკლდა და არც გამბედაობა; გერმანელთა კონცლაგერიდან სულ რაღაც ერთ თვეში მოახერხა გაქცევა და იუგოსლავიელ პარტიზანებთან ამოყო თავი. თავდადებით იბრძოდა და იუგოსლავიის მომავალმა პრეზიდენტმა იოსიპ ბროზ ტიტომ იქაური ორდენით დააჯილდოვა (ნეტა არ დაეჯილდოებინა!). ომი რომ დამთავრდა, რასაკვირველია, სამშობლოში დაბრუნდა (ნეტა არ დაბრუნებულიყო!) და პოლიტექნიკურში განაგრძო სწავლა. თქვენ წარმოიდგინეთ, ტყვედნამყოფი არ დაუპატიმრებიათ (ყველას როდი იჭერდნენ), მკაცრი ფილტრაცია უვნებლად გაიარა. მაგრამ გამოხდა ხანი და იმ დროის კვალობაზე, ალბათ, რაღაც ზედმეტი და დაუშვებელი წამოსცდა ამხანაგებში (სტალინისგან შერისხულ მარშალ ტიტოს ხომ არ გამოექომაგა?). ჰოდა, დააბეზღებდნენ, მა რას იზამდნენ! ხელი სტაცეს და ათი წელი მიუსაჯეს (ნაკვესი სოლჟენიცინის თხზულებიდან „არქიპელაგი გულაგი“: შენ რამდენი წელი მოგისაჯეს? ოცდახუთი! რისთვის? არაფრისთვის! ცრუობ, შე მამაძაღლო, არაფრისთვის ათი წელია!).

ახლა უნდა შეგახსენოთ გიორგი ლეონიძის პოემა „ბერშოულა“ (1943), სადაც ვეცნობით ერთ გულმართალ ქართლელ გლეხკაცს, სტალინის ყრმობის მეგობარს, და იმის სანუკვარ ხვაშიადსაც: „ასე ამბობს ბერშოულა, თან უტკბება თავის სიტყვას და სულ სჯერა, რომ სტალინი ერთხელ სადმე მოიკითხავს“.

ბერშოულასი რა მოგახსენოთ, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს სტალინმა მართლაც მოიკითხა თავისი სემინარიელი ოპონენტი. მოიკითხა და გაგრაში, ცივწყაროს აგარაკზე მიიპატიჟა.

შეიძრა მთელი სანათესაო. შინაურები თავზე დაადგნენ ლადო პაპას: აბა, ახლა შენ იცი და შენმა ბიჭობამაო. შეეხვეწე და შეევედრე, ჩვენი სანდრიკო გამოუშვასო (სხვათა შორის, იმხანად თბილისში გავრცელებული იყო გალაკტიონის ლექსის „იქით ნუში, აქეთ ნუში“ პირველი სტროფის, ყოვლად უწყინარი სტროფის, ფრიად კოლორიტული პერიფრაზი: „იქით ნუში, აქეთ ნუში, შუაში ფარდა ჩამოუშვი, ძია სტალინ, გეხვეწები, მამაჩემი გამოუშვი“).

ვერ შეევედრა. მოკალით და ვერ შეევედრა! დიახაც ებაასა, ჯოჯოხეთის ამბავს ხომ ნაღდად გაიხსენებდნენ და გულიანად იცინებდნენ, ჭიქაც მიუჭახუნა და გულწრფელად აღეეგრძელა, მაგრამ თავის ერთადერთ შვილზე კრინტიც არ დაუძრავს. თბილისში დაბრუნებულს საყვედურები რომ დააყარეს, ლადო პაპამ თავისი უგერგილობა ამგვარად ახსნა: „ჩემს ასავალ-დასავალს, ცხადია, წინასწარ გააცნობდნენ სოსოს. განა არ უნდა მოეხსენებინათ, სემინარიის შემდეგ რას ვაკეთებდი და რას ვაფუჭებდი [თავის დროზე, ცოტ-ცოტას მენშევიკობდა], რამდენი ცოლი მყოლია და რამდენი შვილი? ჰოდა, სანდროს ტყვეობა როგორ გამოეპარებოდათ, ყველაფერი ეწერებოდა იმ ოხერ-ტიალ დოსიეში. და რადგანაც ხმა არ ამოუღია, ჩემი შვილის ამბავი არ უკითხავს, მაშასადამე, არ ინება ჩარევა და მეც თავი შევიკავე“.

ვინ იცის, თავისი სამრეკლოდან ეგებ მართალიც იყო.

ლადო პაპას, რა თქმა უნდა, წაკითხული არ ჰქონდა ბულგაკოვის ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი „ოსტატი და მარგარიტა“ (საერთოდ, კარგად იცნობდა რუსულ მწერლობას), მაგრამ წაუკითხავადაც, ვითარცა ალალ კაცსა და კანონმორჩილ მოქალაქეს, ძვალრბილში ექნებოდა გამჯდარი ბულგაკოვისეული ვოლანდის რჩევა-დარიგება: ნურაფერს ნუ სთხოვთ იმათ, ვინც თქვენზე ძლიერია. ყველაფერს თავად შემოგთავაზებენ და თავადვე გიბოძებენო!

ამჯერად გამტყუნდა, ვაგლახ, გამტყუნდა ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლე ვოლანდი.

ლადო პაპას კი მალე სანანებელი გაუხდა ჩვეული რიდი და მოკრძალება.

ასეა თუ ისე, სტალინის ყოფილი თანაკლასელის შვილი, სტალინის მოძულე ხრუშჩოვის წყალობით, ვადაზე ადრე გათავისუფლდა. ჩრდილოეთიდან სამშობლოსაკენ გამომგზავრებულს, გინდა-არ გინდა, მოსკოვი უნდა გამოევლო. იქ დაყოვნდა, რადგან ლაგერში გაჩენილი კუჭის წყლული აწუხებდა და იფიქრა, ოპერაციას ბარემ მოსკოვში გავიკეთებო. ასეც ქნა. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. მაგრამ მესამე დღეს ვიღაც ნაცნობმა, ვისი ვინაობაც სამუდამოდ უცნობი დარჩა, მოინახულა პაციენტი და მოსაკითხიც მოართვა — ერთი ბოთლი ჭაჭის არაყი! იქვე მოილხინეს და ვაი, ასეთ მოლხენას... სანდროს მკვიდრი ბიძაშვილი, ყველაზე მარიფათიანი ჯეელი რომ იყო მთელს სანათესაოში, სასწრაფოდ მოსკოვს გაფრინდა და თუთიის კუბოთი ჩამოუსვენა შვილი მამას. იმანაც აღარ დაახანა და წლისთავის დადგომამდე უკან გაჰყვა უდროოდ დაკარგულ სანდრიკოს.

ფენიქსივით უნდა აღმდგარიყო

ამერიკელი ავტორები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ვიეტნამის ომი მკვეთრად განსხვავდება სხვა ომებისგან შეერთებული შტატების ისტორიაში. იგი სრულიადაც არ ჰგავდა, მაგალითად, მეორე მსოფლიო ომს. როგორც ცნობილია, 1941 წლის 7 დეკემბერს იაპონელები თავს დაესხნენ პერლ-ჰარბორს და მეორე დღესვე აშშ კონგრესმა ომი გამოუცხადა ამომავალი მზის ქვეყანას. რაც შეეხება ვიეტნამს, ამერიკელთა უმრავლესობას წარმოდგენაც კი არა აქვს, როდის და როგორ დაიწყო ეს ომი. თავდაპირველად პრეზიდენტი დუაიტ ეიზენჰაუერი გარკვეულ სამხედრო დახმარებას უწევდა სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფლებას ვიეტკონგის პარტიზანებთან ბრძოლაში. პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ საგრძნობლად გაზარდა ეს დახმარება. პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა კიდევ უფრო გაზარდა... და უეცრად ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობა მიხვდა, რომ ამერიკელი ჯარისკაცები იბრძოდნენ და იხოცებოდნენ შორეული აზიის მივარდნილ-მიყრუებულ მხარეში. რატომ და რისთვის იხოცებიანო? — ბუზღუნებდნენ გადასახადის გადამხდელები. რატომა და იმისთვისაო, დინჯად პასუხობდა ხელისუფლება, რომ აზიას ავაცდინოთ კომუნიზმის საფრთხეო.

თავდაპირველად ამერიკელთა სამხედრო დახმარება უდრიდა ზუსტად 685 სამხედრო მრჩეველს, მაგრამ შემდგომში გაიბერა და გასივდა. ვიეტნამში აშშ საომარ მოქმედებათა გაქანებას თვალნათლივ მეტყველებს ის ფაქტი, რომ იქ მყოფ მეომართა ოდენობამ საბოლოოდ მიაღწია 550 ათას ერთეულს. რაც შეეხება მსხვერპლს, მთელი ინტერვენციის განმავლობაში ამერიკელებმა დაკარგეს 58 ათასი კაცი — მოკლულნი და უგზოუკვლოდ გამქრალნი (ე.ი. ერთ მეათედზე მეტი!).

ძია სემმა, გარდა შეიარაღებული ძალებისა, ვიეტნამში მიავლინა 5 ათასზე მეტი სი-აი-ეის ანუ, ჩვენებურად რომ ვთქვათ, ცერეუს თანამშრომელი — ოპერატიული მუშაკები და დამხმარე პერსონალი. არც მანამდე და არც შემდგომში ამერიკულ დაზვერვას არა ჰქონია ძალებისა და საშუალებათა ასეთი კონცენტრაცია.

ცერეუს რეზიდენტურა აკონტროლებდა სამხრეთ ვიეტნამის პოლიციის სპეციალურ განყოფილებას და დაზვერვას. უმთავრესად სამხრეთვიეტნამელ დაქირავებულთა ხელით ატარებდა სადაზვერვო, საკონტრდაზვერვო, ნახევრადსამხედრო, პოლიტიკურ, პროპაგანდისტულ აქციებს და ხელმძღვანელობდა „სტრატეგიული სოფლების“ შექმნის პროგრამებს.

„სტრატეგიული სოფლების“ არსი მდგომარეობდა იმაში, რომ პარტიზანთა აქტიური მოქმედების ზონებში ხდებოდა დასახლებული პუნქტების იზოლირება ერთმანეთისგან. მოსახლეობას ართმევდნენ ყველანაირ იარაღს. მცხოვრებნი იმყოფებოდნენ მუდმივი სპეკკონტროლის ქვეშ. ამგვარად, „სტრატეგიული სოფლები“ წარმოადგენდნენ თავისებურ კონცლაგერებს. იგეგმებოდა, რომ ასეთი „სტრატეგიული სოფლები“ თანდათანობით შეერწყმოდნენ ერთმანეთს უფრო და უფრო ფართო „მშვიდობის ზონებში“. გათვალისწინებული იყო, რომ შეიქმნებოდა 11 ათასი ამგვარი დასახლება და იქ უნდა შეერეკათ მოსახლეობის 90 პროცენტი.

ამას ერქვა „დაშოშმინება“. ამ პროგრამის მთავარი შემადგენელი ნაწილი გახლდათ ოპერაცია, კოდური სახელწოდებით „ფენიქსი“.

უცხო სიტყვათა ლექსიკონიდან: ფენიქსი — ზოგი ძველი ხალხის მითოლოგიაში: ფრინველი, რომელიც სიკვდილის მოახლოებისას თითქოს თავს იწვავს და კვლავ აღდგება თავისი ფერფლიდან, ცოცხლდება (იხმარება, როგორც მუდმივი განახლებისა და აღორძინების სიმბოლო).

ეს სახელწოდება, ალბათ, იმიტომ გაჩნდა, რომ ამერიკელთა აზრით, ნაომარ-ნაოხარი ვიეტნამი ფენიქსივით უნდა აღმდგარიყო ფერფლიდან.

ოპერაცია „ფენიქსი“ მიზნად ისახავდა სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის პოლიტიკური კადრების განადგურებას.

თუ როგორი მეთოდებით ტარდებოდა სამხრეთ ვიეტნამის „დაშოშმინება“ ოპერაცია „ფენიქსის“ ჩარჩოებში, ამას თვალნათლივ მოწმობს სკანდალი 2001 წლის გაზაფხულზე ყოფილი სენატორის რობერტ კერის (ამჟამინდელ სახელმწიფო მდივანში არ აგერიოთ!) ირგვლივ, რომელიც ვიეტნამის ომში ლეიტენანტად მსახურობდა აშშ სამხედრო-საზღვაო ფლოტის ელიტურ სპეცრაზმში („ზღვის წავები“).

გამოირკვა, რომ ქვედანაყოფი, რომელსაც კერი მეთაურობდა, პარტიზანებთან ბრძოლის საბაბით ხანდახან მშვიდობიან მოსახლეობასაც აწიოკებდა.

1969 წლის 25 თებერვალს მიიღეს ცნობა, რომ სოფელ თენგფონგში ღამეს ათევდა სოფლის პარტიული უჯრედის ხელმძღვანელი. „ზღვის წავები“ სასწრაფოდ იქით გაეშურნენ. მაგრამ დანიშნულების ადგილამდე ნახევარი კილომეტრი რომ რჩებოდათ, წაადგნენ რაღაც ბომბსაფარის მსგავს ნაგებობას, სადაც თავი შეეფარებინათ ქალებსა და ბავშვებს. ისინი გამოიყვანეს და, კერის ბრძანებით, ყველანი ამოხოცეს. ამასთან ერთად, ეულად მდებარე ჩალის ქოხში მცხოვრებ ბერიკაცსა და მის ცოლს თავები მოკვეთეს, ხოლო მათი უსაკო შვილიშვილები ხიშტებზე წამოაგეს.

კერიმ უფროსობას ოპერაციის წარმატებით ჩატარება უპატაკა და შეთხზა, რომ მისმა რაზმმა სასტიკ ბრძოლაში გაანადგურა 21 ვიეტკონგელი. კერი დაუყოვნებლივ დააჯილდოვეს მედლით „ბრინჯაოს ვარსკვლავი“. შემდგომში რეპუტაცია „ომის გმირისა“ შეეწია, რომ გამხდარიყო სენატორი დემოკრატიული პარტიიდან.

ეს ამბავი ამოტივტივდა ორწლიანი ჟურნალისტური გამოძიების შედეგად, რომელსაც ატარებდნენ „ასოშიეიტედ პრესის“ სააგენტოსა და გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ თანამშრომლები. ყოფილი სენატორი თავდაპირველად ყველაფერს უარყოფდა, მაგრამ უტყუარ მტკიცებულებათა გამო იძულებული გახდა, რომ საჯაროდ ეღიარებინა მშვიდობიან მოსახლეთა ამოხოცვის ფაქტი. თუმცა თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ მისმა რაზმმა ცეცხლი გახსნა სოფლიდან სროლის პასუხად და მხოლოდ შემდგომში გაირკვა, რომ ამას, საბედისწერო შემთხვევის გამოისობით, სამოქალაქო პირნიც ემსხვერპლნენ.

ამგვარი ეპიზოდები ვიეტნამის ომში უცხო ხილი არ ყოფილა. შეპყრობილ ვიეტკონგელებს ანდა პარტიზანებთან კავშირში ეჭვმიტანილებს არ ებოდიშებოდნენ. სიკვდილმისჯილებს თვალის დახამხამებაში ვერტმფრენებიდან ყრიდნენ ჯუნგლებსა თუ ზღვაში.

მარტოოდენ ოპერაცია „ფენიქსი“ ძალზე ძვირი დაუჯდა ვიეტნამს. სხვადასხვა წყაროების თანახმად, დაიღუპა 50 ათასი სული — განთავისუფლების ეროვნული ფრონტის წევრები და მომხრეები თავიანთ ოჯახებთან ერთად.

მიუხედავად ყველაფრისა, ამერიკელმა მშვიდობისმყოფელებმა ღვთივკურთხეული დემოკრატია, სამწუხაროდ, ვერ დანერგეს ვიეტნამში და 1973 წელს თავის დაზვერვიან-წავებიანად იქიდან სამუდამოდ აიბარგნენ. დიახ, ამერიკელები დამარცხდნენ ვიეტნამში, მაგრამ „ცივი ომი“ საბჭოთა კავშირთან არ შეუწყვეტიათ და ოცდაოდ წლის შემდეგ საბოლოოდ დაამარცხეს კომუნიზმი — მთელი მსოფლიოს მასშტაბით!

თბილისის სამხატვრო აკადემიაში **ნინო ზაალიშვილის** ხსოვნისადმი მიძღვნილი პერსონალური გამოფენა გაიხსნა. წარმოდგენილი იყო გრაფიკა, ფერწერა, შერეული ტექნიკით შესრულებული ნამუშევრები. მოეწყო აგრეთვე მისივე საყმაწვილო წიგნის **„ანამარია ჭიამაიას ჭრელ-ჭრელი ამბები“ („ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“)** წარდგინებაც. ღონისძიება სამხატვრო აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, **თინათინ კლდიაშვილმა** გახსნა და ნინო ზაალიშვილის ღვაწლზე ისაუბრა, რაც არაერთი მიკარგული მხატვრის წარმოჩენაში გამოიხატა.

თავყრილობას შემდეგ **როსტომ ჩხეიძე** გაუძღვა, რომელმაც საზოგადოებას ნინო ზაალიშვილის არაერთი დამსახურება შეახსენა, განაცხადა, რომ რამდენიმე ათწლეულის მანძილზე არ გამართულა თბილისში გამოფენა, რომლის უშუალო თაოსანი ან ერთ-ერთი ორგანიზატორი ქალბატონი ნინო არ ყოფილიყო, და პატარებისთვის შექმნილი, მეტად ორიგინალური და შთამბეჭდავი წიგნის შესახებ სიტყვა **ემზარ კვიტაიშვილს** სთხოვა. „— ჩემთვის სასიამოვნოდ მოულოდნელი იყო ეს წიგნი, თავიდან ეჭვის თვალით ვუყურებდი, მაგრამ შედეგმა გამაოცა, მან არაჩვეულებრივად იცის მუსიკა, მხატვრობა და ბავშვის ფსიქოლოგია“, — აღნიშნა მან.

მაკა ჯოხაძემ შეკრებილთ ცინცხალი შთაბეჭდილებები გაუზიარა, გამოწვეული გამოფენის მრავალფეროვნებითა და ორიგინალურობით, და აღნიშნა, რომ იმ დიდი ღვაწლის დასაფასებლად, რომელიც ნინო ზაალიშვილს აკადემიის ბიბლიოთეკის გამართვაში მიუძღვის, სამართლიანი იქნებოდა ამ ბიბლიოთეკას მისივე სახელი მინიჭებოდა. სიტყვით გამოვიდნენ: **ცისანა მჭედლიძე, ქეთი შენგელია, თამარ გრიგოლია, ნანა კიკნაძე, ლალი ზამბახიძე, მანანა ვადაჭკორია, თენგიზ მახარაშვილი, ნინო ელერდაშვილი**. დასასრულ ნინო ზაალიშვილის მეუღლემ, მხატვარმა **კარლო ფაჩულიამ** მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს, დამსწრე საზოგადოებას, საგამოფენო დარბაზის ხელმძღვანელ **ზურაბ გაბუნიას**.